

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დავით პიპინაშვილი

**სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რებიონული
სტაბილურობის პრობლემები**

პოლიტიკურ მეცნიერებებში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **თამარ კიკნაძე**

თბილისი

2008

შინაარსი

შესავალი	1
თავი I	
ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ზოგიერთი თეორიული ასპექტი	6
თავი II	
გლობალური და რეგიონული ზესახელმწიფოების გავლენა სამხრეთ კავკასიის	
სტაბილურობაზე: თანამშრომლობა და მრავალმხრივი მეტოქეობა	22
2.1. აშშ-ის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში	24
2.2. რუსეთის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში	34
2.3. ირანის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში	43
2.4. თურქეთის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში	45
თავი III	
სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები: პრობლემები და მათი გადაწყვეტის მცდელობები	50
3.1. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო, ეუთო-ს (OSCE) მინსკის	
ჯგუფის საქმიანობა და სამშვიდობო პროცესი	51
3.2. კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი):	
ისტორია და თანამედროვეობა	77
3.2.1. ქართულ-ოსური დაპირისპირების დინამიკა 1989-2003 წლებში („ვარდების	
რევოლუციამდე“)	77
3.2.2. ქართულ-ოსური დაპირისპირების დინამიკა 2004-2008 წლებში („ვარდების	
რევოლუციის“ შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ჩათვლით)	99
3.3. აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი და პერსპექტივები	113
3.3.1. ომი აფხაზეთში (საქართველო): კონფლიქტის მიზეზები, ესკალაცია	
და შედეგები	113
3.3.2. ევროპული ფაქტორის მნიშვნელობა და შავი ზღვის განზომილება აფხაზეთის	
კონფლიქტის გადაწყვეტაში	148
3.4. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი და რეგიონული	
სტაბილურობის პერსპექტივები	156
დასკვნები	171
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	200
დანართები	220

შესავალი

მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან ერთ-ერთი ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გაქრობა, უცხოელ პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა გარკვეულმა ნაწილმა გეოპოლიტიკური კატასტროფის ტოლფასად აღიქვა. დაინგრა სოციალიზმის საერთაშორისო სისტემა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო რეგიონული კონფლიქტების ესკალაციას. სოციალიზმის ნგრევამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია, როგორც მსოფლიოს პოლიტიკური რუკის კორექტირება, ისე გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები, რამაც, ფაქტიურად, სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ ეპოქას. წარმოიშვა ძალთა ახალი ცენტრები, რომელთა შორის გავლენის სფეროებისთვის გაჩაღებულმა ბრძოლამ კიდევ უფრო დაძაბა ისედაც რთული საერთაშორისო წინააღმდეგობები. ახალ ცენტრებს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ მწვავე ზონად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია იქცა, რამაც ხსენებულ სივრცეში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებათა კონფლიქტური კერები წარმოშვა. ყოველივე ეს უდაოდ ძაბავს ზოგად საერთაშორისო ვითარებას, ვინაიდან სისხლიან კონფლიქტებს კაცობრიობა უარყოფით შედეგებამდე მიჰყავთ.

სადისერტაციო თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელ მსოფლიოში საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალურ პრობლემას, როგორც პოლიტიკური, ისე სამეცნიერო თვალსაზრისითაც წარმოადგენს რეგიონული კონფლიქტების დარეგულირება, მით უფრო, როცა საქმე ეხება ეთნიკურად ისეთ რთულ სივრცეს, როგორიც **სამხრეთ კავკასიაა**.

ნებისმიერი საზოგადოება მსოფლიოში განვითარებული მოვლენების სერიოზული გავლენის ქვეშ იმყოფება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რატომ ხდება მსოფლიოში ესა თუ ის მოვლენა, შეიძლება თუ არა მათი პროგნოზირება და კონტროლი. ამიტომ, კონფლიქტები უნდა იქცნენ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მუდმივი კვლევის საგნად. საერთაშორისო სისტემაზე კონფლიქტების, კრიზისებისა და ომების გავლენის ცოდნა აუცილებელია, რათა უკეთ მოხდეს ურთიერთობების დარეგულირება, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე ქვეყნებს შორისაც.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი აღინიშნა დაძაბულობის ისეთი კერების აღმოცენებით, როგორებიცაა ყოფილი იუგოსლავიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა და ყოფილი საბჭოთა კავშირი. უშუალოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში,

თავისი სიმწვავეთა და დამანგრეველი შედეგებით, განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ კავკასიის რეგიონში განვითარებული მოვლენები, კერძოდ სომხურ-აზერბაიჯანული შეიარაღებული დაპირისპირება მთიანი ყარაბაღის გამო, აგრეთვე საქართველოს კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებული პრობლემები მუდმივად ფიგურირებს თითქმის ყველა, მათ შორის ეუთო-სა და გაეროს, მისი გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში. აღნიშნული პრობლემატიკა მსოფლიოს პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფება. კონფლიქტების სისტემატური კვლევის შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს სათანადო მიდგომა მათი დარეგულირების საკითხისადმი.

თემის აქტუალობა აგრეთვე განპირობებულია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური პროცესების სულ უფრო მზარდი მნიშვნელობით. რეგიონულ უსაფრთხოებაზე ეთნიკური სეგმენტაციის გავლენასთან დაკავშირებული პრობლემები დიდ ინტერესს იწვევს, როგორც მეცნიერ-თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოს-პოლიტიკოსებს შორის. როდესაც კონფლიქტის მონაწილე მხარეები ეთნიკური ნიშნით უპირისპირდებიან ერთმანეთს, ამ შემთხვევაში ხდება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სრული ეთნოზაცია. ეთნიკურ ფაქტორს გააჩნია უნარი უმაღლეს დონეზე მოახდინოს საზოგადოების ცალკეული სეგმენტების მობილიზება, კონსოლიდაცია, რაც კონფლიქტის უკიდურეს გამწვავებას იწვევს. ეს იმით აიხსნება, რომ, მსგავს შემთხვევებში, წინა პლანზე გამოდის ეთნიკური ინტერესების დაცვის საკითხი. ეს უკანასკნელი კი საგრძნობლად ამცირებს შესაძლო კომპრომისების ალბათობას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების როგორც უნივერსალური, ისე რეგიონული სისტემები არ აღმოჩნდნენ მზად ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

პოლიტიკურ და ეთნიკურ თავისებურებათა ანალიზი, სამხრეთ კავკასიის სტაბილურობაზე მათი გავლენის შეფასება, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სამივე რესპუბლიკაში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ლოგიკა, განვახორციელოთ ერთგვარი შედარებები (შედარებითი ანალიზი) მთელი რეგიონის ჭრილში და გამოვიყენოთ კომპერატიული ანალიზის მეთოდი.

დისერტაცია ეხება სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების კვლევას და მათ გავლენას რეგიონულ სტაბილურობაზე. ეს იმდენად ფართო და, ამავდროულად, რთული საკითხია, რომ უდაოდ მოითხოვს სერიოზულ შესწავლას რამოდენიმე სამეცნიერო დისციპლინის მხრიდან, როგორებიცაა: პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, სოციოლოგია, საერთაშორისო სამართალი და ა.შ. (ფაქტიურად წარმოადგენს დისციპლინათაშორისო შესწავლის საკითხს).

კავკასიური კონფლიქტების წარმოშობა ძირითადად განპირობებულია საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი ისტორიული პერიოდის თავისებურებებით. ეს არის მრავალპოლარული მსოფლიოს ფორმირების ეპოქა, დასავლეთსა და აღმოსავლეთს, აშშ-სა და რუსეთს შორის სრულიად ახლებური ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდი. სადისერტაციო ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა სამხრეთ კავკასიით დაინტერესებულ გლობალურ და რეგიონულ ძალებს (აქტორებს). გაანალიზებულია მათი გავლენა, როგორც კონფლიქტების დარეგულირების დინამიკაზე, ისე რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ფორმირებაზე.

ნაშრომის კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს პოლიტიკური, ეთნიკური, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთქმედების ის პროცესი, რამაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტურ სიტუაციათა მწვავე კერების წარმოშობას შეუწყო ხელი, და რითიც სერიოზული ზიანი მიადგა რეგიონულ სტაბილურობას. გარდა ამისა, დისერტაციის კვლევის სფეროს განეკუთვნება გლობალური და რეგიონული მასშტაბის ზესახელმწიფოების (გარეშე აქტორების), აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობა, სამხეთ კავკასიაში პოზიციების გამყარების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს რეგიონის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების დინამიკაზე.

კვლევის ძირითადი მიზანია ბოლომდე გავიაზროთ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან დაკავშირებული რეგიონული სტაბილურობის პრობლემატიკა, გამოვავლინოთ ამ კონფლიქტების წარმოშობის ძირითადი მიზეზები და განვითარების დინამიკა. ეს თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესების პროგნოზირების მცდელობა და შევიმუშავოთ გარკვეული რეკომენდაციები. კვლევის მიზანია ასევე, გავაანალიზოთ ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზა-

ციების პრაქტიკა სამშვიდობო საქმიანობის კონტექსტში იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რაც მსოფლიომ XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში განიცადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ნაშრომის ძირითადი **ამოცანებიც**: სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების წარმოშობისა და ესკალაციის ძირითადი მიზეზების გამოვლენა; სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის კომპლექსური ანალიზი რეგიონული სტაბილურობის კონტექსტში, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში; იმ ძლევამოსილი სახელმწიფოების (აქტორების) როლის გაანალიზება, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე, განსაკუთრებით კონფლიქტების დარეგულირების დინამიკაზე; სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დინამიკის განსაზღვრა, მათი ძირითადი ფაზების გამოვლენა იმ შეიარაღებული დაპირისპირების მაგალითზე, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და მთიან ყარაბაღში; სათანადო შეფასების მიცემა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობისთვის, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის რეგიონში გაეროს (UN), ეუთოს (OSCE), ევროკავშირისა (EU) და დსთ-ის (CIS) სამშვიდობო ოპერაციათა წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზების ობიექტური ახსნა; კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით განხორციელებული დიპლომატიური ღონისძიებების შეფასება.

ნაშრომის მომზადებისას, გამოყენებულ იქნა წყაროთა რამდენიმე ჯგუფი.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება: საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროკავშირი, დსთ და ა.შ.), აგრეთვე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების განცხადებები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები; ამ სახელმწიფოთა პარლამენტების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები; კონფლიქტის მონაწილე მხარეების ლიდერთა საჯარო გამოსვლები.

მეორე ჯგუფს შეადგენს: ქართული და უცხოური ბეჭდვითი პრესა, პერიოდика, სადაც განხილულია XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები.

მესამე ჯგუფს შეადგენს: ქართველ მეცნიერთა (ა. გეგეშიძე, ზ. დავითაშვილი, ა. რონდელი, მ. მაცაბერიძე, დ. დარჩიაშვილი, ლ. ალექსიძე და ა.შ.) სამეცნიერო-კვლევითი შრომები, მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები.

მეოთხე ჯგუფი შედგება: საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტოლოგებისა და კონფლიქტოლოგების (ზ. ბუეზინსკი, პ. კისინჯერი, ი. გალტუნგი, ლ. ფრიდმანი, კ. იასპერსი, კ. ბოულდინგი, ჯ. ბურტონი, ლ. კოზერი, რ. დარენდორფი, ი. ზარტმანი, ჯ. ნაი, ა. რაპოპორტი, დ. ბელი, მ. დოიჩი, ფ. ვრაიტი, ჯ. რუბინი, ბ. ბრაუნი, ა. დუგინი, კ. გაჯიევი, ე. ბეჟანოვი, ა. ზდრავომისლოვი, მ. ლებედევა და ა.შ.) სამეცნიერო შრომებისგან, სტატიებისგან, გამოცემული სახელმძღვანელოებისგან.

მესუთე ჯგუფი შედგება: ინტერნეტში, კერძოდ ოფიციალურ „ვებ-გვერდებზე“ და ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალებისგან.

დისერტაციის მთავარი **სამეცნიერო სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ კონფლიქტების პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში სულ უფრო მზარდი ინტერესის საგანი ხდება, მით უფრო მსოფლიოში განხორციელებული გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. ნაშრომში განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე მოქმედი ობიექტური პირობები. გაანალიზებულია ის მექანიზმები, რაც ამ პირობების პოლიტიკური არასტაბილურობის ფაქტორად გადაქცევას უწყობს ხელს. განხილულია არახელსაყრელი პოლიტიკურ-ეთნიკური ფაქტორები, მათი გავლენა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ კონფლიქტებზე, ისე მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ამ კონფლიქტების გავლენა რეგიონის გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევები საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის ზონებში წარმოებული სამშვიდობო ოპერაციათა შედეგიანობა, გამოვავლინოთ მათი მიღწევები და წარუმატებლობები, შევიმუშავოთ ახალი მიდგომები ამ კონფლიქტების დარეგულირების პროცესებისადმი, რეგიონში საყოველთაო მშვიდობისა და თანხმობის მისაღწევად. თემაში განხილული კონფლიქტების შედარებითი ანალიზი, მათი პოტენციალის უწყვეტი კვლევა, საერთო და სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენა ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორც ამ კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დარეგულირების რეალური გზების ძიების, ისე მყარი რეგიონული სტაბილურობის მიღწევის თვალსაზრისით.

ნაშრომის უმთავრესი პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც სამეცნიერო-თეორიულ კვლევებში, ისე პრაქტიკულ დიპლომატიურ საქმიანობაშიც. თემაში მოცემული შეიარაღებული კონფლიქტების თეორიული ანალიზი პირდაპირ კავშირშია მის პოლიტიკურ-პრაქტიკულ მნიშვნელობასთან, ვინაიდან ხელს უწყობს იმ საფრთხეებისა და გამოწვევების გამოვლენას, რასაც აღნიშნული კონფლიქტები უქადიან საქართველოს, სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონსა და, ზოგადად, მსოფლიო თანამეგობრობას.

თავი I

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ზოგიერთი თეორიული ასპექტი

სოციალურ რყევებს, ომებსა და კონფლიქტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კაცობრიობის ისტორიაში. სამწუხაროდ, საზოგადოების დღევანდელი ყოფაც მდიდარია მსგავსი კატაკლიზმებით, რაც განსაკუთრებით სოციალური და ეთნიკური ურთიერთობების სფეროს ეხება. კონფლიქტები, კონფრონტაციები, მათი მიზეზები, ისევე როგორც უსაფრთხოებისა და სამართლიანი წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებული პროცესები, ყოველთვის საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენდა. ამდენად, თანამედროვე მკვლევართა მზარდი ინტერესი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლისადმი სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობები კონფლიქტური სივრცის გამწვავება-გაფართოებით ხასიათდება. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლებოდა, რომ შექმნილია საზოგადოების განვითარების უკონფლიქტო მოდელი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლა კი ძირითადად ისტორიული მასალების ან/და დასავლეთის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მაგალითზე ხორციელდებოდა. ამავე დროს, დასავლეთელმა მკვლევარებმა საკმაოდ საფუძვლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება შესძლეს, რამაც საფუძველი ჩაუყარა კონფლიქტოლოგიის სოლიდური სკოლის ჩამოყალიბებას. კონფლიქტოლოგიის ძირითად საგანს საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების ბუნების, მიზეზებისა და მექანიზმების შესწავლა წარმოადგენს. თანამედროვე რუსეთშიც აქტიური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები წარმოებს ამ თვალსაზრისით, გამოცემულია არაერთი სახელმძღვანელო

და სამეცნიერო ნაშრომი აღნიშნულ პრობლემატიკაზე. რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების ავტორთა შრომების კომპლექსური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს ზოგადსაკაცობრიო ხასიათი გააჩნიათ. სამწუხაროდ საქართველოში ამ სფეროს არ ეთმობა მეცნიერულ დონეზე სათანადო ყურადღება, რაზეც ნათლად მეტყველებს ჩვენს ქვეყანაში კონფლიქტოლოგიის თემატიკაზე გამოცემული ლიტერატურის სიმწირე.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის აღწერა მისი ბუნების დრმა ანალიზს მოითხოვს. ევროპული პოლიტიკური სოციოლოგიის წარმომადგენლის, გერმანელ-ბრიტანელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის რაულ გუსტავ დარენდორფის აზრით, კონფლიქტი სოციალური ორგანიზაციის ბუნებრივი შემაღგენელი ნაწილია, რომელიც იწვევს სოციალურ ცვლილებას¹. დარენდორფის თქმით, სამოქალაქო ომი, გაფიცვა, საპარლამენტო დისკუსია თუ მშვიდობიანი სატარიფო მოლაპარაკებები – ყოველივე ეს სოციალური კონფლიქტების სფეროს განეკუთვნება [Dahrendorf, 1959]. აქედან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური კონფლიქტი, მათ შორის, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტიც ერთი ფართო განსაზღვრების – „სოციალური კონფლიქტის“ ქვეშ მოიაზრება.

თანამედროვე ლიტერატურაში, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებში, ყოფით ენაზე კონფლიქტის მრავალი განმარტება გვხვდება. სპეციალისტებს შორის ჯერაც არ არსებობს ერთიანი აზრი იმაზე, თუ რას წარმოადგენს კონფლიქტი. ფაქტიურად, თითოეული ავტორი თავის არსს დებს „კონფლიქტის“ ცნებაში. ასე მაგალითად, ცნობილი ამერიკელი კონფლიქტოლოგი ანატოლ რაპოპორტი კონფლიქტს უკავშირებს კონკურენციას [Rapoport, 1960], ხოლო მეორე ცნობილი სპეციალისტი მორტონ დოიჩი აღნიშნავს, რომ კონფლიქტი წარმოიშვება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ადგილი აქვს ქმედებათა შეუთავსებლობას [Deutsch, 1973]. ხშირად კონფლიქტის სინონიმებად გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორცაა „ბრძოლა“, „დავა“, „დაძაბულობა ურთიერთობებში“, „ინციდენტი“, „კრიზისი“ და ა.შ. მსგავსი მრავალფეროვნება, უპირველეს ყოვლისა, თავად კონფლიქტის ფენომენის უკიდურესი სირთულით არის განპირობებული. არაერთგვაროვანია მიდგომა თავად კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებისადმიც. მაგალითად, კონფლიქტოლოგიაში არაერთი ნაშრომის ავტორმა ო. ჰოლსტიმ გაანალიზა რა 1919-1965 წლების 77 საერთაშორისო კონფლიქტი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკური კონფლიქტის

¹ Dahrendorf R. Class and Class Conflict in Industrial Society. Stanford, CA: Stanford University Press, 1959, pp. 241-248.

გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: ტერიტორიული პრეტენზიები, ნეგატიური დამოკიდებულება არსებული რეჟიმისადმი, რაიმე უფლებებისა და პრივილეგიების არარსებობა ან სიჭარბე, ნაციონალიზმი, იმპერიული ამბიციები, ეკონომიკური პრობლემები.

პრაქტიკულად ყველა მკვლევარი თანხმდება იმაზე, რომ კონფლიქტი წარმოიშობა ორ ან ორზე მეტ მხარეს შორის, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ კონფლიქტის ძირითად მონაწილეებს (მხარეებს, სუბიექტებს)². საერთაშორისო ურთიერთობებში ამგვარ სუბიექტებად გვევლინებიან სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა ჯგუფები (ალიანსები, ბლოკები), ხოლო შიდა კონფლიქტების დროს – ოფიციალური ხელისუფლება, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობები, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები. ბოლო წლებში, სახელმწიფოთაშორისო და შიდა კონფლიქტებში სულ უფრო აქტიურ როლს თანამაშობენ ე.წ. არასახელმწიფოებრივი მონაწილენი – მოძრაობები, ორგანიზაციები და სხვ. ძირითადი სუბიექტების გარდა, არსებობენ კონფლიქტის ირიბი მონაწილეებიც (სახელმწიფოები, ბლოკები, პოლიტიკური და ნაციონალური მოძრაობები), რომლებიც შესაძლოა უშუალოდ არ მონაწილეობდნენ კონფლიქტში, მაგრამ მხარს უჭერდნენ ამა თუ იმ ძალას პოლიტიკური და ეკონომიკური მეთოდებით, ახორციელებდნენ იარაღის ღია ან ფარულ მიწოდებას და ა.შ. მათი კონფლიქტში მონაწილეობის ხარისხი შეიძლება შეიცვალოს დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

პოლიტიკური კონფლიქტი ჯგუფთაშორის კონფლიქტებს განეკუთვნება. ჯგუფთაშორისი კონფლიქტების თავისებურებები კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია თავად ჯგუფის მასშტაბებზე, მის ორგანიზებულობასა და რიცხოვნობაზე, კონფლიქტის გაგრძელების სფეროებზე და გამომწვევ მიზეზებზე. ამ თავისებურებათა ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების რეკომენდაციების შემუშავების თვალსაზრისით. რეკომენდაციათა ეფექტურობა არანაკლებადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა დოზითაა გათვალისწინებული ამა თუ იმ კონფლიქტის სპეციფიკა.

ცნობილი ნორვეგიელი და ამერიკელი მეცნიერი, საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის (PRIO) ფუძემდებელი იოჰან გალტუნგი³ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალურ სტრუქტურებს გააჩნიათ არა მხოლოდ ინტეგრაციული, არამედ ძალადობრივი ხასიათიც სოციალური ჯგუფებისა თუ ცალკეული ინდივიდებისთვის, რის გამოც სოციალური კონფლიქტების პროვოცირება ხდება. ამასთან, გალტუნგმა მეცნიერებაში შემოიტანა „სტრუქტურული ძალადობის“ ცნება. ამ ტიპის კონფლიქტ

² Лебедева М.М. Политическое урегулирование конфликтов. Москва. 1999. С. 19.

³ Galtung J. Essays in Piece Research. Copenhagen: Ejers, 1978. p. 565.

ტები ცნობილია სტრუქტურული კონფლიქტების სახელით, ხოლო მათ გამომწვევ მიზეზად გალტუნგი სტრუქტურულ ძალადობას მიიჩნევს. სტრუქტურული ძალადობა, როგორც წესი, გაუაზრებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია. რესურსების არათანაბარი განაწილება ბადებს უამრავ სოციალურ პრობლემას, რაც იწვევს სტრუქტურულ კონფლიქტებს. მსგავსი კონფლიქტების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ უშუალო მონაწილეები, ხშირ შემთხვევაში, არავითარ კავშირში არ არიან სუბიექტებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სტრუქტურულ ძალადობაზე. გალტუნგის იდეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი თანამედროვე სიტუაციის უკეთ გაგებისთვის. მის მიერ განხორციელებული მიზეზთა ანალიზი საშუალებას იძლევა ნათლად წარმოვიდგინოთ სტრუქტურული ძალადობის დეფინიცია შემდეგი პოზიციების მიხედვით:

1. სტრუქტურული ძალადობა ბუნებრივი ფენომენია, რადგან სოციალურ ჯგუფებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები, უპირველეს ყოვლისა სახელისუფლებო პოზიციების თვალსაზრისით, რაც აისახება კიდევ სოციალურ ურთიერთქმედებათა სტრუქტურაში.
2. სტრუქტურული ძალადობის ქვეშ იგულისხმება სოციალური უსამართლობა რესურსების არათანაბარი გადანაწილების თვალსაზრისით.
3. სტრუქტურული ძალადობის კატეგორიაში მოიაზრება მხოლოდ ის მოვლენები, რომელთა თავიდან აცილებაც ობიექტურად შესაძლებელი იქნებოდა გარკვეულ სოციალურ სტრუქტურაში და გარკვეულ დროს.
4. პირადი ძალადობისაგან განსხვავებით, რაც პირდაპირ მიზანმიმართულ ქმედებებს ითვალისწინებს, სტრუქტურული ძალადობა ზემოქმედებს ირიბად, სოციალური სტრუქტურების მეშვეობით. იგი, როგორც წესი, უხილავი და გაუთვითცნობიერებელი რჩება იმ ინდივიდებისა თუ სოციალური ჯგუფებისათვის, რომლებიც ამ ძალადობის ობიექტები ხდებიან.

გალტუნგი ასევე ასოცირდება „ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობის“ კონცეფციასთან. ხსენებული კონცეფციის თანახმად, „პოზიტიური მშვიდობა“ გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ძალადობრივი კონფლიქტის არარსებობა („ნეგატიური მშვიდობა“). „პოზიტიური მშვიდობა“ თავის თავში მოიცავს ურთიერთობებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. იოჰან გალტუნგის იდეებმა სერიოზული ინტელექტუალური წვლილი შეიტანეს კონფლიქტური პროცესების ბუნების გაგებაში.

ამერიკელი პოლიტოლოგი ფილიპ ვრაიტი კონფლიქტს განიხილავს, როგორც სოციალური ერთეულების ურთიერთდაპირისპირებას, რომლებიც მთელ თავიანთ ძალისხმევას მიმართავენ გარკვეული მიზნის მიღწევისკენ, იმისდა მიუხედავად, რომ ეს მიზანი ყველას ერთნაირად არ აკმაყოფილებს⁴. ვრაიტის აზრით, კონფლიქტი შესაძლოა დაიყოს ოთხ ძირითად სტადიად: 1) შეუთავსებლობის გააზრება; 2) მზარდი დაძაბულობა; 3) ზეწოლა ძალის გამოყენების გარეშე; 4) სამხედრო ინტერვენცია ან/და ომი გადაწყვეტილების თავზე მოხვევის მიზნით⁵. თითოეული სტადია წარმოადგენს ზეწოლის საშუალებას არსებული პოლიტიკური კურსის შესაცვლელად. თითოეული სტადია დამატებით იმპულსს აძლევს დაპირისპირებულ მხარეებს, რათა მათ უფრო ნათლად გაათვითცნობიერონ საკუთარი ინტერესები. შედეგად, კონფლიქტი ძალთა თანაფარდობის გამოვლენასა და/ან შეცვლას იწვევს, რაც საზოგადოების შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფს.

რუსი მეცნიერის ა. ზდრავომისლოვის აზრით, „კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მოვლენაა, რომლის გამოვლენა და განვითარება, საბოლოო ჯამში, სასარგებლო და საჭირო საქმეა“⁶. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონფლიქტის ესკალაციის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობების გამწვავება-გამრავლებაში მდგომარეობს. XX საუკუნის ბოლო ოცწლეულის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშან-თვისებას სწორედ საზოგადოებრივი წინააღმდეგობების (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური, სულიერ-კულტურული) გამწვავება წარმოადგენს. აღნიშნული პროცესი ხორციელდება შემდეგი ციკლის მიხედვით: 1) წინააღმდეგობათა აღმოცენება; 2) დაპირისპირების განვითარება და დაძაბვა; 3) წინააღმდეგობათა გადალახვა. იმ შემთხვევაში, თუ მესამე სტადია არ დგება, მაშინ წარმოიშობა ორი უკიდურესი საფეხური: 4) წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავება და 5) წინააღმდეგობათა გამოვლენა კრიზისის სახით. წარმატება თუ წარუმატებლობა მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება უნარით, დროულად გამოავლინო საზოგადოებაში წარმოქმნილი წინააღმდეგობა და ასევე დროულად გადაწყვიტო პრობლემა მანამ, სანამ ეს უკანასკნელი კონფლიქტის სტადიაში გადაიზრდება. წინააღმდეგობათა კონფლიქტში გადაზრდის პრევენტენტები საზოგადოების დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე, აგრეთვე პრობლე-

⁴ Wright Q. The Study of International Relations. N.Y., 1955. P. 241.

⁵ Wright Q. Escalation of International Conflict. The Journal of Conflict Resolution. 1965. Vol. 9. № 4. P. 435.

⁶ Здравомыслов А.Г. Социология конфликта. М., 1995. С. 3.

მის ცივილიზებული მეთოდებით გადაჭრის არცოდნასა და/ან სურვილის უქონლობაზე მეტყველებენ, რამაც შესაძლოა სოციალური სისტემის დაზიანება გამოიწვიოს. ამის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება კი ის არის, რომ არ მოხდეს არსებული წინააღმდეგობების კონფლიქტში გადაზრდა.

რაღვ გუსტავ დარენდორფის მტკიცებით, კონფლიქტი გარდაუვალია ნებისმიერ საზოგადოებაში. დარენდორფის სოციალურ-პოლიტიკური კონსტრუქცია კონფლიქტის ცნებას იყენებს ისეთი მოვლენების აღსანიშნავად, როგორებიცაა დაპირისპირება, კონკურენცია, დავა და ქიშპი, აგრეთვე შეტაკებები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის⁷. საზოგადოების მთავარი წინააღმდეგობა – ესაა ურთიერთობები ბატონობასა და ქვეშევრდომობას შორის, ძალადობა საზოგადოების ერთი ნაწილისა მეორეს მიმართ. „სწორედ ამის ნიადაგზე აღმოცენდება პოლიტიკური კონფლიქტები“⁸.

„პოლიტიკური კონფლიქტი ესაა კონფლიქტის სუბიექტების თვითშეგნებასა და ქცევაში სოციალურ წინააღმდეგობათა გამოვლინება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორმით. ბევრი თეორია პოლიტიკურ კონფლიქტს განიხილავს, როგორც ცალკეული სოციალური ჯგუფების ინტერესების გამომხატველი ინსტიტუტების პოლიტიკურ ქმედებათა ექსტრემალურ მდგომარეობას, ურთიერთდაპირისპირებას სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით და გარკვეული ინტენსივობით“⁹.

რაც შეეხება კონფლიქტის გამოვლენის ფორმებს, ისინი შეიძლება დაიყოს ორი ძირითადი ნიშნის მიხედვით: ბრძოლის შეიარაღებული საშუალებების გამოყენება ან გამოუყენებლობა. თუ რომელი ფორმა იქნება გამოყენებული ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონეზე, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ზოგად მდგომარეობაზე, ურთიერთდამოკიდებულებაზე მასებსა და ელიტას შორის, გარეშე ძალის (როგორც კონფლიქტის მაპროვოცირებელი მხარის) ფაქტორზე და ა.შ. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა შეუძლებელია მისი გამომწვევი რეალური მიზეზების გამოვლენისა და გათვალისწინების გარეშე.

პოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს **ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი**. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ეთნოსი

⁷ Darendorf R. Class and Class Conflict in Industrial Society. L., 1959. P. 135.

⁸ Глухов А.В. Политические конфликты и кризисы. Консесус и политические методы его достижения. Государство и Право. М., 1993. № 6. С. 5.

⁹ Основы политологии. М., 1990. С. 15-16.

თავისი კულტურის, თვითმყოფადობისა თუ სულიერი ერთობის დაცვის საუკეთესო გარანტიას საკუთარი სახელმწიფოს შექმნაში ხედავს. თუმცა, სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი პრობლემა, ვინაიდან იდეის რეალიზაცია, რომელიც თითოეულ ეთნოსზე ცალკე სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს – აბსოლუტური უტოპიაა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაინგრა კოლონიური სისტემა და აფრიკის, აზიისა თუ ლათინური ამერიკის ასეულობით ეთნო-ნაციონალურმა ჯგუფებმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. შეიქმნა იმის ილუზია, რომ მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ დაიყო სახელმწიფო საზღვრებით, რის შემდეგაც „თავისუფალი ადგილი“ აღარ დარჩა. სისხლისმღვრელი ომებით გადაღლილმა მსოფლიო საზოგადოებრიობამ გაეროს (United Nations) დოკუმენტებში, ისევე როგორც ჰელსინკის 1975 წლის აქტში სახეიმოდ დააფიქსირა სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის¹⁰, სუვერენიტეტისა და საზღვრების ურღვეობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პატივისცემის აუცილებლობა საერთაშორისო სამართლის ყველა სუბიექტისთვის. მიუხედავად ამისა, ორიოდე ათეული წლის შემდგომ, მსოფლიო ეთნო-ნაციონალური ჯგუფების სუვერენიზაციის მორიგმა ტალღამ მოიცვა. სსრკ-ის ტერიტორიაზე 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, სისხლისმღვრელი ბრძოლებით დაიშალა ყოფილი იუგოსლავიაც, ხოლო სერბეთის პროვინცია კოსოვომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეთიოპიას გამოეყო ერიტრეა, მშვიდობიანად „გაიყო“ ჩეხოსლოვაკია, თუმცა გერმანია გაერთიანდა. აღნიშნული პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. თურქეთში ქურთები სულ უფრო აქტიურად იბრძვიან თვითგამორკვევისთვის, ისევე როგორც ჩეჩნები – რუსეთში, აფხაზები და ოსები – საქართველოში, ყარაბაღელი სომხები – აზერბაიჯანში. კოსოვოელმა ალბანელებმა თავის დროზე თავიანთ კონფლიქტში ნატო-ს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ჩართვაც კი მოახერხეს.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული დონე (იგულისხმება პოლიტიკური კულტურა), მით უფრო ნაკლები მიზეზია იქ ეთნოსშორისი დაპირისპირებისთვის (გამონაკლისს ამ შემთხვევაში ბრიტანეთის ოლსტერი (ჩრდ. ირლანდია) წარმოადგენს). იგივე დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიამ და უელსმა საკუთარი პარლამენტები შექმნეს, რათა ამით კიდევ უფრო გაემყარებინათ თავიანთი ეთნიკური სტატუსი. თუმცა, ამავედროულად, იქ არავის დღის წესრიგშიც კი არ დაუყენებია მათი ინგლისისგან გამოყოფის

¹⁰ გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი.

საკითხი, რომ აღარაფერი ვთქვათ რაიმე შეიარაღებულ დაპირისპირებაზე და ომზე. ომი, ზ. ბუეზინსკის სიტყვებით, გახდა ის „ფუფუნება, რომელიც მხოლოდ მსოფლიოს ღარიბი ხალხებისთვისაა ხელმისაწვდომი“ [Brzezinski, 1997]. ამდენად, ადრე თუ გვიან, მსოფლიოში უნდა დამყარდეს გარკვეული ტიპის პოლიტიკური წონასწორობა, ბალანსი, რაც მომავალში თავიდან აგვაცილებს ახალი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობას.

ეთნოპოლიტიკურს მიაკუთვნებენ კონფლიქტის ნებისმიერ ფორმას (ორგანიზებული პოლიტიკური ქმედებები, მასობრივი არეულობები, სეპარატისტული მოძრაობები, სამოქალაქო ომები და ა.შ.), სადაც დაპირისპირების ხაზი ეთნიკურ ერთობებზე გადის. შეგვიძლია გამოვყოთ თანამედროვე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

1. ყველა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი ატარებს უკიდურესად რთულ და კომპლექსურ ხასიათს. ვინაიდან ეთნიკური დაპირისპირების ძირითადი არსი, ხშირ შემთხვევაში, მდგომარეობს ეთნოსის მისწრაფებაში შექმნას საკუთარი სახელმწიფო (მაშინაც კი, როცა აღნიშნული მიზანი არარეალურია), ეს კონფლიქტი უკვე თავისთავად იძენს პოლიტიკურ დატვირთვას.
2. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გამოირჩევიან მაღალი ემოციური დატვირთვით, რაც ადამიანური ბუნების არარაციონალური მხარეების გამოვლენას იწვევს.
3. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უმეტესობას თავისი ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. მათი არარსებობის პირობებშიაც კი, დაპირისპირებული მხარეები აუცილებლად გამოძებნიან გარკვეულ ფსევდოისტორიულ საფუძველს საკუთარი მოქმედებების გასამართლებლად.
4. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ხასიათდებიან ეთნიკური ჯგუფების უკიდურესად მაღალი მობილიზაციით. ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის ისეთი ფენომენი, როგორცაა ეთნიკური ინტერესის დაცვა. ისინიც კი, ვინც კონფლიქტის საწყის ეტაპზე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ საკუთარ ეთნიკურ წარმომავლობას და ზომიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ, გარკვეული პერიოდის შემდეგ იძულებულნი ხდებიან გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭონ ეთნიკურ იდენტიფიკაციას და საკუთარი წვლილი შეიტანონ „საერთო საქმეში“. ამის მიზეზია მმართველი პოლიტიკური ელიტის მიზანდასახული იდეოლოგიური

საქმიანობა და, ასევე, მოწინააღმდეგე ჯგუფიდან მომდინარე რეალური თუ აღქმული საფრთხე.

5. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ატარებენ ქრონიკულ ხასიათს. მათი საბოლოო გადაწყვეტა თითქმის შეუძლებელია, რადგან თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის ის დონე, რომელიც დააკმაყოფილებს ამა თუ იმ ეთნოსის დღევანდელ თაობას, შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს შემდგომი თაობისათვის. ამდენად, კონფლიქტის განახლების საფრთხე ყოველთვის იარსებებს.

ეთნოსშორისი ურთიერთობები თავისთავად ისედაც მაღალი კონფლიქტოგენურობით გამოირჩევიან. როდესაც ამას ემატება პოლიტიკური შეცდომებიც, მათი ფეთქებადი პოტენციალი უკვე რამდენჯერმე იზრდება. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები. მაგალითად, რომ არა საბჭოთა ხელისუფლებისა და, შემდგომში, დამოუკიდებელი რუსეთის ხელმძღვანელობის მაშინდელი პოზიცია, რაც აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და მთიან ყარაბაღში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერაში გამოიხატებოდა, შესაძლოა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების ესკალაცია საერთოდ არც კი მომხდარიყო ან, თუნდაც, თავიდან აგვეცილებინა სისხლისმღვრელი ომები თავისი დამანგრეველი შედეგებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკური ნიშანი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა არა განმსაზღვრელ ფაქტორს, არამედ კრემლის იმპერიული პოლიტიკის შედეგს, რამაც გამოიწვია ეთნოსშორისი წინააღმდეგობების გადაზრდა შეიარაღებულ კონფლიქტებში. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში მონაწილე ეთნიკური ერთობების ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაპირისპირებათა ძირითადი ნაწილი ეთნონაციონალიზმის ნიშნით წარიმართებოდა.

კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთ რეალურ გზას დაპირისპირებული მხარეების მიერ გადადგმული ორმხრივი ნაბიჯები წარმოადგენს, რაც საყოველთაო თანხმობის მიღწევისკენ არის მიმართული. ამასთან, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ძლიერის“ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

დღეისათვის არ არსებობს კონფლიქტების დარეგულირების უნივერსალური კონცეფცია. კონფლიქტების თანამედროვე თეორია უმეტესწილად აგებულია ცალკეულ იდეებზე, კონფლიქტოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებებზე, გამონათქვამებზე. კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება გადაიდოს ან დროში გაიწელოს. თუმცა, ამით

კონფლიქტი კი არ აღმოიფხვრება, არამედ პირიქით, უფრო გაღრმავდება და გამწვავდება კიდევ. კონფლიქტის დასრულების ვარიანტებს შესაძლოა სხვადასხვა საფუძველი ჰქონდეს: კომპრომისი, კონსენსუსი, დისენსუსი. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის დასრულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების დრმა ანალიზს.

ყოფილი ავსტრალიელი დიპლომატი და პოლიტიკოსი ჯონ ბურტონი¹¹ გახლდათ ერთ-ერთი ინიციატორი, რომლის ძალისხმევით შედგადაც შემუშავდა კონფლიქტების გადაწყვეტის ზოგადი თეორია, რომლის ძირითადი არსის გადმოცემა შესაძლებელია შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. ყველა სოციალურ ჯგუფსა და ცალკეულ ინდივიდს გააჩნია რამდენიმე უნივერსალური საბაზო მოთხოვნილება, მათ შორის იდენტურობის, უსაფრთხოების, ავტონომიისა და თვითრეალიზაციის თვალსაზრისით.
2. მოცემული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისადმი მისწრაფების ჩახშობა შეუძლებელია. მათი ჩახშობის ნებისმიერი მცდელობა სამომავლო დესტრუქციული გამოვლინებების პერსპექტივას ბადებს.
3. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური ჯგუფები ან/და ცალკეული ინდივიდები ვერ ახერხებენ საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკვე არსებული ინსტიტუტებისა და ნორმების ფარგლებში, ისინი აუცილებლად დაიწყებენ ახალი ფორმების ძიებას საამისოდ.
4. საბაზო მოთხოვნილებების უგულვებელყოფას საზოგადოება კონფლიქტამდე მიყავს. კონფლიქტის წყაროებს წარმოადგენენ სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ეყრდნობიან ტრადიციულ ხელისუფლებასა და დომინირებული ელიტის ნორმებს. ასეთ სიტუაციაში საჭიროა იმ ადამიანურ ქცევათა და სოციალურ ურთიერთობათა ანალიზი, რომლებიც კონფლიქტში მონაწილე მხარეების საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული.

ჯ. ბურტონის თეორიამ სათავე დაუდო კონფლიქტების გადაწყვეტის სხვადასხვა მოდელის ფორმირებას, რომლებიც გამოსადეგია სოციალურ ურთიერთქმედებათა ყველა დონისთვის, ვინაიდან ადამიანურ მოთხოვნილებათა ბუნება უნივერსალურია. ბურტონის თეორიის მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ ის, რომ იგი ითვლისწინებს პრობლემების ძალზედ დრმა შესწავლასა და გადაწყვეტას (ე.წ. „conflict prevention“).

¹¹ Burton J. Conflict: Resolution and Prevention. Washington. DC. USA. 1990. P. 234-235.

ტერმინი „provention“ ამ შემთხვევაში გულისხმობს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს, რომლის დროსაც ხდება მოვლენების შესაძლო განვითარების განჭვრეტა და ანალიზი პოტენციური დაავადებისა თუ კონფლიქტების წყაროების აღმოფხვრის გათვალისწინებით. ბურტონისეული „conflict prevention“ განსხვავდება „conflict prevention“-ის ტრადიციული პრაქტიკისგან, რაც მხოლოდ არსებული კონფლიქტური სიტუაციების შეჩერებასა და ლიკვიდაციაზეა ორიენტირებული.

მარტენ ტეო იანსის აზრით, არსებობს კონფლიქტის დარეგულირების სამი ძირითადი გზა: 1) გარეშე ძალას შეუძლია თავს მოახვიოს გადაწყვეტილება დაპირისპირებულ მხრეებს; 2) პრობლემა შესაძლოა გადაწყდეს ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი ქმედებების შედეგად; 3) კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ არსებული წინააღმდეგობების დაძლევა ორმხრივი ძალისხმევით საფუძველზე.

მარტენ ტეო იანსი დარწმუნებულია, რომ ბოლო მიდგომა წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საუკეთესო საშუალებას. მსგავს სიტუაციაში კონფლიქტში მონაწილე მხარეები აღიარებენ, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის ფორმულის შემუშავება ორივე მხარის თანხმობაზეა დამოკიდებული. ურთიერთთანხმობის აუცილებლობის აღიარებას თავის მხრივ საგრძნობი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია შემდგომში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე.

ურთიერთმისაღები საწყისის ძიება გულისხმობს ურთიერთქმედებათა პროცესს. თავდაპირველად, ორივე მხარისგან ადგილი აქვს საჩივრებისა და მოთხოვნების წაყენებას. შედეგის მისაღწევად საჭიროა აღნიშნული საჩივრების მიღება და გათვალისწინება, რაც კონფლიქტის მონაწილეებს აიძულებს გაითვალისწინონ თავიანთი ოპონენტების უკმაყოფილების მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომებიც მიიღონ. უფრო მეტიც, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას სიცხადე შეაქვს მხარეთა უკმაყოფილების წყაროებში, იმ საკითხებში, რომლებიც დავის საგანს წარმოადგენენ. ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და შემდგომში მისი აღქმის კორექტირების გზით, ოპონენტებს ნათელი წარმოდგენა ექმნებათ იმაზე, თუ რა წარმოადგენს დაპირისპირებული მხარის რეალურ მიზნებს და სად გადის მოწინააღმდეგის შესაძლო დათმობათა ზღვარი. ინფორმაციის ურთიერთგაცვლა საგრძნობლად ამცირებს გაურკვევლობის ელემენტს ორმხრივი მოქმედებების დროს. მხარეთა გაურკვევლობა კონფლიქტურ სიტუაციაში ზრდის შიშის ფაქტორს და ბადებს უნდობლობას. მხარეთა

გარკვეულობა კი, პირიქით, ხელს უწყობს ურთიერთდობის ჩამოყალიბებას გადაწყვეტილებათა ერთობლივი მიღების პროცესში.

ამერიკელი მკვლევარი ი. ვილიამ ზარტმანი ზოგიერთი შიდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემატურ მახასიათებლად მის ასიმეტრიულობას მიიჩნევს [Zartman, 1995]. ასიმეტრია ამ შემთხვევაში კვალიფიცირდება, როგორც ძალთა უთანასწორობა უკმაყოფილების გამომხატველ უმცირესობაში მყოფ და დომინირებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის იძულების ზომების გამოყენების შესაძლებლობების თვალსაზრისით, ისევე როგორც სამართლებრივი და მორალური თვალსაზრისით. მსგავსი ასიმეტრიული ურთიერთობები ძნელად ექვემდებარება დარეგულირებას, რადგან ძლიერ მხარეს ნაკლები სტიმული გააჩნია თანასწორ საწყისებზე „ესაუბროს“ სუსტ მხარეს. სუსტი მხარე კი, თავის მხრივ, მთელ ძალისხმევას მიმართავს არა იმდენად კონფლიქტის დარეგულირებისკენ, რამდენადაც არასასურველი ძალთა თანაფარდობის შეცვლისკენ. „ამგვარი ასიმეტრია ითვლება პრობლემატურად, ვინაიდან აღიარებულია, რომ თანასწორი მხარეები უფრო ადვილად აღწევენ მშვიდობას, ვიდრე უთანასწორონი“¹².

მოწინააღმდეგეები, რომლებიც მიისწრაფიან ერთობლივი გადაწყვეტილებებით კონფლიქტის დარეგულირებისკენ აღიარებენ (ირიბად მაინც), რომ პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარე მიაღწევს შეთანხმებას (ურთიერთთანხმობას). გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება ათანაბრებს ასიმეტრიულ მოწინააღმდეგეთა ფარდობით წონას კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის ფორმულის სახით. ვინაიდან ეს ფორმულა მიიღება ერთხმივი (ერთსულოვანი) გადაწყვეტილების პრინციპით, ყველა უნდა დაეთანხმოს მას, ამდენად, კონფლიქტის თოთოეული მხარე სარგებლობს ვეტოს უფლებით. ერთხმივობის (ერთსულოვანობის) პრინციპი გულისხმობს, რომ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს კონფლიქტის ყველა მხარის მინიმალურ მოთხოვნებს მაინც. სწორედ გადაწყვეტილებათა ერთობლივი მიღების პროცესში მიიღწევა ის შედეგი, რომელიც თავის თავში თოთოეული მხარის მინიმალურ მოთხოვნებს ასახავს. იმ შემთხვევაში კი, როცა რეგულირების პროცესი ორიენტირებულია მხოლოდ ერთი კონკრეტული სუბიექტის ცალმხრივ ქმედებებზე ან/და გარეშე ძალის მიერ თავსმოსხვეულ გადაწყვეტილებაზე, არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ კონფლიქტის ყველა მონაწილის მოთხო-

¹² Mitchell C.R. Asymmetry and Strategies of Regional Conflict, in: Zartman I.W., Kremenjuk V.A. Cooperative Security. Reducing Third World Wars. Syracuse University Press. 1995. p. 36.

ვნები გათვალისწინებული იქნება პრობლემის გადაწყვეტის საბოლოო ვარიანტში. მინიმალური მოთხოვნების ურთიერთგათვალისწინება მიღწეულ შედეგს გაცილებით უფრო სტაბილურს ხდის, ვინაიდან თითოეულ მხარეს შეუძლია დაკმაყოფილდეს თავისი მოთხოვნების ნაწილობრივი შესრულებით მაინც. რაც შეეხება ცალმხრივ ან გარედან თავსმოხვეულ გადაწყვეტილებებს, ისინი როგორც წესი დაპირისპირებისა და ჯგუფთაშორისი მტრული ურთიერთობების შემდგომ განახლებას მოასწავებენ.

მიუხედავად გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების პროცესის პოზიტიურობისა, მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და მოთხოვნები ამით არ აღმოიფხვრება. ამიტომ, საჭიროა ისეთი შედეგის ძიება, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებს შორის ურთიერთდამაკმაყოფილებელ ბალანსს დაამყარებს. აღნიშნული მიზნის მიღწევა უკავშირდება ე.წ. „ვაჭრობის“ ელემენტს, რაც მოლაპარაკებითი პროცესის განვითარებას გულისხმობს.

ვაჭრობის სტანდარტული განსაზღვრება შემოგვთავაზებს ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერებმა ჯეფრი რუბინმა და ბერტ ბრაუნმა. მათი აზრით, ვაჭრობის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მახასიათებლებს: 1) სულ ცოტა ორი მხარე მაინც ურთიერთქმედებს ერთმანეთთან; 2) ამ მხარეებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ერთ ან რამდენიმე საკითხზე; 3) მხარეები დროდადრო შედიან ერთმანეთთან ნებაყოფლობით ორმხრივ ურთიერთობებში; 4) ურთულესი ნაბიჯები ამ ორმხრივ ურთიერთობებში დაკავშირებულია: კონფლიქტის სუბიექტებს შორის რომელიმე (ან რამდენიმე) რესურსის გაცვლასთან, რომელიმე (ან რამდენიმე) სადაო საკითხის გადაწყვეტასთან, ან ორივესთან ერთდროულად; 5) ეს ნაბიჯები უფრო თანმიმდევრულია ვიდრე ერთდროული იმ გაგებით, რომ ადგილი აქვს წინადადებებისა და მოთხოვნების წამოყენებას ერთი მხრიდან, რასაც მოსდევს კონტრწინადადებების შემუშავება მეორე მხარის მიერ, და ეს პროცესი გრძელდება მანამდე, სანამ არ მოიძებნება გამოსავალი ან მხარეები არ აღმოჩნდებიან ჩიხში¹³.

რუბინისა და ბრაუნის მიერ შემუშავებული განსაზღვრება აშკარად მიუთითებს ვაჭრობის დინამიკურ ხასიათზე, ხოლო მოლაპარაკებები გამოიხატება როგორც პროცესი, რომლის დაყოფაც შესაძლებელია რამდენიმე სტადიის (ფაზის) მიხედვით. ზოგიერთი ავტორი, აანალიზებს რა ვაჭრობასთან დაკავშირებულ პროცესებს, აღნიშნავს რომ ვაჭრობა ეტაპობრივი პროცესია, სადაც მოლაპარაკებათა მონაწილენი

¹³ Rubin J.Z., Brown B.R. The Social Psychology of Bargaining and Negotiation. New York: Academic Press, 1975. p. 5.

გარკვეულ ფაზებს გადიან [Rangarajan, 1985; Gulliver, 1979]. ამასთან, თითოეული ფაზა სხვადასხვა სახის პრობლემებით ხასითდება.

მოლაპარაკებითი პროცესის ძირითადი ფაზებია:

1. თავდაპირველი ფაზა გამოიხატება უკმაყოფილების გამოხატვასა და აღიარებაში. მხარეები აფიქსირებენ უკმაყოფილებას არსებული ვითარებით, რაც არ რჩება შეუმჩნეველი. არასაჯარო ვაჭრობის გზით მხარეები აგებინებენ ერთმანეთს მოლაპარაკებების დაწყების მზადყოფნის შესახებ და თავადაც ამოწმებენ ამ მზადყოფნას.
2. იმ შემთხვევაში, თუ გამოხატულ უკმაყოფილებაზე ადრესატი პოზიტიურად რეაგირებს და აღიარებს პრობლემის არსებობას, მაშინ შესაძლოა დაიწყოს ფაზა – „მოლაპარაკებები მოლაპარაკებებზე“. ეს გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მოლაპარაკებათა ურთიერთმისაღები არენის, ფორუმისა და დღის წესრიგის, აგრეთვე თავად მოლაპარაკებათა მონაწილეების რაოდენობის განსაზღვრა და ა.შ.
3. მას შემდეგ რაც შეთანხმდება მოლაპარაკებათა ძირითადი პარამეტრები, შესაძლოა შედგეს ვაჭრობა არსებითი განსახილველი საკითხების ირგვლივ. რეალური ვაჭრობა როგორც წესი იწყება იმით, რომ მისი მონაწილენი, რწმუნებათა სიგელების გადაცემასთან ერთად, მაქსიმალურ მოთხოვნებს უყენებენ ერთმანეთს. პროცესი, რომელიც ამას მოსდევს მიმართულია მხარეთა შორის წინააღმდეგობების გადალახვისკენ. ეს მოითხოვს იმ საკვანძო საკითხების გამოვლენას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება ორივე მხარისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარეებს გააჩნიათ პრიორიტეტების ასიმეტრიული ჩამონათვალი, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ორმხრივი დათმობების მეთოდი (*log-rolling technique*). ორმხრივი დათმობები – გულისხმობს დათმობებზე წასვლას იმ საკითხებზე, რომლებსაც არაერთნაირი მნიშვნელობა გააჩნიათ მოლაპარაკებების მონაწილეებისთვის. თითოეული მხარე ცდილობს მიაღწიოს თავისას მისთვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ, ამის სანაცვლოდ, დათმობაზე მიდის მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხზე¹⁴.
4. ბოლო და, ხშირ შემთხვევაში, არასათანადოდ დაფასებული ფაზა არის შეთანხმების განხორციელება. ეს არის სტადია, რომლის დროსაც ცუდად მოფიქრებული

¹⁴ Pruitt D.G. Achieving Integrative Agreements, in: Bazerman M.H., Lewicki R.J. Negotiating in Organizations. Beverly Hills: Sage Publications, 1983. p. 39.

შეთანხმებები კრახს განიცდიან. შეთანხმების განხორციელებისას აუცილებლად გამოქვეყნდება მისი პირობების ორაზროვნობა და რეალური კონსენსუსის ნაკლებობა. მსგავს სიტუაციებში ყველაზე კარგ გამოსავალს მოლაპარაკებების ხელმეორედ გამართვა და მონიტორინგის საშუალებათა გამოყენება წარმოადგენს.

როდესაც კონფლიქტის მოგვარების ალტერნატივები იმდენად მცირეა, რომ სამშვიდობო პროცესის ფიასკო გარდაუვალია, მოლაპარაკებათა მონაწილენი ჩიხში ექცევიან. მათი ერთგულება მოლაპარაკებითი პროცესისადმი დამოკიდებული ხდება, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ჩიხურ სიტუაციას. ურთიერთდამოკიდებულების დონე – წარმოადგენს საბაზო ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ვაჭრობის მონაწილეთა ერთგულებას მოლაპარაკებითი პროცესისადმი. ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე გულისხმობს ალტერნატივების ვიწრო არჩევანსა და „ჩიხის“ დიდ ალბათობას მოლაპარაკებების წარუმატებლობის პირობებში. ჩიხი, რომელიც ზიანს აყენებს ორივე მხარეს, განიხილება როგორც ზღვარი, რომლის იქითაც მხარეები გრძნობენ, რომ ვეღარ ახერხებენ ძალის გამოყენებით ცალმხრივი უპირატესობების მოპოვებას და მზადყოფნას გამოთქვამენ სხვა ვარიანტების განხილვაზე. „ორმხრივი ზიანის მომტანი ჩიხის“ ცნება თავის თავში გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებისა და მოლაპარაკებათა პროცესის მასტიმულირებელ ფაქტორებს აერთიანებს. მხარეები ათვისუნობიერებენ, რომ ვერ გააუმჯობესებენ საკუთარ პოზიციებს მტრული ქმედებების გაგრძელების პირობებში. უფრო მეტიც, როდესაც პროცესი ჩიხში ექცევა, მხარეები არა მარტო წყვეტენ მტრულ ქმედებებს, არამედ აქტიურ ძალისხმევასაც მიმართავენ ჩიხური სიტუაციიდან გამოსასვლელად.

„ორმხრივი ზიანის მომტანი ჩიხის“ ზარტმანისეული კონცეფცია წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას იმისათვის, რათა კონფლიქტი მომწიფდეს გადასაწყვეტად. საჭიროა დამატებითი ფაქტორის არსებობა, რომელმაც კონფლიქტის მონაწილეებს უნდა უბიძგოს მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომისკენ. კერძოდ, დაპირისპირებული მხარეების გონებაში მყარად უნდა დამკვიდრდეს წარმოდგენა მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მოწინააღმდეგეებმა უნდა შეიგნონ, რომ მათი ბედისხალი ურთიერთგადაჯახებულია ერთიმეორეზე და ეს მომავალშიც ასე იქნება. მანამდე, სანამ კონფლიქტის სუბიექტები ვარაუდობენ, რომ კონფლიქტის შედეგი შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც არ გაითვალისწინებს მოწინააღმდეგის პოზიციას, ერთობლივი დარეგულირების მიღწევა შეუძლებელია. ამ უკანასკნელის მიღწევა შესა-

ძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოწინააღმდეგეები გაათვითცნობიერებენ, რომ ოპონენტთან ერთად ცხოვრება (თანაარსებობა) რთულია, ხოლო მის გარეშე კი – შეუძლებელი.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მაგალითიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შექმნილი კრიზისი ნათლად მიგვანიშნებს „ჩიხის“ არსებობაზე. კონფლიქტების სხვადასხვა სუბიექტების მიერ განხორციელებულმა ცალკეულმა სტრატეგიებმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. სამხრეთ კავკასიის ხალხებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების დონე გამორიცხავს ყოველგვარი ცალმხრივი სტრატეგიის არსებობას და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს, რაც რეგიონში მოქმედი კონფლიქტების დარეგულირების ყველაზე ოპტიმალურ გზას წარმოადგენს.

ქმედებები, რომლებიც მიმართულია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მონაწილეთა კონფრონტაციული მისწრაფებების ნეიტრალიზაციისკენ, შეიძლება მოვაქციოთ ზოგადი წესების გარკვეულ ფარგლებში, რაც მსგავსი კონფლიქტების რეგულირების გამოცდილებიდან გამომდინარეობს:

- კონფლიქტის ლეგიტიმაცია – სახელისუფლებო სტრუქტურებისა და კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ თავად პრობლემის (კონფლიქტის საგნის) არსებობის ოფიციალური აღიარება, რაც განხილვასა და გადაწყვეტას საჭიროებს;
- კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაცია – კონფლიქტური ქცევის ცივილიზებული წესების, ნორმებისა და რეგლამენტის შემუშავება, რაც მისაღები იქნება კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარისათვის;
- კონფლიქტის იურიდიულ ჭრილში გადაყვანის მიზანშეწონილობა;
- შეამავლის ინსტიტუტის დანერგვა მოლაპარაკებითი პროცესის ორგანიზების დროს;
- კონფლიქტის დარეგულირების საინფორმაციო უზრუნველყოფა, რაც მოლაპარაკებათა პროცესის „გამჭვირვალობას“ გულისხმობს. ინფორმაცია მოვლენათა განვითარების შესახებ ობიექტური და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სფეროში არსებობს ერთი აღიარებული ჭეშმარიტება: კონფლიქტების წინასწარ განჭვრეტა და თავიდან აცილება გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე შემდგომში მათი მოგვარება. სწორედ ამისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა,

რაც თავიდან აგვაცილებდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაციას.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უმრავლესობის უმთავრესი პრობლემა ე.წ. ერთა თვითგამორკვევას უკავშირდება, რაც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს¹⁵. თუმცა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის არასწორმა ინტერპრეტაციამ და მხარდაჭერამ შესაძლოა პერსპექტივაში ასეულობით ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოქმნა გამოიწვიოს. ამ მოვლენის პერმანენტულად თანმხლები პროცესი აუცილებლად იქნება დაუსრულებელი ომები, რისი სისხლიანი მაგალითებიც დღევანდელ მსოფლიოს უკვე გააჩნია იგივე სამხრეთ კავკასიის „გაყინული“ კონფლიქტების სახით. დღევანდელ მსოფლიოში არსებული კონფლიქტებისათვის თვალის ერთი გადავლებითაც სავსებით ცხადი ხდება, რომ პრაქტიკულად ყოველი მათგანი უკავშირდება ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ერთა თვითგამორკვევის უფლების არასწორ ინტერპრეტაციას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა აღიარებს სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის აუცილებლობას, რაც ასევე წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს¹⁶. იმ სამართლებრივი წინააღმდეგობების ფონზე, რაც სუფევს ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპებს შორის, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გადაიქცა არა მარტო ცალკეული ქვეყნების, არამედ გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად.

თავი II

გლობალური და რეგიონული უსახელმწიფოების გავლენა სამხრეთ

კავკასიის სტაბილურობაზე: თანამშრომლობა და მრავალმხრივი მეტოქეობა

სამხრეთ კავკასია, უფრო ფართო გაგებით კი შავი ზღვა-კასპისპირეთის რეგიონი, იქცა გლობალური და რეგიონული მასშტაბის უსახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სივრცედ „ცივი ომის“ შემდგომ ეპოქაში. ამ მეტოქეობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და ენერგორესურსების სოლიდურმა მარაგმა.

¹⁵ ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1994, გვ. 43.

¹⁶ ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1994, გვ. 38-40.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ მრავალი პრობლემა წარმოშვა. სირთულეები შეექმნათ როგორც რეგიონის სახელმწიფოთა ლიდერებს, ისე, უპირველეს ყოვლისა, უცხოელ ინვესტორებს.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასია მდებარეობს იმ ისტორიულ სავაჭრო გზაზე, რომელიც ოდითგანვე ერთმანეთთან აკავშირებდა ევროპასა და აზიას. უფრო მეტიც, ეს არის სივრცე, სადაც ერთადაა თავმოყრილი კავკასიური, თურქული, სპარსული და სლავური კულტურები, ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციები. ყოველივე ეს სამხრეთ კავკასიას აქცევს მნიშვნელოვან გზაჯვარედინად სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს როგორც რეგიონული, ისე არარეგიონული ძალების თანამშრომლობას.

ისტორიული თვალსაზრისით, კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა იმ რეგიონს, „სადაც ერთმანეთს ეჯახებოდა სხვადასხვა იმპერიების ინტერესები“¹⁷, ხოლო თანამედროვე პოლიტიკურ რეალობაში რეგიონი გვევლინება რუსეთის, აშშ-ის, თურქეთისა და ირანის, ასევე ევროკავშირის ქვეყნების მეტოქეობის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად (ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სამი სახელმწიფო – რუსეთი, ირანი, თურქეთი – თავის გავლენას კავკასიაში აღიქვამს, როგორც ბუნებრივ და კანონზომიერ მოვლენას, რასაც თავისი ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია). უკვე ეს გარემოება საკმარისი საფუძველია პოლიტიკური დაძაბულობისთვის იმ შემთხვევაშიც კი, კავკასია ეთნიკურად ერთგვაროვანი რომც ყოფილიყო. მაგრამ, საქმეც იმაშია, რომ „კავკასია ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია მსოფლიოში და იქ თითქმის ყველა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული პრობლემა ეთნიკურ ფორმას იღებს. ამიტომ, კონფლიქტების მოგვარება უადრესად რთულდება“¹⁸. რეგიონის მიმართ ასევე ინტერესს იჩენენ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს უკრაინა. რეგიონის ენერგორესურსების კონტროლისა და, განსაკუთრებით, მათი ტრანსპორტირების საკითხი წარმოადგენს გეოპოლიტიკური მეტოქეობის ძირითად საგანს სამხრეთ კავკასიაში. ბუნებრივია, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სურათის ფორმირების პროცესი არ მიმდინარეობს იზოლირებულად,

¹⁷ დავითაშვილი ზ. კავკასიის კონფლიქტები: მიზეზები და შესაძლო შედეგები // ქართული დიპლომატიის წელიწდეული (VIII), თბ., 2001, გვ. 5.

¹⁸ დავითაშვილი ზ. კავკასიის კონფლიქტები: მიზეზები და შესაძლო შედეგები // ქართული დიპლომატიის წელიწდეული (VIII), თბ., 2001, გვ. 5.

მასზე დიდ გავლენას ახდენენ მომიჯნავე რეგიონებში, კერძოდ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები.

სამხრეთ კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები წარმოადგენენ ყველაზე სერიოზულ პრობლემას, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას გრძელვადიან პერსპექტივაში. საერთაშორისო თანამეგობრობა, თავის მხრივ, სულ უფრო აქტიურად ერთვებოდა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი კარგავდა მონოპოლიას სამშვიდობო საქმიანობაზე. შედეგად, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები თანდათანობით იქცნენ გეოპოლიტიკური დაპირისპირების მთავარ ობიექტებად რუსეთსა და დასავლეთს (ძირითადად აშშ-ს) შორის. სამხრეთ კავკასიის რეგიონი გადაიქცა კონფრონტაციული გეოპოლიტიკური მეტოქეობის ერთ-ერთ ურთულეს სივრცედ, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა, როგორც გლობალური (აშშ), ისე რეგიონული (რუსეთი, ირანი, თურქეთი) მასშტაბის სახელმწიფოთა ინტერესები.

2.1. აშშ-ის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბუჟინსკი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ამერიკული სტრატეგია უნდა გავრცელდეს მთელს ევრაზიაზე. იგი მიუთითებს შავი ზღვა-კასპისპირეთის რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მას „ევრაზიულ ბალკანეთს“ უწოდებს. „ევროპაში სიტყვა „ბალკანეთი“ იწვევს ეთნიკური კონფლიქტებისა და რეგიონში ძლევამოსილი სახელმწიფოების მეტოქეობის ასოციაციას. ევრაზიას ასევე გააჩნია თავისი „ბალკანეთი“, თუმცა, „ევრაზიული ბალკანეთი“ გაცილებით დიდია, უფრო მჭიდროდაა დასახლებული და მეტი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა“¹⁹. ბუჟინსკის აზრით, აშშ, რომელმაც ფსონი დადო გეოპოლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებაზე პოსტსაბჭოთა ევრაზიაში, დაინტერესებულია არა მარტო ამ რეგიონის რესურსებით, არამედ მის გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთის დომინირების აღკვეთით.

ჩვენის აზრით, ვაშინგტონისთვის სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ინტერესები გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე ეკონომიკური. შავი ზღვა-კასპისპირეთის რეგიონი მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე, აშშ-ის სამი კონკურენტის – რუსეთის, ირანისა და ჩინეთის გარემოცვაში. რეგიონზე საკუთარი კონტროლის დაწესების შემთ-

¹⁹ Збигнев Бжезинский, Великая шахматная доска. М., 1997, с.149.

ხვევაში, ვაშინგტონს საშუალება მიეცემა, მოიპოვოს დომინირებული მდგომარეობა ხუთ ზღვას შორის (შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, კასპიის ზღვა, სპარსეთის ყურე და მასთან მიმდებარე არაბეთის ზღვა) და მთელს კონტინენტზე. რაც შეეხება ჩინეთს, ეს უკანასკნელი, ანალიტიკოსთა საკმაოდ სოლიდური ნაწილის მიერ, განიხილება როგორც აშშ-ის ძირითადი გეოპოლიტიკური და, შესაძლოა, გლობალური მეტოქე XXI საუკუნეში.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილმა ტერორისტულმა აქტებმა, რასაც აშშ-ის მხრიდან მოჰყვა სამხედრო ოპერაციები ავღანეთში და, მოგვიანებით, ერაყშიც, სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკა ხანმოკლე პერიოდით უკანა პლანზე გადაწია. თუმცა, მეორეს მხრივ, საქართველომ და აზერბაიჯანმა თავი ანტიტერორისტული კოალიციის წევრებად გამოაცხადეს და აშშ-ის სამხედრო ძალებს თავისი საჰაერო და სახმელეთო ტერიტორიების გამოყენება შესთავაზეს. საქართველომ თავადაც ჩაატარა (ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით) წარმატებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციები (2002 წლის აგვისტო-სექტემბერი) პანკისის ხეობაში. ამ ყველაფერმა თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველო-ამერიკის ურთიერთობები²⁰.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გასულ საუკუნეში ეს რეგიონი არასოდეს ყოფილა „განებივრებული“ განსაკუთრებულად დიდი საერთაშორისო ყურადღებით (თუ არ ჩავთვლით ჩეჩნეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციას ფართოდ გაშუქებისას სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკის განხილვის ფაქტებს)²¹. სამხრეთ კავკასიის საკითხით დაინტერესება, ხშირ შემთხვევაში, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა და უმეტესწილად ბალკანეთში განვითარებული მოვლენების ჩრდილში ექცეოდა. საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი აშშ-ის ინტერესმა სამხრეთ კავკასიის მიმართ დაიწყო პერმანენტული ზრდა XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან და ამ ტენდენციამ თავისი გაგრძელება XXI საუკუნეშიც ჰპოვა. ასე მაგალითად, 1997

²⁰ 2002 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მაღალჩინოსანმა ფილიპ რემლერმა გამოთქვა ვარაუდი პანკისის ხეობაში „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლების შესაძლო არსებობის თაობაზე, ბუშის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის სამხედრო დახმარების საგრძნობი გაზრდის შესახებ. ამ დახმარებამ შემდგომში მიიღო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის სახე, რამაც ჯამში 64 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2002 წლის მარტში პენტაგონმა საქართველოში მიაგლინა 200 ამერიკელი ოფიცერი (ინსტრუქტორი), რომელთაც დაევადათ ქართული საჯარისო შენაერთების მომზადება და მოყვანა სრულ სამხედრო მზადყოფნაში.

²¹ აშშ მოუმზადებელი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლისთვის და მკაფიოდ ვერ გადაეწყვიტა, თუ რა პოლიტიკა გაეცარებინა 15 პოსტსაბჭოურ სახელმწიფოსთან მიმართებაში. ჯორჯ ბუშ უფროსმა ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკები, ბალტიის ქვეყნების გარდა, რუსეთის გაფლენის სფეროდ აღიარა. ეს ნიშნავდა იმას, რომ რუსეთს ამ ქვეყნებში თავისუფალი ქმედების საშუალება ეძლეოდა და მასვე ეკისრებოდა მთავარი პასუხისმგებლობა, პოსტსაბჭოთა სივრცეში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარებაზე. ქედან გამომდინარე, საქართველოს ყველანაირი მცდელობა განემტკიცებინა თავისი დამოუკიდებლობა, მარცხისთვის იყო განწირული.

წლის აგვისტოში აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა კასპიის რეგიონი გამოაცხადა აშშ-ის ეროვნული ინტერესების ზონად. ხოლო კიდევ უფრო ადრე (თებერვალში), სენატორმა რობერტ ბირდმა თავის გამოსვლაში „ამერიკული პოლიტიკა კასპიის რეგიონთან დაკავშირებით“, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები დაასახელა ვაშინგტონის სტრატეგიულ პარტნიორებად. 2002 წელს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამფსმელდმა განაცხადა, რომ აშშ-ის ინტერესები კავკასიაში იზრდება და ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეგიონის სტაბილიზაციის საკითხს, ისევე, როგორც თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთან.

როგორც ჩანს, 2002 წლიდან იწყება ახალი ეტაპი აშშ-ის რეგიონულ პოლიტიკაში. ესაა პერიოდი, როდესაც რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები სერიოზულად დაუპირისპირდა ერთმანეთს შავი ზღვა-კასპისპირეთის რეგიონში. თუმცა, ამ ორმა შესახელმწიფომ შეინარჩუნა სრული თანხმობა ისეთ გლობალურ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორცაა ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის ინტერესების ძირითად სფეროებს განეკუთვნება:

- კასპიის ენერგორესურსების ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო ტრანზიტის უზრუნველყოფა;
- რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციის არდაშვება და „გაყინული“ კონფლიქტების გადაწყვეტა;
- რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრებისა და შიდასახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ანტიტერორისტული კოალიციის ფორმირება და ამ კონტექსტში ირანზე ზეწოლის გაძლიერება.

აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ მხოლოდ ზემოხსენებული სფეროებით არ შემოიფარგლება და მოიცავს ინტერესთა ფართო სპექტრს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობას და ა.შ., რაც ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ჯოზეფ ნაის შეფასებით, აშშ-ის პოლიტიკაში „რბილი ძალის“ (*soft power*) გამოვლინება გახლავთ. რაც შეეხება უშუალოდ სომხეთს, ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის პოლიტიკა ორიენტირებულია ანკარასთან ერევნის ურთიერთობების გამოსწორებაზე.

პოლიტოლოგთა გარკვეული ნაწილის აზრით, სამხრეთ კავკასიაში არსებული „გაყინული“ კონფლიქტების მოგვარება არ წარმოადგენს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უახლოეს პრიორიტეტს, არამედ ე.წ. „გადავადებული მიზნების“ ნუსხაში მოიაზრება. ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი იმასაც ამტკიცებს, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ჯერჯერობით პრიორიტეტად საერთოდ არ მოიაზრებიან, ვაშინგტონი ამჯობინებს ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს რუსეთზე, თურქეთსა და ირანზე²². ამ მდგომარეობით ისარგებლა მოსკოვმაც, სადაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების პრაქტიკული ანექსიის გეგმები შემუშავდა. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას ამერიკის გრძელვადიან ინტერესებს რეგიონში, რადგან მათი ერთ-ერთი ამოცანის – სამხრეთ კავკასიაში სტაბილური ვითარების დამყარების პერსპექტივა – სერიოზულად რთულდება. ამჟამად ამერიკა რუსეთს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე გავლენაში ეცილება. თურქეთი აშშ-ის დიდი ხნის მოკავშირე და ნატო-ს წევრი ქვეყანაა. რაც შეეხება აშშ-ირანის ურთიერთობებს, ისინი უკიდურესად დაძაბულია ჯერ კიდევ 1979 წლიდან მოყოლებული (მას შემდეგ, რაც ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა და ირანელებმა ამერიკელი დიპლომატები მძევლად აიყვანეს).

კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით, აშშ-ის პოლიტიკას შესაძლოა ვუწოდოთ „მრავალგანშტოებიანი მილსადენების“ (*Multiple pipeline*) სტრატეგია, რაც მიზნად ისახავს ენერგომატარებლების წყაროთა დივერსიფიკაციას (ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას მსოფლიოში ნავთობის უმსხვილეს მიმწოდებლებზე – ახლო აღმოსავლეთისა და OPEC-ის წევრ ქვეყნებზე), ისევე, როგორც მათ ტრანზიტს რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით. აღნიშნული მიდგომა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის მიერ იქნა ინიცირებული და მან კიდევ უფრო აქტიური გაგრძელება ჰპოვა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციის მხრიდან. ვაშინგტონის ეს სტრატეგია, რომელიც კასპიის ენერგორესურსების მის პირდაპირ მომხმარებელზე, ევროპის ქვეყნებზე მოწოდებას ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში რუსეთის მონოპოლიის შესუსტებასა და პოსტ-საბჭოური რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას ისახავს მიზნად. აშშ-ის პოლიტიკა ფართო მხარდაჭერით სარგებლობს საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯან-

²² დევიდ ბენედიქტ ბლეინი. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში: სავარაუდო შედეგები საქართველოსა და სომხეთისთვის. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2005 გვ. 85.

ნის საზოგადოებრიობასა და მმართველ ელიტებში, თუმცა გარკვეული ინდიფერენტულობით ხედებიან ევროპის პოლიტიკურ წრეებში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში გადაუჭრელი კონფლიქტების პრობლემატიკა ერთ-ერთ ყველაზე უფრო მწვავე ხასიათს ატარებს. კონფლიქტთა მოგვარების საკითხი უმნიშვნელოვანეს დატვირთვას იძენს იმ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში, რომელთაც ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ. თუ აშშ-ის ადმინისტრაცია არსებულ კონფლიქტთა მოწესრიგებითაა დაინტერესებული, რუსეთის მხარის პოლიტიკას შესაძლოა „კონტროლირებადი არასტაბილურობის შენარჩუნების სურვილი“ ვუწოდოთ. რუსეთის მხარე თავისი მიზნების მიღწევას ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტთა მანიპულირების საშუალებით ცდილობს. ამასთანავე, მოსკოვი ცდილობს შეინარჩუნოს რეგიონში არსებული სამხედრო ბაზები და გაზარდოს პოლიტიკური გავლენა კონფლიქტთა მოწესრიგების პროცესში „ერთპიროვნული მედიატორობისა“ და „ცხელ წერტილებში“ მშვიდობისმოყველთა განლაგების გზით. „კონტროლირებადი არასტაბილურობის“ სტრატეგია რეგიონის სახელმწიფოთა მიერ პროდასავლური კურსის განხორციელების შეფერხებასა და სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის გავლენის ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორების შექმნასაც ითვალისწინებს.

რეგიონში სტაბილური ვითარების დამყარების უმთავრეს წინაპირობად აშშ-ის მხარე კონფლიქტთა მშვიდობიანი გზებით გადაჭრაში ხედავს. აშშ-ის პერსპექტივიდან მდგომარეობის შეფასებისას, კონფლიქტთა მოწესრიგების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ფაქტორს, ეთნიკური ჯგუფების ინტერესებისა და რუსეთის როლის გათვალისწინებას ენიჭება. სამწუხაროდ, კონფლიქტთა მოგვარების კონკრეტული ფორმულის შემუშავება, რომელიც ზემოხსენებულ პრინციპებს გაითვალისწინებდა, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის. უფრო მეტიც, შესაძლოა, შეუძლებელიც კი იყოს, ვიდრე რუსეთი თავად არ იქნება დაინტერესებული სამხრეთ კავკასიაში სტაბილური ვითარების შექმნით.

აშშ-ის მხარე პირდაპირაა ჩართული აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის პრობლემათა გადაჭრასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა პროცესში. ამერიკული დიპლომატია რუსეთთან კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და მოლაპარაკებათა პროცესის საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით წარმართვაზეა ორიენტირებული. აშშ-ის მხარე ასევე ცდილობს ამ საკითხთან დაკავშირებულმა უთანხმოებებმა ასახვა არ

ჰპოვონ რუსეთ-ამერიკის ორმხრივ დიალოგზე. აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკებათა ძირითად ფორუმს გაეროს ეგიდით მიმდინარე ქენევის პროცესი წარმოადგენდა. ხოლო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის ძალისხმევა კი დღემდე ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობს, რომელსაც რუსეთი, აშშ და საფრანგეთი თანათავმჯდომარეობენ.

რეგიონში რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემა, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ისლამი (*Political Islam*) დასავლეთის ინტერესების ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს წარმოადგენს. ხსენებული საკითხის მიმართ ინტერესი 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. აშშ-ის ადმინისტრაციის მცდელობის მიუხედავად, არ მომხდარიყო ტერორიზმის ასოცირება ისლამთან, რადიკალ-ისლამისტ ჯგუფთა აქტიურობის ზრდის აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია აშშ-ის უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ განიხილება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ, ევროპის სახელმწიფოები, თურქეთი და ისრაელი განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი რეგიონში აზერბაიჯანის სახით შექმნან სეკულარულ და პლურალისტულ პოლიტიკურ სისტემაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მოდელი. ამ მიზნის მიღწევა საკმაოდ რეალურია აზერბაიჯანთან მიმართებაში ორი მიზეზის გამო: 1) უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანის მოსახლეობა რელიგიის მიმართ ტოლერანტული მიდგომით ხასიათდება; 2) აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში თურქეთი მოიაზრება იმ მაგალითად, რომლის მოდელიც აზერბაიჯანში უნდა იქნას გადმოღებული.

აზერბაიჯანისა და საქართველოს მკვეთრმა პოზიციამ, მხარი დაეჭირათ აშშ-სთვის საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ისლამისტური ფუნდამენტალიზმის ამ რეგიონთან ასოცირება ხელოვნურად შექმნილ სპეკულაციურ მოსაზრებებს ეყრდნობოდა.

ანტიტერორისტული კოალიციის ფორმირება აშშ-ის საგარეო სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს, რომელსაც „ფართო ახლო აღმოსავლეთის“ (*Greater Middle East*) შესახებ ახლადფორმირებული ამერიკული კონცეფციის ფარგლებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. ეს რეგიონი პირდაპირ ემიჯნება იმ არსებულ (ან პოტენციურ) „ცხელ წერტილებს“, რომელთა გადაწყვეტაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის რეგიონს, ნატო-ში ინტეგრაციისა და ანტიტერორისტულ

კოალიციაში მონაწილეობის გზით, ისტორიული შესაძლებლობა მიეცა, გახდეს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი. ამ შეხედულებას გარკვეულ საფუძველს უქმნის ნატო-ს პრადის სამიტზე ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული გეგმები, მოახდინოს სამხედრო შენაერთების რედისლოკაცია დასავლეთ ევროპიდან სამხრეთაღმოსავლეთით, ასევე 2008 წლის აპრილში ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა სამხრეთ კავკასიის როლი ახალი ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების პროცესში. აშშ დღეს უკვე ცალსახად უჭერს მხარს ნატო-ს ბლოკის გაფართოებას საქართველოსა და უკრაინის ხარჯზე. ჩვენის აზრით, საქმე ეხება აშშ-ის გავლენის კიდევ უფრო გაფართოებას არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ცენტრალურ აზიასა და მთელს ევრაზიაში (გრძელვადიან პერსპექტივაში). ამ კონტექსტში, გაშინგტონი სამხრეთ კავკასიას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება კონტროლის განხორციელება ევრაზიის ისეთ ძველამოსილ სახელმწიფოებზე, როგორებიცაა რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, ჩინეთი, ინდოეთი და ა.შ.

აზერბაიჯანისა და საქართველოს მიდგომებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხეთის პოზიცია და ის თითქმის მთლიანად რუსეთზეა ორიენტირებული, რასაც გარკვეულწილად დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნების სურვილი განაპირობებს. სომხეთი დიდი ხნის მანძილზე იგნორირებას უწევდა ნატო-სა და აშშ-თან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს. თუმცა, რომ ბოლო წლებში ვათარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, ოფიციალური ერევანი დაინტერესებას იჩენს ნატო-ს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) მიმართ, ასევე ალიანსის სხვა პროგრამების მიმართაც, ხოლო 2003 წლის ივნისში სომხეთმა ნატო-ს პირველ ერთობლივ წვრთნებსაც კი უმასპინძლა („Cooperative Best Effort 2003“).

2003 წლის მაისში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს სამი დღით სტუმრობდა ნატო-ს მაშინდელი გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განხორციელებულ ვიზიტებს შორის პერიოდში, მას საკმაოდ საინტერესო შეხვედრები ჰქონდა სომხეთის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან. აღნიშნულმა ვიზიტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სომხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ვექტორის უმთავრეს პრინციპად „კომპლემენტარიზმის პოლი-

ტიკა“ რჩება. აღნიშნული კურსი გულისხმობს ქვეყნის საგარეო კავშირების დაბალანსებას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით. ოფიციალური ერევანი აცხადებს, რომ „კომპლემენტარიზმის პოლიტიკის“ საბოლოო მიზანი სხვადასხვა სტრუქტურებში ინტეგრაციაა. ამით აიხსნება სწორედ ის ურთიერთსაწინააღმდეგო აქტივობა, რაც დაკავშირებულია, ერთის მხრივ სომხეთის მონაწილეობასთან დსთ-ის ფარგლებში მოქმედ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (CSTO/ОДКБ) და, მეორეს მხრივ, ერევნის მისწრაფებასთან გააფართოვოს თანამშრომლობა ნატო-ს მიმართულებით.

სომხეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნატო-ერევნის ურთიერთობები ხელს არ უშლის, არამედ გარკვეულწილად ავსებს კიდევ რუსეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობას. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ყოფილი ხელმძღვანელის აღნიშნული თეზისი აქტუალური იყო მანამ, სანამ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არ მოხდა რუსეთისა და აშშ-ის ინტერესთა სერიოზული შეჯახება (2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენები). აშშ-ის ადმინისტრაცია ცდილობს შეამციროს ერევნის დამოკიდებულება რუსეთზე სომხეთ-თურქეთს შორის საზღვრების გახსნისა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის გზით. ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენა შესაძლოა ყარაბაღის პრობლემის გადაჭრისა და სომხეთ-აზერბაიჯან-თურქეთს შორის ურთიერთობათა გამოსწორების საწინდარიც გახდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სომხეთი კვლავაც რჩება რუსეთის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად სამხრეთ კავკასიაში. სომხეთი რეგიონის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეზე, არ აფიქსირებს ნატო-ში გაწევრიანების სურვილს. სომხეთი დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრია. სწორედ ამ ქვეყანაში მოხდა საქართველოდან გასული რუსეთის სამხედრო ჯარების დაჯგუფების დიდი ნაწილის დისლოცირება, რაც, ბუნებრივია, არასახარბიელო ფაქტორს წარმოადგენს, როგორც ვაშინგტონისთვის, ისე ბაქოსა და ანკარასთვის.

შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მიერ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან (თუნდაც მხოლოდ აზერბაიჯანსა და საქართველოსთან) სამხედრო თანამშრომლობის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეგიონში სტაბილური ვითარების შექმნას

და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის კიდევ უფრო განმტკიცებას, რაც ამერიკის სტრატეგიული ინტერესების სფეროშიც შედის. ამ მხრივ, აშშ-ის როლის მნიშვნელობას აორმაგებს ევროკავშირის მიერ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში დაკავებული შედარებით პასიური პოზიცია.

რეგიონისადმი და, განსაკუთრებით, საქართველოსადმი ვაშინგტონის მზარდი ინტერესის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უმცროსის ვიზიტი თბილისში, რომელიც 2005 წლის 9-10 მაისს შედგა. თბილისში ჩამოსვლამდე ბუში იმყოფებოდა რიგაში (8 მაისი), შემდეგ კი მოსკოვში (9 მაისი). აშშ-ის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტამდე ერთი თვით ადრე ზბიგნევ ბჟეჟინსკი წერდა: „პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გადაწყვეტილება მოსკოვში ვიზიტი ლატვიასა და საქართველოში ვიზიტებს შეუთავსოს, სიმბოლურად პრინციპული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია“²³. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების 10 მაისის საჯარო გამოსვლა თავისუფლების მოედანზე (ქ. თბილისი). სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა თავის ამერიკელ კოლეგას აღუთქვა, რომ საქართველო იქნებოდა ამერიკის მთავარი პარტნიორი ყოფილ საბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელების თვალსაზრისით. „ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი თავისუფლების შესანარჩუნებლად. ამისთვის, მთელმა ქართველმა ხალხმა მყარად თქვა, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატო-ს წევრი“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა²⁴. ჯორჯ ბუშმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის სანიმუშო მაგალითს რეგიონში. აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე მხარი დაუჭირა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა ქვეყანამ უნდა სცეს პატივი.

თავისუფლების მოედანზე პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლამდე, გაიმართა ერთობლივი პრეს-კონფერენცია, რომლის დროსაც ჯორჯ ბუშ უმცროსმა ცალსახად დააფიქსირა თავისი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, როგორც ნატო-ში გაწევრიანების, ისე კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით. „ჩვენ მხარს ვუჭერთ ავტონომიებს, ჩვენ მხარს

²³ The Wall Street Journal – 29.03.2005.

²⁴ თავისუფლების მოედანზე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის სრული ტექსტი განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [http://www.president.gov.ge].

ვუჭერთ თვითმმართველობას, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დაუჭიროთ ქვეყნის დანაწევრებას“, – განაცხადა ბუშმა და იქვე დასძინა, რომ მიესალმება მ. სააკაშვილის განზრახვას, მოაგვაროს ეს პრობლემები მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ბუშის მიერ თბილისში განხორციელებულმა ვიზიტმა თვალნათლივ ცხადყო ის ფაქტი, რომ, გეოსტრატეგიული ინტერესების გარდა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მშვიდობისა და დემოკრატიის გავრცელება მთელს ევრაზიაში. ამ კონტექსტში, ვაშინგტონი საქართველოს განიხილავს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე საიმედო პარტნიორს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განხორციელებული რუსული აგრესიის პერიოდში, ვაშინგტონმა ცალსახა მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს. 13 აგვისტოს სპეციალური განცხადებით გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბუშმა აღნიშნა, რომ მხარში უდგას საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას და დაუინებით მოითხოვს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას²⁵.

მე-20 საუკუნის მიწურულს ზბიგნევ ბუჟინსკი აღნიშნავდა: „მოკლევადიან პერსპექტივაში, ამერიკა დაინტერესებულია შეინარჩუნოს და გაამყაროს არსებული გეოპოლიტიკური პლურალიზმი ევრაზიის რუკაზე. ეს ამოცანა ითვალისწინებს შესაძლებელი მოქმედებებისა და მანიპულაციების წახალისებას იმისათვის, რათა არ მოხდეს ამერიკისადმი მტრულად განწყობილი კოალიციის ფორმირება – საშუალოვადიან პერსპექტივაში, ზემოაღნიშნულმა თანდათან ადგილი უნდა დაუთმოს იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტის დროსაც, მეტწილად აქცენტი გაკეთდება ისეთი მნიშვნელოვანი და სტრატეგიული თვალსაზრისით შესაფერისი პარტნიორების გაჩენაზე, რომლებიც აშშ-ის ხელმძღვანელობით ხელს შეუწყობენ ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემის შექმნას ... გრძელვადიან პერსპექტივაში, ყოველივე ზემოაღნიშნულმა თანდათანობით უნდა მიგვიყვანოს რეალურად ერთობლივი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მსოფლიო ცენტრის ჩამოყალიბებამდე“²⁶. ზბიგნევ ბუჟინსკის მიაჩნია, რომ ევრაზიის გეოპოლიტიკური პლურალიზმის სტაბილურობა, რომელიც გამორიცხავს რომელიმე ერთი სახელმწიფოს დომინირებას, უნდა გამტკიცდეს ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემით, რაც, მისივე თქმით, 21-ე საუკუნის დასაწყისში მოხდება. ჩვენის აზრით, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები უკვე იმყოფება იმ ეტაპზე, როდესაც იგი

²⁵ ვაშინგტონმა საქართველოში გააგზავნა C-17 ტიპის რამდენიმე თვითმფრინავი ჰუმანიტარული ტვირთით. ამასთან, აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალებს ასევე დაევალოთ მიეწოდებინათ საქართველოსთვის ჰუმანიტარული და სამედიცინო ტვირთი.

²⁶ Збигнев Бжезинский, Великая шахматная доска. М., 1997, с. 235.

აქტიურად მუშაობს ხსენებული ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საკითხზე, ხოლო სამხრეთ კავკასიის რეგიონი კი ვაშინგტონის მიერ უდაოდ განიხილება, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკვანძო რგოლი ამ სისტემაში.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გარკვეულ საკითხებში ინტერესების თანხვედრისა და ურთიერთობების მაღალი დონის მიუხედავად (მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში), რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილის მიერ ამერიკა მაინც აღიქმება, როგორც მტრული სახელმწიფო. რუსეთის გენერალიტეტში საკმაო პოპულარობით სარგებლობენ ცალკეული რუსი პოლიტოლოგების შეხედულებები, რომლებიც „ანგლო-საქსურ“ მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისკენ რუსეთისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევენ და ამტკიცებენ, რომ რუსეთი ის ერთადერთი ძალაა მსოფლიოში, რომელსაც არა მხოლოდ ძალუძს, არამედ ვალდებულიცაა წინ აღუდგეს დასავლეთის ექსპანსიას. ფაქტია ისიც, რომ ამერიკელთა ნებისმიერი აქტივობა სსრკ-ის ყოფილ ტერიტორიაზე მოსკოვის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს²⁷.

2.2. რუსეთის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში

სსრკ-ის დაშლის შემდგომ, რუსეთი რთულ გზაზე აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი ადგილის დამკვიდრების თვალსაზრისით. პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე აღმოცენებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა გამოიწვია რუსეთთან ტრადიციული სავაჭრო კავშირების გაწყვეტა. რუსეთის პოლიტიკურ ელიტას დღემდე არ სურს იმ ფაქტთან შეგუება, რომ ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკები აღარ არიან მოსკოვის დაქვემდებარებაში. ამგვარად, რუსეთი უკიდურესად ემოციურად აღიქვამდა საქართველოს იმ მოთხოვნებს, რაც მისი ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას ეხებოდა²⁸. ზუსტად იგივენაირი რეაქცია ჰქონდა რუსეთს საქართველოს გადაწყვე-

²⁷ რუსეთი, თავის დროზე, იძულებული გახდა შეგუებოდა ცენტრალურ აზიაში ამერიკული სამხედრო ბაზების გამოჩენას. ეს ბაზები ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა, რაც რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა. ამის მიუხედავად, რუსეთი ყველანაირად ცდილობდა, დაებალანსებინა ცენტრალურ აზიაში ამერიკელ სამხედროთა ყოფნა, რის გამოც 2004 წელს ყირგიზეთში, ამერიკული ბაზის გვერდით, რუსული სამხედრო ბაზა გახსნა. ეჭვგარეშეა ისიც, რომ, უზბეკეთში განვითარებულ მოვლენებში, რომელთა შემდეგ ამერიკული ბაზა ეტაპობრივად გავიდა ამ ქვეყნიდან, დიდწილად სწორედ მოსკოვის ხელი ერია.

²⁸ რუსეთი დაუფარავად მოითხოვდა: რეგიონის სამივე სახელმწიფოს დსთ-ში ყოფნას (1993 წელს რუსეთმა აიძულა აზერბაიჯანი და საქართველო გამხდარიყვნენ დსთ-ის წევრები), თურქეთთან და ირანთან გამავალ სახელმწიფო საზღვრებზე რუსი მესაზღვრეების დაყენებას, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ტერიტორიებზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების გრძელვადიანი პერსპექტივით დატოვებას. უფრო მეტიც, რუსეთს სურდა მონოპოლიის დამყარება კასპიის ენერგორესურსებზე, მსოფლიო ბაზრებზე მათი შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

ტილებების მიმართ, გამხდარიყო ნატო-ს წევრი²⁹. სსრკ-ის დაშლის პირველივე დღეებიდან მოყოლებული, რუსეთი გვევლინება ანტაგონიზმისა და კონფლიქტების მთავარ ინსპირატორად მისი საზღვრების უშუალო სიახლოვეში (ანუ რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროში), მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. როგორც ჩანს, კრემლის გათვლებით, ქაოსი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში, საშუალებას მისცემდა რუსეთს მიეღო ერთგვარი კარტ-ბლანში კონკურენტი ძალთა ცენტრებისგან (აშშ, ევროკავშირი, თურქეთი) და გამხდარიყო ექსკლუზიური მედიატორი რეგიონში.

საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის ფორმირებისას, უმნიშვნელოვანეს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებს რეგიონული კონტექსტი. ჩრდილოეთ კავკასია არასტაბილურობის სერიოზული კერაა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის ზრდას მოსკოვი განიხილავს, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სტაბილურობის გარანტიას. მეორეს მხრივ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაძლიერება რუსეთის გავლენის გარეშე, გამოიწვევს ჩრდილოეთ კავკასიელთათვის ინტეგრაციული მიმზიდველობის მქონე ერთგვარი რეგიონული ცენტრის ჩამოყალიბებას³⁰. ვფიქრობთ, ამ გარემოებას მოსკოვში სერიოზულ საფრთხედ აღიქვამენ. პოლიტოლოგთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ საქართველოზე კონტროლის გარეშე, რუსეთი ვერ შეძლებს დომინირებას სამხრეთ კავკასიაში. საქართველოზე კონტროლის დაწესებით, მოსკოვს შეუძლია ეფექტურად გააკონტროლოს ადმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი და, ამდენად, მოიპოვოს უცილობელი მონოპოლია კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტზე³¹. იმავდროულად, რუსეთისთვის საქართველოზე კონტროლი

²⁹ საქართველოს მისამართით რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ განსაკუთრებით მწვავე და აგრესიული ხასიათი მიიღო 2008 წლის აპრილის შემდგომ, მას შემდეგ, რაც ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც აღინიშნა, რომ საქართველოს და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატო-ს წევრები. მანამდე, ჯერ კიდევ 2006 წლის 21 სექტემბერს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების ნიუ-იორკის არაოფიციალურ შეხვედრაზე აღიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, გადასულიყო საქართველოსთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე – „ინტენსიურ დიალოგზე“ (ID). 2004 წლიდან საქართველო ახორციელებდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას (IPAP). სწორედ IPAP-ით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელად და განსაზღვრულ ვადებში წარმატებით შესრულებამ განაპირობა მოკლე პერიოდში საქართველოს გადასვლა ID-ის ფორმატზე. საქართველოს მიერ ID-ის დაწყება იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული პარტნიორობის ფორმატიდან წევრობის კანდიდატის ფორმატზე გადასასვლელად. ID წარმოადგენდა აღიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს, რომლის ძირითადი მიზანი იყო მოემზადებინა საფუძველი ქვეყნის გადასასვლელად ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP).

³⁰ ასეთი ცენტრის საფუძველს წარმოადგენს „თბილისი-ბაქოს“ პარტნიორობა. ამასთან ერთად, საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, დასავლეთთან ცივილიზაციური ნათესაობის და რიგ სხვა მიზეზთა გამო, ამ ღერძის მთავარ რგოლს წარმოადგენს.

³¹ რუსეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ენერგომატარებლებზე მონოპოლიის დამყარებას (ეს რუსეთის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად განიხილება), რადგან ნავთობი და გაზი რუსეთის შემოსავლის ძირითადი წყაროებია. აქედან გამომდინ-

ნიშნავს მეამბოხე ჩრდილოეთ კავკასიური რესპუბლიკების წრეში მოქცევასა და რეგიონში თურქული და ამერიკული გავლენის მინიმუმამდე დაყვანას. ამასთან ერთად, რუსეთს საქართველო სჭირდება, როგორც სატრანზიტო ქვეყანა რეგიონში მის მოკავშირე სომხეთთან³². რუსეთი საქართველოს განიხილავს, როგორც კავკასიაში გეოგრაფიულად ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე მდებარე, თუმცა, ამავდროულად, ჯერ კიდევ ყველაზე სუსტ რგოლს. საქართველოში სიტუაციის არევით, მოსკოვს შესაძლებლობა მიეცემა გაწყვილოს დასავლეთს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის არსებული „გეოსტრატეგიული ჯაჭვი“³³. სწორედ ამ „ჯაჭვისადმი“ თავისი შიშის გამო, რუსეთის ფედერაცია სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობასაც კი.

ე. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში განცდილი მარცხისა და ზ. გამსახურდიას დასავლეთ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის გეგმებში ქართული საზოგადოების შუაზე გახლეჩა, საქართველოში ქრონიკული არასტაბილურობის დანერგვა და ქვეყნის დანაწევრება შედიოდა. თუმცა, იმ ეტაპზე დასავლეთის პოზიციამ, რუსეთს ამ გეგმის ბოლომდე განხორციელების საშუალება არ მისცა (მოსკოვში ოქტომბრის ცნობილი მოვლენების შემდგომ, ბ. ელცინს ჰაერივით ესაჭიროებოდა აშშ-ის მხარდაჭერა). 1999 წელს, მას შემდეგ, რაც 1998 წლის მაისში გალის რაიონში განხორციელდა ქართული მოსახლეობის მორიგი „ეთნიკური წმენდა“, საქართველომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამოსულიყო დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან (ДКБ) და მოითხოვა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვა³⁴. გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მიღებულ იქნა 1999 წლის ნოემბერში, ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე³⁵. 2001 წლის 1 ივლისამდე რუსეთმა

ნარე, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენის ფუნქციონირება, წარმოადგენს მეტად არასასურველ ფაქტორს რუსეთისთვის.

³² რუსეთი ესწრაფვის დაამყაროს კონტროლი დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკაზე. სომხეთის მაგალითი ნათლად მეტყველებს რუსეთის მიზნებსა და ამოცანებზე ამ მხრივ. კერძოდ, რუსულმა კომპანიებმა, ფაქტიურად უფასოდ (ვალების სანაცვლოდ) შეისყიდეს და ტოტალური კონტროლი დაამყარეს პრაქტიკულად ყველა სომხურ საწარმოზე. ამ საწარმოთა კომერციული წამგებიანობა სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს მოსკოვის ასეთი ნაბიჯების მხოლოდ ეკონომიკურ მოტივაციას.

³³ ამის მცდელობა მოსკოვს უკვე ჰქონდა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთმა, ვითომდა ოსი ეროვნების რუსეთის მოქალაქეების დაცვის საბაბით, განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია საქართველოში.

³⁴ 1999 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან გამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაც.

³⁵ ეუთო-ს სტამბოლის სამიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული ხელშეკრულების ხელმოწერა და მის ფარგლებში

მთლიანად გაიყვანა ვაზიანის სამხედრო ბაზა და გადასცა ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (რუსეთმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება). გუდაუთაში (აფხაზეთი) დისლოცირებულ სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციამ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები³⁶. რაც შეეხება ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებს, 2005 წლის 30 მაისს ქ. მოსკოვში მხარეებმა შეძლეს შეთანხმების მიღწევა აღნიშნულ საკითხზე (ხელმოწერილ იქნა „რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადება“)³⁷. 30 მაისის განცხადების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს 2006 წლის 31 მარტის სოჭის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა ეტაპობრივად მოხდა და საბოლოოდ 2008 წელს დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ოფიციალურად არ აღიარებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მოსკოვი ამ სეპარატისტულ რეგიონებს სისტემატურად უწევდა პირდაპირ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, აგრეთვე სამხედრო დახმარებას. რუსეთმა გაანთავისუფლა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მკვიდრნი სავიზო პროცედურებისგან, მაშინ, როცა დანარჩენ საქართველოსთან 2000 წლის დეკემბრიდან დღემდე მოქმედებს სავიზო რეჟიმი. 2002 წლის ივნისიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოსკოვმა დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის მასიური პასპორტიზაციის პროცესი, რაც ითვალისწინებდა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას აფხაზი და ოსი ეროვნების პირებისთვის. ამასთან, მოსკოვი დაუფარავად ერეოდა ეფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიებზე გამართულ ე.წ. საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩე-

საქართველოსა და რუსეთის ერთობლივი განცხადება, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების მომავლის თაობაზე.

³⁶ ვინაიდან გუდაუთის სამხედრო ბაზა მდებარეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, დამკვირვებლებს არ მისცეს უფლება ედევნებინათ თვალი მისი გაყვანის პროცესისთვის. ქართული მხარის ინფორმაციით, 2001 წელს აღნიშნული ბაზიდან გაყვანილ იქნა მხოლოდ 300 სამხედრო მოსამსახურე, მაშინ როცა მათი საერთო რიცხვი 1100-ს აღწევდა. დანარჩენი სამხედროები გადაიყვანეს დსთ-ის სამშვიდობო ძალების ბატალიონის შემადგენლობაში. ამავე ბატალიონის კონტროლის ქვეშ გადავიდა გუდაუთის სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურაც. 2002 წლის ივნისში ეუთო-ს ექსპერტებმა განახორციელეს გუდაუთის ბაზის ინსპექტირება, რის შემდეგაც მათ დაადასტურეს მისი ლიკვიდაციის ფაქტი. მიუხედავად ამისა, ქართული მხარის პოზიცია იყო, რომ გუდაუთის ბაზა უნდა ყოფილიყო მუდმივი საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ამ ბაზაზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების ნაწილები განთავსდნენ.

³⁷ ზემოხსენებული პერიოდის მანძილზე, აშკარად გამოიკვეთა ოფიციალური მოსკოვის სურვილი, მოეხდინა რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხის გაჭიანურება. მოსკოვი დაუინებოთ ითხოვდა ჯერ 14, შემდგომ 11, ბოლოს კი 7 წელიწადს, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მტკიცე პოზიცია გახლდათ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის პროცესისთვის სავსებით საკმარისი იყო მაქსიმუმ 3 წელი.

ვნებში. 2008 წლის 27 აგვისტოს კი, საქართველოში ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შემდეგ, რუსეთმა ცალმხრივად სცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევაა.

რუსეთის დიპლომატიურმა და სამხედრო ზეწოლამ საქართველოზე საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო 2001 წლის შემოდგომაზე და 2002 წლის ზაფხულში, როდესაც პანკისის ხეობაში ჩეჩნეთიდან გადმოსულმა ლტოლვილებმა დაისადგურეს. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა პანკისის ხეობას „ტერორიზმის კერა“ უწოდა³⁸. საყურადღებოა, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნული განცხადება გააკეთა 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდგომ³⁹, ანუ მაშინ, როცა ტერორიზმთან ბრძოლამ საყოველთაო საერთაშორისო ხასიათი მიიღო. რუსეთის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში: მოეპოვებინა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა ჩეჩნეთში და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე (პანკისის ხეობაში) სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად. რაც შეეხება კრემლთან დაახლოებულ რუს ანალიტიკოსებს, მათ საქართველო ერთხმად შეაფასეს, როგორც „არშემდგარი სახელმწიფო“ (*Failed State*)⁴⁰. 2002 წლის აგვისტო-სექტემბერში პანკისის ხეობაში წარმატებით განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციების შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ სრული კონტროლი დაამყარა ხსენებულ რეგიონში. მიუხედავად ამისა, ვ. პუტინმა გაეროს, მისი უშიშროების საბჭოსა და ეუთოს სახელზე გაკეთებულ მიმართვაში (2002 წლის 12 სექტემბერი), ღიად განაცხადა, რომ აშშ-ის მხრიდან ერაყზე თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთი იტოვებდა უფლებას გადაედგა ანალოგიური ნაბიჯები საქართველოსთან მიმართებაში. 2003 წლის სექტემბერში რუსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პანკისის ხეობაში „პრევენტიული ღონისძიებების“ განხორციელებას, იქ დაბანაკებული „ტერორისტების“ განადგურების მიზნით. ფაქტიურად, ეს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო

³⁸ ს. ივანოვი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს არ შესწევდათ უნარი აღედგინათ მარტლწესრიგი პანკისის ხეობაში, რის გამოც რუსეთის სამხედრო ჩარევა აუცილებელი იყო.

³⁹ 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ მიერ ქ. ნიო-იორკზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა.

⁴⁰ „არშემდგარი სახელმწიფოს“, იგივე „არაკომპეტენტური სუვერენიტეტის“ ცნება პოლიტიკურ მეცნიერებაში ჩნდება XX საუკუნის 70-იანი წლებიდან (*Failed State*). ითვლება, რომ ასეთი სახელმწიფოები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მეზობელ ქვეყნებს. მართალია ამ მიზეზით მათ საშინაო საქმეებში ჩარევა საერთაშორისო სამართლით საბოლოოდ ნებადართული მაინც არ არის, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად არც გამოირიცხება.

ინტერვენციას გულისხმობდა⁴¹. ყოველივე ამის პასუხად, ოფიციალურმა ვაშინგტონმა ცალსახად განაცხადა, რომ საქართველო წარმოადგენდა ანტიტერორისტული კოალიციის მნიშვნელოვან წევრს და შეშფოთება გამოხატა ჩეჩნეთის კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო გავრცელების გამო. აშშ-ის შეშფოთება ასევე გაიზიარა ეუთომ და ევროკავშირმაც, რის შედეგადაც მაშინ თავიდან იქნა აცილებული რუსეთის სამხედრო ინტერვენციის საფრთხე საქართველოში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოსკოვის უკიდურესად არაკონსტრუქციულ და აგრესიულ პოლიტიკაზე მიუთითებს. რუსეთის მხრიდან კოდორისა და პანკისის ხეობების დაბომბვა ამის ნათელი მაგალითები იყო. რუსეთმა ასევე დაამყარა განსაკუთრებულად მჭიდრო სამხედრო კავშირები სომხეთთან (1997 წლის აგვისტოში რუსეთსა და სომხეთს შორის ხელი მოეწერა „ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“⁴²), რომელიც დღესდღეობით წარმოადგენს რუსეთის გავლენის პლაცდარმს სამხრეთ კავკასიაში.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად ვლადიმირ პუტინის არჩევის შემდგომ (2000), მოსკოვმა დაიწყო შედარებით პრაგმატული პოლიტიკის გატარება აზერბაიჯანის მიმართ, დაიკავა რა მეტ-ნაკლებად კონსტრუქციული პოზიცია ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებებში. გარდა ამისა, რუსეთი ნაკლებად მგრძობიარე გახდა რეგიონში თურქეთისა და აშშ-ის მზარდი გავლენის მიმართაც. რაც შეეხება საქართველოს, მოსკოვმა შეინარჩუნა მკაცრი პოლიტიკა და დღემდე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა კონფლიქტების დარეგულირების პროცესი ჩიხში შევიდეს. მოსკოვი ასევე დაინტერესებულია „სტატუს კვოს“ შენარჩუნებით მთიანი ყარაბაღის საკითხში – კრემლში შიშობენ, რომ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამ შესაძლოა შეამციროს სომხეთის დამოკიდებულება რუსეთზე უსაფრთხოების კონტექსტში.

რუსეთს გააჩნია საკმაოდ დიდი გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. რუსეთი თავის დროზე მნიშვნელოვნად დაეხმარა სომხეთს მთიანი ყარაბაღის გამო აზერბაიჯანთან გაჩაღებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში. სომხეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა, რომელიც ხელისუფლებაში ყარაბაღის კონფლიქტის ტალღაზე მოვიდა, რუსეთში ბუნებრივ მოკავშირეს ხედავს. მისი დახმარებით მას შეუძლია წინ აღუდგეს აზერბაიჯანი-თურქეთის ზეწოლას. საქართველო გარკვეულწილად დღესაც არის დამო-

⁴¹ ვ. პუტინმა სპეციალური თხოვნითაც მიმართა გაეროს, ეცნო რუსეთის უფლება ტერორიზმისგან თავდაცვაზე, გაეროს წესდების 51-ე მუხლისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1378 რეზოლუციის შესაბამისად.

⁴² Независимая газета – 21.10.1997.

კიდებული რუსეთზე. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ საქართველოს სეპარატისტული რეგიონები (რუსეთმა უზრუნველყო აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ თავისი სამხედრო ყოფნა, უკანონოდ გააფორმა რა მათთან ორმხრივი ხელშეკრულებები 2008 წლის 17 სექტემბერს), ან საქართველოს ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე, არამედ მილიონამდე ქართველი, რომელიც დღემდე რუსეთში ცხოვრობს. საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის ფედერაცია ზეწოლის ამ ბერკეტების მანიპულირებას ეწევა, რითიც საქართველოს ხელისუფლებისგან დათმობებზე წასვლას ითხოვს.

2005-2006 წლებში რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებული დესტრუქციული პოლიტიკა აშკარად გასცდა დიპლომატიური ზეწოლის ფარგლებს და „ეკონომიკური ომის“ ფორმები მიიღო, მათ შორის ენერგეტიკული ბლოკადის მცდელობების ჩათვლით (ხელოვნური შეფერხებები საქართველოს გაზითა და ელექტროენერჯით მომარაგების კუთხით), რასაც დაემატა სხვა ეკონომიკური სანქციები⁴³. 2006 წლის ოქტომბერში საქართველოს სპეცსამსახურების მიერ რუსეთის ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავებისა და რუსეთის ოთხი სამხედრო ოფიცრის დაკავების შემდეგ, ოფიციალურმა მოსკოვმა განახორციელა მასიური ქსენოფობიური ზომები და რეპრესიები რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ, ასევე გამკაცრდა ეკონომიკური სანქციებიც. ყოველივე ამან, სერიოზულად შეარყია რუსეთის იმიჯი საერთაშორისო არენაზე, კიდევ უფრო დაძაბა ისედაც რთული ქართულ-რუსული ურთიერთობები, ასევე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს დღესში შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში დაძაბულობის კულმინაციას წარმოადგენდა 2008 წლის აგვისტო, როდესაც საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიდან განიდევნა ლეგიტიმური ხელისუფლება და განხორციელდა ქართული მოსახლეობის მორიგი ეთნიკური წმენდა. იმავდროულად, რუსეთის სახმელეთო ძალებმა განახორციელეს საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაციის მცდელობა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კონფლიქტების ტერიტორიები რუსეთისთვის არის საშუალება მისი მთავარი მიზნის – საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის მისაღწევად. 2008 წლის 27 აგვისტოს, რუსე-

⁴³ საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი, როგორებიცაა ღვინო და ღვინომასალები, მინერალური წყლები და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია, ვეღარ შედის რუსეთის ბაზარზე სანიტარული აკრძალვების გამო.

თის ფედერაციის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა ე.წ. „სარკოზის შეთანხმების“ დარღვევით, ხელი მოაწერა ბრძანებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ⁴⁴. საქართველომ ოფიციალურად გაწვევითა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან.

2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, საქართველოში განვითარებული ცნობილი შიდა-პოლიტიკური მოვლენების დროს, რუსეთის მხრიდან აღვილი ჰქონდა საქართველოში ასლან აბაშიძის რუსეთზე ორიენტირებული ხელისუფლების მოყვანის მცდელობას. თუმცა, ამ სცენარის განხორციელება ვერ მოხერხდა და „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ქვეყნის სათავეში პროდასავლური ძალები მოვიდნენ. 2004 წელი ვლადიმირ პუტინისთვის წარმოადგენდა პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი ამბიციური პოლიტიკის სერიოზული კრახის წელიწადს, როდესაც მოსკოვმა, ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ წყალობით, დაკარგა გავლენა საქართველოსა და უკრაინაზე. ამ სიტუაციას ამერიკელი პოლიტოლოგი ზ. ბუჟინსკი შემდგომში შეფასებას აძლევს: „დემოკრატიული გეოპოლიტიკური პლურალიზმი ნელ-ნელა რუსეთის გარშემო იკვრება. რა თქმა უნდა, ეს პატარა ახალი ქვეყნები რუსეთისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენენ, მაგრამ მათი მაგალითი რუსეთის შიგნით მსგავს გარდაუვალ გარდაქმნებს აუცილებლად დააჩქარებს, რათა რუსეთი იმ ავტორიტარული და შოვინისტური ტრადიციებისგან გათავისუფლდეს, რომელიც მოსკოვის პოლიტიკურ ელიტაში ჯერ კიდევ დომინირებს“⁴⁵.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ თავის ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად დაისახა ურთიერთობების დარეგულირება რუსეთთან. ოფიციალური თბილისი იმედოვნებდა, რომ ერთმანეთს შეუთავსებდა ისეთ ფუნდამენტურ ინტრესებს, როგორცაა, ერთის მხრივ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ნატო-ში ინტეგრაცია, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება. თუმცა, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რუსეთი არ აღმოჩნდა მზად გაეზიარებინა „თამაშის ახალი წესები“. პრეზიდენტ დ. მედვედევის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივი ცნობა, ამის ყველაზე ნათელი გამოვლინება იყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მიმართ გადადგმული ნაბიჯების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ

⁴⁴ მოგვიანებით რუსეთმა გააფორმა ორმხრივი, ე.წ. „ჩარჩო“ ხელშეკრულებები ამ ორ სეპარატისტულ რეგიონთან.

⁴⁵ The Wall Street Journal – 29.03.2005.

რუსეთის ქმედებები არის ნაწილი იმ მიზანმიმართული პოლიტიკისა, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართულია საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რუსეთის ფედერაციაში ინტეგრირების ხარისხის ზრდისკენ. რუსეთი საქართველოს სთავაზობს ალტერნატივას – ქვეყნის აღმშენებლობაში მიღწეული წარმატებები, პირდაპირპროპორციულად იქნება დაკავშირებული იმ დანაკარგებთან, რომელსაც საქართველო განიცადოს ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში.

რეზიუმეს სახით, რუსეთის კავკასიური პოლიტიკა შეიძლება პირობითად დაიყოს ოთხ ეტაპად. 1996 წლამდე რუსეთის გავლენა დომინირებდა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაშიც (I ეტაპი). 1996-დან 2001 წლამდე შეინიშნება კავკასიაში რუსეთის გავლენის შემცირების პროცესი (II ეტაპი). შემდგომი ეტაპი უკავშირდება ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდს, როდესაც რუსეთი, ანტიტერორისტული კამპანიის საბაბით, ცდილობს თავისი დაკარგული პოზიციების აღდგენას (III ეტაპი)⁴⁶. დსთ-ის სივრცე გამოცხადებულ იქნა რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად, სადაც მოსკოვს უნდა ეთამაშა ერთპიროვნული ლიდერის როლი. რუსეთის მთავარ გარეშე საფრთხედ დასახელდა ისლამური ტერორიზმი, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო ხელისუფლების ანტიჩინურ კამპანიასთან (იგულისხმება ჩეჩნეთის მეორე ომი) და, რომლის გამოყენებასაც ვლადიმერ პუტინი არაერთხელ შეეცადა თავისი მკაცრი (ანტიდემოკრატიული) შიდაპოლიტიკური კურსის გასამართლებლად. პრეზიდენტმა პუტინმა მეტ-ნაკლებად მოახერხა ყველა იმ შეცდომის გამოსწორება, რაც თავის დროზე დაუშვა ბორის ელცინმა (ხელისუფლების კონცენტრაცია ოლიგარქების ხელში, წარუმატებელი ომი ჩეჩნეთში, ეკონომიკური კოლაფსი). ერთად-ერთი რისი მიღწევაც პუტინმა ვერ შეძლო, ეს არის – რუსეთის გავლენის აღდგენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება რუსეთის პოლიტიკის IV ეტაპი, რომელიც დაიწყო 2005 წლის ბოლოდან და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს, დ. მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში. რუსეთი ცდილობს პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოაყალიბოს ანტიდემოკრატიული ბლოკი, რომელიც წინ აღუდგება „ფერად რევოლუციებს“. სამხედრო ბერკეტების ნაცვლად, რუსეთი სულ უფრო ხშირად იყენებს ზეგავლენის ეკონომიკურ საშუალებებს. ამასთან, შეინიშნება რუსეთის კონტროლის გაძლიერების მზარდი ტენდენცია ენერგორესურსებზე (არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ნაწილობრივ ევროპაშიც). მიუხედავად ყვე-

⁴⁶ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინი პირველად არჩეულ იქნა 2000 წლის 26 მარტს. 2004 წლის 14 მარტს პუტინი ხელმეორედ იქნა არჩეული რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე (მეორე ვადით).

ლაფრისა, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენის პროექტებმა, „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის პროცესმა, მნიშვნელოვნად შეასუსტეს ოფიციალური მოსკოვის გავლენა კავკასიაში. სწორედ ამიტომ, რუსეთი, რომელმაც საქართველოს სამხედრო ოკუპაციის პირობებში ცალმხრივად სცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ცდილობს გამოიყენოს ყველა ბერკეტი, რათა ეს პროცესი ამაზე შორს ადარ წავიდეს.

2.3. ირანის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში

ირანის კავკასიურ პოლიტიკას ახასიათებს სამი ძირითადი ნიშან-თვისება: პირველი არის თეირანის შეშფოთება აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ფაქტის გამო; მეორე – რუსეთთან ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესება, რაც შემდგომში გადაიზარდა სტრატეგიულ პარტნიორობაში; მესამე მახასიათებელი უკავშირდება ირანის სურვილს, გააძლიეროს საკუთარი პოზიციები ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის ზღვის რეგიონში და, ამავდროულად, თავიდან აიცილოს თურქეთის გავლენის ზრდა სატრანზიტო მილსადენებზე.

თეირანის განსაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულება ბაქოს მიმართ ძირითადად გამოწვეულია ე.წ. „სამხრეთ აზერბაიჯანის“ ფაქტორით – 20 მილიონზე მეტი ოდენობის ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობა (ორჯერ მეტი, ვიდრე თავად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში), რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე. ირანი ამ ფაქტორში ხედავს პოტენციურ საფრთხეს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისთვის. თეირანში შიშობენ, რომ ქვეყნის ჩრდილოეთში სეპარატიზმისა და ნაციონალისტური განწყობების ესკალაციამ შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას ირანის სახელმწიფოს ერთიანობას. აცნობიერებს რა ამ საფრთხეს, ირანის ისლამური რესპუბლიკა ობიექტურად არ არის დაინტერესებული ძლიერი და ეკონომიკურად წელგამართული აზერბაიჯანის რესპუბლიკის არსებობაში, რომელიც შესაძლოა მიმზიდველი გახდეს ირანის ჩრდილოეთში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის. აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის აზულფეზ ელჩიბეის ანტიირანულმა განწყობებმა საგრძობლად გააფუჭა ურთიერთობები (1992 წელი) ბაქოსა და თეირანს შორის, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ უკანასკნელის სიმპატიები სომხეთის მიმართ მთიანი ყარაბაღის საკითხში. ირანმა

ასევე მოახერხა საერთო ენის გამონახვა რუსეთის ფედერაციასთან მთელ რიგ საკითხებში. ეკონომიკური ურთიერთსარგებლის გარდა, რუსეთ-ირანის ალიანსი მიზნად ისახავს თურქეთისა და აშშ-ის მხარედი გავლენის შემცირებას რეგიონში.

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობაში ყველაზე მეტად დაინტერესებულია სწორედ ირანი, რომელიც ფაქტიურად ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბლოკადაში მოექცა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა თეირანი „ბოროტების ღერძის“ შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა (2002). შექმნილ რთულ ვითარებაში, ირანის მხარემ მხარდაჭერისთვის თავის ჩრდილოელ მეზობლებს მიმართა. კერძოდ, 2003 წლის მარტის დასასრულს, ირანის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ქემალ ხარაზმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) საქმიანი შეხვედრები გამართა. ოფიციალური ვერსიით, კონსულტაციების ძირითად მიზანს ირანის მაშინდელი პრეზიდენტის მოჭამად ხათამის სამხრეთ კავკასიაში ვიზიტის მომზადება წარმოადგენდა. თუმცა, ირანელი დიპლომატის მიერ გამართულ მოლაპარაკებებზე ძირითადად რეგიონული უსაფრთხოების თემატიკა დომინირებდა. შეხვედრების შემდგომ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ირანელი მინისტრის ვიზიტის ჭეშმარიტი მიზანი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნის იდეის გაუღერება იყო ფორმატით „3+3“ (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო + რუსეთი, თურქეთი, ირანი). ამ იდეის განხორციელება, ირანის საგარეო პოლიტიკური უწყების მაშინდელი ხელმძღვანელის აზრით, წარმოადგენდა პირდაპირ გზას კავკასიის სტაბილურობისკენ, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს უკვე არსებული კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული იდეის განხორციელება, კავკასიაში არსებულ ძალთა განლაგების თანამედროვე სურათიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია და მაშინაც შეუძლებელი იყო. მაგალითად, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, მიუხედავად საერთაშორისო შუამავლების ძალისხმევისა, თხუთმეტი წელიწადზე მეტია, რაც ვერ მოახერხეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება. გარდა ამისა, საქართველომ „ფსონი“ ნატო-ში გაწევრიანებაზე დადო, რითიც თავისი უსაფრთხოება სწორედ ამ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს დაუკავშირა. ამასთან, თურქეთის რესპუბლიკა უკვე არის ამ ბლოკის მოქმედი წევრი. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი ძნელად თუ დათანხმდებიან უსაფრთხოების სფეროში ითანამშრომლონ „ბოროტების

დერძის“ ისეთ ქვეყანასთან, როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკაა. რაც შეეხება სომხეთს, ამ უკანასკნელს ისტორიულად ფრთხილი დამოკიდებულება აქვს თურქეთის მიმართ, ოსმანთა იმპერიის დროს განხორციელებული გენოციდის გამო.

ირანელი დიპლომატის მიერ წამოყენებულ იდეას რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ფორმირების შესახებ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ნაკლები ენთუზიაზმით შეხვდნენ. ამდენად, ოფიციალური თეირანის მცდელობა, ეთამაშა საკვანძო ქვეყნის როლი სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ პროცესებში, შეიძლება ითქვას რომ კრახით დასრულდა. თეირანმა ვერ გაითვალისწინა ის მომენტი, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები ვერ „გაბედავენ“ ირანთან რეგიონული უსაფრთხოების ერთიან სისტემაში გაერთიანებას, რადგანაც ისინი უკვე დიდი ხანია რაც აშშ-ის ინტერესების სფეროში იმყოფებიან.

ცნობილი ფაქტია, რომ ვაშინგტონი არაერთი წელია, რაც გამოთქვამს შეშფოთებას ირანის მიერ (რუსეთთან ტანდემში) ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის გამო. ამას დაემატა ვაშინგტონის ბრალდებაც, რომლის თანახმად ირანი ტერორიზმის ერთ-ერთ სპონსორ ქვეყნად გვევლინება (2005). მას შემდგომ, რაც ოფიციალურმა თეირანმა, საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი დიპლომატიური ძალისხმევის მიუხედავად, კატეგორიული უარი განაცხადა შეეწყვიტა ურანის გამდიდრების პროგრამა (2006), ვაშინგტონის ანტაგონიზმმა ირანის მიმართ თავის პიკს მიაღწია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ აშშ-ის ფაქტორის გამო, ირანის მდგომარეობა რეგიონში უკიდურესად გართულდება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო დაძაბავს შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონის ისედაც წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციას. ირანზე აშშ-ის მზარდი ზეწოლის გამო საკმაოდ დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ ერევანში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ირანი სომხეთის ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირეა, რომელთანაც მას საერთო საზღვარი და საიმედო სახმელეთო კავშირი აქვს. აზერბაიჯანთან სომხეთი საომარ მდგომარეობაში იმყოფება, თურქეთთან საზღვარი მისთვის ბლოკირებულია, ხოლო საქართველოსთან უერთიერთობები კი „ცივი დიპლომატიის“ პირობებში ვითარდება.

2.4. თურქეთის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, ოფიციალური ანკარა ახორციელებს საკმაოდ პრაგმატულ და სტაბილურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში. თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანთან. ეს აიხსნება, როგორც ორი ქვეყნის

კულტურული და ლინგვისტური სიახლოვით, ისე აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენის პროექტებმა, ისევე როგორც „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ სამხრეთ კავკასიას შესძინეს დიდი ეკონომიკური დატვირთვა (პოლიტიკურთან ერთად), რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თურქეთისთვის. თურქეთის სურვილი იმთავითვე მდგომარეობდა შემდგომში: შეესრულებინა ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია ევროპასა და კასპიისპირეთის რეგიონს შორის. ამ ამბიციის ლოგიკური შედეგი გახლდათ ის, რომ საგრძნობლად გაიზარდა თურქეთის ინტერესი საქართველოს მიმართ, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს თურქეთსა და აზერბაიჯანს, ასევე ცენტრალურ აზიას შორის. თურქეთმა განავითარა მჭიდრო კავშირები საქართველოსთან, რამაც შემდგომში მიიღო სტრატეგიული პარტნიორობის სახე.

ოფიციალური ანკარა ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. 1999 წელს სტამბოლში გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე, ანკარამ კვლავ დაადასტურა აღნიშნული პოზიცია. კონფლიქტის მსვლელობისას, თურქეთის მთავრობამ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში შუამავლის ფუნქციის შესრულების სურვილიც გამოთქვა, რაც რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად. კონფლიქტის დასრულების შემდგომ, ანკარამ გამოთქვა მზადყოფნა, გაერო-ს სამშვიდობო ძალების ეგიდით, საკუთარი სამხედრო კონტინგენტი გაეგზავნა აფხაზეთში, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე მონიტორინგს განახორციელებდა. რუსეთის პოზიციის გამო, თურქეთის ეს ინიციატივა განუხორციელებელი დარჩა.

თურქულ-აზერბაიჯანულმა ურთიერთობებმა ინტენსიური სახე მიიღო 1992 წლიდან, როდესაც ქვეყნის სათავეში სახალხო ფრონტის ლიდერი ა. ელჩიბეი მოვიდა. როდესაც 1992 წლის მაისში სომხეთის არმიამ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს ნიხჭევანის სტრატეგიული გორაკებიდან შეუტია, ოფიციალურმა ანკარამ გააგრძელა განცხადება, რომ ყარსის შეთანხმების მე-3 მუხლით, თურქეთი და რუსეთი ნიხჭევანის ავტონომიის გარანტებს წარმოადგენდნენ. თურქეთი სამხედრო დაპირისპირებაში ჩათრევის ზღვარზე აღმოჩნდა, თუმცა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ფრთხილი პოზიციის გამო, ეს არ მომხდარა.

1993 წლის მაისში აზერბაიჯანში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში აზერბაიჯანის ყოფილი სუკ-სა და ცკ-ის პირველი მდივანი ჰეიდარ ალიევი მოვიდა⁴⁷. ჰეიდარ ალიევის გაპრეზიდენტების შემდეგ, თურქეთმა დაკარგა შესაძლებლობა შეესრულებინა წამყვანი ქვეყნის როლი მთიანი ყარაბაღის გამო განადგურებულ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში. თავის მმართველობის პირველ წლებში, ჰეიდარ ალიევმა ქვეყნის პროთურქული პოლიტიკა რუსეთისა და ირანის სასარგებლოდ შეცვალა. ამას მოყვა აზერბაიჯანის გაწევრიანება დსთ-ში. ბაქოს იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვი და თეირანი აზერბაიჯანის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. რუსეთისგან იმედგაცრუებულმა ბაქომ კვლავ ანკარას მიაპყრო მხერა და მეტ-ნაკლებად პროდასავლური პოლიტიკის გატარება დაიწყო.

თეირანის მხრიდან აზერბაიჯანის მიმართ სამხედრო მუქარის არსებობის პერიოდში (2001 წლის ივლისი-აგვისტო) ოფიციალურმა ანკარამ ცალსახად აგრძნობინა ყველას, რომ თურქეთი წარმოადგენდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის უსაფრთხოების გარანტს. წლების მანძილზე, თურქეთს აქტიური წვლილი შეჰქონდა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში. სამხედრო თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, თურქეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველოს მიმართულეებითაც. სამხრეთ კავკასიის ერთადერთი სახელმწიფო, რომელთანაც თურქეთს უკიდურესად გართულებული ურთიერთობა აქვს, არის სომხეთი.

ოფიციალური ერევანი მიიჩნევს, რომ თურქეთი წარმოადგენს მთავარ მუქარას სომხეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. თურქეთი, თავის მხრივ, უარს აცხადებს აღიაროს სომეხთა გენოციდის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის დროს (1915)⁴⁸. უფრო მეტიც, სომხეთის მთავრობის მიერ გენოციდის საერთაშორისო

⁴⁷ 1992 წლის მაისამდე დამოუკიდებელ აზერბაიჯანს პირველი არჩეული პრეზიდენტი, კომუნისტი აიაზ მუთალიბოვი ხელმძღვანელობდა. აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა იგი თანამდებობიდან გადააყენა. ახალ არჩევნებში გაიმარჯვა სახალხო ფრონტის ლიდერმა აბულფაზ ელჩიბეიმ, რომელიც ცდილობდა ქვეყნის შემადგენლობაში ყარაბაღის შენარჩუნებას. 1993 წლის ივნისში, აჯანყებული პოლკოვნიკის სურეთ ჰუსეინოვის დახმარების შედეგად, ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა ხელისუფლებას ჩამოაშორა პრეზიდენტი ელჩიბეი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ნახჭევანში გადაიხვეწა, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე (2000 წლამდე) ცხოვრობდა. აზერბაიჯანის ახალ ხელისუფლებაში სურათ ჰუსეინოვმა პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. ჰეიდარ ალიევმა ხელისუფლება სიცოცხლის ბოლომდე, 10 წელიწადს შეინარჩუნა. სურეთ ჰუსეინოვი კი, რომელმაც ხელი შეუწყო ჰეიდარ ალიევის ხელახალ აღზევებას, 1994 წელს თანამდებობიდან გადააყენეს. იგი რუსეთში გადაიხვეწა, 1997 წელს კი მოხდა აზერბაიჯანისათვის მისი ექსტრადირება. ჰუსეინოვი გაასამართლეს და სახელმწიფო დაღატაკისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. იგი 2004 წელს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა შეიწყალა.

⁴⁸ 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქთა ახალგაზრდა მთავრობამ გადაწყვიტა მთელი სომხური მოსახლეობის - 1 მილიონ 750 000 კაცის საცხოვრებელი ადგილებიდან აყრისა და სირიისა და მესოპოტამიაში დეპორტაციის გეგმა განეხორციელებინა, რადგან მთავრობა სომხებს არალოია-

აღიარებისკენ მიმართულ მცდელობებში, თურქეთი ხელდასავს პოტენციურ საფრთხეს, რაც შეიძლება გამოიხატოს სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების სახით თურქეთის მისამართით. აღსანიშნავია, რომ სომხეთს ჯერაც არ უღიარებია თავისი საზღვარი თურქეთთან. თურქეთს ძალზედ ნეგატიური რეაქცია ჰქონდა, როდესაც 1992-93 წლებში სომხეთმა მოახდინა აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპაცია. ოფიციალურმა ანკარამ უარი განაცხადა სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე სანამ იგი არ გაიყვანდა თავის შეიარაღებულ ძალებს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

თურქეთის სურვილია, რომ სომხეთი ერთგული იყოს ყარსისა და ალექსანდროპოლის (გიუმრის) ხელშეკრულებებისა და ეჭვგეგმ არ დააყენოს სომხეთ-თურქეთის თანამედროვე საზღვრის სამართლებრივი ასპექტი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, სომხეთი ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვარს აღიარებდა რომ არა ზემოხსენებულ ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული ზოგიერთი სხვა დებულება, კერძოდ, ოფიციალური ერევანი კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულებებში მითიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიადაა აღიარებული. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ თურქეთი მზადაა გახსნას თავისი საზღვარი სომხეთთან, თუ ეს უკანასკნელი გაიყვანს ჯარებს აზერბაიჯანის ექვსი ოკუპირებული რაიონიდან. სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას თურქეთი ასევე უკავშირებს ერევნის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარების მოთხოვნის მოხსნის საკითხს.

თურქეთი განსაკუთრებული შემოფოტებით აღეგნებდა თვალს მითიანი ყარაბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. 1992 წლის გაზაფხულზე სომხეთთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე თურქეთმა თავისი არმიის ჯავშანსატანკო შენაერთების კონცენტრირება დაიწყო. ამის საპასუხოდ, დსთ-ის შეიარაღებული ძალების სარდალმა, მარშალმა შაპოშნიკოვმა მკაცრად განაცხადა, რომ „კონფლიქტში მესამე მხარის ჩათრევა მოასწავებდა მესამე მსოფლიო ომის დაწყებას“⁴⁹. ამ განცხადებამ დაადასტურა რუსეთის მზადყოფნა, შეესრულებინა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO/ОДКБ) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. მოსკოვის მუქარამ თავისი შედეგი გამოიღო – თურქეთმა უკან გაიყვანა თავისი სამხედრო ნაწილები. მიუხედავად

ღურობასა და მტრის (რუსეთის იმპერიის) მხარდაჭერაში ადანაშაულებდა. ასევე ათასობით სომეხი აყარეს თავიანთი სახლებიდან, გაულიტეს ან ატარეს იმდენ ხანს, სანამ არ დაიხოცებოდნენ. სხვადასხვა მონაცემებით, 1915 წლიდან 1923 წლამდე დახოცილთა რიცხვმა 600 000-დან 1.5 მილიონამდე შეადგინა. სომხები მიიჩნევენ, რომ ეს იყო მე-20 საუკუნის „პირველი გენოციდი“. ათი ათასობით ცოცხლად დარჩენილმა სომეხმა თავი რუსეთს, ლიბანს, სირიას, საფრანგეთსა და აშშ-ს შეაფარა.

⁴⁹ Financial Times, 22 May 1992.

ამისა, იძულებული იყო რა უარი ეთქვა პირდაპირ სამხედრო ჩარევაზე, თურქეთმა მაინც გაუწია აზერბაიჯანს დიდძალი ფინანსური, მათ შორის, სამხედრო დახმარება.

უსაფრთხოებისა და სამხედრო თვალსაზრისით, 2000 წლის შემდგომ თურქეთის როლმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაიწყო თანდათანობითი ზრდა. თურქეთის ფაქტორი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკაში, რაც უშუალო შეხებაშია უკრაინის სტრატეგიულ ინტერესებთან. საბჭოთა კავშირის დაშლამ, შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ჰეგემონიის შერყევამ და იქ „გეოსტრატეგიული ვაკუუმის“ წარმოქმნამ, თურქეთი და უკრაინა – რეგიონის ეს ორი ძლევამოსილი სახელმწიფო – აქცია გეოპოლიტიკურ მეტოქეებად. ეს სიტუაცია ადეკვატურად იქნა აღქმული თურქეთის მიერ ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. გაითვალისწინა რა თავისი გეგმების თავსებადობა დასავლეთის (უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ის) გეოპოლიტიკურ სტრატეგიასთან და, დაეყრდნო რა ნატო-ს ხაზით „სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის“ სტატუსს, ასევე სპეციალურად შემუშავებულ „თურქულ-ისლამური სინთეზის“ დოქტრინას, თურქეთმა წარმატებით გამოიყენა ყოფილი სსრკ-ის თურქული წარმოშობის მუსლიმური ხალხების ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის მძლავრი მოზღვავება და რუსეთისგან დისტანცირების მოსურნე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მისწრაფება, საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების რეალიზაციის მიზნით. საყურადღებოა თურქეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ჯემის სიტყვები: „თურქებმა უნდა აჩვენონ მთელს მსოფლიოს, რომ მათ შესწევთ უნარი, იყვნენ ევროპელები და, ამავდროულად, აზიელებიც ... ჩვენი მიზანია გაგხდეთ ევრაზიის ცენტრი, ქვეყანა, რომელიც განსაზღვრავს ევრაზიის განვითარებას და, რომელშიც აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთშია გადაკვეთილი გეოგრაფიულად, ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად...“ [Sabah, 1998].

2008 წლის 6 სექტემბერს, თურქეთის პრეზიდენტი ა. გიული ერევანს ეწვია, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი პირველი თურქი პრეზიდენტია, რომელიც სომხეთში ჩავიდა. ვიზიტი საინტერესო იყო იმითაც, რომ თურქეთის პრეზიდენტი გამოვიდა კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის შექმნის ინიციატივით, რაც, მისივე აზრით, ხელს შეუწყობდა რეგიონში ნდობის კლიმატის ფორმირებას და კონფლიქტების მოგვარებას. როგორც მოსალოდნელი იყო, ა. გიულის ხსენებულ ინიციატივას არ მოჰყოლია რაიმე კონკრეტული ნაბიჯები სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების მხრიდან.

თავი III

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები: პრობლემები და მათი

ბადაყვივების მცდელობები

„მოსახლეობის ეთნოგრაფია ანუ ტერიტორიული განლაგების ეთნიკური სურათი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კავკასიის კონფლიქტებში. კავკასიაში თითქმის არსად ემთხვევა ერთმანეთს ეთნიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები, რაც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მთავარი მიზეზია, მით უფრო, რომ მეზობელი ეთნოსები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი ენით, კულტურით, რელიგიითა და პოლიტიკური ორიენტაციით“⁵⁰.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთულესი პრობლემა რეგიონის მთელი ისტორიის მანძილზე. ამ კონფლიქტებს გააჩნიათ პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ტერიტორიული ხასიათი. მასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რეგიონის პრაქტიკულად ყველა კონფლიქტის პროვოცირებაში დიდი წვლილი მიუძღვის კრემლს. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები წარმოადგენენ რეგიონის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და რეგიონალური თანამშრომლობის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრკ-ის დაშლის შემდეგ საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრემ, რუსეთმა განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება საქართველოს, კერძოდ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე. რუსეთის ხელისუფლება პერმანენტულად აიარაღებდა სეპარატისტებს, უწევდა მათ სამხედრო, ფინანსურ, პოლიტიკურ მხარდაჭერას და ქვეყანა ჩაითრია შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც ფორმალურად საქართველოსა და სეპარატისტებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ რეალურად ეს იყო რუსეთისა და საქართველოს სამხედრო დაპირისპირება. რუსეთი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა მოეხდინა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესის მონოპოლიზება და არ დაეშვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევა სამშვიდობო საქმიანობაში. რაც შეეხება სომხეთს, ის იმთავითვე პრორუსული საგარეო კურსის ერთგული ოყო და ასეთად რჩება დღესაც.

⁵⁰ დავითაშვილი ზ. კავკასიის კონფლიქტები: მიზეზები და შესაძლო შედეგები // ქართული დიპლომატიის წელიწადი (VIII), თბ., 2001, გვ. 5.

კავკასიის რეგიონის ეთნოლინგვისტური ჯგუფები



აზერბაიჯანისა და საქართველოს განვითარების ერთიანი ვექტორი (პროდასავლური), ხოლო რეგიონის მესამე ქვეყნის – სომხეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვექტორი (პრორუსული) ბუნებრივია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირებას და სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში. ხსენებული სიტუაციის ყველაზე საინტერესო თავისებურება არის ის, რომ, განიხილება რა რუსეთისა და ირანის სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორად, სომხეთი იღებს სერიოზულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას დასავლეთის ქვეყნებისგანაც (უმეტესწილად აშშ-დან და საფრანგეთიდან), რაშიც არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობს სომხური დიასპორა.

3.1. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო, ეუთოს მინსკის ჯგუფის საქმიანობა და სამშვიდობო პროცესი

სამხრეთ კავკასიის სამომავლო განვითარების პერსპექტივების ნებისმიერი ანალიზი უშუალო კავშირშია არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საკითხთან, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია კონფლიქტს მთიან ყარაბაღში, ამ უკანასკნელის აშკარად სახელმწიფოთაშორისო ხასიათის გამო.

მთიანი ყარაბაღის პრობლემის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სომხები, ისე აზერბაიჯანლები თავგამოდებით ამტკიცებენ თავის ისტორიულ უფლებას მთიან ყარაბაღზე. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ისტორიული ასპექტი უკვე აღარ განიხილება, როგორც პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ამა თუ იმ ტერიტორიის წარსული კუთვნილება (რამდენად უტყუარი და სარწმუნოც არ უნდა იყოს საისტორიო ცნობა) თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებს, რადგან გაცილებით უფრო სერიოზულ კრიტერიუმად მიჩნეულია სახელმწიფოთა ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული თანამედროვე პოლიტიკური რეალობა. ამდენად, სრულიად ალოგიკურია ძველი ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, ისტორიის გავლენა კონფლიქტის მონაწილე მხარეების მენტალიტეტზე უდიდესია, რისი უგულვებელყოფაც შეუძლებელია (*დანართი №1 - მთიანი ყარაბაღის მოკლე ისტორიული ქრონოლოგია*).

ყარაბაღი თურქულ-სპარსული სიტყვაა და ქართულად „შავ ბაღს“ ნიშნავს. პოლიტიკური დატვირთვის მქონე ტოპონიმი „მთიანი ყარაბაღი“ (Nagorno-Karabakh, Nagorni Karabakh, ან Mountainous Karabakh) საბჭოთა კავშირის ეთნოპოლიტიკის ტიპური ნიმუ-

შია⁵¹. „მთიანი ყარაბაღი“ ისტორიული ყარაბაღის ერთი ნაწილია და ყარაბაღის მხოლოდ ამ ერთი ნაწილისთვის ავტონომიის მინიჭების მიზეზი იყო ის, რომ ხაზგასმული ყოფილიყო ეთნიკური ფაქტორი⁵². ყარაბაღის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ხანქენდი, იგივე სტეპანაკერტი (ქალაქს სახელი ეწოდა სომეხი კომუნისტის სტაფანე შაუმიანის პატივსაცემად). აზერბაიჯანლები ამ ქალაქს ხანქენდის უწოდებენ. ოლქში 5 რაიონი, 2 ქალაქი და 6 დაბაა.

მთიანი ყარაბაღი (ყოფილ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შექმავალი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი) ნაწილია ისტორიული ყარაბაღისა, რომელსაც სომხური წყაროები „არცახს“ უწოდებენ. ისტორიული ყარაბაღი სხვადასხვა დროს მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც, გარდა მთიანი ყარაბაღისა, აერთიანებდა მის აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე მიწებს, რომელთა უდიდესი ნაწილი უახლოეს წარსულში შედიოდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და დღესაც მოქცეულია დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ისტორიული ყარაბაღის ზუსტი ტერიტორიული აღწერილობა არ არსებობს. გვიანი შუა საუკუნეების ნახევრადავტონომიური პოლიტიკური ერთეულის, ყარაბაღის სახანოს ტერიტორია დაახლოებით 20-25 ათასი კვ. კმ. იყო და მოიცავდა იმ მიწებსაც, რომლებიც სომხეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის დამარცხების შემდეგ.

XVIII საუკუნის ბოლოს სამხრეთ კავკასიაში წარმოიქმნა რამდენიმე სახანო ყარაბაღის სახანოს ჩათვლით, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა დასუსტებული ოტომანთა იმპერიის გავლენისგან განთავისუფლებისთვის. მას შემდეგ, რაც 1813 წელს რუსეთის იმპერიამ დაამყარა სრული კონტროლი რეგიონზე, აზერბაიჯანელმა თურქებმა თანდათანობით დაიწყეს ყარაბაღის ტერიტორიის დაცლა, ხოლო ყარაბაღის სომხური მოსახლეობა კი, პირიქით, გაიზარდა. 1917 წლის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიის დაცემისა და ამიერკავკასიის სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის – წარმოქმნის შემდგომ (1918), დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის სადაო ტერიტო-

⁵¹ საბჭოთა პერიოდამდე ამ მხარის ისტორიაში ეს ტერმინი არ გამოიყენებოდა.

⁵² საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროისათვის მთიან ყარაბაღში უმრავლესობას კომპაქტურად დასახლებული სომხები შეადგენდნენ, ხოლო თუ ავტონომიას საბჭოთა ხელისუფლება მთელს ყარაბაღს მისცემდა, ეთნიკური სომხები იქ უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ. შედარებისთვის: „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ ნაწილია ისტორიული შიდა ქართლისა, ავტონომია კი იმ ნაწილს მიანიჭეს, სადაც ოსები მეტწილად კომპაქტურად ცხოვრობდნენ და ამისათვის გამოიგონეს ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“.

რიების გამო. ხსენებული ტერიტორიული დავა 1921 წელს თავისებურად „გადაწყვიტა“ იოსებ სტალინმა, გამოაცხადა რა მთიანი ყარაბაღის ტერიტორია აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად. ეს ნაბიჯი გათვლილი იყო იმაზე, რომ სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის მუდმივად ყოფილიყო დაძაბულობის ატმოსფერო, რაც, თავის მხრივ, მოსკოვს საშუალებას მისცემდა შეენარჩუნებინა კონტროლი ორივე რესპუბლიკაზე. ამგვარად, კავშირის პლენუმის 1921 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით, მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. 1923 წელს მთიანი ყარაბაღი გადაკეთდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქად აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

1918 წლის 28 მაისს სომხეთის რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. დაშნაკმა ნაციონალისტებმა მთავრობა ჩამოაყალიბეს. 4 ივნისს თურქეთთან ხელმოწერილი ბათუმის ხელშეკრულებით სომხეთი იძულებული გახდა, მასსა და თურქეთს შორის ახალ საზღვრად ელიარებინა რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1878 წლამდე არსებული საზღვარი, რომელიც დასავლეთ სომხეთს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიღმა ტოვებდა. მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ კი სომხებმა დაიკავეს გიუმრი და ყარსი. ამას მოყვა ყარაბაღის ფლობისთვის – აზერბაიჯანთან, ხოლო დღეს სომხეთის შემადგენლობაში მყოფი ლორეს ოლქის ფლობისთვის (სადაც ქ. ალავერდი მდებარეობს) – საქართველოსთან წარმოებული ხანმოკლე ომები.

1920 წლის 15 იანვარს მოკავშირეებმა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის დე-ფაქტო არსებობა აღიარეს. მოგვიანებით მოხდა დე-იურე ცნობაც. სომხეთის დამოუკიდებლობა ცნო თურქეთმაც, მაგრამ 1920 წლის სექტემბერში თურქებმა სომხეთს შეუტყეს და 7 ნოემბრისათვის დაიბრუნეს ყარსი და გიუმრი. 1920 წლის 22 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდროვ უილსონმა გამოაცხადა მომავალი საზღვრები, რომელთა მიხედვითაც სომხეთს გადაეცა ერზერუმის, ტრაპიზონის, ვანისა და ბათლის ვილაეთების უდიდესი ნაწილი. თუმცა, ეს რეალურად არასოდეს განხორციელებულა.

1920 წლის 2 დეკემბერს ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით სომხეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა 1914 წლამდელ ტერიტორიებზე, ასევე ყარსსა და არღანჯუკზე. ამასთან, სომხეთმა აღიარა, რომ თურქეთში აღარ ცხოვრობდა სომხური ეთნიკური უმცირესობა. გარდა ამისა, ამავე ხელშეკრულებაში ჩაიღო მუხლი იმის შესახებ, რომ ნახჭევანის მხარეში უნდა შექმნილიყო ავტონომიური თურქული სახელმწიფო. იმავე დღეს ერევანში კომუნისტებისა და დაშნაკებისაგან შემდგარმა ახალმა სომხუ-

რმა მთავრობამ სომხეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა. რამდენიმე თვეში კომუნისტებმა დაშნაკები მთავრობის შემადგენლობიდან გაყარეს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო და მარიონეტული მთავრობა შექმნა. ამდენად, მთელი სამხრეთ კავკასია კვლავ რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. 1922 წლის მარტში შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც აერთიანებდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. 1922 წლის 30 დეკემბერს ფედერაცია სობჭოთა კავშირის ნაწილი გახდა. 1936 წელს ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები ცალ-ცალკე შეიყვანეს საბჭოთა კავშირში.

სამი ფაქტორის დამთხვევა – 1) ეთნიკური დომინირება; 2) ავტონომიური სტატუსი და 3) სუსტი მეზობელი – აღმოჩნდა გადამწყვეტი სომხეთისთვის, ყარაბაღის მიერთების გეგმის განხორციელებისას. თავისთავად ცხადია, რომ სომხები ვერ გაბედავდნენ ყარაბაღის მიერთების იდეის ხორცშესხმას, მეზობელი აზერბაიჯანი ძლიერი სახელმწიფო რომ ყოფილიყო. სომხები ვერ გაამართლებდნენ ყარაბაღის ოკუპაციას, მთიან ყარაბაღში სომხური მოსახლეობა ეთნიკური დომინანტი რომ არ ყოფილიყო. ყარაბაღელი სომხები ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებლობის ფორმალურ გამოცხადებას, ავტონომიური ოლქის სტატუსი რომ არ ჰქონოდათ. ჩამოყალიბებული სტრუქტურის მქონე ავტონომიური სტატუსი სახელმწიფოებრივი ორგანიზების უფრო მაღალი ფორმის (არაღიარებული რესპუბლიკის) შექმნის საფუძველი გახდა. თითოეული ფაქტორი ცალ-ცალკეც მნიშვნელოვანია. თუმცა, მათმა თავმოყრამ კრიტიკული მასა შეადგინა. და მაინც, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი სისუსტე გახდა ყარაბაღის ომის ესკალაციის და, მეტადრე, ამ ომში სომხეთის გამარჯვების მიზეზი. ოფიციალური ბაქო ასევე მიუთითებს რუსი სამხედროების როლზე (სამხედრო ტექნიკითა და ტყვია-წამლით დახმარება) სომხეთის გამარჯვების საქმეში.

სომხეთის პირველი რესპუბლიკის პოლიტიკაში „დასავლეთი ტერიტორიების“ შემოერთების საკითხი დომინირებდა და არა ყარაბაღისა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კი, შექმნილ რეალობათა გათვალისწინებით (ერთის მხრივ, თურქეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, ხოლო მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ თურქეთში სომხები უკვე აღარ ცხოვრობდნენ), სომეხ ნაციონალისტებს აღარც უფიქრიათ „ძირძველი ტერიტორიების“ დაბრუნება. სამაგიეროდ, ყარაბაღის შემოერთება შეიქნა სომხეთის ინტელექტუალური ელიტის უპირველესი საზრუნავი.

1980-იანი წლებისთვის მთიანი ყარაბაღის მთელი მოსახლეობის 75%-ზე მეტი შედგებოდა ეთნიკური სომხებისგან. ამ ნიადაგზე, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანიდან გამოყოფის საკითხი არაერთხელ დამდგარა საბჭოთა ხელი-სუფლების წინაშე (სომხური მხარის ინიციატივით). ამ მოძრაობამ განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო 1988 წლიდან, მიხეილ გორბაჩოვის ე.წ. „საჯაროობისა და გარდაქმნის“ ეპოქაში. სამწუხაროდ, ამას მოჰყვა მთელი რიგი შეტაკებები სუმგაითსა და ბაქოში, რის შედეგადაც დაახლოებით 350 ათასი აზერბაიჯანში მცხოვრები სომეხი იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია და გადასახლებულიყო სომხეთში ან სსრკ-ის რომელიმე სხვა რესპუბლიკაში.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის გაჩაღებული კონფლიქტი (მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გამო) იყო პირველი და, იმ მომენტისთვის, ერთადერთი შეიარაღებული კონფლიქტი სსრკ-ში (1988 წლიდან კონფლიქტი იღებს ღია ხასიათს). თუმცა, ურთიერთობები სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს შორის დაძაბული იყო ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე.

კონფლიქტის საფუძველი გახდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხურ-ენოვანი მოსახლეობის სურვილი, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანების თაობაზე⁵³. ამ მოთხოვნას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ აზერბაიჯანის სსრ და საბჭოთა კავშირის მთავრობა. ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა ყარაბაღისა და სომხეთის დატოვება დაიწყეს, ხოლო ეთნიკურმა სომხებმა კი – აზერბაიჯანის. 1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხეთთან მიერთების შესახებ. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა განუწყვეტელი მიტინგების მორიგი ტალღა, როგორც აზერბაიჯანში, ისე მთიან ყარაბაღსა და სომხეთში. აზერბაიჯანში სულ უფრო იზრდებოდა სახალხო ფრონტისა და მისი ლიდერის აბულფაზ ელჩიბეის პოპულარობა. 1990 წლის 15 იანვარს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა მთიან ყარაბაღში და ირანთან მოსაზღვრე რაიონებში, ხოლო 19 იანვარს საგანგებო მდგომარეობა გავრცელდა ბაქოზეც. 20 იანვარს ქ. ბაქოში საბჭოთა ჯარები შევიდნენ. სომხეთსა და აზერბაიჯანელთა ეთნი-

⁵³ 1988 წლის 12 ივლისს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანის სსრ შემადგენლობიდან გასვლისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან მიერთების შესახებ.

კურმა ანტაგონიზმმა თანდათანობით იმატა მას შემდეგ, რაც 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

პერიოდი 1988-დან 1991 წლამდე შეიძლება შეფასდეს, როგორც შედარებით მშვიდობიანი. რაც შეეხება 1991 წელს (ამ პერიოდში ბაქომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსი), კონფლიქტი გადაიზარდა შეიარაღებული დაპირისპირების სტადიაში. აზერბაიჯანმა და თურქეთმა სომხეთს ბლოკადა დაუწესეს. შომხეთის ეკონომიკა პარალიზებულ იქნა.

აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ (1991 წლის 30 აგვისტო), 1991 წლის სექტემბერში მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა სსრკ-ის (და არა აზერბაიჯანის) შემადგენლობაში, აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი (1991 წლის 9 დეკემბერი, ბელოვეჟის ხელშეკრულების ხელმოწერა), 1991 წლის 10 დეკემბერს მთიანი ყარაბაღში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის დროსაც ავტონომიური ოლქის მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას. ამავე პერიოდიდან იწყება ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები ერთის მხრივ აზერბაიჯანის, ხოლო მეორეს მხრივ მთიანი ყარაბაღის, რეალურად კი სომხეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რაც გაგრძელდა 1994 წლამდე⁵⁴.

1992 წლის ივნისში აზერბაიჯანში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, გამარჯვება მოიპოვა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერმა აბულფაზ ელჩიბეიმ, რომელიც ხელისუფლებაში პანთურქისტული ლოზუნგებით მოვიდა. მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა მიზნად ისახავდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, თურქეთის რესპუბლიკასთან მჭიდრო სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების დამყარებას, რუსეთისგან დისტანცირებას და დსთ-ში გაწევრიანებაზე უარის თქმას, მთიანი ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტას (საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებით) და ა.შ.

1992 წელს, მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები ეუთო-ს წევრები გახდნენ, ეს ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო მთიანი ყარაბაღის გამო გაჩაღებული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. 1994 წელს სომხეთმა ომში გაიმარჯვა და

⁵⁴ მხოლოდ 1992 წლის საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა დაახლოებით 4000 აზერბაიჯანელი და 3500 სომეხი. რაც შეეხება პერიოდს 1988-დან 1994 წლამდე, არასრული მონაცემებით ორივე მხრიდან დაიღუპა დაახლოებით 30 ათასი ადამიანი.

კონტროლი მოიპოვა მთელს სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანზე, მთიანი ყარაბაღისა და ამ ანკლავის სომხეთთან დამაკავშირებელი ტერიტორიის (ლაჩინის დერეფნის) ჩათვლით⁵⁵ (ამით წერტილი დაესვა მთიანი ყარაბაღის ანკლავურ მდგომარეობას). გარდა ამისა, სომხურმა ძალებმა მოახდინეს სხვა აზერბაიჯანული ტერიტორიების ოკუპაცია (ქელბაჯარის, ფიზულის, ქუბაითის, ჯაბრაილის, ზანელანის, აგდამის რაიონები). საშუამავლო ძალისხმევების შედეგად, 1994 წლის 4-5 მაისს ქ. ბიშკეკში გაიმართა (მოსკოვის პატრონაჟის ქვეშ) აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის პარლამენტების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევას. შეხვედრაზე მიღებულ იქნა ოქმი („ბიშკეკის ოქმი“) ზავის თაობაზე, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 12 მაისიდან. აბსოლუტურად იდენტური შინაარსის დოკუმენტს მოაწერეს ხელი აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა, სომხეთის თავდაცვის მინისტრმა და მთიანი ყარაბაღის თავდაცვითი არმიის სარდალმა.

სამწუხარო ფაქტია, რომ ტრაგიკული მოვლენები მთიან ყარაბაღში, ხშირ შემთხვევაში, ხორციელდებოდა ეუთო-ს მინსკის ჯგუფის საშუამავლო საქმიანობის ფონზე. არადა ეუთო-ს მინსკის ჯგუფი არის სწორედ ის ორგანო, რომელსაც გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიანიჭა სრული უფლებამოსილება, მიეღო საჭირო ზომები რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის აღსადგენად. ალბათ სწორედ ამ მიზეზის გამო, აზერბაიჯანულ მხარეს ეჭვი შეაქვს ამ ორგანიზაციის ეფექტურობაში და მიაჩნია, რომ ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი) თავდაპირველად ცდილობდნენ კონფლიქტის „გაყინვას“ და არა მისი საბოლოო გადაწყვეტისთვის საჭირო ეფექტური ნაბიჯების გადადგმას.

ეუთოს მინსკის ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობას აშკარად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ეუთო-ს სამშვიდობო საქმიანობა არ ითვალისწინებს იძულების მექანიზმს. გარდა ამისა, კონსენსუსის პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების არსებული მექანიზმი, აფერხებს კონკრეტული ქმედითი გადაწყვეტილებების მიღებას ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით.

⁵⁵ ოკუპირებულ ტერიტორიებს (აზერბაიჯანის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 20%-ს) დღემდე სომხეთი აკონტროლებს. სისხლისმღვრელ და სასტიკ ომში ორივე მხრიდან 30 000 კაცზე მეტი დაიღუპა. სომხეთის მიერ ოკუპირებული მიწებიდან და თავად სომხეთიდან ერთი მილიონი აზერბაიჯანელი გამოდევნეს. დაახლოებით 230 000 სომეხი გამოაძევეს აზერბაიჯანიდან. 1992 წელს ყარაბაღის ქალაქ ხოჯალიზე შეტევის დროს სომხებმა 600-მდე მშვიდობიანი აზერბაიჯანელი დახოცეს, როცა ეს უკანასკნელნი ქალაქიდან გაქცევას ლაშობდნენ (აზერბაიჯანი ამ ხოცვა-ჟლეტას ხოჯალის გენოციდს უწოდებს).

1993 წელს ეუთო-ს მინსკის ჯგუფმა მხარეებს შესთავაზა გაერო-ს უშიშროების საბჭოს №822 რეზოლუციის შესრულებისთვის საჭირო „გადაუდებელი ზომების გრაფიკი“. მცირე შესწორებების შემდეგ ამ დოკუმენტმა მიიღო ე.წ. „განახლებული გრაფიკის“ სახე (ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებიდან საოკუპაციო ძალების გაყვანას და ა.შ.), სადაც მთიანი ყარაბაღი პირველად ფიგურირებს, როგორც მხარე კონფლიქტში. №874 რეზოლუციით გაერო-ს უშიშროების საბჭომ რეკომენდაცია მისცა კონფლიქტის მხარეებს, შეესრულებინათ ეუთო-ს მიერ შემუშავებული „გადაუდებელი ზომების განახლებული გრაფიკი“. ამით გაერო-მ ასევე აღიარა მთიანი ყარაბაღი (ეუთო-ს მსგავსად), როგორც კონფლიქტის მხარე. 1993 წლის 2-8 ნოემბერს ქ. ვენაში გამართულ მინსკის ჯგუფის თათბირზე, „განახლებულმა გრაფიკმა“ მორიგი სრულყოფა განიცადა, თუმცა მისი ცხოვრებაში გატარება მაინც ვერ მოხერხდა.

15 წელიწადზე მეტია, რაც ეუთო-ს მინსკის ჯგუფი ცდილობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტას, თუმცა უშედეგოდ. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ კონფლიქტის გადასაწყვეტად მინსკის ჯგუფის ფარგლებში გადაღებული თითქმის ყველა ნაბიჯი მიმართული იყო „ნეგატიური მშვიდობის“ მისაღწევად: კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების შეწყვეტა, თავიდან აცილება და მათი განახლების არდაშეება. ამგვარი პოლიტიკა ძირითადად ემსახურება არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას. „ნეგატიური მშვიდობა“ ნამდვილად არ არის საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად გრძელვადიან პერსპექტივაში. ის მხოლოდ გაცილებით უფრო მსხვილი პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს კიდევ „პოზიტიური მშვიდობა“, რომლის მიღწევაც გაცილებით უფრო რთულია. „პოზიტიური მშვიდობის“ ქვეშ იგულისხმება ყველა იმ შიდა თუ სტრუქტურული მიზეზების აღმოფხვრა, რომელთაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლიათ. უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ეუთო-ს მინსკის ჯგუფი არ აღმოჩნდა მზად ამ რთული მისიის შესასრულებლად. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალისხმევა მიემართათ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად, მინსკის ჯგუფის მონაწილე სახელმწიფოები, ხშირ შემთხვევაში, დაკავებულნი იყვნენ ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევით, რეგიონში გაგლეხის მოსაპოვებლად გაჩაღებული გეოპოლიტიკური კონკურენციის ფარგლებში. რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატო-ს სტრატეგიული ინტერესების შეჯახებამ,

ასევე ირანსა და თურქეთს შორის რეგიონული წინააღმდეგობების არსებობამ, ხელი შეუწეეს ისეთი რთული და მრავალასპექტიანი სიტუაციის ფორმირებას, სადაც მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დიდ გეოპოლიტიკურ ჩიხში აღმოჩნდა. შექმნილ სიტუაციაში, თუ მხარეები საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწევენ „პოზიტიურ მშვიდობას“, გარკვეული პერიოდის შემდეგ, „ნეგატიურმა მშვიდობამ“ (მთიან ყარაბაღში არსებობს 1994 წლის შემდგომ) შესაძლოა კრახი განიცადოს, რაც უდაოდ მოასწავებს რეგიონის მორიგ დესტაბილიზაციას.

სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტთან დაკავშირებით ეუთო-ს საშუამავლო მისიის არათანმიმდევრულობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია დარეგულირების პრინციპების სისტემურობისა და ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების განსაზღვრის არარსებობით. მინსკის ჯგუფის დიპლომატები ყოველთვის ამჯობინებდნენ თავიანთი ყურადღების კონცენტრირებას კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკურ პრინციპებზე, ვიდრე სამართლებრივზე. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთს, რომელიც ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა პრობლემის პოლიტიკურ და არა სამართლებრივ ასპექტებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა სამხრეთ კავკასიაში. არადა, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს გააჩნია თავისი სამართლებრივი ასპექტიც. ვფიქრობთ, ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა ცოტა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სწორედ სამართლებრივ შემადგენელს, რაც ხელს შეუწყობს მის საბოლოო დარეგულირებას⁵⁶.

სიტუაციას ართულებს ის გარემოება, რომ ბოლომდე არ არის განსაზღვრული სომხეთის როლი ამ კონფლიქტში. რიგ შემთხვევაში ოფიციალური ერევანი აცხადებს, რომ მთიანი ყარაბაღის სომხები აწარმოებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინააღმდეგ (ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით), ხოლო საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის თავდაცვითი არმია. ამ პოზიციის მიხედვით გამოდის, რომ სომხეთის რესპუბლიკას რაიმე პირდაპირი კავშირი ხსენებულ კონფლიქტთან არ გააჩნია და მხოლოდ ირიბად არის მასში ჩართული, როგორც დაინტერესებული მხარე. სხვა შემთხვევაში კი, განსაკუთრებით ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, სომხეთი აღიარებს თავის პირდაპირ მონაწილეობას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. საერთაშორისო თანამე-

⁵⁶ 2006 წლიდან ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარედ აშშ-ის მხრიდან დაინიშნა მეთიუ ბრაიზა, რომელმაც ამ თანამდებობაზე სტივენ მანი შეცვალა.

გობრობაც დღემდე ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა იმაზე, თუ კონფლიქტის რომელ ტიპთან აქვს საქმე, ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი *მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი*, ზოგჯერ *სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი*, ხშირ შემთხვევებში კი ორივე ერთად – *სომხურ-აზერბაიჯანული, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი*. პირველი შემთხვევა (მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი) გულისხმობს ერთი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის შიდა კონფლიქტს (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ანალოგიების მსგავსად), ხოლო მეორე შემთხვევა (სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი) – დაპირისპირებას ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, დღემდე არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე (სომხური ირედენტოზმის საფუძველზე ერთი სუვერენული სახელმწიფოს აგრესია მეორეს წინააღმდეგ, ან სეპარატიზმის გამოვლინება ქვეყნის შიგნით, ან ერის ბრძოლა თვითგამორკვევისთვის). არადა, მხოლოდ კონფლიქტის ტიპის ზუსტი განსაზღვრის შემთხვევაში არის შესაძლებელი მისი დარეგულირების ეფექტური მეთოდების, ინსტრუმენტებისა და ფორმატის არჩევა. გარდა ამისა, კონფლიქტის ტიპის საერთაშორისო-სამართლებრივი კვალიფიკაცია წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს მხარეთა შორის კომპრომისების ოპტიმალური ზღვარის განსაზღვრის თვალსაზრისით. მსგავსი საერთაშორისო-სამართლებრივი კვალიფიკაციის არარსებობა, თავის მხრივ, მანევრირების ფართო საშუალებას აძლევს როგორც კონფლიქტში ჩათრეულ მხარეებს, ისე საერთაშორისო შუამავლებს, რომელთაც თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვთ რეგიონში. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს მხარეთა შორის კომპრომისის მიღწევის ალბათობას. სამწუხაროდ, მოცემული დისერტაციის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დეტალურად იქნას განხილული მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული კონფლიქტის სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემები. თუმცა, ეს საკმაოდ არსებითი პრობლემაა, რომელიც სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. კონფლიქტის სამართლებრივ კვალიფიკაციაზე ბევრად არის დამოკიდებული მისი გადაწყვეტის პოლიტიკური მექანიზმი.

კონფლიქტის მთელი პერიოდის მანძილზე, ოფიციალური ბაქო გამოდიოდა იმ პოზიციიდან, რომ სომხეთმა მოახდინა აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და დღემდე აგრძელებს აგრესიული პოლიტიკის გატარებას, რაც საფრთხეს უქმნის აზერბაიჯანის ეროვნულ უსაფრთხოებას. ოფიციალური ბაქო აცხადებს, რომ აზერბაიჯანის მიმართ სომხეთის მიერ განხორციელებული ქმედებები უნდა შეფას-

დეს, როგორც აგრესიის აქტი. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ბაქო ვერ ახერხებს ოფიციალური ერევნის მხრიდან აგრესიის აქტის დამტკიცებას იმის გამო, რომ არ ფლობს საკმარის მტკიცებულებებს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: აზერბაიჯანს არ გააჩნია დოკუმენტური მონაცემები, რაც დაადასტურებდა მთიან ყარაბაღში სომხეთის რესპუბლიკის რეგულარული არმიის შეყვანის ფაქტებს 1992-93 წლებში; აზერბაიჯანი ვერ აკონტროლებს მთიან ყარაბაღს და სომხეთთან მოსაზღვრე ოკუპირებულ ტერიტორიებს; ოფიციალური ერევანი უარყოფს სომხეთის არმიის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტს; თავად თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ლიდერებიც უარყოფენ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე სომხეთის რეგულარული არმიის ნაწილების ყოფნას და ამტკიცებენ, რომ კონფლიქტში მონაწილეობდა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის თავდაცვითი არმია.

მიუხედავად აზერბაიჯანული მხარის არაერთი განცხადებისა, რომ სომხეთის მხრიდან აგრესიის აქტი დადასტურებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს ოთხი რეზოლუციით, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ეს ასე მკაფიოდ არ წერია.

1993 წლის 30 აპრილის № 822 რეზოლუცია გამოხატავს შემფოთებას სომხეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ურთიერთობების გაუარესების გამო და ახდენს აზერბაიჯანის კელბაჯარის რაიონში ადგილობრივი სომხური ძალების შეჭრის ფაქტის კონსტატაციას, თუმცა არაფერია ნათქვამი სომხეთის რეგულარულ არმიაზე. ამავე რეზოლუციით, უშიშროების საბჭო ითხოვს კელბაჯარისა და აზერბაიჯანის სხვა რაიონებიდან საოკუპაციო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას⁵⁷ *(დანართი №2)*.

1993 წლის 29 ივლისის №853 რეზოლუციაში გაერო-ს უშიშროების საბჭო, ადასტურებს რა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას: გმობს აგდამსკის რაიონისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვა ტერიტორიების დაკავების ფაქტს (თუმცა, კვლავ არაფერია ნათქვამი სომხეთის რეგულარულ არმიაზე); გმობს სამოქალაქო პირებზე თავდასხმისა და დასახლებული პუნქტების საარტილერიო დაბომბვის ფაქტებს; ითხოვს სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და აზერბაიჯანის ოკუპირებული რაიონებიდან საოკუპაციო ძალების უპირობო გაყვანას; დაჟინებით მოუწოდებს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას გააგრძელოს

⁵⁷ Резолюция Совета Безопасности ООН, № 822, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 30 апреля 1993 г.).

ზეგავლენის მოხდენა აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის რეგიონის სომხებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას №822 და №853 რეზოლუციების დებულებების შესრულება, ასევე ეუთო-ს მინსკის ჯგუფის წინადადებების მიღება⁵⁸ (დანართი №3).

1993 წლის 14 ოქტომბრის №874 რეზოლუციაში გაერო-ს უშიშროების საბჭო მოუწოდებს მხარეებს, დაიწყოთ ეუთო-ს მინსკის ჯგუფის „განახლებული გრაფიკით“ გათვალისწინებული გადაუდებელი ზომების განხორციელება, რაც თავისთავად გულისხმობს ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებას და სატრანსპორტო კომუნიკაციების დაუბრკოლებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ამასთან, გამოითქვა შეშფოთება აზერბაიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის ურთიერთობებში დაძაბულობის შენარჩუნების გამო, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობასა და უსაფრთხოებას⁵⁹ (დანართი №4).

1993 წლის 12 ნოემბერს მიღებულ № 884 რეზოლუციაში გაერო გმობს საბრძოლო მოქმედებების განახლებას, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის ზანგელანსკის რაიონისა და ქ. გორადიზას ოკუპაციას, ასევე აზერბაიჯანის მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც აქცენტი კეთდება მთიანი ყარაბაღის ადგილობრივ სომხურ ძალებზე და არა სომხეთის რესპუბლიკის რეგულარულ არმიაზე⁶⁰ (დანართი №5).

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული რეზოლუციებიდან ჩანს, გაერო ახდენს მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ აზერბაიჯანული ტერიტორიების ოკუპაცია მოხდა სომხური შეიარაღებული ფორმირებების (და არა სომხეთის რესპუბლიკის რეგულარული არმიის) მიერ, რაც წარმოადგენს არსებით მომენტს კონფლიქტის დარეგულირების სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრის თვალსაზრისით⁶¹. საკითხის ამგვარ ჭრილში განხილვა იმთავითვე ეჭვის ქვეშ აყენებს და სადაოს ხდის ოფიციალური ერევნის მხრიდან შეიარაღებული აგრესიის აქტს სუვერენული აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

მეორეს მხრივ, როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, ოფიციალური ერევანი არ უარყოფს თავის დაინტერესებას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ (ეს მომენტი ფიგურირებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს ოთხივე რეზოლუციაში), რადგან საქმე

⁵⁸ Резолюция Совета Безопасности ООН, № 853, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 29 июля 1993 г.).

⁵⁹ Резолюция Совета Безопасности ООН №874, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 14 октября 1993 г.).

⁶⁰ Резолюция Совета Безопасности ООН, № 884, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 12 ноября 1993 г.).

⁶¹ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში არ არის დაკონკრეტებული თუ ვინ იგულისხმება „სომხური შეიარაღებული ფორმირებების“ ქვეშ (ამ ტერმინის ქვეშ თავისუფლად შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სომხეთის რესპუბლიკის რეგულარული არმია, ისე მთიანი ყარაბაღის თავდაცვითი არმია).

ეხება ყარაბაღის ეთნიკურად სომხურ მოსახლეობას. რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობას, ეს უკანასკნელი ოფიციალური ერევნის ამგვარ პოზიციას, რიგ შემთხვევაში, გაგებით ეკიდება და აღიქვამს, როგორც ობიექტურს.

ყარაბაღის კონფლიქტი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ირედენტის ტიპური მაგალითი, ანუ როგორც ტერიტორიული დავის სპეციალური ტიპი. მსგავსი ტიპის ტერიტორიული დავები საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე მსოფლიოში. ასე მაგალითად, იუგოსლავიის დაშლის შემდგომ, ირედენტის ტიპის სერბებისა და ხორვატების მხრიდან გამოვლინდა მათ მისწრაფებაში, მიეერთებინათ მეზობელი ბოსნიის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც აღნიშნული ეთნოსების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ირედენტის ტიპის ელემენტები ასევე შეინიშნება ალბანეთში, სერბეთის კუთვნილი ტერიტორიის – კოსოვოს მიმართ, რომელიც უმეტესწილად ალბანელებით არის დასახლებული; პაკისტანში – ჯამუსა და ქაშმირის კონფლიქტებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ირედენტის ტიპის სამხრეთ კავკასიაში, ამის მაგალითებია „ყარაბაღი და ნახიჩევანი აზერბაიჯანში, ჯავახეთი საქართველოში, ყარსი თურქეთში – ესაა არასრული ჩამონათვალი იმ სახელმწიფოთა ტერიტორიების, სადაც ცხოვრობდნენ ან ამჟამად ცხოვრობენ სომხური ეროვნული უმცირესობანი და, რომლებზეც სომხეთს აქვს პრეტენზიები, როგორც ე.წ. „დიდი არმენიის“ მემკვიდრეს“⁶².

ყარაბაღთან მიმართებაში ირედენტის ტიპზე მართლაც შეიძლება საუბარი, ვინაიდან 1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის სომხეთთან მიერთების თაობაზე. თუმცა, ზუსტად ორი წლის შემდგომ (1991 წლის დეკემბერში) მთიანმა ყარაბაღმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო. აქედან გამომდინარეობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა განიცადა ერთგვარი ტრანსფორმაცია და *ირედენტის ტიპური ფორმიდან* მიიღო *სეცესიონისტური ფორმა*. ამ პერიოდის დან მოყოლებული დღემდე, ოფიციალურ დონეზე, სომხეთის რესპუბლიკა აღნიშნულ კონფლიქტს განიხილავს, როგორც მთიანი ყარაბაღის ხალხის სეცესიონისტურ ბრძოლას თავისი თვითგამორკვევისთვის. მიუხედავად ყველაფრისა, კონფლიქტის ისტორიის, მისი გამომწვევი მიზეზების, ასევე სომხურ საზოგადოებებში (როგორც მთიანი ყარაბაღში, ისე სომხეთის რესპუბლიკაში) არსებული განწყობებისა და, რაც ყველაზე მთავარია, მთიანი ყარაბაღის დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობის

⁶² Пашаева Гюльшен. Карабахский конфликт: есть ли выход из тупика? // ЦЕНТРАЛЬНАЯ АЗИЯ И КAVKAZ. №5 (6), 1999, [http://www.ca-c.org/journal/cac06_1999/pashaeva.shtml].

სიღრმისეულ ანალიზს თუ გავაკეთებთ, ნათელი გახდება, რომ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს გააჩნია აშკარად გამოკვეთილი ირედენტისტული ხასიათი.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე მსჯელობისას, აუცილებელია იმ გეოპოლიტიკური სიტუაციის გაანალიზება, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა. ამ კონტექსტში, ამერიკელი მკვლევარი პ. გობლი მთიან ყარაბაღთან დაკავშირებულ სიტუაციას აღარებს გადმობრუნებულ პირამიდას, რომელიც შედგება სამი იარუსისგან: ზედა, შუა და ქვედა [Goble, 1992]. 1) ზედა იარუსზე განლაგებულია ოთხი გარეშე მონაწილე – თურქეთი, ირანი, რუსეთი და დასავლეთი (დასავლეთ ევროპა და აშშ); 2) შუა იარუსზე განლაგებულია სამი მთავრობა – ოფიციალური ბაქო, ოფიციალური ერევანი და სტეპანაკერტი; 3) ქვედა იარუსზე განლაგებულია ორი ერი – სომხები და აზერბაიჯანელები, რომელთა მხრებზეც გადადის კონფლიქტის მთელი სიმძიმე.

ზედა იარუსის სიმძიმის ცენტრი მიმართულია ქვემოთ – სამი მთავრობისკენ (შუა იარუსი), რომლებიც თავისებურად აფასებენ კონფლიქტურ სიტუაციას და ახორციელებენ შესაბამის პოლიტიკას გარეშე აქტორების (ზედა იარუსის) ზემოქმედების ქვეშ. იქიდან გამომდინარე, რომ ადგილი აქვს ინტერესთა სერიოზულ სხვაობას გარეშე აქტორებს შორის, კონფლიქტის მხარეებს უძნელდებათ ცალსახად რომელიმე მათგანზე ორიენტირება. კონფლიქტის მხარეებს ასევე არ ძალუძთ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, რადგან ბევრ საკითხში სწორედ ამ გარეშე აქტორებზე არიან დამოკიდებულნი. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში სამხრეთ კავკასიის რეგიონი აღმოჩნდება რომელიმე ერთი გარეშე აქტორის (აშშ ან რუსეთი) სრული გავლენის ქვეშ, მაშინ უკვე მოსალოდნელი იქნება (ახალი ძალთა ბალანსიდან გამომდინარე) კონფლიქტის გადაწყვეტისკენ მიმართული თანმდევი ნაბიჯებიც. თუმცა, მეორეს მხრივ, ასეთ ვითარებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სიტუაციის ცალმხრივად შეფასებას და კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის ინტერესების სრულ იგნორირებას. არც ის არის გამორიცხული, რომ დომინანტმა გარეშე მონაწილემ შეგნებულადაც შეაფერხოს კონფლიქტის დარეგულირების პროცესი.

1994 წელს მიღწეული ზავის შემდგომ პერიოდში, წარმოდგენლი იყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პოტენციური გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი (პროექტი). თუმცა, მანამ სანამ აღნიშნულ ვარიანტებს ჩამოვთვლით, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რაში მდგომარეობს კონფლიქტში მონაწილე მხარეების ოფიციალური პოზიცია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პოზიცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ძირითადი თეზისების სახით:

- აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი განხილვას არ ექვემდებარება;
- სომხების მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანა, მთიანი ყარაბაღის არმიის განიარაღება და დაშლა;
- მთიან ყარაბაღზე აზერბაიჯანის იურისდიქციის აღდგენა.

მხოლოდ ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, აზერბაიჯანი მზად იქნება დაიწყოს მთიანი ყარაბაღის სტატუსის განხილვა. ოფიციალური ბაქოს პოზიციაა, რომ მთიან ყარაბაღს უნდა ჰქონდეს ძალზედ ფართო ავტონომია აზერბაიჯანის შემადგენლობაში, თუმცა, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში (კულტურული ავტონომია, ადმინისტრაციული ავტონომია, ან ავტონომიის რაიმე სხვა ფორმა), ეს ჯერ არ კონკრეტდება.

არაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პოზიცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ძირითადი თეზისების სახით:

- მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის იურისდიქციისა და ძველი დემოგრაფიული სტატუს-კვოს აღდგენის მიუღებლობა;
- აზერბაიჯანთან მხოლოდ ჰორიზონტალური (და არა ვერტიკალური) ურთიერთობები;
- სომხეთის რესპუბლიკასთან მიერთებაზე უარის თქმა უნდა განხილულ იქნას, როგორც კომპრომისი და დათმობა აზერბაიჯანული მხარის მიმართ;
- აზერბაიჯანის ექვსი ოკუპირებული ტერიტორიიდან (ქელბაჯარი, ყუბათლი, აგდამი, ფიზული, ჯებრაილი და ზანგელანი) ჯარების გაყვანაზე უარის თქმა მთიანი ყარაბაღის სტატუსის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, რადგან სტეპანაკერტი ამ ტერიტორიებს განიხილავს, როგორც ყარაბაღის უსაფრთხოების ზონას;
- ლაჩინის დერეფნის შენარჩუნება და ამით მთიანი ყარაბაღის ანკლავური მდგომარეობის გამორიცხვა.

რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის პოზიციას, ის პრინციპში მთლიანად ემთხვევა მთიანი ყარაბაღის სეპარატისტული ხელისუფლების პოზიციას, თუმცა არის მცირედი განსხვავებაც. კერძოდ, სომხეთი შესაძლებლად მიიჩნევს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებიდან (ლაჩინის დერეფნის გარდა) სომხური შენაერთების გაყვანას იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის უსაფრთ-

ხოების მყარი გარანტიები (მათ შორის საერთაშორისო გარანტიები – გაეროს, ეუთოს ან თუნდაც დსთ-ის ფორმატით).

ყარაბაღის დარეგულირებასთან დაკავშირებით შემუშავებული მიდგომები შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მოიცავს წინადადებებს, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა და დაინტერესებულ მხარეებს გადაეცათ კონფლიქტის დარეგულირების ოფიციალური ვარიანტები („საპაკეტო ვარიანტი“, „ეტაპობრივი ვარიანტი“, „ასოცირებული/საერთო სახელმწიფოს“ მოდელი). მეორე ჯგუფი ძირითადად მოიცავს დეკლარაციული ხასიათის წინადადებებს, რომელთა შემდგომი დეტალიზირება არ მომხდარა.

1996 წლის 7 მარტს ქ. ვენაში ეუთო-ს მუდმივ საბჭოზე მოსმენილ იქნა მინსკის კონფერენციის თანათავმჯდომარეების ინფორმაცია მინსკის პროცესის დინამიკის შესახებ⁶³. სხდომაზე დადებითი შეფასება მიიღო მინსკის ჯგუფის შუამავლების მიერ წარმოდგენილმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების „საპაკეტო ვარიანტმა“, რომელიც გულისხმობდა შემდეგს:

- მთიანი ყარაბაღის საჯარისო ნაწილების გაყვანას აზერბაიჯანის დაკავებული (ოკუპირებული) ტერიტორიებიდან ლაჩინას გარდა (სახმელეთო დერეფანი, რომელიც სომხეთს აკავშირებს მთიან ყარაბაღთან და ამით გამორიცხავს მის ანკლავურ მდგომარეობას), ასევე აზერბაიჯანის ჯარების გაყვანას მთიანი ყარაბაღის ზოგიერთი ტერიტორიიდან (მაგალითად, მარტაკერთის ოლქიდან);
- მთიანი ყარაბაღის სტატუსის გადაწყვეტას;
- საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებას აზერბაიჯანულ-სომხური ურთიერთშეხების ხაზზე, დემილიტარიზებული ზონის ჩამოყალიბებით;
- სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ბლოკადის მოხსნას თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან;
- დევნილების თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

ზემოხსენებული შეთავაზების ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ ჯარების გაყვანისა და მთიანი ყარაბაღის სტატუსის საკითხების ერთდროულად (ერთიან პაკეტში) გადაწყვეტა, მისაღები იყო სტეპანაკერტისთვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთიანი ყარაბაღის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უარყო პრობლემის მოგვარების გეგმა, ვინაიდან ეს ვარიანტი ითვალისწინებდა კონფლიქტის გადაწყვეტას მთიანი ყარაბაღის

⁶³ Дипломатический вестник, 1996, № 4. С. 70.

ავტონომიის საფუძველზე აზერბაიჯანის შემადგენლობაში. აღნიშნული გეგმა ასევე დაიწუნა ოფიციალურმა ბაქომ, რომელიც წინააღმდეგია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებისა და მთიანი ყარაბაღის სტატუსის საკითხების გადაწყვეტა ერთდროულად მოხდეს.

შექმნილ რთულ ვითარებაში, ეუთო-ს მინსკის ჯგუფის შუამავლების მიერ წარმოდგენილ იქნა ალტერნატიული, ე.წ. „ეტაპობრივი ვარიანტი“, რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტის დარეგულირების „საპაკეტო ვარიანტში“ ასახული პრობლემების ეტაპობრივ გადაწყვეტას (პირველ ეტაპზე ყარაბაღის არმიას უნდა დაეტოვებინა მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები; შემდგომ ამისა, უნდა მომხდარიყო იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება; ბოლო ეტაპზე კი იგეგმებოდა მთიანი ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრა). ეს ვარიანტი ასევე აღიარებდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და მხარს უჭერდა აზერბაიჯანის იურისდიქციის აღდგენას მთიან ყარაბაღზე. ბაქო დაეთანხმა ამ პროექტს, ხოლო მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ კატეგორიულად უარყო იგი. ამ სიტუაციაში ძალზედ საინტერესოა ოფიციალური ერევნის პოზიცია. კერძოდ, სომხეთის იმდროინდელი პრეზიდენტი ლევონ ტერ პეტროსიანი დათანხმდა (საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ზეწოლის გამო) მიეღო ეს „ეტაპობრივი ვარიანტი“, როგორც საფუძველი შემდგომი მოლაპარაკებებისთვის. მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, ტერ პეტროსიანი შესაძლოა დათანხმებულიყო იმაზე, რომ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა დე-იურე (de jure) დარჩებოდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ხოლო დე-ფაქტო (de facto) – დამოუკიდებელი. ლევონ ტერ პეტროსიანის ამ კომპრომისმა გამოიწვია უკიდურესად ნეგატიური რეაქცია, როგორც თავად სომხეთში, ისე მთიან ყარაბაღსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სომხურ დიასპორაში. სომხეთში დაიწყო შიდა პოლიტიკური კრიზისი. შემდგომში სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ პრეზიდენტი ლევონ ტერ პეტროსიანი იძულებული გახდა გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან.

1998 წელს სომხეთის პრეზიდენტად რობერტ კოჩარიანის არჩევის შემდეგ, ოფიციალური ერევნის პოზიცია მკვეთრად შეიცვალა – სომხეთის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო კონფლიქტის დარეგულირების „ეტაპობრივი ვარიანტი“.

ამერიკელმა მკვლევარმა პ. გობლიმ შეიმუშავა „ტერიტორიული გაცვლის“ მოდელი. დარეგულირების ეს ვარიანტი ითვალისწინებდა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის ნაწილის გადაცემას სომხეთისთვის, ხოლო ამის სანაცვლოდ, სომხეთის ტერიტორიის იმ

ნაწილის აზერბაიჯანისთვის გადაცემას, რომელიც ამ უკანასკნელს დააკავშირებდა ნახიჩევანთან. თუმცა, მალევე გააცნობიერა რა ხსენებული გეგმის არარეალურობა (სომხეთი ესაზღვრება ირანს და, აქედან გამომდინარე, ამ ტერიტორიას სომხეთისთვის გააჩნია განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა), პ. გობლიმ მასში შეიტანა ცვლილებები. კერძოდ, მან მხარეებს შესთავაზა სატრანსპორტო დერეფანი მეგრიზე გავლით და იქ სამშვიდობო ძალების განლაგება. საბოლოოდ არც ეს ვარიანტი იქნა მიღებული.

მთიანი ყარაბაღის საკითხზე მოლაპარაკებებში აშშ-ის ყოფილმა სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯონ მარესკამ შეიმუშავა (1994) „ასოცირებული/საერთო სახელმწიფოს“ მოდელი (პუერტო-რიკოს, მარშალის კუნძულებისა და მიკრონეზიის ფედერალური შტატების მაგალითზე, რომლებიც ასოცირებულნი არიან აშშ-თან). ამ მოდელის თანახმად, სახელმწიფოებრიობასთან ასოცირებული მხარე მთლიანად ახდენს თავის შიდა თვითგამორკვევას ანუ გააჩნია უმაღლესი დონის თვითმმართველობა საკუთარი კონსტიტუციის საფუძველზე, თუმცა, გარკვეული უფლებამოსილება (მხარეთა შეთანხმების საფუძველზე) რჩება იმ სახელმწიფოს პრეროგატივაში, რომელთანაც მყარდება ეს ასოცირებული კავშირი. ჯონ მარესკას წინადადება შედგებოდა 8 ელემენტისგან, რომლებიც ითვალისწინებდნენ ყარაბაღის პრობლემების გადაწყვეტას. ყველაზე მთავარ საკითხს აქ წარმოადგენდა მთიანი ყარაბაღის სტატუსი, რომელიც პირობითად მოხსენიებულია, როგორც „აზერბაიჯანთან თავისუფლად ასოცირებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“. ეს ვარიანტი უფრო მისაღები იყო სომხური მხარისათვის, ვინაიდან მასში არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული მთიანი ყარაბაღის უპირობო სუბორდინაცია ოფიციალური ბაქოს მიმართ. არსებობს მოსაზრება, რომ, ცალკეული ელემენტების დახვეწის შემთხვევაში, ამ მოდელის რომელიმე მოდიფიცირებული ვარიანტი მომავალში შესაძლოა გახდეს კიდევ მოლაპარაკებების საგანი, კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის კონტექსტში.

ამერიკელმა მკვლევარმა რუტ ლოპიდოტმა შეიმუშავა ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის თავისი განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც „ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც ენიჭება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც შეადგენს სპეციფიკური რეგიონის უმრავლესობას“⁶⁴. შემდგომში ავტორი აზუსტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გადანაწილება ცენტრსა და ავტონომიას შორის. კერძოდ, ასეთ შემთხვე-

⁶⁴ Ruth Lapidoth. *Autonomy – Flexible solutions to ethnic conflicts*. Unites States Institute of Peace, 1997, P. 33.

ვაში, მხოლოდ უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები რჩება ცენტრის პრეროგატივაში. თუმცა, ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ავტონომიას შეუძლია მიუერთდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მიუხედავად ყველაფრისა, სომხური მხარე უარყოფს მთიანი ყარაბაღის ავტონომიის ნებისმიერ ფორმას აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ვინაიდან სტეპანაკერტი კატეგორიული წინააღმდეგია ბაქოსთან ვერტიკალური ურთიერთობების.

1998 წლის ნოემბერში ეუთო-ს მინსკის ჯგუფის სპეციალურმა წარმომადგენლებმა შეიმუშავეს ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ახალი ვარიანტი. აღნიშნული გეგმა ეყრდნობოდა კონფედერაციის პრინციპს და ითვალისწინებდა მხოლოდ პორიზონტალურ ურთიერთობებს აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და მთიან ყარაბაღს შორის. სომხურმა მხარემ იმთავითვე მოიწონა ეს ვარიანტი, მაგრამ, ოფიციალურმა ბაქომ, ბუნებრივია, უარი თქვა მასზე.

რუსეთი ყველანაირი ხერხებით ცდილობდა, გაემყარებინა თავისი პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს, თუნდაც, 1997 წლის აგვისტოში რუსეთსა და სომხეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“⁶⁵. მოსკოვის მცდელობების მიუხედავად, 1999 წლის გაზაფხულიდან, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ინიციატივა (ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ფარგლებში) თანდათანობით აშშ-ის ხელში გადადის. ეს ტენდენცია, პირველ რიგში, რეგიონის მიმართ აშშ-ის სულ უფრო მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით აიხსნება. თუმცა, აშშ-ის გაძლიერებული პოზიციის მიუხედავად, სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა ხაზგასმით განაცხადა, რომ რუსეთი კვლავინდებურად ითამაშებს უდიდეს როლს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში.

მას შემდეგ, რაც სომხეთის რესპუბლიკაში შეიცვალა უმაღლესი ხელმძღვანელობა, ახალმა პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა დაიწყო პერმანენტული შეხვედრების გამართვა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან. რეალურად, კონფლიქტის დარეგულირების პროცესი ამით წინ არ წასულა, თუმცა, აღნიშნულმა შეხვედრებმა ერთი შედეგი მაინც გამოიღეს – მთიანი ყარაბაღი, ფაქტიურად, გამოეთიშა მოლაპარაკებათა პროცესს. მოლაპარაკებათა ახალი ფორმატის (სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების პირადი შეხვედრები) თანახმად, მთიანი ყარაბაღი უკვე აღარ წარმოადგენს

⁶⁵ Независимая газета – 21.10.1997.

მოლაპარაკებების ცალკე სუბიექტს (ყარაბაღის უსაფრთხოების გარანტიად გვევლინება სომხეთის რესპუბლიკა), ხოლო მის თვითგამორკვევაზე კი საუბარიც ზედმეტია.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი წინააღმდეგობა მხარეთა შორის პოზიციებში არის მთიანი ყარაბაღის სტატუსი. ამ საკითხში აზერბაიჯანის პოზიცია დღესაც უცვლელია. კერძოდ, აზერბაიჯანული მხარის აზრით, უნდა განხორციელდეს მიზანმიმართული ზომები სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის ურთიერთობების დიფერენციაციის თვალსაზრისით. სომხეთმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თავისი ურთიერთობა მთიან ყარაბაღთან და დაიკავოს სრულიად ნეიტრალური პოზიცია ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მას სურს, რომ აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღი კვლავაც განიხილოს, როგორც კონფლიქტის მხარე.

სომეხი პოლიტოლოგების საკმაოდ სოლიდური ნაწილი თვლის, რომ მოლაპარაკებათა ამჟამინდელი ფორმატი, სადაც მთიანი ყარაბაღი არ მონაწილეობს როგორც კონფლიქტის მხარე, საშუალებას აძლევს შესახელმწიფოებს კონტროლის ქვეშ ჰყავდეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებები. უშუალოდ მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლებასაც არაერთხელ განუცხადებია, რომ კონფლიქტის რეალური დარეგულირება შეუძლებელია სტეპანაკერტის აქტიური მონაწილეობის გარეშე. მოლაპარაკებების პროცესში სტეპანაკერტის ხელახალი ჩართვა არც ისე ადვილი საქმეა. თუმცა, საერთაშორისო შუამავლები, მათ შორის, რუსეთის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ რაღაც ეტაპზე მთიანი ყარაბაღი შესაძლოა კვლავ მიუერთდეს მოლაპარაკებათა პროცესს.

2005 წლის დასაწყისში აზერბაიჯანის მოთხოვნით ეუთომ ფაქტების მომძიებელი მისია მიავლინა მთიანი ყარაბაღის გარშემო სომხების მიერ ოკუპირებულ აზერბაიჯანის რაიონებში. მისიას უნდა შეესწავლა ბაქოს მტკიცება იმის შესახებ, რომ ერევანი ოკუპირებულ ტერიტორიებზე სომხების ახალდასახლებებს ქმნის. ფაქტების მომძიებელმა მისიამ დაადასტურა სომხური ახალდასახლებების ცალკეული შემთხვევების არსებობა, ძირითადად ლაჩინის რაიონში⁶⁶, მაგრამ დაასკვნა: ამ ახალდასახლებათა შექმნის პროცესი უმეტესად არაორგანიზებულ ხასიათს ატარებს და ცალკეულ ადამიანთა ინიციატივის შედეგია, ზოგიერთ შემთხვევაში კი მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობის ჩარევით ხორციელდება. ფაქტების მომძიებელმა მისიამ გამორიცხა სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის როლი ამ ახალდასახლებათა შექმნის პროცესში.

⁶⁶ ოკუპაციამდე ამ რაიონში სომხები თითქმის საერთოდ არ ცხოვრობდნენ.

მთიანი ყარაბაღის საკითხში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურმა წარმომადგენელმა გორან ლენმარკერმა ვაშინგტონში გამართულ ასამბლეის ერთ-ერთ სხდომაზე წარადგინა (2005) მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი წარსულის მემკვიდრეობაა. ლენმარკერის აზრით, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეებმა ახლავე უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და არ დაელოდონ კონფლიქტის ფართომასშტაბიანი მოწესრიგების რთული და ხანგრძლივი პროცესის დასრულებას. სომხეთმა და აზერბაიჯანმა ეს თანამშრომლობა უნდა განახორციელონ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში. იმის გამო, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს ყარაბაღის ისტორიის სრულიად განსხვავებული ვერსიები აქვთ, ლენმარკერის აზრით, უნდა შეიქმნას მიუკერძოებელი კომიტეტი, რომლის მიზანიც იქნება ტექნიკური დადგენა და მხარეთა შერიგება. თავის მოხსენებაში, ლენმარკერმა ყარაბაღისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა, ვინაიდან ყარაბაღის დამოუკიდებლობა კავკასიის წერილ-წერილ სახელმწიფოებად დანაწევრების პროცედენტს შექმნის. ლენმარკერმა ალანდის კუნძულების მაგალითი მოიყვანა და დასძინა, რომ 48 წლიანი კონფლიქტის მიუხედავად, ალანდელი შვედები ვერ გამოეყვნენ ფინეთს. ამჟამად, ალანდს ავტონომია აქვს და ფინეთის შემადგენლობაშიც მშვენივრად გრძნობს თავს.

2006 წლის 22 ივნისს ეუთოს მინსკის ჯგუფის მიერ გახმოვანებული ყარაბაღის დარეგულირების საბაზისო პრინციპების თანახმად, მთიანი ყარაბაღის სამართლებრივი სტატუსის საბოლოო განსაზღვრისთვის, მომავალში უნდა გაიმართოს რეფერენდუმი ან პლემბისციტი, რომლის კონკრეტული ვადებიც დაკონკრეტებული არ არის. რეფერენდუმის ფორმატსა და ვადებზე მხარეებმა ცალკე კონსულტაციები უნდა გამართონ. 2006 წლის ოქტომბერში, საერთაშორისო შუამავლებმა მხარეებს წარუდგინეს კონფლიქტის დარეგულირების საბაზისო პრინციპების ე.წ. მოდიფიცირებული ვარიანტი, თუმცა უშედეგოდ. იმავე წლის დეკემბერში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ თუ სამშვიდობო პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, აზერბაიჯანი გამოეთიშებოდა ამ პროცესს. სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ თუ სამშვიდობო პროცესი შედეგს არ გამოიღებდა, სომხეთი სცნობდა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას.

2007 წლის 23 იანვარს მოსკოვში შედგა აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც მთლიანად მიეძღვნა მთიანი ყარაბაღის

კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას⁶⁷. როგორც პრესა იუწყება, მოლაპარაკებები კონსტრუქციულ ხასიათს ატარებდა და საკმაოდ ფართო ფორმატით წარიმართა. ელმარ მამედაროვისა და ვარდან ოსკანიანის გარდა, მასში მონაწილეობდნენ ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები – მეთიუ ბრაიზა (აშშ), იური მერზლიაკოვი (რუსეთი) და ბერნარ ფასიე (საფრანგეთი), ასევე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და მისი მოადგილე გრიგორი კარასინი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში განაახლებდნენ კონსულტაციებს.

მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მ. კამინინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მხარეებმა თავად უნდა მოახერხონ კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი პრინციპების შეთანხმება. ამ თვალსაზრისით, ოფიციალური მოსკოვის პოზიცია პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი პასუხისმგებლობა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საბოლოო ფორმულის შემუშავებაზე თავად აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებს ეკისრებათ. რუსეთი კი თავის მხრივ მხარს დაუჭერს პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც მისაღები იქნება კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისათვის (კომპრომისული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, რუსეთი მზად იქნება გამოვიდეს დარეგულირების გარანტიის როლში).

2007 წლის 14 მარტს, ე.წ. „პრადის პროცესის“ ფარგლებში, უენევაში სომხურ-აზერბაიჯანული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სომხურმა და აზერბაიჯანულმა მხარეებმა თავი შეიკავეს მოლაპარაკებათა შედეგების კომენტარებისგან, პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე განხილულ იქნა საერთაშორისო შუამავლების მიერ შემუშავებული დოკუმენტის პროექტი, რომელშიც ასახული იყო კონფლიქტის დარეგულირების ფუძემდებლური (საბაზისო) პრინციპები. რუსეთის წარმომადგენლის ი. მერზლიაკოვის განცხადებით, ხსენებული პრინციპები გულისხმობდნენ ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტას: 1) სომხური სამხედრო შენაერთების გაყვანა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ დაკავებული (ოკუპირებული) ტერიტორიებიდან; 2) მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის შუალედური (დროებითი) სტატუსის განსაზღვრა იმ პერიოდამდე, სანამ არ გაიმართება რეფერენდუმი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რუსი დიპლომატის განმარტებით, ეუთოს

⁶⁷ 2007 წლის ზაფხულში „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში“ გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც „რესპუბლიკის“ პრეზიდენტმა არკადი გუკასიანმა მონაწილეობა აღარ მიიღო. სეპარატისტული მთიანი ყარაბაღის ახალი პრეზიდენტი გახდა ბაკო სააკიანი.

მინსკის ჯგუფი აქტიურად მუშაობს ისეთი „შუალედური“ სტატუსის შემუშავებაზე, რომელიც შეინარჩუნებს რა რეგიონში ამჟამად არსებულ დე-ფაქტო სიტუაციას, საშუალებას მისცემს მთიან ყარაბაღს იქონიოს გარკვეული კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რისთვისაც არ იქნება აუცილებელი, რომ იგი წარმოადგენდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. რაც შეეხება დევნილებს, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების განცხადებით, მათ დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემები სომხურმა და აზერბაიჯანულმა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ერთობლივად, ორმხრივი დიალოგის პირობებში.

2007 წლის ნოემბერში ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა, ქ. მადრიდში გამართული ეუთოს მინისტერიალის ფარგლებში, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს წარუდგინეს ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების კიდევ უფრო მოდიფიცირებული 15 საბაზისო პრინციპი (ე.წ. „მადრიდის პრინციპები“). მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ დოკუმენტს გამოუჩნდა საკმაოდ ბევრი კრიტიკოსი როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ საზოგადოებებში, მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებს მიაჩნიათ, რომ “მადრიდის პრინციპები” სამართლიანი და დაბალანსებულია. ეუთოს მიერ ოფიციალურად გავრცელებულ შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ მოლაპარაკებების ბოლო სამი წლის მანძილზე მხარეები მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ამ ეტაპზე მხარეთა პოზიციებში შესათანხმებელი დარჩა მხოლოდ რამდენიმე განსხვავება. ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების განცხადებით, საბაზისო პრინციპები, რომლებიც მხარეებს მადრიდში გადაეცათ მიზნად ისახავენ სწორედ ამ დარჩენილი განსხვავებების დარეგულირებას.

მიუხედავად იმისა, რომ „მადრიდის პრინციპები“, ისევე როგორც „პრადის პროცესის“ ფარგლებში მიღებული სხვა დოკუმენტები ძირითადად წარმოადგენს მხარეთა ხედვებს, პოზიტიური ფაქტია ის, რომ არსებობს კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ბაზას მოლაპარაკებებისთვის. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ თითოეული მხარე (სომხური და აზერბაიჯანული მხარეები) თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს ეუთოს შუამავლების მიერ წარმოდგენილ დარეგულირების საბაზისო პრინციპებს. ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების სურვილია, რომ აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ (2008 წლის 15 ოქტომბერი), კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე მოლაპარაკებები ნულიდან დასაწყები არ გახდეს. ამ ეტაპზე თანათავმჯდომარეების ძირითად იმედად რჩება, სომხეთისა და აზერ-

ბაიჯანის პრეზიდენტების მიერ ერთობლივი განცხადების გაკეთება (ან ხელმოწერა) მოლაპარაკებების გაგრძელების მზადყოფნის თაობაზე.

მოლაპარაკებათა პროცესის ქვაკუთხედს წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ „მადრიდის პრინციპების“ (15 საბაზისო პრინციპი) საჯარო გამოქვეყნება არ მომხდარა და მათი განხილვაც დახურულ ფორმატში მიმდინარეობს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული სტატიებისა და ცალკეული პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების გამონათქვამების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საბაზისო პრინციპები მოიცავენ შემდეგ ძირითად პუნქტებს: სომხური ძალების მიერ მთიანი ყარაბაღის ირგვლივ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, რომლებიც ამჟამად განიხილება როგორც ყარაბაღის უსაფრთხოების ზონა (ჯერ საუბარია მხოლოდ 5 რაიონზე); დევნილების დაბრუნება თავიანთ მიწა-წყალზე; მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოებისა და ამ ანკლავის სომხეთის რესუბლიკასთან კავშირის უზრუნველყოფის საკითხი; სხვა საკითხები. ამის შემდეგ, ეუთო გეგმავს მოლაპარაკებების წარმოებას უშუალოდ მთიანი ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის საკითხზე.

მას შემდეგ, რაც ოფიციალურ ბაქოსა და ოფიციალურ ერევნს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება დარეგულირების 15-ვე საბაზისო პრინციპთან დაკავშირებით, ეუთო დაიწყებს აქტიურ მუშაობას კონფლიქტის დარეგულირების ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტზე (მთიანი ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის საკითხიც ამ 15 საბაზისო პრინციპში შედის). არ არის გამორიცხული, რომ სამშვიდობო პროცესის ამ კონკრეტულ, დასკვნით ეტაპზე, მოლაპარაკებებში ჩაერთოს თავად მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლებაც⁶⁸.

„მადრიდის პრინციპები“ წარმოადგენენ კონფლიქტის დარეგულირების საბაზისო პრინციპებს, რაც იმას ნიშნავს რომ დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეტალებისა, როგორცაა მაგალითად სომხური ძალების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების გრაფიკი, ასევე არ არის დეტალიზებული თუ კონკრეტულად რა პირობების საფუძველზე უნდა მოხდეს დევნილების თავიანთ სახლებში დაბრუნება და ა.შ.

⁶⁸ რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის, როგორც ცალკე მხარის ჩართვას მოლაპარაკებათა პროცესში, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათამაჯდომარეების განცხადებით, ეს შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც სომხური და აზერბაიჯანული მხარეები შეთანხმდებიან კონფლიქტის დარეგულირების ძირითად საბაზისო პრინციპებზე.

2008 წლის 14 მარტს, გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიის ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლუცია „მდგომარეობა აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, სადაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და ოკუპირებული რაიონების გათავისუფლების აუცილებლობა⁶⁹. ოფიციალური ბაქოს მიერ ეს ფაქტი შეფასდა, როგორც აზერბაიჯანული დიპლომატიის სერიოზული წარმატება.

2008 წლის 6 ივნისს სანკტ-პეტერბურგში, დსთ-ის არაფორმალური სამიტის ფარგლებში, გაიმართა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევისა და სომხეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის პირისპირ შეხვედრა. შეხვედრას ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ პრეზიდენტების საუბარმა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა. საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასევე აღნიშნეს, რომ პრეზიდენტები დიდხანს არ შეჩერებულან „მადრიდის წინადადებებზე“, ვინაიდან შეხვედრა ძირითადად გაცნობით ხასიათს ატარებდა. მათივე თქმით, ამ საბაზისო პრინციპებთან დაკავშირებით მხარეებს გააჩნიათ თავიანთი მიდგომები, რომლებიც დამატებით განხილვებს საჭიროებს.

2008 წლის 3 ივლისს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ერთდღიანი ვიზიტით ეწვია ქ. ბაქოს, სადაც მან ხელი მოაწერა აზერბაიჯანთან „სტრატეგიული თანამშრომლობის დეკლარაციას“ და დააფიქსირა რუსეთის პოზიცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტ მედვედევის ბაქოში ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარემ რუსეთის მხრიდან იური მერზლიაკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ა.წ. 6 ივნისს ქ. სანკტ-პეტერბურგში გამართული შეხვედრის შემდგომ, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებმა თხოვნით მიმართეს საერთაშორისო შუამავლებს, განაგრძონ მუშაობა ე.წ. „მადრიდის პრინციპების“ საფუძველზე. მისივე თქმით, ორივე მხარეს გააჩნია გარკვეული შენიშვნები ამ საბაზისო პრინციპების მიმართ, რის გამოც ამჟამად ხდება მათი საბოლოო გადაზუსტება. ი. მერზლიაკოვმა ისიც აღნიშნა, რომ არსებული 14-15 საბაზისო პრინციპიდან აზერბაიჯანული და სომხური მხარეები ვერ თანხმდებიან მხოლოდ 4 პრინციპზე, თუმცა ამ უკანასკნელთა დაკონკრეტებისგან რუსმა დიპლომატმა თავი შეიკავა. უდავოა, რომ ამ შეუთანხმებელი პრინციპებიდან ყველაზე პრობლე-

⁶⁹ საქართველომ მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასარგებლოდ.

მატური მთიანი ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის საკითხია. სწორედ ეს არის ის უმთავრესი საკითხი, რაზეც საერთაშორისო შუამავლებების არაერთი ძალისხმევის მიუხედავად, აზერბაიჯანული და სომხური მხარეები დღემდე ვერ ახერხებენ საერთო ენის გამონახვას⁷⁰. ჩვენი მიდგომები ყარაბაღის დარეგულირების საბაზისო პრინციპებთან ეფუძნება ეუთოს ჰელსინკის აქტის ათი პრინციპიდან სამს. ეს სამი პრინციპია: ტერიტორიული მთლიანობა; ერების თანასწორობა და თვითგამორკვევის უფლება; და ძალის ან ძალით მუქარის არ გამოყენება“, – აღნიშნა იური მერზლიაკოვმა. მისივე თქმით, ყოველსომხური სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა ახლო მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა თუ მხარეები 2008 წლის განმავლობაში მოახერხებდნენ „საბაზისო პრინციპებზე“ შეთანხმებას, ეს იქნებოდა უსერიოზულესი პროგრესის მაჩვენებელი.

ჩვენის აზრით, მოკლევადიან ან თუნდაც საშუალოვადიან პერსპექტივაში, რაიმე ქმედითი შეთანხმების მიღწევა აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებს შორის ძალზედ რთული იქნება, თუ არა შეუძლებელიც. სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რ. ქოჩარიანი ხელისუფლებაში მას შემდეგ მოვიდა, რაც მისი წინამორბედის, პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანის მიერ „მოწონებული“ ეტაპობრივი დარეგულირების გეგმას უზარმაზარი საზოგადოებრივი მდღეგარება მოჰყვა. სომხეთის დღევანდელ ხელისუფალს სარე სარქისიანს, რომელსაც საპრეზიდენტო სავარძელი რობერტ ქოჩარიანისგან ერგო, მუდმივად ახსენებენ ამ გარემოებას, რის გამოც მას კომპრომისებზე წასვლა უჭირს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სომხეთის დღევანდელი ოპოზიცია სარე სარქისიანის ლეგიტიმურობას არ ცნობს. ამიტომაც, მთიანი ყარაბაღის საკითხში სომხეთის მთავრობის მხრიდან მცირე დათმობასაც კი ოპოზიცია სახელმწიფო დალატად შეაფასებს და ფართო ანტისამთავრობო კამპანიას წამოიწყებს. აზერბაიჯანის დღევანდელი ხელისუფლებაც დაახლოებით იმავე წნეხის ქვეშაა. არც პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ლეგიტიმურობას ცნობს აზერბაიჯანის ოპოზიციის გარკვეული ნაწილი. აქედან გამომდინარე, ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა მისაღებ და გონივრულ კომპრომისებთან დაკავშირებით, მეტისმეტად გაძნელებულია.

⁷⁰ მოლაპარაკებები მთიანი ყარაბაღის საკითხზე განახლდა 2004 წელს (ე.წ. „პრადის პროცესის“ ფარგლებში), მაგრამ შემდგომში „ჩისში“ აღმოჩნდა იმის გამო, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ყარაბაღის სამართლებრივ-პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით. 2006 წელს საერთაშორისო შუამავლებმა მოამზადეს და მხარეებს წარუდგინეს ე.წ. მოდიფიცირებული ვარიანტი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, თუმცა კვლავ უშედეგოდ. 2007 წლის ნოემბერში, მადრიდში, მხარეებს განსახილველად გადაეცათ კონფლიქტის დარეგულირების მოდიფიცირებული 15 საბაზისო პრინციპი („მადრიდის პრინციპები“), რაც ამჟამადც წარმოადგენს მოლაპარაკებების საგანს.





მთიანი ყარაბაღის რეგიონი



მთიან ყარაბაღსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლე ეთნიკური ჯგუფები



აზერბაიჯანისა და სომხეთის რუკები, სადაც დატანილია ის სამხედრო-საჰაერო ბაზები, რომლებიც იქ არსებობს ჯერ კიდევ სსრკ-ის პერიოდლიდან



Copyright 1994-1998.
Ministry of Foreign Affairs
of the Republic of Azerbaijan.
All rights reserved.

*სომხური ძალების მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანული ტერიტორიები
(მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის ჩათვლით)*



*სომხურ-აზერბაიჯანული შეიარაღებული კონფლიქტის ზონა
(მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის ჩათვლით)*

3.2. კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი): ისტორია და თანამედროვეობა

კონფლიქტს შეიძლება ვუწოდოთ ეთნიკური იმ შემთხვევაში, თუ ადამიანების ეთნიკური წარმომავლობა წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ კრიტერიუმს საიმისოდ, რათა ისინი კონფლიქტის ამა თუ იმ მხარეს მივაკუთვნოთ. თუმცა, ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნება შეიძლება ატარებდეს როგორც აქტუალურ, ისე ჰიპოთეზურ ხასიათს. ის შეიძლება იყოს, როგორც თავად კონფლიქტში მონაწილე პირების თავისუფალი და შეგნებული არჩევანი, ისე გარეშე ძალების მიერ თავსმოსვეული. ამდენად, უფრო გამართლებულად მიგვაჩნია საუბარი პოლიტიკურ კონფლიქტზე აშკარად გამოკვეთილი ეთნიკური შემადგენელით ანუ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტზე.

3.2.1. ქართულ-ოსური დაპირისპირების დინამიკა 1990-2003 წლებში („ვარდების რევოლუციამდე“). ქართულ-ოსური დაპირისპირება წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ტიპურ მაგალითს. კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები ის დესტრუქციული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) უმაღლესი ხელმძღვანელობა XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში. სიტუაციის დაძაბვას ასევე დიდად შეუწყო ხელი იმდროინდელი პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლებმა და, შემდგომში, მათ შორის წარმოქმნილმა დაპირისპირებამ⁷¹. მას შემდეგ, რაც ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სუტუაცია უკიდურესად დაიძაბა და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების სახე მიიღო, კონფლიქტი უკვე შეეხო უშუალოდ ქართველი და ოსი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს. „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურმა კონფლიქტმა ფაქტიურად მიიღო „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის სახე, რომელსაც ეთნო-ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, იმის გამო, რომ კონფლიქტის თავდაპირველ პროვოცირებაში გაცილებით უფრო დიდი „წვლილი მიუძღვოდა“ მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკას, ვიდრე ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებულ ეთნოსშორის წინააღმდეგობებს, ქართულ-ოსური დაპირისპირება, ვფიქრობთ, პოლიტიკური კონფლიქტი უფროა, ვიდრე ეთნიკური (განსხვავებით ოსურ-ინგუშური კონფლიქტისგან, სადაც ეთნიკური შემადგენელი წარმოადგენდა კონფლიქტის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქ-

⁷¹ დაპირისპირების პროცესის ერთ-ერთ პირველ გამოვლინებად იქცა ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე დებატები საქართველოს კონსტიტუციაში შესაძლო ცვლილებების შეტანისა და ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ. აღნიშნულმა დისკუსიამ პარალელური ტენდენციები გამოიწვია იმდროინდელი საქართველოს სსრ ავტონომიურ წარმონაქმნებშიც – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ტორს). ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსური მოსახლეობა ყოველთვის იყო საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეთნიკური სტრუქტურის ინტეგრირებული ნაწილი.

კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას თავის ისტორიულ მიწა-წყლად განიხილავს და მასზე საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ცდილობს. ამ თვალსაზრისით, ქართულ-ოსური კონფლიქტი არსებითად ტერიტორიისთვის ბრძოლაა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული მხარე ოსების შიდა ქართლში ცხოვრების უფლებას არ უარყოფს, ისევე როგორც „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლებაც აღიარებს ქართველების იქ ცხოვრების კანონიერ უფლებას, შეიძლება ითქვას, რომ ქართველებისა და ოსების დავის ძირითადი საგანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ამჟამინდელი პოლიტიკური სტატუსია.

ეთნიკური ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთი კავკასიაა (ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანია), რომელიც სამხრეთ კავკასიისგან ბუნებრივი საზღვრით – კავკასიონის ქედით არის გამოყოფილი. IX-XIII საუკუნეებში ალანებს (ქართული ისტორიული წყაროები მათ იმთავითვე ოვსების სახელით იხსენიებს) ჩრდილოეთ კავკასიაში ჰქონდათ ძლიერი ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა უბირველეს ყოვლისა საქართველოსთან, ასევე კიევის რუსეთთან და ბიზანტიის იმპერიასთანაც. ამას ემატებოდა მჭიდრო ნათესაური კავშირები და დინასტიური ქორწინებები⁷². თუმცა, იყო უსიამოვნო მომენტებიც, რაც სავსებით ბუნებრივია. ქართული ისტორიული წყაროები იუწყებიან, რომ ოსები პერიოდულად გადმოდიოდნენ კავკასიონის ქედზე და თავს ესხმოდნენ მის სამხრეთით მდებარე ქართულ სოფლებს. თათარ-მონღოლთა და თემურ ლენგის შემოსევებმა (XIII-XIV საუკუნეები) ბოლო მოუღეს ალანთა (ოსთა) სახელმწიფოს. XVII-XVIII საუკუნეებში ოსებმა თანდათან საქართველოს ბარში ჩამოსახლება დაიწყეს, ძირითადად მაჩაბლების, ქსნისა და არაგვის ერისთავების სამფლობელოებში. ამრიგად, ხანგრძლივი პროცესის შედეგად, შიდა ქართლის ჩრდილოეთ განაპირა ტერიტორიაზე დასახლდა ოსი ხალხის ნაწილი. რაც შეეხება ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“, იგი ხელოვნურად იქნა დამკვიდრებული რუსეთის მიერ.

⁷² გიორგი I-ს ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის ალდას ქალიშვილი; ბაგრატ IV-ს ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის ურდუსის ქალიშვილი ბორენა (ქართულ წყაროებში ცნობილია, როგორც შორენა); გიორგი III-ის მეუღლე ბურდუხანი (თამარ მეფის დედა) ასევე ოსთა მეფის ხუდანის ქალიშვილი იყო; ოსი იყო თავად თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანიც.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ, რუსი და ქართველი კომუნისტები, საქართველოში ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აქეზებდნენ, რაც 1920 წელს აჯანყებაში გადაიზარდა და საბოლოოდ (საქართველოს გასაბჭოების შემდგომ), 1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის შექმნით დასრულდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი წარმოადგენდა ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ადმინისტრაციული ავტონომიის უფლებით (ამ დრომდე სამხრეთელ ოსებს რაიმე ეროვნულ-ტერიტორიული ერთეული საერთოდ არ ჰქონდათ)⁷³. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ჰქონდა თავისი დებულება (და არა კონსტიტუცია), რომელსაც ამტკიცებდა საქართველოს სსრ-ის ცენტრალური ხელისუფლება. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებათა კვალობაზე, სამხრეთ ოსეთის ეს სტატუსი შემდგომში აღარ შეცვლილა. საინტერესო ისტორიული ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ე.წ. სამხრეთ ოსეთს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის სტატუსი მიანიჭა ორი წლით უფრო ადრე, ვიდრე ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს. ამ უკანასკნელს მხოლოდ 1924 წლის ივლისში მიენიჭა ავტონომიური ოლქის სტატუსი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში (1936 წლიდან ჩრდილოეთ ოსეთი უკვე რესპუბლიკად გადაკეთდა). 1925-1927 წლებში საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე ერთხანობა აქტიურად განიხილებოდა იდეა, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების თაობაზე. თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია არ მომხდარა⁷⁴.

1979 წლის აღწერით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მუდმივად ცხოვრობდა 98 ათასი ადამიანი. აქედან, ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ოსები (65 ათასი -

⁷³ აფხაზეთისა და აჭარისგან განსხვავებით, რომელთა ავტონომიურობაც აღიარებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ (1918-1921 წწ), ოსებს იმდროინდელ საქართველოში უყურებდნენ, როგორც ეროვნულ უმცირესობას კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებებით, მაგრამ ტერიტორიული თუ სხვა სახის ავტონომიის უფლების გარეშე. 1922 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია უკვე აფიქსირებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში.

⁷⁴ 1925 წელს ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამ მოითხოვა სამხრეთ ოსეთთან გაერთიანება. შესამაბისად, ამ გადაწყვეტილებას მიესალმა სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობა. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ მსგავსი გაერთიანება უნდა მომხდარიყო საქართველოს შემადგენლობაში. იმავე წელს ამ იდეას მიესალმა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. აღნიშნულს დაეთანხმა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც. 1927 წლის 12-16 მარტს სამხრეთ ოსეთის საბჭოების მეშვიდე ყრილობამ კიდევ ერთხელ აღძრა ეს საკითხი. თუმცა ყოველივე ამით ამოიწურა. ჩანს, კრემლს არ სურდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება არა მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში, არამედ საერთოდ მათი გაერთიანების წინააღმდეგი იყო.

66.4%). მათთან ერთად, ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდნენ ქართველები (28 ათასი – 28.8%), რუსები (2 ათასი – 2.1%), სომხები (1 ათასი - 1%), სხვა ეროვნებები (2 ათასი – 1.7%). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში შეადგენდა 1.9%-ს⁷⁵.

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში სულ იყო 165 ათასი ოსი, რომელთაგან 60 ათასი სწორედ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. თავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი მოსახლეობა დაახლოებით 100 ათასს შეადგენდა, აქედან 66.2% იყვნენ ოსები, ხოლო 29% – ქართველები⁷⁶. ამ სტატისტიკის ყველაზე საინტერესო მხარე იყო ის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების თითქმის ნახევარს აღმოაჩნდა შერეული ქართულ-ოსური წარმომავლობა. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, ამჟამად ცხინვალის რეგიონის მთელი მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 50-60 ათასს, საიდანაც 38-40 ათასი ოსი ეროვნების მოქალაქეა.

1988 წლის ნოემბერში ცხინვალში ჩამოყალიბდა რადიკალური მოძრაობა „ადამონ-ნიხასი“, რომელმაც მიზნად დაისახა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში (მოგვიანებით, ამ ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სუვერენიტეტის შესახებ). 1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. „ადამონ ნიხასი“ შეეცადა, რათა საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი თავისი შემდგომი ქმედებების გასამართლებლად გამოეყენებინა⁷⁷. 1989 წლის ოქტომ-

⁷⁵ საქართველოს სსრ // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981, გვ. 336.

⁷⁶ Ежегодник Большой Советской Энциклопедии, М., 1990, с. 119.

⁷⁷ „ადამონ ნიხასის“ თაოსნობით, ქ. ცხინვალში გაიმართა მიტინგი, რომლის საბაზი გახდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება. შემდგომ ამისა, 1989 წლის 4 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე. ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ძირითადი პოზიცია იყო ოსური ენის კონსტიტუციური სტატუსი: სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენებად ცხადდებოდა ოსური, ქართული და რუსული (როგორც ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენა საბჭოთა კავშირში). საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში უნდა დაეშვათ ოსური ენისა და ლიტერატურის ინსპექტორების შტატები; განხორციელებული უნდა ყოფილიყო ოსური ენის სწავლება ქართულ სკოლებში და ქართული ენისა – ოსურ სკოლებში მეხუთე კლასიდან. 1989 წლის 26 სექტემბერი სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიის გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს უნდა დამატებოდა პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა“.

ბერში, როდესაც ცხინვალში ოსების პირველი მიტინგები გაიმართა, ეს გახდა საბაბი იმისა, რომ ქალაქში შეიყვანეს ქართული მილიციის გაძლიერებული რაზმები.

ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც „აღამონ-ნიხასის“ აქტიური ზემოქმედების შედეგად, 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მე-12 საგანგებო სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამადლების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უნდა გარდაქმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (საქართველოს სსრ შემადგენლობაში)⁷⁸. გარდა ამისა, სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ცხადდებოდა ოსური ენა, ხოლო ქართული და რუსული ენების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ფუნქციონირება უნდა განხორციელებულიყო სსრ კავშირის ენობრივი პოლიტიკის თანახმად. ერთი კვირის შემდეგ (16 ნოემბერი), საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-12 სესიის გადაწყვეტილებები.

1989 წლის 18 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, საქართველოს დამოკრძალებული რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ⁷⁹. მასთან, ეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დააყენა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინაშე, რამაც საგრძნობლად დაძაბა ურთიერთობები თბილისსა და მოსკოვს შორის.

1989 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების თაოსნობით, დაახლოებით ოცი ათასამდე მშვიდობიანი მომიტინგე თბილისიდან ცხინვალის მიმართულებით დაიძრა. თუმცა, სსრკ-ის შინაგანმა ჯარმა მათ ქალაქში შესვლის საშუალება არ მისცა. მიუხედავად ამისა, ოს ბოვეიკებთან მომხდარი შეტაკებების შედეგად, სისხლი მაინც დაიღვარა. ირედენტისტული განწყობები, რომლებიც იმჟამად უკვე არსებობდა ოსურ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად უადვილებდა კრემლს, მოეხდინა თავისი შორსმიმავალი მიზნების რეალიზაცია. 1990

⁷⁸ 1989 წლის 10 ნოემბრიდან, თბილისსა და ცხინვალს შორის ფაქტიურად დაიწყო ე.წ. „კანონთა ომი“, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

⁷⁹ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1989, №11, გვ. 97.

წლის აპრილში სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ სპეციალური კანონიც კი მიიღო, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა ავტონომიების უფლებების გაზრდას. ამ ნაბიჯით, მოსკოვმა ფაქტიურად შექმნა საქართველოსა და სსრკ-ის რიგ სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირების შემდგომი ესკალაციის იურიდიული ბაზა. სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესის შესახებ ახალი კანონის მიღებით, საკავშირო ცენტრმა საგრძნობლად შეუწყო ხელი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ სეპარატისტულ მოძრაობებს, გაეაქტიურებინათ ბრძოლა ოფიციალური თბილისის წინააღმდეგ.

1990 წლის 20 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. შეიქმნა კომისია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მე-14 სესიაზე გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა (საქართველოსგან დამოუკიდებლად), მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“ და თხოვნით მიმართა მოსკოვს, ეღიარებინა ის საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სუბიექტად⁸⁰. ამგვარად, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ, არ ჰქონდა რა სათანადო კომპეტენცია არც სსრკ და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციების ფარგლებში, ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობიდან ფაქტობრივი გასვლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მეორე დღესვე (21 სექტემბერი) ბათილად გამოაცხადა ოსი დეპუტატების ეს გადაწყვეტილება, 1990 წლის 16 ოქტომბერს მოწვეულ იქნა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მე-15 სესია, რომელმაც კვლავ ძალაში დატოვა თავისი 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, აირჩია ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი (კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ტ. კულუმბეკოვი) და მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. უფრო მეტიც, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ ბოიკოტი გამოუცხადა

⁸⁰ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ოსი ხალხის “შემდგომი განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა სრული დამოუკიდებლობა, რომ “სამხრეთ ოსეთი ცხადდება საერთაშორისო სამართლისა და საკავშირო ხელშეკრულების სუბიექტად და ა.შ. ამავე დეკლარაციის თანახმად, ავტონომიური ოლქი უნდა გარდაქმნილიყო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

საქართველოში დაგეგმილ პირველ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებს (ეს არჩევნები დანიშნული იყო 28 ოქტომბრისთვის)⁸¹.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის დეკემბერში არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, 28 ნოემბერს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის შესახებ (სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაერქვა სახელი და ეწოდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა) და კვლავ თხოვნით მიმართა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, ეცნო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა სსრკ-ის დამოუკიდებელ სუბიექტად. 1990 წლის 9 დეკემბერს, ოფიციალური თბილისის ნების საწინააღმდეგოდ, ოსმა სეპარატისტებმა მაინც ჩაატარეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ოსი სეპარატისტების ხსენებული უკანონო ქმედებები წარმოადგენდნენ აშკარა მცდელობას, მოეხდინათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელეცოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოეშორებინათ საქართველოსთვის მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელ კონსტიტუციასთან, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, ასევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან. შექმნილ რთულ ვითარებაში, 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის

⁸¹ 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში (პარლამენტში), სადაც გამარჯვება მოიპოვა ზვიად გამსახურდიას საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნიკურად ოსი ეროვნების მოქალაქეების უმრავლესობამ უარი თქვა ამ არჩევნებში მონაწილეობაზე. 1990 წლის ნოემბერში ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1991 წლის 26 მაისს პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად – საქართველოს პრეზიდენტად.

კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად). ამავე კანონით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის არაკონსტიტუციურობის შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ასევე უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა სეპარატისტების მიერ 1990 წლის 9 დეკემბერს ჩატარებული არჩევნები და მისი შედეგები⁸².

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებამდე (1991 წლის 9 აპრილი), საქართველოში დე-იურე მოქმედებდა სსრკ-ის კონსტიტუცია. ასეთ პირობებში, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული დოკუმენტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელი კონსტიტუციის (იგულისხმება 1978 წლის რედაქცია, 1990 წლის ცვლილებების გათვალისწინებით) სამართლებრივ ჩარჩოებს, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

კონფრონტაციული ფონი თბილისსა და ცხინვალს შორის დღითიდღე მატულობდა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ნების საწინააღმდეგოდ, 1991 წლის 17 მარტს სამხრეთელი ოსების დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვის მიერ დანიშნულ საერთო საკავშირო რეფერენდუმში და ხმა მისცა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. ამასთან ერთად, ცხინვალის მკვიდრი ოსების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა 1991 წლის 31 მარტის საერთო ქართულ რეფერენდუმს დამოუკიდებლობის შესახებ.

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში შედგა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ელცინს შორის. შეხვედრის შედეგების მიხედვით ხელმოწერილ ერთობლივ ოქმში დაფიქსირდა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის, ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად, მხარეებმა დათქვეს შემდეგი: რსფს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის

⁸² 1990 წლის 11 დეკემბრის საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას⁸³. ეს დოკუმენტი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტს, ვინაიდან მასში აღიარებულია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღარ არსებობს. 23 მარტის ოქმით, რუსეთმა, პრაქტიკულად, სცნო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტი⁸⁴. იმ ხანად ბევრი ექსპერტის გაკვირვება გამოიწვია ზვიად გამსახურდიას მიმართ ბორის ელცინის ამგვარმა „დათმობამ“. თუმცა, ღრმა ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ეს ასე არ ყოფილა. ამ ნაბიჯით რუსეთმა, ფაქტიურად, პროვოცირება გაუკეთა გამსახურდიას ოსური კამპანიის გარკვეულ ეტაპზე წარმატებას. შემდგომში კი, იმავე ელცინის რუსეთმა ძალისხმევა არ დაიშურა და უშუალოდ მიიღო მონაწილეობა გამსახურდიას ხელისუფლების სამხედრო ძალით დამხობაში.

1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. 1991 წლის 7 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც იურიდიული ძალის არმქონედ ჩაითვალა „სამხრეთ ოსეთის“ დეკლარატორების შედეგები.

1991 წლის 26 ნოემბერს ა. ჩოჩიევის ხელმძღვანელობით ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის, კონსტიტუციის მიღების, რუსეთთან შეერთების ადრე მიღებული გადაწყვეტილებების დადასტურების, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, გვარდიის შექმნისა და სხვა საკითხები. ამის საპასუხოდ, 1991 წლის 2 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ბრძანებულება „შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“, რომლის თანახმადაც ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნა გამოცხადებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებები. ამასთან ერთად, სსრკ-ის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე დაისვა საკითხი, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დისლოცირე-

⁸³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 58, 1991 წლის 27 მარტი.

⁸⁴ რამოდენიმე დღეში რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატების ყრილობამ საქართველოს ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენა სთხოვა. ყრილობა მიმართავდა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსაც, მიელო ზომები „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ნორმალური ვითარების აღსადგენად. დოკუმენტს ხელს აწერდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინიც.

ბული სსრკ-ის შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივი გაყვანის შესახებ. ანალოგიური პოზიცია დაფიქსირდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაშიც. ყოველივე ამას თან ერთვოდა სიტუაციის უკიდურესი გამწვავება მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებში. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მორიგი შეიარაღებული შეტაკებები გარდაუვალი იყო.

1992 წლის 3 იანვარს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საერთო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმი) ჩატარების თაობაზე. რეფერენდუმზე, რომელიც 19 იანვრისთვის დაინიშნა, გატანილი უნდა ყოფილიყო ორი კითხვა, კერძოდ: 1) თანახმა ხართ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა იყოს დამოუკიდებელი?, 2) ეთანხმებით თუ არა დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებას? აღსანიშნავია, რომ „სამხრეთ ოსეთის“ უმაღლესმა საბჭომ ხსენებული დადგენილება მიიღო სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ქ. თბილისში აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მომხრეებსა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში ორგანიზებული სამხედრო გადატრიალების შედეგად (1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარი), საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია⁸⁵. ხელისუფლება ხელში ჩაიგდო კრიმინალურმა სამხედრო საბჭომ ორი კაცის ხელმძღვანელობით (თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი)⁸⁶. სამხედრო საბჭომ, ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე დღეებში, დაითხოვა საქართველოს უზენაესი საბჭო, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და განაახლა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. გარდა ამისა, 1992 წლის თებერვალში სამხედრო საბჭომ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია და აღადგინა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება⁸⁷, რაც წარმოადგენდა სრულ ნონსენს და დიდ შეცდომას სამართლებრივი თვალსაზრისით. ყოველივე ამის გამო, საქართველოში მოხდა ერთგვარი სამართლებრივი წყვეტა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა რესპუბლიკაში შექმ-

⁸⁵ შეიარაღებული ამბოხი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო 1991 წლის 20 დეკემბრიდან და გაგრძელდა 1992 წლის 7 იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია და სომხეთის რესპუბლიკაში გადასულიყო. შემდგომში მან ჩეჩნეთის რესპუბლიკას შეაფარა თავი.

⁸⁶ სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება დაევალა თენგიზ სიგუას.

⁸⁷ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაცია.

ნილი სახელმწიფოებრივი კოლაფსი. მცირე ხნის შემდეგ, სამხედრო საბჭომ მთელი ძალაუფლება გადასცა ასევე არალეგიტიმურ ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს. სახელმწიფო საბჭოს სათავეში ჩაუდგა საქართველოს ყოფილი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შვეარდნაძე, რომელიც მოგვიანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ამავდროულად სახელმწიფოს მეთაური, შემდგომში კი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა.

შვეარდნაძის ხელისუფლება შეეცადა გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირების თვალსაზრისით. თუმცა, ოსურმა მხარემ უარი განაცხადა ეწარმოებინა მოლაპარაკებები საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან მანამ, სანამ არ მოიხსნებოდა ცხინვალის რეგიონის ბლოკადა და ქართული შეიარაღებული ფორმირებები არ დატოვებდნენ რეგიონის ტერიტორიას. სიტუაციას ართულებდა ის გარემოებაც, რომ 1992 წლის 19 იანვარს „სამხრეთ ოსეთში“ გამართული რეფერენდუმის დროს, ოსური მოსახლეობის 90%-ზე მეტმა ხმა მისცა სამხრეთ ოსეთის გამოყოფას საქართველოსგან და მის შეერთებას რუსეთის ფედერაციასთან (ცხინვალის რეგიონის ეთნიკურად ქართულმა მოსახლეობამ იმთავითვე უარი თქვა ამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე).

შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ცხინვალის რეგიონში 17 წლის წინ დაიწყო (1991), თავისი მასშტაბით და მსხვერპლის ოდენობით ბევრად ჩამოუვარდება როგორც აფხაზეთის, ისე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებს. საწყის ეტაპზე, დაპირისპირებული მხარეების სუბიექტებს წარმოადგენდნენ, ერთის მხრივ ოსური არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები, ხოლო, მეორეს მხრივ – ქართული მილიცია, ასევე არაფორმალური ორგანიზაციები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში შეიარაღებულ ხალხს აგზავნიდნენ. იმის გამო, რომ საბრძოლო მოქმედებებში ძირითადად არაპროფესიონალები მონაწილეობდნენ, ხოლო მძიმე ტექნიკა და არტილერია მცირე დოზებით გამოიყენებოდა, 1991-1992 წლების კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში არ იყო ისეთი სისხლისმღვრელი, როგორც მთიან ყარაბაღსა და აფხაზეთში. არასრული მონაცემებით, 1991-1992 წლების ქართულ-ოსური დაპირისპირების შედეგად დაღუპულთა საერთო რიცხვი ოდნავ აღემატება 1000-ს, ხოლო 40 ათასიდან 100 ათასამდე ადამიანი დევნილის მდგომარეობაში აღმოჩნდა⁸⁸.

⁸⁸ Гаджиев К.С. Геополитика Кавказа. М., 2001, С. 163.

1991 წელს ქართველებსა და ოსებს შორის დაწყებული საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა 1992 წლის მანძილზეც მცირედი ინტერვალებით. 1992 წლის 21 მაისს ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საგანგებო სესიაზე მიიღო დადგენილება, სადაც ქართველების ქმედება შეაფასა, როგორც ოსი ხალხის გენოციდი. 1992 წლის ივნისის დასაწყისში საქართველოს სამთავრობო ჯარები ქ. ცხინვალს მიუახლოვდნენ და მისი აღება განიზრახეს. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის ხელმძღვანელობა ულტიმატური განცხადებებით გამოვიდა, მათ შორის, გაისმა ქ. თბილისის დაბომბვის მუქარაც. ქართული მხარე იძულებული გახდა უარი ეთქვა ცხინვალში შესვლაზე. შეიქმნა იმის რეალური საშიშროება, რომ კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებიც ჩართულიყვნენ, რაც უდაოდ მოასწავებდა მთელი კავკასიის დესტაბილიზაციას. ეს საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახდა მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია (შეიქმნა 1991 წლის 1-2 ნოემბერს) გამოვიდა. ყველა კონტაქტი თბილისსა და ცხინვალს შორის გაწყვეტილ იქნა.

1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში საქართველოს პრეზიდენტს ე. შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. გალაზოვს შორის ხელი მოეწერა შეხვედრის ოქმს. ოქმში ძირითადად საუბარი იყო ცეცხლის შეწყვეტასა და დამკვირვებელთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფის შექმნაზე⁸⁹. ამ დოკუმენტის მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ, ხანგრძლივი სისხლისღვრის შემდეგ, პირველად ხდება საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფალთა შეხვედრა, ასევე მკვიდრდება ტერმინი „ქართულ-ოსური კონფლიქტი“.

1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში (დაგომისის საპრეზიდენტო რეზიდენციაში) ხელი მოეწერა „შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“. სოჭის (დაგომისის) შეთანხმება გაფორმდა ორ სუბიექტს – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას – შორის. თუმცა, უშუალოდ დოკუმენტზე ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის ხელმოწერის გარდა, ასევე დაფიქსირებულია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-აღანისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მაშინდელი ლიდერების ა. გალაზოვისა და თ. კულუმბეკოვის ხელმოწერაც (*დანართი №6*)⁹⁰. ამით შეიქმნა საკმაოდ პარადოქსული სიტუაცია, სადაც ერთი სახელმწიფო (ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია)

⁸⁹ ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა, რომ სამშვიდობო ფუნქცია ეკისრათ ავღანეთში ნაომარ ქართველი და ოსი ეროვნების მოქალაქეებს.

⁹⁰ შეთანხმება დაიდო სამ ცალად (ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე), ამასთან, ყველა ტექსტი თანაბარი ძალისაა.

რაცია) წარმოდგენილი იყო ერთდროულად ორი სუბიექტით (ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაც ხომ რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია), რაც არ ჯდება არცერთ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმაში.

სოჭის (დაგომისის) შეთანხმების ძირითადი დებულებები მდგომარეობდა შემდეგში: დაპირისპირებული მხარეები იღებდნენ ვალდებულებას შეეწყვიტათ ცეცხლი და გაეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები კონფლიქტის ზონიდან; რუსეთის ფედერაცია იღებდა ვალდებულებას გაეყვანა „სამხრეთ ოსეთში“ დისლოცირებული საინჟინრო-სანაღმო და სავერტმფრენო პოლკები; იქმნებოდა შერეული საკონტროლო კომისია (შსკ/ССК) – СКК (Смешанная контрольная комиссия) კონფლიქტში ჩართული მხარეების შემადგენლობით, რომლის ძირითადი ფუნქციაც უნდა ყოფილიყო მიღწეული შეთანხმებების შესრულების კონტროლი; მხარეები იღებდნენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკებები, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ლტოლვილთა დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით; ეკონომიკური ბლოკადებისა და სანქციების გამოყენება ცხადდებოდა მიუღებლად. სოჭის დოკუმენტის თანახმად, კონფლიქტის ზონაში უნდა განლაგებულიყვნენ შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის შესანარჩუნებლად⁹¹.

1992 წლის 12 ივლისს ქ. ვლადიკავკაზში გაიმართა შსკ-ის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, კერძოდ: დამტკიცდა შერეული ძალების დებულება; განისაზღვრა კონფლიქტის ზონა და უსაფრთხოების დერეფანი⁹²; გადაწყდა, რომ 14 ივლისიდან კონფლიქტის ზონაში დაიწყებოდა შერეული სამშვიდობო ძალების თანმიმდევრული განლაგება⁹³. შერეული სამშვიდობო ძალები, თავის მხრივ, შედგებოდა ქართული, რუსული და ოსური ბატალიონებისგან (ქართული მხარე ფაქტიურად მარტო აღმოჩნდა ორი სუბიექტის პირისპირ)⁹⁴. 12 ივლისის შეხვედრას წინ უძღოდა ქ. ვლადიკავკაზში გამართული 4 ივლისის შეხვედრა, სადაც,

⁹¹ 1994 წლის 29 მარტს ეუთომ მოიწონა 1992 წლის სოჭის (დაგომისის) შეთანხმება და ამ პერიოდიდან ჩაერთო ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში, დამკვირვებლის სტატუსით.

⁹² კონფლიქტის ზონად გამოცხადდა ტერიტორია ქ. ცხინვალის ცენტრიდან 15 კმ რადიუსით. რაც შეეხება უსაფრთხოების დერეფანს, ასეთად განისაზღვრა ტერიტორია (14 კმ სიგანეში) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებაზე, საზღვრის თითოეულ მხარეს 7 კმ-ის მანძილით.

⁹³ Протокол заседания СКК, г. Владикавказ, 12 июля 1992 г.

⁹⁴ მომდევნო პერიოდში მოხდა სამშვიდობო ძალების სახელწოდებისა და შემადგენლობის შემდგომი დაკონკრეტება. კერძოდ, შერეული ძალების სახელწოდება შემოკლდა და ჩამოყალიბდა შემდგანიარად: შერეული ძალები მშვიდობის შესანარჩუნებლად – ССПМ “Смешанные силы по поддержанию мира” ასევე გადაწყდა, რომ შერეული ძალების შემადგენლობაში შევიდოდა ქართული, რუსული და ჩრდილოეთ ოსური ბატალიონები, რომელთაგან თითოეულისთვის განკუთვნილი კვოტა განისაზღვრა 500 სამხედრო მოსამსახურის ოდენობით.

შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) შექმნასთან ერთად, განისაზღვრა მისი შემადგენლობა და ფუნქციები⁹⁵.

1993 წლის დასაწყისში ხელი მოწერა ურთიერთგაგების მემორანდუმებს ეუთოს მისიასა და კონფლიქტის მხარეებს შორის (23 იანვარი; 1 მარტი). ამ პერიოდიდან სიტუაცია ცხინვალის რეგიონში კვლავ იძაბება, ხოლო 1993 წლის 6 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-აღმოსავლეთში თვითნებურად სცნო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“⁹⁶. იქმნება შთაბეჭდილება რომ, როგორც კი ეუთო შეეცადა კონფლიქტის მოგვარების პროცესი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მოექცია, რუსეთი, კერძოდ კი ჩრდილოეთ ოსეთი აშკარა კონფრონტაციაზე წავიდა. ჩრდილოეთ ოსეთის ამ ყოველად უკანონო ნაბიჯს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე სერიოზული რეაქცია არ მოჰყოლია, რადგან ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც აფხაზეთში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს. 1993 წლის სექტემბერში, ქ. სოხუმის დაცემის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების მთელი ყურადღება აფხაზეთის საკითხზე გადავიდა, რამაც ცხინვალის რეგიონის პრობლემატიკა ერთხანობა მეორე პლანზე გადაწია. ამავე პერიოდში საქართველო წევრიანდება დსთ-ში (CIS/CHG). კვლავ იწყება საუბარი ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რაიონების აღდგენაზე, ერთობლივი ქართულ-რუსული ძალებით.

1993 წლის 14 სექტემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენის შესახებ. საქართველომ თავის თავზე აიღო ხარჯების 2/3-ის დაფარვის ვალდებულება. თუმცა, როგორც შემდგომში განვითარებული მოვლენებიდან გამოჩნდა, ეს შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

1994 წლის 31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში გაიმართა საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლების შეხვედრა, ეუთო-ს მონაწილეობით. დღის წესრიგის მთავარ საკითხს წარმოადგენდა კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესის განვითარება⁹⁷. შეხვედრაზე ხელმოწერილ იქნა „შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) შესახებ“. დოკუმენ-

⁹⁵ Протокол заседания СКК, г. Владикавказ, 4 июля 1992 г.

⁹⁶ ნაცვლად იმისა, რომ განეცხადებინა ამ ნაბიჯის უკანონობის შესახებ და ეთქვა, რომ ჩრდილოეთ ოსეთს არ აქვს სხვის ტერიტორიაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აღიარების უფლება, რუსეთის უმაღლესმა საბჭომ დაგეგმა ამ საკითხის განხილვა.

⁹⁷ Дипломатический вестник, № 21-22, 1995, С. 52.

ტში აღნიშნულია: „შსკ უნდა გარდაიქმნას მუდმივმოქმედ მექანიზმად, რომელიც გეგმაზომიერად და კოორდინირებულად მიიღებს მონაწილეობას დარეგულირების სხვადასხვა ასპექტების (პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და ა.შ.) გადაწყვეტაში“⁹⁸. შეხვედრაზე ასევე მიღებულ იქნა დებულება შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ. ამასთან, ცალსახად დაფიქსირდა, რომ შსკ (СКК) შედგება ოთხი მხარისგან (იგულისხმება ქართული, რუსული, ჩრდილოეთ ოსური და სამხრეთ ოსური მხარეები), რომლებიც მონაწილეობენ კონფლიქტის დარეგულირებასა და მისი შედეგების ლიკვიდაციაში. აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა ქართულ მხარეს (სადაო საკითხების წარმოქმნისას მას ერთდროულად სამი სუბიექტი უპირისპირდებოდა). შსკ-ის კომპეტენციაში ასევე შედის შერეული სამშვიდობო ძალების (ССНМ) საქმიანობის კოორდინაცია. რაც შეეხება შსკ-ის დაფინანსებას, ეს უკანასკნელი ხორციელდებოდა მხარეთა თანაბარი წილობრივი შენატანების საფუძველზე. ამდენად, 1994 წლიდან მოყოლებული 2008 წლის აგვისტომდე შსკ, რომელიც შედგებოდა ოთხი მხარისგან, ფაქტიურად წარმოადგენდა ერთადერთ მექანიზმს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების კონტექსტში. აღნიშნული გარემოება ხელს აძლევდა რუსეთის ფედერაციას, რომელიც ფაქტიურად გვევლინებოდა, როგორც მონოპოლისტი სამშვიდობო პროცესში. სწორედ ამ მიზეზის გამო, ოფიციალური მოსკოვი ყველა დონეზე აფიქსირებდა თავის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისსა და ცხინვალს შორის ნებისმიერი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო მხოლოდ შსკ-ის ფარგლებში. ერთადერთ პოზიტიურ ფაქტორად ამ თვალსაზრისით შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საქართველოში ეუთო-ს მისიას უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო შსკ-ის სხდომების მუშაობაში (დამკვირვებლის სტატუსით).

1994 წლის 6 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა შსკ-ის მორიგი სხდომა, სადაც კონფლიქტის ზონაში შედარებით სტაბილურობის გარანტად მიჩნეულ იქნა სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონი⁹⁹. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი დაინიშნებოდა შსკ-ის მიერ, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარდგინებით. სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შერეული საკონტროლო

⁹⁸ Соглашение о дальнейшем развитии процесса мирного урегулирования грузино-осетинского конфликта и о Смешанной контрольной комиссии, г. Москва – 31.10.94.

⁹⁹ Решение Смешанной Контрольной Комиссии по урегулированию грузино-осетинского конфликта о Смешанных силах по поддержанию мира, г. Москва – 06.12.1994.

კომისიისა (CKK) და შერეული სამშვიდობო ძალების შესახებ (CCPIIM), ასევე მასთან თანდართული დებულება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის ნორმალისებისთვის განკუთვნილი სამხედრო კონტიგენტებისა და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფების საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმებით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“¹⁰⁰. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით¹⁰¹. საქართველოს ძირითად კანონში საერთოდ არ არის საუბარი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის სტატუსზე (კონსტიტუციაში ნახსენებია მხოლოდ ორი ავტონომია: აფხაზეთი და აჭარა). თუმცა, კონსტიტუციის მე-2 მუხლის მესამე პუნქტი იუწყება, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“¹⁰². როგორც ჩანს, იმ პერიოდში ქართველი პარლამენტარების ვარაუდით, საქართველოს იურისდიქციის აღდგენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არც თუ ისე შორეული პერსპექტივა იყო.

1995 წლის 30 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში გაიმართა შეხვედრა (ქართული და „სამხრეთ ოსურ“ მხარეებს შორის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ეუთო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით), რომელმაც ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების თაობაზე მუდმივი მოლაპარაკებების პროცესს. 30 ოქტომბრის შეხვედრის ოქმში წერია, რომ „მხარეთა საექსპერტო ჯგუფებს დაევალებათ უახლოეს დროში მოამზადონ წინადადებები შემდეგ საკითხებზე: უსაფრთხოების ღონისძიებები და გარანტიები; მხარეებს შორის ნდობის აღდგენა და განმტკიცება; ეკონომიკური და სამეურნეო კავშირების აღდგენა; სამხრეთ

¹⁰⁰ საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო), თავი 1, მუხლი 1.

¹⁰¹ საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო), თავი 1, მუხლი 2.

¹⁰² საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო), თავი 1, მუხლი 2.

ოსეთის სტატუსი¹⁰³; მხარეთა შორის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების სხვა პრობლემები“. აღნიშნული ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერეს, როგორც საქართველოსა და რუსეთის, ისე ჩრდილოეთ ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლებმაც, წარმოადგენდა საკმაოდ მნიშვნელოვან დოკუმენტს იმ თვალსაზრისით, რომ მასში ცალსახად იყო დაფიქსირებული სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა¹⁰⁴. თუმცა, სამწუხაროდ, საქმე ამის იქით აღარ წასულა და, რეალურად, მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება არ მომხდარა.

ვლადიკავკაზის შეხვედრის ერთგვარი გაგრძელება იყო 1996 წლის 16 მაისის მოსკოვის შეხვედრა, რომლის დროსაც საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და ეუთო-ს წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ და პარაფირებულ იქნა „მემორანდუმი ქართულ-ოსურ კონფლიქტში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მხარეთა შორის ურთიერთნდობის გამყარების შესახებ“ (დანართი №7). 16 მაისის მოსკოვის მემორანდუმის ძირითადი მუხლები მდგომარეობდა შემდეგში: მხარეები იღებდნენ ვალდებულებას არ გამოეყენათ ძალა და არ მოეხდინათ ძალის გამოყენების მუქარა, მიეღოთ ზომები ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ეთნიკური პრინციპით ადამიანთა უფლებების შელახვის აღსაკვეთად, განეხორციელებინათ რეალური დონის დიპლომატიის ღონისძიებები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის ღირსეული გადაწყვეტისთვის; მხარეები შეთანხმდნენ არ განეხორციელებინათ სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირთა მიმართ, რომლებიც მართალია მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში, მაგრამ არ ჩაუდენიათ დანაშაული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ; დადებითად იქნა შეფასებული სამართალდამცავი ორგანოების რეგულარული შეხვედრების პრაქტიკა; მხარეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მუშაობის გააქტიურება შსკ-ის ფარგლებში; კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების პარალელურად, უნდა მომხდარიყო კონფლიქტის ზონის თანდათანობითი დემილიტარიზაცია; რუსეთი დასახელდა, როგორც არსებული შეთანხმებების შესრულების გარანტი.

1996 წლის მოსკოვის მემორანდუმი მეტწილად იმეორებდა 1992 წლის 24 ივნისის სოჭის (დაგომისის) შეთანხმებისა და 1995 წლის 30 ოქტომბრის ვლადიკავკაზის ოქმის დებულებებს და ახდენდა გარკვეული განზრახვების დეკლარირებას. დოკუმენტში

¹⁰³ ამ პუნქტთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსური მხარის პოზიცია იყო, რომ ფრაზის „სამხრეთ ოსეთის სტატუსი“ ნაცვლად ოქმში ჩაწერილიყო ასეთი ფორმულირება: „სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოწესრიგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ასპექტები“.

¹⁰⁴ საქართველოს მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

საერთოდ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ კონკრეტულად როგორ უნდა მომხდარიყო კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირება. მემორანდუმის პრეამბულაში საუბარია, როგორც სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობაზე, ისე ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე. ამასთან, საერთოდ აღარ არის ნახსენები „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის საკითხი¹⁰⁵. დოკუმენტი ხელმოწერილ იქნა ქართული და სამხრეთ ოსური მხარეების მიერ (როგორც კონფლიქტის ორი მხარე), ასევე რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიისა და ეუთო-ს წარმომადგენლების მიერ (როგორც შუამავლები)¹⁰⁶.

1996 წლის 9 ნოემბერს ჩრდილოეთ ოსეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ამ დოკუმენტით, ფაქტიურად, გზა გაეხსნა საქართველოში კონტრაბანდული ტვირთების შემოტანას. შეთანხმებაში მხარეები ცალსახად აცხადებენ, რომ ექსპლუატაციას გაუწევენ როკის გვირაბს (შეთანხმების ხელმოწერიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ ამოქმედდა ერგნეთის ბაზრობა).

1997 წლის 4-5 მარტს მოსკოვში გაიმართა კონფლიქტის მონაწილე და შუამავალი მხარეების წარმომადგენელი დელეგაციების შეხვედრა¹⁰⁷. შეხვედრის საფუძველზე შეიქმნა სამდივნო, რომელიც გაუწევდა კოორდინირებასა და ორგანიზებას მომდევნო შეხვედრებს. გადაწყდა, რომ შემდგომი მუშაობა წარიმართებოდა პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე. რუსეთმა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შესთავაზა, შემუშავებულიყო ე.წ. „შუალედური დოკუმენტი“, რომელიც დააფიქსირებდა კონფლიქტის

¹⁰⁵ Меморандум о мерах по обеспечению безопасности и укреплению взаимного доверия между сторонами в грузино-осетинском конфликте – 16.05.1996.

¹⁰⁶ დოკუმენტის ხელმოწერის ფორმულაა „2+3“ (ქართული მხარე, სამხრეთ ოსური მხარე + რუსული მხარე, ჩრდილოეთ ოსური მხარე, ეუთო). ეს ფორმატი რამდენადმე განსხვავდებოდა შერეული საკონტროლო კომისიის (СКК) ფორმატიდან, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს ფორმულით „4+1“ (ქართული მხარე, სამხრეთ ოსური მხარე, რუსული მხარე, ჩრდილოეთ ოსური მხარე + ეუთო).

¹⁰⁷ შეხვედრამ აჩვენა, რომ საკმაოდ პრობლემური გახდა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილე მესამე მხარეების სტატუსი: შუამავლის, გარანტიორისა და მონაწილის. ჩრდილოეთ ოსეთს, რომელიც არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ენიჭება უფრო მაღალი სტატუსი, ვიდრე ეუთოს. ეს ჩანს ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მიღებულ საინფორმაციო შეტყობინებაში, რომელშიც მკაფიოდ არის გამოყოფილი უფლებამოსილი დელეგაციები. შეტყობინებაში ეუთოს წარმომადგენლები ფიქსირდებიან მხოლოდ პიროვნული მონაწილეობის დონეზე. მოლაპარაკებათა პროცესის ყველაზე აქტიური სუბიექტები ხდებიან მხარეების სრულუფლებიან დელეგაციათა საქსპერტო ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ კონსულტაციებს კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების საკითხებზე. შესაბამისად, ეს საკითხები გამოდის შერეული საკონტროლო კომისიის კომპეტენციის ფორმატიდან. ამით, თითქოს კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ეუთოს როლის დაკნინებას.

მოგვარების ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებს (ამ ინიციატივას დაეთანხმა ეუთოს მისიაც)¹⁰⁸.

1997 წლის 14 ნოემბერს ჯავაში გაიმართა ე. შევარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის მორიგი შეხვედრა, რომლის დროსაც, ძირითადად, განხილული იყო სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. შეხვედრის დასრულების შემდგომ ხელმოწერილ განცხადებაში, მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ აღგილი აქვს პოზიტიურ ძვრებს, რაც გამოიხატა მხარეთა შორის ნდობის აღდგენასა და მოლაპარაკებათა პროცესის ირგვლივ ზოგადი პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც რჩება კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური დარეგულირება და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება, რისი განხორციელებაც მხოლოდ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი. დადებითად იქნა შეფასებული ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების (CCIM) საქმიანობაც.

ე. შევარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის შემდგომი შეხვედრა გაიმართა 1998 წლის 20 ივნისს ქ. ბორჯომში (შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეუთოს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, რუსეთის ფედერაციისა და მასში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები). შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით ხელმოწერილ განცხადებაში, მხარეებმა ხაზი გაუსვეს რუსეთის „დადებით როლს“ კონფლიქტის მოწესრიგებასა და ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენაში, აგრეთვე, ამ პროცესში ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიის, ეუთოს, გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას. ბორჯომის განცხადების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ მასში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობაზე, და არა პოლიტიკურ დარეგულირებაზე (დოკუმენტში არ იყო ნახსენები ის ნაბიჯები, რაც საჭირო იქნებოდა მხარეებს შორის პოლიტიკური შეთანხმების მისაღწევად). ამავე კონტექსტში, მიღებულ იქნა გადაწყვეტი-

¹⁰⁸ ეუთოს არაერთი ძალისხმევის მიუხედავად, „შუალედური დოკუმენტის“ ხელმოწერა მომავალში მაინც ვერ მოხერხდა მხარეებს შორის არსებული უთანხმოებების გამო (არსებობდა „შუალედური დოკუმენტის“ ქართული, ოსური და რუსული პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან). ოსური მხარე მოითხოვდა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ისტორიულ-სამართლებრივ შეფასებას, რაც ქართული მხარისთვის მიუღებელი იყო. მხარეები საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ ვერც „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურ სტატუსზე და ვერც მის ოფიციალურ სახელწოდებაზე, ასევე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ლება, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში მომზადებულიყო რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობების ახალი შეთანხმება (ჩრდილოეთ ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მხარეების მონაწილეობით), ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რაიონების ეკონომიკური აღდგენისა და განვითარების შესახებ.

ასეთი დოკუმენტი („შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნებაში ურთიერთქმედების შესახებ“) მოგვიანებით მართლაც იქნა მომზადებული და მას ხელი მოეწერა 2000 წლის 23 დეკემბერს ქ. თბილისში¹⁰⁹. შეთანხმების თანახმად, ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეაიონების ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების, აგრეთვე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ორგანიზებული დაბრუნებისთვის პირობების შექმნის მიზნით, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ერთობლივი ქართულ-რუსული ძალებით შეემუშაებინათ ურთიერთქმედების სახელმწიფოთაშორისო პროგრამა, კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღსადგენათ¹¹⁰. მხარეები ასევე შეთანხმდნენ შეემუშაებინათ ლტოლვილთა დაბრუნების, მოწყობის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის სახელმწიფოთაშორისო პროგრამა¹¹¹. თუმცა, მიუხედავად შეთანხმებაში დაფიქსირებული ვალდებულებებისა, რეალურად ისინი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და მხარეების მიერ მათი შესრულება არ მომხდარა.

23 დეკემბრის თბილისის შეთანხმების ხელმოწერას წინ უსწრებდა მხარეთა სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების შეხვედრა ჯავაში (1999 წლის 10-11 სექტემბერი). ჯავის შეხვედრაზე განიხილეს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ დავის საგანს მხარეთა შორის¹¹². ეუთოს ძალისხმევის შედეგად

¹⁰⁹ საქართველოს მთავრობის სახელით დოკუმენტს ხელი მოაწერა სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა.

¹¹⁰ უფრო ადრე რუსეთის დუმამ ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება “სამხრეთ ოსეთის” ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. ამ შეთანხმებით კი საქართველოს მხარემ, ფაქტობრივად, თანხმობა განაცხადა, გადაეხადა დაგადაცხადებდა, რომლის წარმოქმნაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია.

¹¹¹ Соглашение между Правительством РФ и Правительством Грузии о взаимодействии в восстановлении экономики в зоне грузино-осетинского конфликта и в возвращении беженцев – 23.12.2000.

¹¹² იმისათვის, რათა არ დაძაბულიყო ურთიერთობა კონფლიქტის მხარეებს შორის, ჯავას შეხვედრაზე სპეციალურად თავი აარიდეს იმ საკითხებზე მსჯელობას, რომელთა მიმართაც მხარეებს განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ, კერძოდ ესენია: 1) ე.წ. „შუალედური დოკუმენტის“ დასახელება (საქართველოს დელეგაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა ამ საკითხის განხილვას, თუ დოკუმენტს დაერქმეოდა „შეთანხმება“; და არა „ხელშეკრულება“, როგორც ამას ითხოვდა სამხრეთ ოსური მხარე); 2) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი (ქართული მხარე ითხოვდა, რომ ეს პირები დაებრუნებინათ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, ხოლო ოსური მხარე თანხმდებოდა ამ პირთა

გადაწყდა, რომ საექსპერტო ჯგუფების მორიგი შეხვედრა გამართულიყო ავტსრიაში, კერძოდ ქ. ვენაში, სადაც უნდა განეხილათ „შუალედური დოკუმენტის“ მხარეთა შორის შეუთანხმებელი პოზიციები¹¹³. ვენის შეხვედრის მოსამზადებელი შეკრება გაიმართა 2000 წლის 31 მაისს ჯავაში. თუმცა, არც ამ შეხვედრას გამოუღია რაიმე კონკრეტული შედეგი¹¹⁴.

„შუალედური დოკუმენტი“, რომელსაც საბოლოო განხილვის ადგილის მიხედვით „ბადენის დოკუმენტი“ ეწოდა, პარაფირებულ იქნა მხარეთა წარმომადგენლების მიერ 2000 წლის 13 ივლისს (ექსპერტების დონეზე). ეს ფაქტი თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც ყველაზე დიდი მიღწევა, ქართულ-ოსური დარეგულირების მთელი პერიოდის მანძილზე. ტექსტის ანალიზისას აშკარად ჩანს, რომ შეუთანხმებელი პოზიციების შეთანხმებაც მიღწევადი შეიძლება ყოფილიყო, თუ მხარეები გაიმოიხნდნენ კომპრომისისა და კონფლიქტის სამართლებრივ-პოლიტიკური მოგვარების სურვილს. სამწუხაროდ, „შუალედურ დოკუმენტზე“ („ბადენის დოკუმენტი“) მუშაობა მხოლოდ საექსპერტო ჯგუფების დონეზე ხდებოდა, ხოლო მისი უმაღლეს დონეზე განხილვა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, არც მისი შემდგომი ხელმოწერა მომხდარა.

2001 წლის 19 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ძირითადად საუბარია დევნილების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. ამასთან, რეზოლუცია ახდენს იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ დე-ფაქტო აღმოჩნდნენ საქართველოს იურისდიქციის გარეთ. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში პირველად არის დაფიქსირებული რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ (რუსეთის აგრესია, ფაქტობრივად, ანექსიად არის შეფასებული). ეჭვქვეშ არის

დაბრუნებას მხოლოდ შესაძლებელ საცხოვრებელ ადგილებში); 3) საერთაშორისო გარანტიების საკითხი (რუსეთი საკუთარ თავს განიხილავდა გარანტიორად, ეუთოს კი – ხელშემწყობ მხარედ); 4) პირადობის დამადასტურებელი და სამოგზაურო დოკუმენტების საკითხი; 5) სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპების ურთიერთშეთავსება; 6) საქართველოს კონსტიტუციისა და სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის სფეროები, სამხრეთ ოსეთის სახელისუფლებო შტოები, სახელმწიფო სიმბოლიკა და ა.შ.

¹¹³ როგორც ჩანს ეუთომ მიიჩნია, რომ მოლაპარაკებების გატანა დსთ-ის ფარგლებს გარეთ ხელს შეუწყობდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის ნაყოფიერებას და შეამცირებდა რუსეთის გავლენას.

¹¹⁴ ამ მომენტისათვის ურთიერთობები თბილისსა და ცხინვალს შორის უკიდურესად დაძაბული იყო. 2000 წლის 22 მაისს სოფელ ხეთში მოკლულ იქნა ქართველი ეროვნების ხუთი პიროვნება. ეს დაემთხვა „სამხრეთ ოსეთის“ მიერ გამოცხადებულ ხსოვნის დღეს. 26 მაისს ოსებმა განახორციელეს შეიარაღებული შეტევის მცდელობა ე.წ. „ძონძების ბაზრის“ ხელში ჩასაგდებად. შეიარაღებულ აქციას სათავეში ედგა „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის“ ლუდვიგ ჩიბიროვის ძმა. ამ მოვლენათა შეფასებისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გააკეთა საგანგებო განცხადება, რომელშიც მან „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლება პირდაპირ ამხილა დანაშაულში თანამონაწილეობაში. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამ პოზიციამ ცხინვალის სეპარატისტული ადმინისტრაციის აღშფოთება გამოიწვია.

დაყენებული კონფლიქტის ზონებში რუსეთის მიუკერძოებლობა, საშუამავლო ფუნქციის განხორციელებისას.

სამწუხაროდ, ქართული მხარისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობებმა, რომლებიც მიმართული იყო კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისკენ („სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში), საბოლოო ჯამში, ვერ გამოიღეს სასურველი შედეგი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა 2001 წლის 8 აპრილი, როდესაც ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). კონსტიტუციის თანახმად: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის სამხრეთ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევის შედეგად შექმნილი სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფო“ (მუხლი 1); „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სტატუსს, წყვეტს პოლიტიკური, ეკონომიკური, საციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს“ (მუხლი 3); „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას აქვს თავისი მოქალაქეობა, ასევე დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა“ (მუხლი 16).

2001 წლის 22-23 აპრილს ქ. ვლადიკავკაზში გაიმართა მხარეთა სრულუფლებიან დელეგაციათა ექსპერტული ჯგუფების მე-5 შეხვედრა. შეხვედრის ოქმში „ბადენის დოკუმენტი“ მოხსენიებულიც კი არ არის. კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების პროცესში აშკარა რეგრესია. „შუალედური დოკუმენტის“ შემდეგ, რომელიც შეიცავდა კონკრეტულ პოზიციებს კონკრეტული პოლიტიკური საკითხების მიმართ, უბრუნდებიან ისევ „ნდობის აღდგენის ზომებს“. წინა პლანზე კვლავ შერეული საკონტროლო კომისია (CKK) გამოდის.

2001 წლის 14-19 სექტემბერს ქ. ბუქარესტში გაიმართა მხარეების სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების მე-6 შეხვედრა, რომელსაც ევროკავშირის წარმომადგენლობაც დაესწრო. შეხვედრის მთავარი შედეგი გახლავთ ის, რომ ევროკავშირს პატრონაჟის ქვეშ აჰყავს შსკ (CKK) და მისი სხდომების ფონდირებას კისრულობს.

ლუდვიგ ჩიბიროვის სეპარატისტული რეჟიმი მიიხნევედა, რომ 1990-1992 წლების ომის შედეგად „სამხრეთ ოსეთმა“ დამოუკიდებლობა მოიპოვა და მას საქართველოსთან მხოლოდ თანასწორი, კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ეტაპზე, ჩიბიროვი მზად იყო ეწარმოებინა დიალოგი საქართველოს ხელისუფლებასთან, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მშვიდობიანი დარეგული-

რებისა და „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიზეზის გამო, რუსეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედი რეაქციული ძალები ლუდვიგ ჩიბიროვს საქართველოსადმი ლოიალურობაში სდებდნენ ბრალს. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ჩიბიროვის მეტ-ნაკლებად „ზომიერი“ რეჟიმის ნაცვლად, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის სათავეში მოვიდნენ საქართველოსადმი უკიდურესად მტრულად განწყობილი ძალები „პრეზიდენტ“ ედუარდ კოკოითის ხელმძღვანელობით (2001 წლის დეკემბერი). ამ უკანასკნელმა აქტიურად დაიწყო ანტიქართული განწყობების დანერგვა. ამასთან, აცნობიერებს რა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა სრულიად უპერსპექტივოა, ედუარდ კოკოითი „სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან (ე.ი. რუსეთის ფედერაციასთან) შეერთების სურვილს აფიქსირებს.

ცხინვალის დე-ფაქტო ლიდერები აცხადებენ, რომ სამხრეთელ ოსებს, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად, უფლება აქვთ შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი განცხადებები საერთაშორისო სამართლის სრულიად არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. სამხრეთელი ოსები წარმოადგენენ არა „თავისუფლებისთვის მებრძოლ ერს“, არამედ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობას, რომელთა ისტორიული სამშობლოც ჩრდილოეთ კავკასიაშია. ამდენად, მათი მოთხოვნა, შექმნან ცალკე სახელმწიფო ან შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციას, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან.

3.2.2. ქართულ-ოსური დაპირისპირების დინამიკა 2004-2008 წლებში („ვარდების რევოლუციის“ შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ჩათვლით). „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის მიზნით. მას შემდეგ, რაც წარმატებით მოაგვარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული პრობლემები, მ. სააკაშვილმა მთელი ძალისხმევა ცხინვალის რეგიონის საკითხის გადაწყვეტისკენ მიმართა. თუმცა, საქართველოს ახალი ხელისუფლების იმედები და მოლოდინები არ გამართლდა. 2004 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური დაპირისპირების ესკალაცია მოხდა, რამაც სამხედრო კონფრონტაციის სახე მიიღო.

კონფლიქტის განახლების ძირითად მიზეზად ოფიციალური თბილისი ასახელებდა ერგნეთის ბაზრობის დახურვის ფაქტს, რასაც კონტრაბანდასთან ბრძოლის აუცილებლობით ხსნიდა¹¹⁵. ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ მოხდა ქართული მხარის იძულებითი ჩართვა საბრძოლო მოქმედებებში იმ გაგებით, რომ ოსების მიერ ცხინვალის გზის გადაკეტვამ დღის წესრიგში დააყენა დიდი ღიახვის ხეობის ქართული სოფლების (თამარაშენი, პუტა, კეხვი, აჩაბეთი) უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სურსათით მომარაგების საკითხი. სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ქართულმა მხარემ დაიწყო შემოვლითი გზის გაყვანა და შემდგომში მისი დაცვა, რასაც საომარი მოქმედებები მოჰყვა.

1992 წლიდან მოყოლებული დღემდე, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში თანდათანობით ძლიერდებოდა სეპარატისტული ხელისუფლების მმართველობის ორგანოები, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და უშიშროების სამსახური. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 2004 წლისა და, განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების დროს, რუსული სამხედრო შენაერთების მხარდამხარ, ოსური მხრიდან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას იღებდნენ „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის ქვედანაყოფები. ამასთან ერთად, მათ დასახმარებლად რუსეთის ფედერაციიდან კონფლიქტის ზონაში გადმოსროლილ იქნა დაქირავებულ ბოევიკთა რაზმები.

კონფლიქტის ესკალაციაში დიდი როლი ითამაშა როკის გვირაბის ფაქტორმა, რომლის მეშვეობითაც სამხრეთელ ოსებს პირდაპირი კავშირი აქვთ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-აღანიასთან. სწორედ ამ გვირაბის წყალობით, სეპარატისტები რეგულარულად იღებდნენ სამხედრო და სხვა სახის დახმარებას რუსეთისგან, როგორც 1991-1992 წლების შეიარაღებული დაპირისპირების, ისე 2004 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს. ფაქტიურად, „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლებისთვის როკის გვირაბი წარმოადგენს ერთადერთ იმედს, რუსეთთან სამომავლო მიერთების პერსპექტივის თვალსაზრისით.

2004 წლის 13-14 აგვისტოს ქ. ცხინვალში გაიმართა შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა, სადაც ხელი მოეწერა ოქმს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

¹¹⁵ ერგნეთის ბაზრობის ყოველთვიური ტვირთბრუნვა მერყეობდა 84 მლნ აშშ დოლარიდან 11.1 მლნ აშშ დოლარამდე, შესაბამისად, წლიურად – 100.8 მლნ აშშ დოლარიდან 1332 მლნ აშშ დოლარამდე. ამ გაანგარიშებებზე დაყრდნობით, საქართველო გადასახადების სახით ყოველწლიურად კარგავდა 80-დან 170 მლნ ლარამდე.

მიუხედავად ამისა, მხარეები მუდმივად ბრალს დებდნენ ერთმანეთს არსებული შეთანხმების დარღვევაში.

ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დღითიდღე გაუარესებასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო რწმუნდებოდა დარეგულირების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართვის აუცილებლობაში¹¹⁶. ოფიციალური თბილისი დღესაც მიზანშეწონილად მიიჩნევს საერთაშორისო კომპონენტის, განსაკუთრებით კი ეუთო-სა და ევროკავშირის როლის გაზრდას კონფლიქტის გადაწყვეტაში.

კულმინაციას მიაღწია ანტიქართულმა ისტერიამ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც. სიტუაციის გამწვავებისა და ორივე მხრიდან მსხვერპლის რაოდენობის ზრდის გამო, 2004 წლის 13-14 აგვისტოს ქ. ცხინვალში გაიმართა შსკ-ის (JCC/CKK) საგანგებო სხდომა, სადაც მიღებულ იქნა ოქმი ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტის შესახებ. მხარეებს ასევე დაევაალათ, არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში გაეყვანათ კონფლიქტის ზონიდან ყველა შეიარაღებული შენაერთი, რომელიც იქ იმყოფებოდა შსკ-ის ან შერეული სამშვიდობო ძალების (CCIM) ნებართვის გარეშე. 2004 წლის 18 აგვისტოს გაიმართა შსკ-ის მორიგი სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამშვიდობო ძალების დამატებითი პოსტების განთავსებისა და გადაადგილების თაობაზე (მხარეთა დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მიზნით). თუმცა, მეორე დღესვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც ქართული მხარე მიღწეული შეთანხმების დარღვევასა და პროვოკაციების მოწყობაში დაადანაშაულა.

შექმნილ რთულ ვითარებაში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო ფორსმაჟორული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2004 წლის 19 აგვისტოს ქ. ცხინვალის მახლობლად ქართული შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეების კონტროლი შერეულ სამშვიდობო ძალებს გადაეცა¹¹⁷. გარდა ამისა, მშვიდობის დამყარებისა და საომარი მოქმედებების

¹¹⁶ 2004 წლის 17 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრა გამართა საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების ელჩებთან, რომელთაც ოფიციალურად გადასცა პრეზიდენტ სააკაშვილის სპეციალური მიმართვა. მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტი მსოფლიო თანამეგობრობას სთხოვდა შუამდგომლობას ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში.

¹¹⁷ მოგვიანებით, 2004 წლის 30 სექტემბერს-2 ოქტომბერს ქ. მოსკოვში გაიმართა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, სადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქ. ცხინვალის ირგვლივ ქართველების მიერ გათავისუფლებულ სტრატეგიულ სიმაღლეებზე უნდა გაუქმებულიყო ყველა სამხედრო ტიპის სიმაგრეები, მაგრამ ოსურმა მხარემ ეს შეთანხმება არ შეასრულა. დღეის მდგომარეობით, ცხინვალის ირგვლივ არსებული ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე ოსებისა და რუსების საჯარისო ნაწილების მიერ კონტროლდება.

შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, ქართულმა მხარემ გადადგა ცალმხრივი ნაბიჯები რეგიონის სრული დემილიტარიზაციისკენ და კონფლიქტის ზონიდან დაიწყო ყველა სამხედრო შენაერთის გაყვანა, სამშვიდობო ძალების მანდატით გათვალისწინებული 500 კაციანი კონტიგენტის გარდა. შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ცხინვალის მისადგომებთან არსებული სიმაღლეების დათმობა და ჯარების გამოყვანა წარმოადგენდა ქართული მხარის მარცხს, თუმცა, მეორეს მხრივ ეს იყო ტაქტიკური უკანდახევა, რომლის წყალობითაც მოცემულ ეტაპზე თავიდან იქნა აცილებული ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა. შექმნილ ვითარებაში, ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე მიიღო. ქართულმა მხარემ ეს ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რათა არ მომხდარიყო ქვეყნის ჩათრევა გაცილებით უფრო მსხვილმასშტაბიან საომარ ოპერაციაში. ამ ნაბიჯით საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააკეთა იმის დემონსტრირება, რომ ოფიციალური თბილისი უპირატესობას მხოლოდ მშვიდობიან მოლაპარაკებებს ანიჭებდა. საქართველოს ხელისუფლების ამ სამშვიდობო ინიციატივამ და კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის მიერ დემილიტარიზაციის პროცესის ცალმხრივად დაწყებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის (ევროკავშირი; ეუთო; აშშ) დადებითი რეზონანსი გამოიწვია.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით ოფიციალური თბილისის სამშვიდობო ინიციატივა ფაქტიურად წარმოადგენდა ეტაპობრივ მიდგომას და ითვალისწინებდა სამი ძირითადი ნაბიჯის გადადგმას:

1. რეგიონის დემილიტარიზაცია და მონიტორინგი, მათ შორის საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრისა და როკის გვირაბის ერთობლივი კონტროლი (შერეული სამშვიდობო ძალების, ქართული, რუსული და ოსური სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა და ეუთო-ს დამკვირვებელთა მონაწილეობით);
2. ცხინვალის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია (იგულისხმება მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, ევროკავშირისა და დაინტერესებული ქვეყნების დაფინანსებით);
3. მოლაპარაკებების აქტივიზაცია ცხინვალის რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის მიზნით (პოლიტიკური დიალოგი).

სამივე კომპონენტი ძალზედ მნიშვნელოვანია და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. პირველი ეტაპის შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნის და შეუძლებელს

ხდის მეორე ეტაპის რეალიზაციას. რაც შეეხება პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხს (მესამე ეტაპი), ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ პირველი ორი ეტაპის წარმატებით განხორციელების შემდგომ.

2004 წლის 5 ნოემბერს ქ. სოჭში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიასა და „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს შორის. ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ოფიციალური თბილისის წინადადება, როკის გვირაბთან ქართველი მებაჟეების განლაგების თაობაზე. საბოლოოდ მხარეებმა მაინც მოახერხეს შეთანხმების მიღწევა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და საომარი მოქმედებების არგანსებას, კონფლიქტის ზონის სრულ დემილიტარიზაციას. კოკოითისა და ჟვანიას შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით გაკეთდა სპეციალური განცხადებაც (*დანართი №8*). შეთანხმების შესრულების ვადად განისაზღვრა 20 ნოემბერი¹¹⁸. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსურმა მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასთან დაკავშირებით.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ეუთო, რომლის მისიაც საქართველოში 1992 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს. 1994 წლიდან საქართველოში ეუთო-ს მისია აქტიურად მონაწილეობდა მსკ-ის სხდომებსა და ქართულ-ოსური უფლებამოსილი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრებში. 1997 წლიდან ცხინვალში ფუნქციონირებს ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი, რომლის მუშაობასაც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ძალზედ საყურადღებოა ცხინვალში და მის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საერთო მდგომარეობა.

2001 წლის დეკემბერში ბუქარესტში, ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომის საბოლოო დოკუმენტში ცალსახად აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრული მხარდაჭერა. ამასთან, პირველად დაფიქსირდა ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესებულნი იყვნენ და დღესაც აქტიურად არიან დაინტერესებულნი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დარეგულირებით,

¹¹⁸ Заявление по итогам встречи З.В. Жвания и Э.Д. Кокойты – 05.11.2004.

სამწუხაროდ სერიოზული პროგრესი არ ჩანს. ევროპულმა სტრუქტურებმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს გამოკვეთილი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რის გამოც მათი ძვირადღირებული პროგრამები ვერ იძლევიან სასურველ შედეგებს. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირზეც, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის შესაძლებლობები კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით ჯერ ბოლომდე არ ამოწურულა.

ქართულ-ოსური ურთიერთობების განხილვა ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტის გარეშე, ყოველად წარმოუდგენელია. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი არ იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო პრობლემები ქართულ-რუსულ ურთიერთობებში.

ცხინვალის რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა წარმოადგენს იმ საკითხს, რომლის გარეშეც გრძელვადიანი და მყარი პოზიტიური მშვიდობის მიღწევა შეუძლებელი იქნება. ეს აუცილებელია, რადგან ტერიტორია გაურკვეველი სტატუსით მუდმივად იქნება დაძაბულობის, დესტაბილიზაციისა და ტერორიზმის წყარო.

2004 წლის 21 სექტემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების თანმიმდევრულ პროცესს¹¹⁹.

2005 წლის 26 იანვარს ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიო თანამეგობრობას ამცნო საქართველოს მთავრობის კომპლექსური სამშვიდობო ინიციატივის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის სრულმასშტაბიან დარეგულირებას¹²⁰. შატურადღებოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ამ გეგმაში, ცხინვალის რეგიონი მოხსენიებულია, როგორც „სამხრეთ ოსეთი“¹²¹. ხსენებული ინიციატივის თანახმად: საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას სთავაზობდა, კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ფართო თვითმმართველობის მინიჭებას, მათ შორის ადგილობრივი ორგანოების სრულ არჩევითობას თავად მოსახლეობის მიერ; სამხრეთ ოსეთი წარმოადგენდა ავტონომიური სტატუსის მქონე საქართველოს ტერიტორიულ

¹¹⁹ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის სრული ტექსტი განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [http://www.president.gov.ge].

¹²⁰ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის სრული ტექსტი განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [http://www.president.gov.ge].

¹²¹ საქართველოს მთავრობის აღნიშნული სამშვიდობო ინიციატივა დაუყოვნებლივ ითარგმნა ინგლისურ, ასევე ოსურ და რუსულ ენებზე, რის შემდეგაც ოფიციალური დოკუმენტის სახით გადაეცა, როგორც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, ისე რუსეთის ფედერაციას.

ერთეულს; უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოში; სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსურ ენას ენიჭებოდა ოფიციალური ენის სტატუსი სახელმწიფო ენასთან (ქართული) ერთად; საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფდა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე გამარტივებული სასაზღვრო რეჟიმის დადგენას ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს მთავრობა იძლეოდა გარანტიას, რომ კონსტიტუციური კანონის ძალაში შესვლასთან ერთად, ამოქმედდებოდა 1990-1992 წლების კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ქონებრივი რესტიტუციის კანონი, ყველა დაზარალებულ ოჯახს მიეცემოდა ფულადი კომპენსაცია. ამასთან, საქართველოს მთავრობა გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ ერთჯერადად გადაუხდიდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას 1991 წლის შემდეგ დაგროვილ ასპენსიო დავალიანებას, ასევე გარანტიას აძლევდა ყველა მაცხოვრებელს, რომ მათი პენსიები და სოციალური შეღავათები ძალაში დარჩებოდა მინიმუმ იმავე რაოდენობით. საქართველოს ხელისუფლება კისრულობდა ვალდებულებას, უზრუნველყო რეგიონის სრულმასშტაბიანი ეკონომიკური რეაბილიტაცია და გამოეყო სათანადო თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა მზად იყო განეხილა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი.

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ქ. სტრასბურგში წარმოდგენილი სამშვიდობო ინიციატივის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილებაში რჩებოდა:

- ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საკითხები;
- შეიარაღებული ძალების კონტროლი (გარდამავალ 3 წლიან პერიოდში ხდებოდა ოსური ძალების ეტაპობრივი ინტეგრაცია საქართველოს ერთიან შეიარაღებულ ძალებში);
- საზღვრის დაცვა და საბაჟო პოლიტიკა;
- სახელმწიფო ფინანსები, ფულის მოჭრა და მიმოქცევა, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა;
- საგარეო პოლიტიკა (სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას მიეცემოდა კანონით განსაზღვრული უფლებები საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საკითხებში);

- მოქალაქეობის საკითხები.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ უარყო საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული სამშვიდობო ინიციატივა და უარი თქვა მის განხილვაზეც კი. საქართველოს ხელისუფლებამ მხარდაჭერისთვის კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა. 2005 წლის 9-10 ივლისს ქ. ბათუმის მახლობლად (ჩაქვში), საქართველოს მთავრობის ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ოფიციალური თბილისის ინიციატივებს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით¹²². ონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა სერიოზული აქცენტები გააკეთა აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითდი¹²³:

- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სრული დამოუკიდებლობა გამორიცხულია. მანამ, სანამ საქართველო არსებობს, ეს არასოდეს მოხდება. ყოველგვარი დიალოგი, რომელიც ტერიტორიის რაღაც ნაწილის მიერ დამოუკიდებლობის მიღებას დაეფუძნება, აპრიორშივე არის მიუღებელი;
- საქართველო მზად არის არა მხოლოდ მაქსიმალური ავტონომიების მინიჭებისთვის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელისუფლების მაქსიმალური გაყოფისთვისაც (იგულისხმება ცენტრალური მთავრობის დონეზე ხელისუფლების განაწილება);
- საქართველოში მცხოვრები კონკრეტული ჯგუფების იდენტურობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, საქართველო მზად არის უზრუნველყოს საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ყველანაირი ლეგიტიმური გარანტია;
- საქართველოს ესაჭიროება საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება იმისათვის, რათა სამხრეთ ოსეთის საკითხის საბოლოო გადაწყვეტის პროცესი დაიძრას და მისი ფორსირება მოხდეს;
- უნდა განახლდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრები „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელთან;

¹²² მოწვეულთა შორის იყვნენ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებიც, თუმცა მათ უარი განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობაზე.

¹²³ ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის სრული ტექსტი განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [http://www.presidpress.gov.ge].

- საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია დიალოგი რუსეთთან, რათა მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება, როგორც ეს ბაზების საკითხთან დაკავშირებით მოხდა. საქართველოს რუსეთთან ყველა სადაო საკითხის მოხსნის სურვილი აქვს, სადაო საკითხი კი მხოლოდ ორი დარჩა – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

ჩაქვის კონფერენციაზე ქართულმა მხარემ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული კონფლიქტის მოგვარების ე.წ. „საგზაო რუკა“ (სტრატეგიული გეგმა). ეს დოკუმენტი, რომელიც პრეზიდენტის გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთებულ განცხადებებში დაფიქსირებული პოზიციების დეტალურ ჩამონათვალს წარმოადგენდა, ითვალისწინებდა კონკრეტულ წინადადებებს კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა მიმართულებებით. „საგზაო რუკა“ ასევე ითვალისწინებდა მოწვევრიგების პროცესში ეუთო-ს როლის შემდგომ გაზრდას, ეუთო-ს ფარგლებში „მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფის შექმნას, რომლის წევრებიც მონაწილეობას მიიღებენ შსკ-ის მუშაობაში. „საგზაო რუკა“ ასევე გულისხმობდა კონფლიქტის ფართო სამხედრო მონიტორინგის განხორციელებას, მათ შორის ეუთო-ს მიერ რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგს.

ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება, კონფლიქტის დარეგულირების თავის სამშვიდობო ინიციატივაში, ცხინვალის რეგიონს მოიხსენიებს „*სამხრეთ ოსეთის*“ სახელწოდებით. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ამ შეშფოთებას ნამდვილად აქვს ობიექტური საფუძველი. თუმცა, მეორეს მხრივ, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება დღეს უკვე გვიანია. იოსებ სტალინმა თავის დროზე ეს საკითხი ინტერნაციონალიზმის იდეის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ასეც რომ არ იყოს, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული რეგიონის სახელწოდების ოსური ელემენტისგან გაწმენდა პრაქტიკულად შეუძლებელია.

2005 წლის ივლისის ბოლოს „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი იმყოფებოდა ქ. გაგრაში, სადაც ორდღიანი მოლაპარაკებები გამართა თავის აფხაზ „კოლეგასთან“ სერგეი ბაგაფშთან. შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში წერია, რომ მხარეები შეთანხმდნენ განავითარონ სტრატეგიული პარტნიორობა „ორი სახელმწიფოს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში“¹²⁴. უფრო მეტიც, ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე აფხაზეთის თვით-

¹²⁴ Независимая газета – 28.07.2005.

გამოცხადებულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აღნიშნა, რომ საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენების მუქარის შემთხვევაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თანამშრომლობამ შესაძლოა სამხედრო ურთიერთდახმარების სახეც მიიღოს.

2005 წ. 20 სექტემბერს ქ. ცხინვალში ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის დღის“ აღსანიშნავი დღესასწაული, რომელსაც თან ახლდა სამხედრო აღლუმი მძიმე ტექნიკის თანხლებით. აღნიშნულმა ფაქტმა ოფიციალური თბილისის დიდი პროტესტი გამოიწვია.

ზემოაღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა სამშვიდობო პროცესის საბაზისო დოკუმენტის – 1992 წლის 24 ივნისის სოჭის (დაგომისის) შეთანხმების, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და რეგიონის დე-ფაქტო ლიდერის ედუარდ კოკოითის 2004 წლის შეხვედრაზე მიღწეული გადაწყვეტილებებისა და შერეული საკონტროლო კომისიის (CKK) დადგენილებების უხეშ დარღვევას. ოფიციალური თბილისის გარდა, ქ. ცხინვალში სამხედრო აღლუმის ჩატარების ფაქტი ასევე უარყოფითად შეაფასა საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელობამაც.

არ დააყოვნა არც საქართველოს პარლამენტის რეაქციამ. კერძოდ, 2005 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ რუსი მშვიდობისმყოფელები ვერ შეძლებდნენ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, საქართველოს პარლამენტი მოახდენდა სამშვიდობოთა მანდატის ანულირებას და მოითხოვდა მათ გაყვანას კონფლიქტის ზონებიდან (*დანართი №9*). სიტუაციის გამოსასწორებლად რუს სამშვიდობოებს მიეცათ შესაბამისი ვადები, კერძოდ: ცხინვალის რეგიონში – 2006 წლის 10 თებერვლამდე, ხოლო აფხაზეთში – 2006 წლის 1 ივლისამდე. დადგენილ ვადებში პროგრესის არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს მხარე დაიწყებდა რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის პროცედურას, მოითხოვდა რა შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების დენონსაციას და მოქმედი საერთაშორისო სტრუქტურების გაუქმებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების 2005 წ. 5-6 დეკემბრის სხდომა, რომელიც ქ. ლუბლიანაში (სლოვენია) გაიმართა. სხდომის დასრულებისას მიღებულ იქნა სპეციალური განცხადება საქართველოზე (*Statement on Georgia*), რომელსაც, ეუთოს სხვა ქვეყნებთან ერთად, რუსეთმაც დაუჭირა მხარი (*დანართი №10*). დოკუმენტის თანახმად, ეუთო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას (იგულისხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის

დარეგულირების სამშვიდობო გეგმა), ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასა და აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის გააქტიურებას¹²⁵.

ეუთოს ლუბლიანას შეხვედრაზე მიღწეული პროგრესის მიუხედავად, 2005 წლის დეკემბრის ბოლოდან რუსეთის მხრიდან აღვილი ქონდა აშკარა მცდელობას, რათა ქართული მხარის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა არ ყოფილიყო გამოყენებული, როგორც საფუძველი (საბაზისო დოკუმენტი) კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისთვის (რუსეთმა უბიძგა ე. კოკოითს, რათა იგი თავად გამოსულიყო საკუთარი სამშვიდობო გეგმით). ამდენად, რუსეთის ამ დესტრუქციული მიდგომის გამო, წარმოიშვა სერიოზული პრობლემები საქართველოს სამშვიდობო გეგმის იმპლემენტაციის თვალსაზრისით (ყველა დონეზე გამართული შეხვედრების დროს, რუსი დიპლომატები ცდას არ აკლებდნენ, რათა მოეხდინათ საქართველოს სამშვიდობო გეგმის ბლოკირება). მოგვიანებით, რუსმა მაღალჩინოსნებმა ისიც განაცხადეს, რომ ქართული მხარის მიერ აქამდე შემუშავებულ არც ერთ სამშვიდობო გეგმაში არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი კონფლიქტის დარეგულირების სამი ეტაპი (დემილიტარიზაცია; ეკონომიკური რეაბილიტაცია; პოლიტიკური დარეგულირება), რის გამოც უპირატესობა ე. კოკოითის „სამშვიდობო ინიციატივებს“ უნდა მიანიჭებოდა. რუსეთის ქმედებები აშკარად გასცდა დიპლომატიურ ჩარჩოებს და მიიღო პროვოკაციული ზეწოლის სხვადასხვა სახე (ენერგობლოკადის მცდელობა, სეპარატისტული რეჟიმების შემდგომი მილიტარიზაცია და ა.შ.). ამის პარალელურად, რუსეთის მხრიდან შეინიშნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის დეზორიენტაციის ინტენსიური მცდელობები.

რუსეთის ფედერაციის უკიდურესად დესტრუქციული პოლიტიკის გათვალისწინებით, 2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, სადაც ცხინვალის რეგიონში განლაგებული რუსი სამშვიდობოების საქმიანობა შეფასებულია მკვეთრად უარყოფითად, ხოლო რუსეთის ფედერაციის ქმედებები – საქართველოს ამ რეგიონის ანექსიის პერმანენტულ მცდელობებად. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა, რათა ამოქმედებინა შესაბამისი პროცედურები 1992 წლის სოჭის (დაგომისის) შეთანხმების გადახედვისა და ცხინვალის რეგიონში განლაგებული

¹²⁵ ლიუბლიანაში, ეუთოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე საქართველოს შესახებ მიღებულ ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც მხარი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად რუსეთის დელეგაციამაც დაუჭირა, ცალსახად დაფიქსირდა, რომ „ეუთო მიესალმება პრეზიდენტ სააკაშვილის გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე გაუდგომებულ და მხარეთა მიერ მხარდაჭერილ სამშვიდობო ინიციატივაზე დაფუძნებულ სამშვიდობო გეგმას, რომელიც საფუძველად დაედება კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას“.

რუსეთის სამშვიდობო ძალების ეფექტიანი საერთაშორისო ოპერაციით ჩანაცვლების, ასევე ახალი სამშვიდობო ფორმატის შემუშავების მიზნით *(დანართი №11)*¹²⁶.

2006 წლის 26 ოქტომბერს ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარების შესახებ, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ცალსახად მოუწოდა რუსეთის მთავრობას, შეწყვიტა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა. ამავე კონტექსტში, მკაცრად არის დაგმობილი ედუარდ კოკოითის მიერ ქ. ცხინვალში 2006 წლის 12 ნოემბერს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნა¹²⁷. რეზოლუციის ტექსტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ევროპარლამენტი ინტერესით ელის ახალ შეთავაზებებს კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების შესახებ. აღინიშნა ისიც, რომ ახალი სამშვიდობო შენაერთი უნდა შეიცავდეს პოლიციურ ელემენტს, ევროკავშირი კი, აუცილებლობის შემთხვევაში, მზად უნდა იყოს, რათა შესაბამისი კონტიგენტი გამოეყოს საამისოდ.

¹²⁶ შერეული საკონტროლო კომისიის (CKK) ფორმატში მიმდინარე 15-წლიანმა მოლაპარაკებებმა რაიმე ხელშეხახები შედეგი ვერ გამოიღო. ამ ხნის განმავლობაში, ხელი მოეწერა 50-ზე მეტ ოქმსა და უამრავ გადაწყვეტილებას, რომელთა უმრავლესობა, შსკ-ის ქმედითუნარობის გამო, არ შესრულებულა. უფრო მეტიც, რუსი სამშვიდობოების ხელშეწყობით, ჩრდილოეთ ოსური ბატალიონის ბაზაზე გაძლიერდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები - თავდაცვის სამინისტრო, სასაზღვრო ჯარი, სახალხო ლაშქარი, საბაჟო და საემიგრაციო სამსახურები და ა.შ. განსაკუთრებით აშკარაა დემილიტარიზაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა, კერძოდ: რეგიონში არსებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება/გაყვანა, საფორტიფიკაციო ნაგებობების ლიკვიდაცია, კონტროლი მძიმე ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანაზე და სხვ. ამასთან ერთად, წლების განმავლობაში, რუსული და ოსური მხარეების მიერ ვუვალირებული იყო შსკ-ის 1992 წლის 12 ივლისის ოქმი №3, რომელიც განსაზღვრავს კონფლიქტის ზონას” (ტერიტორია 15 კმ-ის რადიუსში ცხინვალის ცენტრიდან) და „უსაფრთხოების დერეფანს“ (7-7 კმ-იანი ზოლი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს). ამ დოკუმენტის მიხედვით, როკის გვირაბი შედის უსაფრთხოების დერეფანში, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

¹²⁷ 2006 წლის 12 ნოემბრის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო, „გაიმარჯვა“ ე. კოკოითმა 50 ათასი ხმით (96%), ხოლო „რეფერენდუმში“ მონაწილე ოსების თითქმის 99%-მა ხმა მისცა „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას. თუმცა, კოკოითის სეპარატისტული რეჟიმის გარდა, ორგანიზაცია „ოსების ხსნის კავშირმა“ ასევე გადაწყვიტა 12 ნოემბერს ე.წ. ალტერნატიული არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლდება. „ოსების ხსნის კავშირის“ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა დიმიტრი სანაკოევი (წარსულში თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი), რომელსაც, „ალტერნატიული ცენტრალური საარჩევნო კომისიის“ მონაცემებით, დაახლოებით 40 ათასამდე ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი. ედუარდ კოკოითისგან განსხვავებით, დიმიტრი სანაკოევი პროქართულ პოზიციებს აფიქსირებს და მზადყოფნას გამოთქვამს, გამართოს მოლაპარაკებები ოფიციალურ თბილისთან სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, ერთიანი საქართველოს ფარგლებში. ამგვარად, შეიქმნა სიტუაცია, როცა „სამხრეთ ოსეთი“, ფაქტიურად, ორ ბანაკად აღმოჩნდა გახლეჩილი. ოფიციალურმა თბილისმა, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობამ, არ სცნო კოკოითის დე-ფაქტო რეჟიმის მიერ ორგანიზებული „არჩევნები“.

2007 წლის მთელი პერიოდის მანძილზე ცხინვალის რეგიონში მუდმივად ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის პროვოკაციებს, შეიარაღებულ თავდასხმებსა და ტერორისტულ აქტებს რეგიონის ქართული სოფლებისა და მოსახლეობის წინააღმდეგ, აგრეთვე რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებს¹²⁸. 2008 წლის ივლისსა და აგვისტოს დასაწყისში ამ ყველაფერმა ბევრად უფრო საგანგაშო და მშვიდობისთვის ძალიან საშიში ხასიათი მიიღო¹²⁹. 7 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის 58-ე რეგულარული არმიის 150-მდე ერთეულმა ჯაფშანტეჩნიკამ, როკის გვირაბის გავლით, გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და ქ. ცხინვალის მიმართულებით დაიძრა, რაც ფაქტიურად საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებას ნიშნავდა¹³⁰. კონფლიქტი აშკარად გასცდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებს, მოიცვა ფაქტიურად მთელი საქართველო, რამაც საბოლოო ჯამში მიიღო ფართომასშტაბიანი ქართულ-რუსული სამხედრო კონფრონტაციის სახე (სამხედრო ავიაციის გამოყენებით)¹³¹.

2008 წ. 12 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ევროკავშირის შუამავლობით რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დაიდო 6 პუნქტიანი შეთანხმება, რომლის თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე და უნდა დაწყებულიყო საერთაშორისო დისკუსიები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის

¹²⁸ 2008 წ. 3 ივლისს, ცხინვალის რეგიონის ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სეპარატისტისტებმა განახორციელეს ტერორისტული აქტის მცდელობა დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დ. სანაკოევის წინააღმდეგ. თავად სანაკოევი გადარჩა, თუმცა მისი თანმხლები კორტეჟი სერიოზულად დაზიანდა.

¹²⁹ 29 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით, ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების მისამართით წარმოებდა ინტენსიური ცეცხლი არტილერიიდან, კონფლიქტის ზონაში უკანონოდ შეყვანილი ტანკებიდან, ასევე ყველა სხვა სახის იარაღიდან, ნაღმტყორცნებისა და ყუმბარმტყორცნების ჩათვლით.

¹³⁰ რუსეთის ფედერაციის ამ ქმედების საპასუხოდ და ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონში სამხედრო შენაერთების შეყვანის თაობაზე. 8 აგვისტოს, პოზიციური ბრძოლები უკვე ქ. ცხინვალის მისადგომებთან მიმდინარეობდა, რის შედეგადაც ქართულმა ჯარმა შესძლო ყოფილი ავტონომიური ოლქის დედაქალაქის მცირე ხნით კონტროლის ქვეშ მოქცევა.


¹³¹ რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა საქართველოს მასშტაბით მდებარე რამდენიმე სტრატეგიულ ადგილას ბომბები ჩამოყარეს, მათ შორის სენაკის სამხედრო ბაზაზე და ფოთის პორტში, ასევე დაიბომბა სარკინიგზო სადგური სენაკში, ოთხჯერ დაიბომბა ვაზიანის სამხედრო ბაზა. რამდენჯერმე დაიბომბა ქ. გორი, საიდანაც დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. ათამდე საჰაერო დარტყმა მიაყენეს კოდორის ხეობას. არსებობდა ქ. თბილისის ალებისა და საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის საფრთხეც.

შესახებ¹³². 2008 წ. 15 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით მიღწეულ ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წ. 8 სექტემბერს კი, ევროკავშირის ინიციატივით, ქართულ და რუსულ მხარეებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, განისაზღვრა ე.წ. „სარკოზის შეთანხმების“ შესრულების პირველ ეტაპზე განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები (დანართი №12)¹³³.


ცხინვალის რეგიონზე გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, რომელიც რუსეთს აკავშირებს საქართველოსთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან და თურქეთთან. ამდენად, სავსებით გასაგები ხდება იგივე სომხეთის რესპუბლიკის შემოფოტებაც იქიდან გამომდინარე, რომ სიტუაციის გამწვავება ცხინვალის რეგიონში საფრთხეს უქმნის სომხეთის სასიცოცხლო ინტერესებს (მით უფრო აფხაზეთის რკინიგზის ბლოკირების პირობებში), როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. ამიტომ პრინციპულად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში რუსეთმა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ხოლო ამის შემდგომ, მოხდეს ცხინვალის რეგიონის სრული დემილიტარიზაცია და სატრანსპორტო კომუნიკაციების თავისუფლად ფუნქციონირება. ეს ერთის მხრივ ხელს შეუწყობდა ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, ხოლო მეორეს მხრივ შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს სტრატეგიული პარტნიორობისთვის რეგიონის სახელმწიფოებს შორის, რომლის საფუძველშიც ჩაიდებოდა არა პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობა. როდესაც ჩნდება საერთო ეკონომიკური ინტერესი, სეპარატიზმი მეორე პლანზე გადადის, რაც კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების სერიოზულ მოტივს წარმოადგენს.

¹³² პრეზიდენტ სარკოზის შუამდგომლობის საფუძველზე მომზადებული თავდაპირველი გეგმა ეფუძნებოდა ექვს პრინციპს, კერძოდ ესენია: 1) ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; 2) საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა; 3) ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა; 4) საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში; 5) რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. შაერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს; 6) საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.

¹³³ 8 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე, რუსეთის საჯარისო შენაერთებს 15/IX-მდე უნდა დაეტოვებინათ ქალაქები ფოთი, სენაკი და მათი მიმდებარე ტერიტორიები; 2008 წ. 10/X-მდე არც ერთი რუსი ჯარისკაცი აღარ უნდა დარჩენილიყო საქართველოში, „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის გარდა. 1 ოქტომბრამდე კი უნდა უზრუნველყოფილი ყოფილიყო საერთაშორისო მექანიზმების, მათ შორის ევროკავშირიდან 200 დამკვირვებლის განთავსება ე.წ. ბუფერულ ზონებში (მოიცავს კონფლიქტური რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებს). თუმცა, მოსკოვმა ნათლად განაცხადა, რომ არ აპირებს უშუალოდ აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან“ გასვლას.



ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)



ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)



„სამხრეთ ოსეთის“ რეგიონი



აფხაზეთის რეგიონი



საქართველოს ფიზიკურ-პოლიტიკური რუკა

3.3. აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი და პერსპექტივები

პოსტსაბჭოთა სეპარატიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო პარადოქსს წარმოადგენს აფხაზეთის ფენომენი¹³⁴. მთელი პარადოქსულობა იმაშია, რომ სეპარატიზმის გზას დაადგა ხალხი, რომელიც შეადგენდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმცირესობას. 1979 წლის აღწერით, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობდა 486.0 ათასი კაცი, აქედან – 213.0 ათასი ქართველი (43.9%), 83.0 ათასი აფხაზი (17.1%), 80.0 ათასი რუსი (16.4%), 73.0 ათასი სომეხი (15.1%).¹³⁵ ცხოვრობდნენ აგრეთვე უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები და სხვები (*უფრო ვრცელი ინფორმაცია აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული სურათის შესახებ იხილეთ დანართში №13*). აფხაზეთის კონფლიქტი, რომლის მშვიდობიან დარეგულირებაზეც უკვე 15 წელიწადზე მეტია, რაც უშედეგოდ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, წარმოადგენს ერთ-ერთ უსერიოზულეს პრობლემას, როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის სტაბილურობისთვის.

3.3.1. ომი აფხაზეთში (საქართველო): კონფლიქტის მიზეზები, ესკალაცია და შედეგები. ისტორიული თვალსაზრისით, აფხაზეთი ოდითგანვე წარმოადგენდა საქართველოს განუყოფელ სისხლხორცეულ ნაწილს¹³⁶. საქართველოში დემოკრატიული რეჟიმის ძალადობრივი დამხობისა და კომუნისტური წეს-წყობილების დამყარების შემდგომ (1921 წლის 25 თებერვალი), ადგილი ჰქონდა „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ გამოცხადების მცდელობას (1921 წლის 31 მარტი)¹³⁷. თუმცა, საბოლოო ჯამში,

¹³⁴ აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მისი ტერიტორიაა - 8.7 ათასი კვ. მ., რაც შეადგენს საქართველოს მთელი ტერიტორიის 12.5%-ს.

¹³⁵ საქართველოს სსრ // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981, გვ. 312.

¹³⁶ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაარსების პროცესი, რომელიც გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს. მოძრაობა დაიწყო ასევე ქუთაისის გუბერნიის შემადგენელ სოხუმის ოლქშიც (აფხაზეთი). აფხაზეთის სათავეში მოსულმა სახალხო საბჭომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ოლქის ავტონომიური სტატუსის აღიარების თხოვნით (1918 წლის თებერვალი). მიღწეულ იქნა შეთანხმება და შემდეგ დაიდო ხელშეკრულება (1918 წლის ივნისი), რომელიც ანიჭებდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს ფართო შიდა თვითმმართველობას, ხოლო 1919 წლის 20 მარტს იგივე ორგანო აკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მისმა ფაქტობრივმა სამართალმემკვიდრემ - საბჭოთა რუსეთმა - აღიარა დამოუკიდებელი საქართველო მდინარე ფსოუს საზღვრებამდე (ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიის ჩათვლით). ეს განმტკიცებული იყო რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებითაც.

¹³⁷ 1921 წლის 31 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამ ნაბიჯის შედეგი იყო ის, რომ შეიქმნა საშიში პრეცედენტი და ჩაიდო სეპარატიზმის „ნაღმი“. თუმცა, ეს იმდენად ალოგიკური და გაუმართლებელი ნაბიჯი იყო, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მალევე გააუქმა ეს გადაწყვეტილება და აფხაზეთი კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა. 1921 წლის დეკემბერში აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში საკავშირო ხელშეკრულების სახით,

აფხაზეთი მოქცეულ იქნა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ე.წ. „სახელმწიქრობის რესპუბლიკის“ ფორმით, რაც 1924 წლიდან სსრკ-ის კონსტიტუციებში ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც „ავტონომიური რესპუბლიკა“, როგორცაა ის ფორმალურად არსებობს კიდევ 1931 წლიდან¹³⁸. 1931 წ-დან აფხაზეთი ოფიციალურად არის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს კონსტიტუციების მიხედვით. სსრკ-ის 1936 და 1977 წლის კონსტიტუციების საფუძველზე, საბოლოოდ იქნა განსაზღვრული ავტონომიების სამართლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, ხსენებული კონსტიტუციების მიხედვით, ავტონომიური წარმონაქმნები წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკების განუყოფელ შემადგენელ ნაწილებს. ამასთან, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენდა ერთადერთ ავტონომიურ წარმონაქმნს ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელსაც თავის კონსტიტუციაში გააჩნდა სპეციალური მუხლი სახელმწიფო ენის – აფხაზურის – შესახებ.

აფხაზეთში ფუნქციონირებდა 25 აფხაზური სკოლა, რომელთა რიცხვიც შემდგომში 73-მდე გაიზარდა (აფხაზური და შერეული სკოლები), სადაც აფხაზურ ენაზე განათლებას იღებდა 5000-მდე მოსწავლე. ქ. სოხუმში ფუნქციონირებდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ეროვნული ტელევიზია (მაუწყებლობდა აფხაზურ ენაზე), აფხაზური დრამატული თეატრი, აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი, აფხაზური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირები და ა.შ. აფხაზურ ენაზე იბეჭდებოდა სხვადასხვა მხატვრული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურა. ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობით და პარტიულ სტრუქტურებში აფხაზებს დომინირებული მდგომარეობა და, ქართველებთან შედარებით, უპირატესი პოზიციები ეკავათ. გარდა ამისა, 1990 წლამდე აფხაზები ასევე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის რიგებში. უფრო მეტიც, 1991 წელს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, აფხაზებმა იმასაც მიაღწიეს, რომ მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის 65 ადგილიან პარლამენტში აფხაზებს ეკუთვნოდათ – 28, ქართველებს – 26, ხოლო ყველა დანარჩენს კი – 11 ადგილი. ჩვენის აზრით, ეს არც თუ ისე სამართლიანი გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან ის არ ასახავდა და, პირიქით, უგულვებელყოფდა კიდევ ავტონომიურ რესპუბლიკაში არსე-

ხოლო 1931 წელს აფხაზეთის საკავშირო რესპუბლიკა გარდაიქმნა აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

¹³⁸ 1924 წლის სსრკ კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულია, როგორც ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა, თუმცა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ის ხელშეკრულების საფუძველზე შევიდა.

ბულ რეალურ დემოგრაფიულ სურათს. თუმცა, მეორეს მხრივ, საქართველოს ეროვნული ხელისუფლება წავიდა ამ კომპრომისზე (დაპირისპირების ეკსალაციის თავიდან აცილების მიზნით), რადგან ხსენებულ კანონში ჩადებული იყო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, ქართული დეპუტაციის მხარდაჭერის გარეშე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტს არ ჰყოფნიდა ქვორუმი დადგენილებათა მისაღებად.

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთი წლების მანძილზე წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც ეთნიკურად აფხაზური მოსახლეობა სარგებლობდა არათუ თანაბარი, არამედ უპირატესი უფლებებითა და პრივილეგიებითაც, რეგიონის ქართულ მოსახლეობასთან შედარებით. ამასთან, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი პროიმპერიულ ძალებთან, აფხაზმა სეპარატისტებმა 1980-იანი წლების ბოლოდან და 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსაყოფად და დაიწყეს ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც მნიშვნელოვნად კვეცდნენ ოფიციალური თბილისის იურისდიქციას¹³⁹. ამ ყველაფერს თან ახლდა ანტიქართული პროპაგანდა და ომისთვის მზადება (ლოზუნგით „აფხაზეთი ქართველების გარეშე“).

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკის შედეგად კრემლის მიერ აღორძინებული აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმი XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის მეტისმეტად აგრესიული გახდა. მას სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი რადიკალური ორგანიზაცია „აიდვილარა“, რომელიც თავის საქმიანობას ორი მიმართულებით აწარმოებდა. ერთის მხრივ, ის ახორციელებდა აფხაზეთის მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას, რათა შექმნილიყო სასურველი ფონი საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიელ თანამზრახველებთან და საბჭოეთის ცენტრთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, შეიარაღებულ ბოვეიკებს ამზადებდა. საბჭოთა კავშირის „კვბ“ აფხაზურ მოსახლეობაში ავრცელებდა აზრს, რომ აფხაზეთი მუდამ რუსეთის შემადგენელი ნაწილი იყო და იგი მას სტალინმა ჩამოაშორა, რაც, ბუნებრივია, არ შეესაბამება სინამდვილეს.

საბჭოთა იმპერიის დესტრუქციული პოლიტიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაწყვეტი სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი

¹³⁹ 1989 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო დებულობენ დადგენილებას აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ (ზუსტად ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც).

მდივნის – მიხეილ სუსლოვის საიდუმლო მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე 1961 წელს: „დღეს თუ არა ხვალ ქართველები დაიწყებენ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. მათთან ბრძოლა აფხაზეთით უნდა დავიწყოთ. სამეგრელოს, სვანეთს უნდა მიეცეს ავტონომიები. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ქართველები აფხაზეთში ჩამოსახლებულები არიან. დასავლეთ საქართველო უნდა დაეუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ მომრიგებლის როლი“¹⁴⁰. უფრო ადრე ნიკიტა ხრუშჩოვს ასევე არაერთხელ უთქვამს: „თუ ქართველები ჭკუით არ იქნებიან, მათ მივუსევ აფხაზებს“¹⁴¹.

თვალნათლივ გააცნობიერეს რა, რომ არ არსებობს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის არანაირი სამართლებრივი მექანიზმი, სეპარატისტებმა გეზი შეიარაღებული კონფლიქტისკენ აიღეს, რომლის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენდა რეგიონში არსებული დემოგრაფიული სურათის შეცვლა და „უმცირესობის“ გადაქცევა „უმრავლესობად“, ქართველების განადგურებისა და მათი აფხაზეთიდან გამოდევნის ხარჯზე. სსრკ-ის დაშლის შემდგომ (1991 წლის დეკემბერი), ამ პროცესმა ახალი იმპულსი შეიძინა, რაც, საბოლოო ჯამში, გადაიზარდა ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი საკმაოდ კატეგორიული და მკაცრია მსგავს შემთხვევებში. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ ახდენს ისეთი მოქმედებების სანქცირებას, რომელთაც შეუძლიათ, თუნდაც ნაწილობრივ, საფრთხე შეუქმნან ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ ერთობას. ერთიანი სახელმწიფოდან გამოყოფა არ წარმოადგენს ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის აუცილებელ ელემენტს. ნაციონალურ, ეთნიკურ, ენობრივ და რელიგიურ უმცირესობებს არ გააჩნიათ სახელმწიფოდან გამოყოფის უფლება.

„გაეროს პრაქტიკაში არსებული განმარტების თანახმად, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება 1970 წლის დეკლარაციას, ასევე 1993 წლის ვენის დეკლარაციასა და მოქმედებათა პროგრამას, სახელმწიფოდან გამოყოფა ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ ეს შეეხება იმ ხალხების ტერიტორიებს, რომლებიც ექვემდებარება დეკოლონიზაციას (დღესდღეობით, ამ დებულებამ უკვე დაკარგა თავისი აქტუალობა, რადგან დეკოლონიზაციის პროცესი პრაქტიკულად დასრულებულია);

¹⁴⁰ ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 2000. გვ. 32.

¹⁴¹ ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 2000. გვ. 32.

- ბ) თუ ეს გათვალისწინებულია მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციაში (ან რაიმე სხვა კანონში);
- გ) თუ ტერიტორია, რომელიც დასახლებულია გარკვეული ხალხით, ანექსირებულ იქნა 1945 წლის შემდეგ;
- დ) თუ ხალხები ცხოვრობენ იმ სახელმწიფოში, რომელიც არ იცავს მათთან მიმართებაში თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპს და არ უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლობითობას (ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში¹⁴².

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულ-აფხაზურმა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო 1989 წლის 18 მარტიდან, როდესაც აფხაზურ სოფელ ლიხნიში მიღებულ იქნა „აფხაზი ხალხის წარმომადგენლების დადგენილება“ და „მიმართვა მიხეილ გორბაჩოვისადმი“¹⁴³. ხსენებულ დოკუმენტებში საუბარია ეროვნებათშორისო ურთიერთობების გაჯანსაღების აუცილებლობაზე, „აფხაზეთისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის დაბრუნების გზით, ფედერაციის ლენინური იდეის ფარგლებში“¹⁴⁴. ხსენებულმა მოვლენებმა ოფიციალური თბილისისა და ქართული მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვიეს. საქართველოს, მათ შორის, აფხაზეთის ქალაქები, მასობრივი მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღამ მოიცვა (ქართველების 12 ათასიანი მიტინგი გალში – 1989 წლის 25 მარტი; ასევე მიტინგები სოხუმში, ლესელიძესა და სხვა ქალაქებში).

1990 წლის აგვისტოში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი არჩევნების შესახებ. კანონი შეიცავდა პუნქტს, რომელიც კრძალავდა რეგიონული პარტიების მონაწილეობას რესპუბლიკური პარლამენტის არჩევნებში. რუსი პოლიტოლოგის კ. გაჯიევის აზრით, აღნიშნული კანონის მიღების მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ არ დაეშვათ აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ კანდიდატების მოხვედრა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში¹⁴⁵.

ამის საპასუხოდ, 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი

¹⁴² Алексидзе Л. «Абхазский вопрос»: взгляд из Тбилиси // Институт стратегических оценок и анализа. Вестник Аналитики, №3 (9). М., 2002. с. 152.

¹⁴³ მასობრივი ინფორმაციის ცალკეულ საშუალებებში გაერცვლებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ დონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 30 ათასი ადამიანი, მათ შორის, აფხაზეთის პარტიული და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე 5 ათასამდე სომეხი, ბერძენი და რუსი.

¹⁴⁴ Абхазский узел. Документы и материалы. М., 1995. с.115.

¹⁴⁵ Гаджиев К.С. Геополитика Кавказа. М., «Международные отношения», 2001. с. 159.

გარანტიების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „...აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ში მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს; მაშასადამე, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის კანონიერი ფორმაა აფხაზეთის ხალხების მიერ ნების თავისუფალი გამოვლენით შექმნილი და 1921 წლის 31 მარტს გამოცხადებული აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ (პუნქტი 3). ამავე დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე სვამს საკითხს, 1921 წლის 31 მარტს გამოცხადებული აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენის შესახებ (პუნქტი 4).

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ, მიიღო დეკლარაცია (XI მოწვევის მე-10 სესიაზე) აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. დეკლარაციის ძირითადი დებულებები მდგომარეობდა შემდეგში: „აფხაზეთის სსრ არის სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა აფხაზი ერის თვითგამორკვევის ხელშეუვალი უფლების განხორციელების, თავისი ბედის განსაზღვრაში ხალხის ნების უზენაესობის საფუძველზე. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება მის მთელს ტერიტორიაზე“ (პუნქტი 1); „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების მოქმედება, რომლებიც არღვევენ აფხაზეთის სსრ სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგებიან მის უფლებებს, ჩერდება აფხაზეთის სსრ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ“ (პუნქტი 7); „აფხაზეთის სსრ-ს შეუძლია გახსნას თავისი წარმომადგენლობები სსრ კავშირში, საბჭოთა რესპუბლიკებში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში“ (პუნქტი 10); „აფხაზეთის სსრ აწესებს აფხაზეთის მოქალაქეობას და ყველა მოქალაქეს აძლევს სსრკ მოქალაქეობის შენარჩუნების გარანტიას“ (პუნქტი 12); „დეკლარაცია არის აფხაზეთის სსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველი და განსაზღვრავს რესპუბლიკის პოზიციას სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და საქართველოს სსრ-თან ხელშეკრულების დადების დროს“ (პუნქტი 15). მეორე დღესვე (26 აგვისტო), საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წ. 25 აგვისტოს დეკლარაცია.

საქართველოს პირველ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში (1990 წ. ოქტომბერი) ზვიად გამსახურდიას საარჩევნო ბლოკის („მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“) გამარჯვების შემდეგ, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ აქტიურად დაიწყო თბილისისადმი დაუმორჩილებლობის პოლიტიკის გატარება. 1990 წ. დეკემბერში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვლადისლავ არძინბა. იმავე სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომზადებულიყო კანონის პროექტი აფხაზეთის ახალი საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

1991 წლის 28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე იკრძალებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება (პუნქტი 1). ამავე დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1991 წლის 31 მარტს საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით¹⁴⁶.

აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ, არ გაითვალისწინა რა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილება, მონაწილეობა მიიღო 17 მარტს გამართულ სრულიად საკავშირო რეფერენდუმში, სსრ კავშირის შენარჩუნების თაობაზე (ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას, ქართული მოსახლეობის ჩათვლით, ამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია). ამის საპასუხოდ, 1991 წ. 22 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმისა და №669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შედეგები, ჩაითვალა იურიდიული ძალის არმქონედ¹⁴⁷.

1991 წ. 2 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვლადისლავ არძინბას მეთაურობით, მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“. ამასთან ერთად, 1991 წლის განმავლობაში, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ ზედიზედ მიიღო მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც სერიოზულ წინააღ-

¹⁴⁶ 1991 წლის 31 მარტს საქართველოში გაიმართა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. რეფერენდუმი ჩატარდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც. აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 61.27%-მა. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97.73%-მა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59.84%-ს შეადგენდა. რეფერენდუმში მონაწილეთა მხოლოდ 1.37% გამოვიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ამ რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

¹⁴⁷ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 22 მარტის დადგენილება.

მდეგობაში მოდიოდნენ საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელ კონსტიტუციასთან¹⁴⁸. ყოველივე ეს ოფიციალური თბილისის სამართლიან პროტესტს იწვევდა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ურთიერთობას ცენტრსა და რეგიონს შორის.

საქართველოში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შედეგად (1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარი), ხელისუფლება ხელში ჩაიგდო სამხედრო საბჭომ, რომელმაც შემდგომში მთელი ძალაუფლება გადასცა ასევე არალეგიტიმურ ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს (სახელმწიფო საბჭოს სათავეში ჩაუდგა ედუარდ შევარდნაძე). 1992 წლის თებერვალში სამხედრო საბჭომ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია (იგულისხმება 1978 წლის კონსტიტუცია, 1990 წლის ცვლილებების გათვალისწინებით) და აღადგინა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წ. 21 თებერვლის კონსტიტუციის მოქმედება, რაც, როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, წარმოადგენდა შეცდომას სამართლებრივი თვალსაზრისით. სამხედრო საბჭოს ამ უგუნური გადაწყვეტილებით, ფაქტიურად, ანულირებულ იქნა აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის სამართლებრივი ბაზა¹⁴⁹. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო საბჭო წარმოადგენდა სრულიად არალეგიტიმურ ორგანოს და, ამდენად, მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ან სამართლებრივი აქტი თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც უკანონო და იურიდიული ძალის არმქონე.

1992 წ. 23 ივლისს ე.წ. აფხაზეთის სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდა „აფხაზეთის რესპუბლიკა“. იმავე დღეს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაც, ფაქტიურად, წარმოადგენდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის იურიდიული გაფორმების კიდევ ერთ მცდელობას. ხსენებულ დადგენილებაში წერია: „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი და

¹⁴⁸ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წ. 27 სექტემბრის დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წ. 27 ნოემბრის დადგენილება „აფხაზეთში სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წ. 27 ნოემბრის დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის შესახებ“; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წ. 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების დაწესებულებათა დისლოკაციისა და მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

¹⁴⁹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წ. 21 თებერვლის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულია არა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ როგორც „სოხუმის ოლქი“ (თავი XI, მუხლი 107).

მისი ურთიერთმიმართება საქართველოს სსრ-თან და სსრკ-თან განისაზღვრებოდა და რეგულირდებოდა აფხაზეთის ასსრ და საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციებით, აგრეთვე სსრკ 1977 წლის კონსტიტუციით ... 1992 წლის თებერვალში საქართველოს დროებითმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაზე გადასვლის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული არ იყო ისეთი სუბიექტი, როგორც არის აფხაზეთის ასსრ ... აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუცია მიღებულ იქნა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციისა და სსრკ 1977 წლის კონსტიტუციის შესაბამისად. ამ უკანასკნელთა მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას გამოეცალა თავისი სამართლებრივი საფუძველი და აღარ შეესაბამება ამჟამად შექმნილ პოლიტიკურ და იურიდიულ რეალიებს. ამრიგად, აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთმიმართებაში სამართლებრივი ვაკუუმი გაჩნდა. ამ მოუწესრიგებელი სამართლებრივი ვაკუუმის დაძლევის მიზნით, აგრეთვე ხელმძღვანელობს რა აფხაზეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის აღდგენისაკენ მისწრაფებით, აფხაზეთის უზენაესი საბჭო ადგენს: 1) მიზნულ იქნას, რომ აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციამ შეწყვიტა თავისი მოქმედება; 2) აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ამოქმედდეს აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია ... საკონსტიტუციო კომისიამ დააჩქაროს აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მოსამზადებელი სამუშაოები და 1992 წლის სექტემბერში წარუდგინოს იგი აფხაზეთის უზენაეს საბჭოს“.

როგორც უკვე აღინიშნა, კრემლის შორსმიმავალი მიზნების მიღწევის რეალურ საშუალებად დაისახა აფხაზეთში საომარი მოქმედებების პროვოცირება, რაც წარმატებით განხორციელდა კიდევ 1992 წელს, როდესაც, საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ქვეყანაში უმძიმესი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა (ამ მომენტისთვის, საქართველოში უკვე არსებობდა ერთი შეიარაღებული კონფლიქტი, ცხინვალის რეგიონის სახით). რუსეთის ნეგატიური როლის ბოლომდე გასააზრებლად საეხებით საკმარისია თუნდაც ის მაგალითი, რომ, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე (1992 წლის აგვისტო), რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა მთელ მსოფლიოს აუწყეს, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარებმა ომი გამოუცხადეს აფხაზეთს. სინამდვილეში, მოვლენები შემდგენიარად განვითარდა. 1992 წ. 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რათა აფხაზეთში შესულიყო საქართველოს

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გარკვეული სამხედრო კონტინგენტი, კონტროლის ქვეშ აეყვანა სარკინიგზო მაგისტრალი, აღეკვეთა იქ ყაჩაღობისა და ტვირთების გატაცების ფაქტები, ასევე განეიარაღებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წ. 10 აგვისტოს დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების თაობაზე“)¹⁵⁰. აფხაზეთის რკინიგზის დაცვას გააჩნდა სტრატეგიული მნიშვნელობა, ვინაიდან იგი, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ერთმანეთთან აკავშირებდა რუსეთს და სომხეთს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება წინასწარ იყო შეთანხმებული პირადად ვლადისლავ არძინბასთან, გალი-ოჩამჩირის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას, აფხაზურმა მონოეთნიკურმა გვარდიამ საქართველოს საჯარისო ნაწილებს ცეცხლი გაუხსნა. სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა ვლადისლავ არძინბას რადიოგამოსვლის შემდგომ, როდესაც მან საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. 1992 წ. 14 აგვისტოს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება „ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაციისა და აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკისათვის იარაღის გადაცემის შესახებ“. აფხაზეთში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია დაიწყო¹⁵¹.

საომარი მოქმედებების დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1992 წლის 3 სექტემბერს (ამ მომენტისთვის ქართული სამხედრო შენაერთები უკვე გაგრძედა იყვნენ), რუსეთის ინიციატივითა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, ქ. მოსკოვში ხელი მოეწერა „შეთანხმებას (შემაჯამებელ დოკუმენტს) ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“¹⁵². ამ დოკუმენტის მუხლი 1 იწყებოდა შემდეგი აბზაცით: „უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, კონფლიქტის მონაწილე ყველა შეიარაღებული ფორმირება 1992 წ. 5 სექტემბრის 12.00 საათიდან წყვეტს ცეცხლს და ყოველგვარი ძალის

¹⁵⁰ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების აფხაზეთში შეყვანის რეალურ მიზეზს წარმოადგენდა არა რკინიგზის დაცვა, არამედ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეების დასჯა, რომლებიც აფხაზეთში საკმაოდ მრავლად იყვნენ. 1992 წლის აგვისტოს დასაწყისში აფხაზეთში ადგილი ქონდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა (ე.წ. „ზვიადისტების“) მასიურ გამოსვლებს, ხოლო ედუარდ შევარდნაძისა და სახელმწიფო საბჭოს ძალაუფლება იქ ფაქტიურად, არ ვრცელდებოდა. ზოგიერთი მკვლევარი დღესაც მიიჩნევს, რომ სწორედ ეს გარემოება იქცა აფხაზეთში შესვლის მთავარ მოტივად.

¹⁵¹ აფხაზი სეპარატისტებისა და დაქირავებული „ბოვეიკების“ გარდა, აფხაზეთში ქართული ჯარების წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის, რუსეთის 345-ე სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, ასევე ოჩამჩირესა და გუმიხთაზე დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონები.

¹⁵² მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი - 03.09.1992.

გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ...“. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შინაურ კონფლიქტებში (მუხლი 9). რუსეთის ფედერაციის სახელით, დოკუმენტს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, ხოლო საქართველოს სახელით – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. დოკუმენტში ასევე დაფიქსირდა იმ პირობა სია, რომლებიც დაეთანხმნენ აღნიშნულ შეთანხმებას. მათ რიცხვში იყო აფხაზი სეპარატისტების ლიდერი ვლადისლავ არძინბაც. შეთანხმების შესრულების გარანტიად გამოდიოდა რუსეთი. ქართულმა მხარემ გაგრიდან თავისი საჯარისო ნაწილები გაიყვანა, ქალაქში მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა დარჩა. მაგრამ, მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია შეთანხმება და მთელი სამხედრო პოტენციალით შეუტია გაგრას. 1992 წლის 1 ოქტომბერს სეპარატისტებმა შტურმით აიღეს გაგრა, სადაც დაიწყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. რაც შეეხება 3 სექტემბრის შეთანხმების გარანტს – რუსეთს, ეს უკანასკნელი არა მხოლოდ დუმდა, არამედ აშკარა დახმარებასაც უწევდა აფხაზ სეპარატისტებს ცოცხალი ძალითა და შეიარაღებით.

1993 წლის 27 ივლისს, რუსეთის შუამავლობით, ქართულ, აფხაზეთურ და რუსულ მხარეებს შორის ხელი მოეწერა (ქ. სოჭში) შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ“. შეთანხმება ითვალისწინებდა დაპირისპირებულ მხარეთა განიარაღებასა და კონფლიქტის ზონის ეტაპობრივ დემილიტარიზაციას. შეთანხმება კრძალავდა ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენებას, ასევე კონფლიქტის ზონაში ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელ გადაადგილებებს, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანას, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგებას. ამასთან, უნდა შექმნილიყო ქართულ-აფხაზეთურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები, რომელთაც მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესრულების მდგომარეობისთვის. შეთანხმებაში ასევე აღინიშნა: „კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთვალყურეები და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან გავლენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მართლწესრიგის დასაცავად გამოყენებული იქნება საერთაშო-

რისო სამშვიდობო ძალები, აგრეთვე, გაეროსთან კონსულტაციით, კონფლიქტის ზონაში დროებით განლაგებული რუსეთის საჯარისო კონტინგენტი ... აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის ჯარები იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს ...“¹⁵³. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ, რომელიც კვლავ რუსეთისადმი ნდობის პოლიტიკის ერთგული დარჩა, სოჭის შეთანხმების ხელმოწერისთანავე დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მძიმე ტექნიკის ფოთის მიმართულებით გაყვანა. ამის საპირისპიროდ, აფხაზურ მხარეს არ დაუწვია ანალოგიური პროცესი, რაც, ფაქტიურად უკვე იმის მაუწყებელი იყო, რომ ადგილი ქონდა მორიგ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას. სიტუაციას ამძიმებდა ის გარემოება, რომ ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკებები ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და ედუარდ შევარდნაძის სამთავრობო ჯარებს შორის. ბუნებრივია, შექმნილი ვითარება ხელს აძლევდა რუს გენერლებს და აფხაზ სეპარატისტებს, რომლებმაც 16 სექტემბერს დაიწყეს ქ. სოხუმის მასიური დაბომბვა. დგომარეობის გამოსწორების მიზნით, 17 სექტემბერს ადღერში საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ შეხვედრა გამართა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან პაველ გრაჩოვთან, თუმცა, მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

18 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძემ გააუზრცელა საჯარო მიმართვა სხვადასხვა ქვეყნებისა და გაეროს გენერალური მდივნის სახელზე. მიმართვაში ნათქვამია: „1992 წლის 3 სექტემბერს ჩვენ მოსკოვში ხელი მოვაწერეთ შემაჯამებელ დოკუმენტს ... ეს დოკუმენტი დაქირავებულთა ჩექმებით გათელეს, რომლებმაც უიარალო გაგრა შტურმით აიღეს ... დაბოლოს, უკვე მერამდენედ, ვენდეთ რა რუსეთის სამშვიდობო მისიას, მის, როგორც გარანტისა და შუამავლის როლს, დავდეთ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება და პასუხად კვლავ დალატი მივიღეთ ... შეტევაზე გადმოვიდნენ „ბოვეიკები“, რომლებიც თითქოს განიარაღებული ჰყავდათ, და ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ხელშეკრულების შესრულების გარანტმა მხარემ ან არ ისურვა, ან ვერ შეძლო ყოფილიყო გარანტი ... არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია, ჯერჯერობით, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციასაც და გენერალური მდივნის მტკიცე განცხადებებს ...“¹⁵⁴. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მიმართვაში დაუფარავად არის საუბარი ოფიციალური მოსკოვის უუნარობაზე (ან

¹⁵³ შეთანხმება „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ“ (ქ. სოჭი) – 27.07.1993.

¹⁵⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 21 სექტემბერი.

სურვილის არქონაზე) შეესრულებინა მშვიდობის გარანტორი ქვეყნის ფუნქციები, ვიჭრობთ, ე. შევარდნაძის ხსენებული განცხადება მაინც არასათანადოდ ასახავდა აფხაზეთში რეალურად განვითარებულ მოვლენებს. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მიმართვაში, ოფიციალური მოსკოვი არ არის პირდაპირ დადანაშაულებული იმაში, რომ იგი თავად ბომბავდა ქალაქ სოხუმს და აფხაზეთის სხვა დასახლებულ პუნქტებს (ჩვენის აზრით, მიმართვის ტექსტი მხოლოდ ირიბათ თუ მიუთითებს რუსეთის უშუალო მონაწილეობაზე საომარ მოქმედებებში). მიმართვაში აქცენტები კეთდება დაქირავებულ „ბოვეიკებზე“ და არა რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ნაწილებზე, რაც უდაოდ ამახინჯებს და ბოლომდე არ ასახავს აფხაზეთის ტრაგედიის რეალურ სურათს.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების მცდელობებს არ მოჰყოლია რაიმე სერიოზული რეაქცია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. 1993 წლის 27 სექტემბერს, მასიური შემოტევების შედეგად, ქ. სოხუმი დაეცა¹⁵⁵. სოხუმის დაცემიდან ზუსტად სამი დღის შემდგომ, აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გაიწმინდა ქართული მოსახლეობისგან, რაც, ფაქტიურად, გენოციდის ტოლფასია.

შევარდნაძის ხელისუფლება, რომელიც მიზეზთა მთელი კომპლექსის გამო დამარცხდა ომში, დათანხმდა დსთ-ში შესვლაზე (საქართველო დსთ-ის წევრია 1993 წლიდან), ასევე მის ტერიტორიაზე რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზის შენარჩუნებაზე (დოკუმენტს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, პირველად ხელი მოეწერა 1999 წელს, ეუთოს სტამბოლის სამიტზე). იუხე-დავად დსთ-ში საქართველოს შესვლისა, რუსეთმა კვლავ გააგრძელა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებები და სეპარატისტული რეჟიმებისთვის ზურგის გამაგრება.

1994 წლის 13 იანვარს ქ. ჟენევაში, გაეროს ეგიდითა და ეუთოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, გაიმართა ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებების მეორე რაუნდი, რომლის დასრულების შემდეგ ხელი მოეწერა კომუნიკეს, რომლითაც, ფაქტიურად, ოფიციალურად დაფიქსირდა აფხაზეთის ომის შედეგები¹⁵⁶. ამ კომუნიკეს მიხედვით, აფხაზეთურ მხარეს დაეკისრა უპირველესი პასუხისმგებლობა დევნილთა დაბრუნებასა და მათ უსაფრ-

¹⁵⁵ ქ. სოხუმის აღების ოპერაციაში მონაწილეობდნენ გაერთიანებული რუსული, აფხაზეთი, ჩრდილო კავკასიური და სომხური ძალები.

¹⁵⁶ კომუნიკე ჟენევაში ქართველთა და აფხაზეთა მოლაპარაკებების მეორე რაუნდის შესახებ - 13.01.1994.

თხოვაზე. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ხსენებული დოკუმენტის ხელმოწერა წარმოადგენდა შეცდომას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. გარკვეული თვალსაზრისით, ამ დოკუმენტით მოხდა სეპარატისტული რეჟიმის ერთგვარი სამართლებრივი რეაბილიტაცია, ვინაიდან აფხაზურ მხარეს მიეცა ნდობის მანდატი.

მორიგ დოკუმენტს (ოთხმხრივ შეთანხმებას) ხელი მოეწერა 1994 წლის 4 აპრილს ქ. მოსკოვში (იმავე დღეს, მოსკოვში ასევე ხელი მოეწერა განცხადებას „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“). ამ დოკუმენტის წყალობით, აფხაზეთში დაბრუნება არ უწერიათ იმ ქართველებს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ აფხაზეთში საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის (მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი)¹⁵⁷. ამავე დროს, დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმ აფხაზებზე, ვინც ასევე იარაღით ხელში იბრძოდნენ საქართველოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ერთიანობას. ამ შეთანხმებით, ქართული მხარე ერთგვარი ოკუპანტის როლში გამოდის, რაც სრული აბსურდია. რაც შეეხება აფხაზეთიდან დევნილი ქართველების ერთ ნაწილს, მათ ფაქტიურად აეკრძალათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობა და საკუთარ სახლებში უპირობო დაბრუნება. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მხრიდან ამ დათმობაზე წასვლა წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფას, რაც დალატის ტოლფასად მიგვაჩნია.

1994 წლის 14 მაისს ქ. მოსკოვში ქართული და აფხაზური მხარეების მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ (ამ შეთანხმებით განისაზღვრა უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონები)¹⁵⁸. შეთანხმება დაიდო გაეროს ეგიდით და რუსეთის მხარის ხელშეწყობით და ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში დსთ-ის სამშვიდობოების განლაგებას. გარდა ამისა, 15-16 მაისს მხარეებმა სპეციალური წერილებითაც მიმართეს დსთ-ის

¹⁵⁷ ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ. ქ. მოსკოვი, 04.04.1994.

¹⁵⁸ ამ დოკუმენტით, რომელსაც საქართველოს სახელით ხელი მოაწერა ჯაბა იოსელიანმა, ქართული და აფხაზური მხარეები, დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 15 აპრილის განცხადების საფუძველზე, თხოვნით მიმართავენ სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს, მიიღოს გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების თაობაზე. ამავე შეთანხმებით, მხარეთა შეიარაღებული ძალების დაშორიშორების ერთ-ერთ პრინციპად დასახელდა კოდორის ხეობიდან საქართველოს საჯარისო ნაწილების გაყვანა მათი დისლოკაციის ადგილებში, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ. ასევე გადაწყდა, რომ კოდორის ხეობაში განხორციელდებოდა დსთ-ის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს საერთაშორისო მეთვალყურეთა რეგულარული პატრულირება.

სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარეს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, მიეღო გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების თაობაზე¹⁵⁹. 1994 წლის 9 ივნისს პრეზიდენტმა ელცინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რუსეთის შეიარაღებული ძალების დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ. 21 ივნისს დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების კონტიგენტი (КСПМ – Коллективные силы по поддержанию мира), რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო რუსი სამხედროებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგდა¹⁶⁰. გამოიკვეთა უსაფრთხოების ორი მიმართულება, კერძოდ „ჩრდილოეთის“ (კოდორის ხეობის ქვედა ნაწილი) და „სამხრეთის“ (გალისა და ზუგდიდის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვართან)¹⁶¹. 1994 წ. 21 ოქტომბერს ქ. მოსკოვში გაიმართა დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს მორიგი სხდომა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის მანდატის დამტკიცების შესახებ¹⁶². რაც შეეხება გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიას (UNOMIG/MOONIG – Миссия ООН по наблюдению в Грузии), რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 1993 წლიდან, მას დაეკალა 14 მაისის მოსკოვის შეთანხმებისა და კოლექტიური სამშვიდობო ძალების (КСПМ) ოპერაციის შესრულების კონტროლი (მონიტორინგი)¹⁶³. გაეროს სამხედრო

¹⁵⁹ ეს ფაქტი აისახა გაეროს 1994 წლის 21 ივლისის №937 რეზოლუციაშიც.

¹⁶⁰ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ“ გადაწყვეტილების ხელმოწერა მოხდა დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ 1994 წლის ივნის-აგვისტოში (გადაწყვეტილება ოფიციალურად ძალაში შევიდა 22 აგვისტოდან). გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ექვსი თვის ვადით და, შემდგომში, შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე, გრძელდებოდა მორიგი ექვსთვიანი პერიოდებით. გაეროს უშიშროების საბჭო მიესალმა 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების ხელმოწერას და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ის სამშვიდობო ძალების განლაგებას. დღევანდელი მდგომარეობით, აფხაზეთში დისლოცირებულ КСПМ-ის შემადგენლობაში ირიცხება დაახლოებით 1700-მდე სამხედრო მოსამსახურე.

¹⁶¹ უსაფრთხოების ზონა გადაჭიმულია ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეს (მდ. ენგურის გასწვრივ) და შეადგენს 85 კმ-ს სიგრძეში და 24 კმ-ს სიგანეში (12 კმ-ს თითოეულ მხარეზე), მოიცავს 22 სამეთვალყურეო და 4 საკონტროლო პუნქტს. 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების თანახმად, უსაფრთხოების ზონაში არ უნდა იყოს შეიარაღებული ძალები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა, ხოლო შეზღუდული შეიარაღების ზონაში – მძიმე საბრძოლო ტექნიკა. უსაფრთხოების ზონასა და შეზღუდული შეიარაღების ზონაში მოქმედებენ ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფალნი. რაც შეეხება კოლექტიური სამშვიდობო ძალების ნაწილებისა და საერთაშორისო მეთვალყურეთა გადაადგილებას უსაფრთხოების ზონის ფარგლებს გარეთ, ეს აუცილებლად უნდა იყოს წინასწარ შეთანხმებული მხარეებთან.

¹⁶² Решение Совета Глав Государств СНГ об утверждении Мандата на проведение операции по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта (Москва, 21 октября 1994 года).

¹⁶³ საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) დაფუძნება მოხდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 24 აგვისტოს №858 რეზოლუციის საფუძველზე, ამავე რეზოლუციით განისაზღვრა მისი თავდაპირველი მანდატიც. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების განლაგების შემდეგ, ბუნებრივია, ტრანსფორმაცია განიცადა UNOMIG-ის მანდატმაც, რაც ასახულია გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 21 ივლისის №937 რეზოლუციაში.

დამკვირვებელთა მეთვალყურეობის ქვეშ ასევე გადავიდა უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონებთან მიმდებარე სანაპირო წყლები და საჰაერო სივრცე.

1994 წლის 26 ნოემბერს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ მიიღო „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია“, რომლის თანახმადაც: „აფხაზეთის რესპუბლიკა (აფსნი) არის სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით“ (მუხლი 1); „აფხაზეთის რესპუბლიკა – საერთაშორისო სამართლის სუბიექტი – სხვა სახელმწიფოებთან შედის სახელშეკრულებო ურთიერთობებში“ (მუხლი 3); „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის აფხაზური. რუსული ენა აფხაზურის თანახმად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად“ (მუხლი 6).

აფხაზი სეპარატისტები, ცდილობდნენ რა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ხელმოწერილი დოკუმენტების ცალკეული მუხლების თავისებურ ინტერპრეტაციას, აცხადებდნენ, რომ საქართველომ აფხაზეთი პრაქტიკულად უკვე აღიარა როგორც დე-იურე დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამის არგუმენტად მოჰყავდათ, მაგალითად, 1994 წ. 4 აპრილი, როდესაც ქ. მოსკოვში, გაეროს გენერალური მდივნის თანდასწრებით, ქართული და აფხაზური მხარეების, ასევე გაეროს, ეუთოსა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მიერ ხელი მოეწერა „განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ზომების შესახებ“. სეპარატისტების მტკიცებით, ამ დოკუმენტით, ფაქტიურად, დადასტურდა აფხაზეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების არარსებობა და ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აფხაზეთი აღჭურვილია სუვერენული სახელმწიფოს თითქმის ყველა უფლებამოსილებით. ძნელია ეჭვი არ შევიტანოთ აფხაზი სეპარატისტების ამ არგუმენტაციაში. 1994 წლის მოსკოვის განცხადების მე-2 პუნქტი იწყება შემდეგი სიტყვებით: „მოლაპარაკება მიმდინარეობდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად“¹⁶⁴. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ცალსახად არის დაფიქსირებული საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის აუცილებლობა, რაც ავტომატურად გულისხმობს აფხაზეთის ყოფნას ოფიციალური თბილისის იურისდიქციის ქვეშ. რაც შეეხება საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების „აღდგენას“, განცხადებაში

¹⁶⁴ განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ (ქ. მოსკოვი) - 04.04.1994.

დაფიქსირებულია, რომ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები საჭიროებენ განახლებას, იმდენად, რამდენადაც ისინი შეწყვეტილ იქნა იმის შედეგად. სხვა სიტყვებით, „საქმე ეხება არა ამ ურთიერთობების თავიდან ჩამოყალიბებას, არამედ ურთიერთობების იმ ასპექტების აღდგენას, რომლებიც დროებით იქნა მოშლილი“¹⁶⁵. აფხაზეთი აღიარებულია, როგორც მხარე კონფლიქტში (ისევე, როგორც ქართული მხარე), რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთი ვინმეს მიერ უნდა აღქმულ იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი. დეფაქტო არსებული სიტუაცია, რაც საომარი მოქმედებების შედეგია, არ იძლევა იმის მტკიცების საბაბს, რომ აფხაზეთი დე-იურე დამოუკიდებელია საქართველოსგან.

აგრესიულმა სეპარატიზმმა შვა ეთნიკური წმენდის საზარელი პრაქტიკა აფხაზეთში, რაც გენოციდის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს¹⁶⁶. ამ სახის დანაშაულის ცნება და შინაარსი, თავის დროზე, განისაზღვრა ექსპერტთა სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს 1992 წლის №780 რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა და ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში არსებულ სიტუაციას ეხებოდა (კომისიამ მუშაობა დაასრულა 1994 წლის აპრილში)¹⁶⁷. კერძოდ, ექსპერტთა კომისიის დასკვნების 129-ე პუნქტში ვკითხულობთ: „ყოფილ იუგოსლავიაში ეთნიკური წმენდა წარმოებს მკვლევლობების, წამების, თვითნებური დაპატიმრებისა და დაკავების, გაუსამართლებელი დასჯის, გაუპატიურებისა და სექსუალური ხელყოფის, სამოქალაქო მოსახლეობის ძალადობრივი განდევნის, გადაადგილებისა და დეპორტაციის, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმებისა ან თავდასხმების მექარით, საკუთრების უაზრო განადგურების გამოყენებით. მსგავსი პრაქტიკა წარმოადგენს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ და შეიძლება მისი დაკავშირება კონკრეტულ სამხედრო დანაშაულებებთან. გარდა

¹⁶⁵ Алексидзе Л. «Абхазский вопрос»: взгляд из Тбилиси // Институт стратегических оценок и анализа. Вестник Аналитики, № 3 (9). М., 2002. С. 148.

¹⁶⁶ ტერმინი „ეთნიკური წმენდა“ გაეროს დოკუმენტებში ფიგურირებს 1992 წლიდან, როდესაც ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში, განსაკუთრებით, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და 1949 წლის 12 აგვისტოს შენევის კონვენციების უხეში დარღვევის ფაქტებს, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის მასიურ მკვლევლობებს. გაეროს გენერალური ასამბლეის 1992 წლის 18 დეკემბრის №47/121 რეზოლუციით, „ეთნიკური წმენდა“ აღიარებულია, როგორც გენოციდის ერთ-ერთი ფორმა.

¹⁶⁷ უშიშროების საბჭოს 1992 წლის 6 ოქტომბრის 780-ე რეზოლუციის საფუძველზე, 26 ოქტომბერს გაეროს გენერალური მდიანის ბუტროს ბუტროს გალის მიერ შეიქმნა ექსპერტთა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა შენევის კონვენციებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევების ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. კომისიამ მუშაობა დაიწყო 1992 წ. ნოემბერში და დაასრულა 1994 წ. აპრილში.

ამისა, მსგავსი ქმედებები ასევე კავშირშია კონვენციასთან გენოციდის შესახებ¹⁶⁸. რაც შეეხება „ეთნიკური წმენდის“, როგორც ტერმინის განმარტებას, კომისიის დასკვნების 130-ე პუნქტის თანახმად, „ეთნიკური წმენდა არის ერთერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გარკვეული გეოგრაფიული რაიონებიდან სხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის სამოქალაქო მოსახლეობის განსაღებნად, ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვანწილად იგი ხორციელდება ფსევდონაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისძიების მძლავრი მამოძრავებელი გრძნობის ნიღაბქვეშ. ამის მიზანი მდგომარეობს ტერიტორიის ოკუპაციაში და ამ ტერიტორიიდან იმ ჯგუფის ან ჯგუფების განდევნაში, რომელთა მიმართაც გამოყენებულია ეს წმენდა“¹⁶⁹. ვფიქრობთ, ორი აზრი არ უნდა არსებობდეს იმაზე, რომ „ეთნიკური წმენდის“ მოცემული განმარტება, რომელიც გაეროს ექსპერტებმა თავის დროზე ყოფილ იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენების მაგალითზე შეიმუშავეს, პირდაპირ ესადაგება და ზედმიწევნით ასახავს იმ ვითარებას, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კონფლიქტის დროს, უპირატესად ქართული მოსახლეობის მიმართ.

აფხაზთა სეპარატისტების მიერ ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდის პოლიტიკა დაგმოვილია 1994 წლის 6 დეკემბრის ეუთოს ბუდაპეშტის სამიტის დოკუმენტებში, სადაც მონაწილე ქვეყნებმა გამოთქვეს თავიანთი შემფოთება აფხაზეთის ხელისუფალთა მიერ მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილების გამო. მონაწილე ქვეყნებმა ასევე გამოთქვეს ღრმა შემფოთება „ეთნიკური წმენდის“, უპირატესად ქართული მოსახლეობის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო¹⁷⁰.

ეუთოს ბუდაპეშტის შეხვედრის დოკუმენტებში დაფიქსირებულ დებულებებს მხარი დაუჭირა დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭომ, რაც აისახა კიდევ დსთ-ის აღმართის სამიტის მემორანდუმში „დსთ-ში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების

¹⁶⁸ Письмо Генерального Секретаря от 24 Мая 1994 года на имя Председателя Совета Безопасности // Приложение – Заключительный доклад Комиссии экспертов, созданной во исполнение резолюции 780 (1992) Совета Безопасности [<http://www.un.org>].

¹⁶⁹ Письмо Генерального Секретаря от 24 Мая 1994 года на имя Председателя Совета Безопасности // Приложение – Заключительный доклад Комиссии экспертов, созданной во исполнение резолюции 780 (1992) Совета Безопасности [<http://www.un.org>].

¹⁷⁰ ეუთოს ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუციიდან (06.12.1994) // გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №208, 1994 წლის 10 დეკემბერი.

შესახებ“ (1995 წლის 10 თებერვალი). მემორანდუმის ტექსტში ასევე შეტანილ იქნა საქართველოს წინადადება *აგრესიული სეპარატიზმის*¹⁷¹ დაგმობის შესახებ (*დანართი №14*). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 1995 წლის 26 მაისს ქ. მინსკში გაკეთებული დსთ-ის პრეზიდენტების განცხადება (*დანართი №15*). ხსენებული დოკუმენტები ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. იგივე პოზიცია დაფიქსირდა დსთ-ის 1996 წლის 19 იანვრის მოსკოვის სამიტზე (*დანართი №16*). უფრო მეტიც, 19 იანვრის გადაწყვეტილებით, დსთ-ის სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე, არ განეხორციელებინათ რაიმე სახის სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო ან სხვა სახის ოპერაციები აფხაზეთში მხარის ხელისუფლებასთან, ასევე არ დაემყარებინათ ოფიციალური კონტაქტები აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ სტრუქტურებთან და თანამდებობის პირებთან (პუნქტი 6)¹⁷².

არანაკლებ შედეგიანი იყო 1996 წლის 3 დეკემბრის ეუთოს უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრა (სამიტი). ეუთოს ლისაბონის სამიტის დეკლარაციაში არა მარტო დაგმობილია ეთნიკური წმენდა, არამედ კონკრეტულად არის განსაზღვრული თუ რა იგულისხმება ამაში: „...ჩვენ ვგმობთ აფხაზეთში „ეთნიკურ წმენდას“, რასაც მოჰყვა ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებითი განდევნა. სეპარატისტების დესტრუქციული აქტები, კერძოდ ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისათვის ხელის შეშლა და გადაწყვეტილება გაიმართოს არჩევნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში („სამხრეთ ოსეთში“) ძირს

¹⁷¹ აგრესიული სეპარატიზმი არის დემოკრატიულ სუვერენულ სახელმწიფოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხის ეროვნულ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობათა ლიდერების მიერ დანერგილი იდეოლოგია და პრაქტიკა, რომელიც ასაბუთებს ამ სახელმწიფოსაგან გამოყოფის აუცილებლობას ყველა ძალისმიერი საშუალების, პირველ რიგში კი შეიარაღებული ძალის გამოყენებით. „აგრესიული სეპარატიზმი“, როგორც ტერმინი, პირველად გამოყენებულ იქნა ქართული დიპლომატიის მიერ აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლებრივი თუ პოლიტიკური დოკუმენტები ჯერჯერობით არ შეიცავენ ამ ტერმინს, თუმცა გამოყენებულია ისეთი ფორმულები, რომლებიც ასახავენ აგრესიული სეპარატიზმის ცნებას.

¹⁷² რუსეთმა მხარი დაუჭირა აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებას და სეპარატისტებისთვის იარაღის მიწოდების აკრძალვას. თუმცა, აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკა გაგრძელდა მხოლოდ 1999 წლამდე. ამ პერიოდის შემდეგ, რუსეთმა კვლავ გახსნა საზღვარი სეპარატისტულ აფხაზეთთან და გაამარტივა საზღვრის გადაკვეთისა და საზღვრისპირა ვაჭრობის რეჟიმი. დსთ-ის სამიტების გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეები ყოველწლიურად გამოსცემდნენ განკარგულებებს აფხაზეთის რეჟიმისათვის ეკონომიკური ყადაღის მოხსნის თაობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ რუს მესაზღვრეთა თვითნებობაზე. უფრო მეტიც, 2008 წლის 6 მარტს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა ოფიციალური განცხადება „დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ მიღებული 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებებიდან რუსეთის ფედერაციის გასვლის შესახებ“. ამდენად, 2008 წ. მარტიდან, მოსკოვმა უკვე ოფიციალურად თქვა უარი შეესრულებინა დსთ-ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები.

უთხრის პოზიტიურ მცდელობას ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით...“¹⁷³. გაეროს უშიშროების საბჭომ დაადასტურა ეს დასკვნები თავის რეზოლუციებში, სადაც არაერთხელ არის მინიშნება ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების შედეგებზე.

ქართული მოსახლეობის მორიგი „ეთნიკური წმენდა“ განხორციელდა 1998 წლის მაისში აფხაზეთის გალის რაიონში, რის შედეგადაც 49 ათასამდე საკუთარ სახლებში სპონტანურად დაბრუნებული მშვიდობიანი მცხოვრები ხელმეორედ იქცა დევნილად¹⁷⁴. გალის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, დსთ-ის სამშვიდობოთა უმოქმედობით აღშფოთებულმა საქართველოს მთავრობამ, დააყენა მოთხოვნა სამშვიდობოთა მანდატის გაფართოვების შესახებ. ოფიციალურმა თბილისმა ასევე განაცხადა, რომ, თუ რუსეთი არ დათანხმდებოდა სამშვიდობოთა მანდატის გაფართოვებას, მაშინ საქართველო მოითხოვდა მათ ჩანაცვლებას ახალი მრავალეროვნული სამშვიდობო ძალებით. უკრაინამ გამოთქვა მზადყოფნა შეესრულებინა ერთ-ერთი მშვიდობისმყოფელი ქვეყნის როლი, ოღონდ, მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს (და არა დსთ-ის) გადაწყვეტილების საფუძველზე და იმ შემთხვევაში, თუ ეს ოპერაცია დაფინანსდებოდა გაეროს მიერ. თუმცა, გაითვალისწინეს რა რუსეთის აშკარად ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, გაერომ და ეუთომ არ მიიჩნიეს შესაძლებლად აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ალტერნატიული სამშვიდობო ძალების გაგზავნა.

1999 წელს, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ელცინმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა ვლადიმირ პუტინი, ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის კიდევ უფრო დაიძაბა. ამ პროცესს თან ახლდა რუსეთის პოლიტიკის ტრანსფორმაცია აფხაზეთის საკითხის მიმართ. შეზღუდული კონტაქტების სამწლიანი პერიოდის შემდეგ (1996-1999), რუსეთმა ხელახლა დაიწყო მჭიდრო კავშირ-ურთიერთობების გააქტიურება სეპარატისტულ აფხაზეთთან¹⁷⁵. პუტინმა, ფაქტიურად, მხარი დაუჭირა აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს და რეფერენდუმს, რასაც შემდგომში აფხაზეთის მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა (1999 წლის ოქტომ-

¹⁷³ ეუთოს უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაციიდან (03.12.1996) // გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 246, 1996 წლის 7 დეკემბერი.

¹⁷⁴ გალის 1998 წლის მაისის სადამსჯელო ოპერაციის დროს, აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელშეწყობითა და საომარი ტექნიკის თანხლებით, ცეცხლი გაუხსნეს და ამოხოცეს იქ დაბრუნებული ქართული მოსახლეობის ნაწილი (დახვრეტილ იქნა 75 უდანაშაულო ადამიანი), ასევე გადაწვეს გალის რაიონის 12 ქართული სოფელი (სიდა, თაგილონი, ზემო ბარლები, ქვემო ბარლები, ფიჩორი, ოტობაია, ხუმუშქური, ნაბაკევი, დიხაზურგა, პირველი გალი, საბერიო, ლეკუხონა, განახლება).

¹⁷⁵ 1999 წელს რუსეთმა გახსნა საზღვარი აფხაზეთთან და ამით დაარღვია დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება.

ბერი). თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ, ოფიციალურ დონეზე, რუსეთს არ უღიარებია 1999 წლის რეფერენდუმის შედეგები და უარი არ უთქვამს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის პატივისცემაზე. 2000 წლის დეკემბერში, გამოხატა რა შეშფოთება პანკისის ხეობაში ვითომ და ჩეჩენი „ბოევოკების“ არსებობის გამო, რუსეთმა შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონებთან კი შეინარჩუნა ე.წ. საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული პროცედურები (ფაქტიურად უვიზო რეჟიმი).

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გაერო (UN) და მისი უშიშროების საბჭო ჩართულია 1992 წლიდან (საქართველოს ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე). 1993 წელს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიამ (UNOMIG) შეიმუშავა სამშვიდობო მოლაპარაკებათა კომპლექსური მრავალმხრივი მექანიზმი, რომელიც პირობითად ცნობილია „ჟენევის პროცესის“ სახელით¹⁷⁶. ჟენევის პროცესი მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით, ხოლო რუსეთი კი გვევლინებოდა, როგორც „ხელშემწყობი მხარე“ (ეს საკმაოდ გაურკვეველი სტატუსი იყო, რაც ალბათ გულისხმობდა იმას, რომ რუსეთს ხელი უნდა შეუწყო კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისთვის). 1998 წლიდან ჟენევის პროცესს ოფიციალურად მიუერთდა გაეროს გენერალურ მდივანთან არსებული „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი), რომელიც, ეუთოს მსგავსად, სარგებლობს დამკვირვებლის სტატუსით. ჟენევის პროცესის დღის წესრიგი მოიცავდა საკითხთა ფართო სპექტრს (პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული სფეროების მიხედვით), უსაფრთხოების საკითხების ჩათვლით.

1996 წლიდან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ჩნდება ფორმულა, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ¹⁷⁷. ამ პოზიციას მხარი დაუჭირეს და მიუერთდნენ ეუთო, ევროპის საბჭო, დსთ. 1997 წელს ჟენევის პროცესის ფარგლებში შეიქმნა შედარებით უფრო რთული მექანიზმი, რომელშიც მონაწილეობს „საკოორდინაციო საბჭო“ და მისი სამი სამუშაო ჯგუფი კონკრეტული მიმართულებების მიხედვით (მის ძირითად ამოცანებში შედის: საომარი მოქმედებების არგანახლება; ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება; ეკონომიკური საკითხები). ამასთან ერთად, არაფორმალური ხასიათის ორმხრივი კონტაქტების

¹⁷⁶ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გაიმართა ქ. ჟენევაში, 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

¹⁷⁷ Резолюция Совета Безопасности ООН, № 1065, Положение в Грузии (от 12 июля 1996 г.).

გამყარების მიზნით, გაერომ ორგანიზება გაუკეთა სპეციალურ ფორუმს ნობის ადღენის ზომების შესახებ.

შევარდნადის ხელისუფლება ერთხანობა შეეცადა, რათა მიეღო დასავლეთის მხარდაჭერა აფხაზეთის საკითხში, ე.წ. „ბოსნიის მოდელის“ გამოყენების მიზნით (იგულისხმებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კონსტიტუციური შეთანხმების იძულებით თავსმოსვება, როგორც ეს მოხდა ბოსნიაში 1995 წელს). მოგვიანებით, როდესაც 1999 წელს ნატო-ს ბლოკმა განახორციელა საჰაერო დარტყმების მთელი სერია ბელგრადის (იუგოსლავია) წინააღმდეგ, კოსოვოს კრიზისის პერიოდში, საქართველოს უმაღლეს სახელისუფლებო ემელონებში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა მოსაზრება, რომელიც ითვალისწინებდა ე.წ. „კოსოვოს მოდელის“ საქართველოში გადმოტანას, აფხაზეთში განხორციელებული ქართული მოსახლეობის „ეთნიკური წმენდის“ საფუძველზე (იგულისხმებოდა: ნატო-ს ბლოკის სამხედრო ოპერაცია, როგორც ეს მოხდა იუგოსლავიაში კოსოვოს გამო)¹⁷⁸. თუმცა, ოფიციალურმა ვაშინგტონმა საქართველოს ხელისუფლებას ნათლად განუმარტა, რომ სამხრეთ კავკასიაში „კოსოვოს სცენარის“ გამეორება არ მოხდებოდა (ასეთ შემთხვევაში, დასავლეთს მოუწევდა პირდაპირ კონფრონტაციაში შესვლა რუსეთთან).

1993 წლიდან მოყოლებული დღემდე, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სულ მიღებულია 38 რეზოლუცია¹⁷⁹. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა რეზოლუციაში გამოხატულია მხარდაჭერა ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის პატივისცემა, მშობლიურ კერებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უპირობო და ღირსეული დაბრუნება, კონფლიქტის მეშვეობით მიღწეული დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობა, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებული ე.წ. არჩევნების არალეგიტიმურად და უკანონოდ გამოცხადება და სხვა.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აბსოლუტური უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას საქართველოს შემადგენლობაში, რაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას გულისხმობს. გაეროს უშიშროების საბჭოს 1999 წ. 30 ივლისის №1255 რეზოლუციაში იწყება საუბარი თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გადანაწილების თაობაზე, ანუ ხდება კონსტიტუ-

¹⁷⁸ კოსოვოში სერბებმა განახორციელეს ალბანური მოსახლეობის „ეთნიკური წმენდა“.

¹⁷⁹ 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ციური უფლებამოსილებების გამიჯვნის პროცესში გაეროს უშუალო და წარმმართველი როლის გამოკვეთა. მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის აპრილში გამართული უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა, სადაც აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეს. აღნიშნულ სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამმიჯვნელ დოკუმენტთან დაკავშირებით, მეგობართა ჯგუფში კონსენსუსის მიღწევა და მხარეთათვის დოკუმენტის დროული გადაცემა სამშვიდობო პროცესის უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, აფხაზურმა მხარემ იმთავითვე უარი თქვა ამ დოკუმენტის (ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი“) განხილვაზე¹⁸⁰.

მიუხედავად გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში დაფიქსირებული პოზიტიური მომენტებისა, რეზოლუციებში მაინც შეინიშნება ერთგვარი არათანმიმდევრულობა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. ზოგიერთმა საკითხმა საერთოდ ვერ ჰპოვა ასახვა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ არაერთგზის დასვა საკითხი, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ერთმნიშვნელოვნად არ დაფიქსირებულა ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გალის 1998 წლის მაისის მოვლენების შემდეგ მიღებული რეზოლუციის (№1187, 30 ივლისი) ფორმულირებებს, უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით მხოლოდ ეუთო-ს სამიტებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზეა გამახვილებული ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭო თავის ყველა რეზოლუციაში ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს მხარდაჭერას ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებით, საბჭოს პოზიცია არათანმიმდევრულია აფხაზური მხარის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხებში. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს გაეროს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობაზე, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ამ უნივერსალური ორგანიზაციის რეფორმირების საკითხთან. მიუხედავად იმისა, რომ გაერო დღესდღეობით

¹⁸⁰ 2002 წლის ივლისში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა ოფიციალურად გამოაქვეყნა თავისი მოხსენება სახელწოდებით „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“ (ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი“). ამ დოკუმენტის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ აფხაზეთს უნდა მიეღო ყველაზე ფართო ავტონომიის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. ეს სტატუსი, ფაქტიურად, გათანაბრებული იქნებოდა „დამოუკიდებელი სუბიექტის“ ხასისთან, ოღონდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ, ფორმალურად, რუსეთმა დაუჭირა მხარი „ბოდენის დოკუმენტს“, რეალურად მას არ მოუხდენია რაიმე ზეგავლენა აფხაზურ მხარეზე, რათა ეს უკანასკნელი დამჯდარიყო მოლაპარაკებათა მაგიდასთან და დაეწყო სსენებული დოკუმენტის განხილვა.

ითვლება ყველაზე უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციად, სამწუხაროდ, მისმა უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო ქმედითი და რეალურად შედეგის მომტანი გადაწყვეტილებების მიღება აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით¹⁸¹.

1999 წლის 12 ოქტომბერს აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, რუსეთის წახალისებითა და მხარდაჭერით, მიიღო „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“. ხსენებულ დოკუმენტში აღნიშულია, რომ აფხაზეთა და ქართველთა 1992-1993 წლების ომს მოჰყვა აფხაზეთის დე-იურე და დე-ფაქტო დამოუკიდებლობა. ამრიგად, „აფხაზეთის ხალხმა დაადასტურა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება განაგრძოს სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს – საერთაშორისო სამართლის სუბიექტის – მშენებლობა, და მიადწიოს იმას, რომ იგი ცნოს საერთაშორისო გაერთიანება. ხალხის ნების გათვალისწინებით, ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ და ვაცხადებთ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ... მიგმართავთ მოწოდებით გაერო-ს, ეუთო-ს, ყველა სახელმწიფოს, აღიარონ აფხაზეთის ხალხის მიერ ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო“¹⁸². ამგვარად, ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკის შედეგად, რაც გამოიხატებოდა აფხაზეთის სეპარატიზმის წახალისებასა და მხარდაჭერაში, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი სეპარატიზმის გზაზე, რითიც კიდევ უფრო გაართულა საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა და ჩიხში შეიყვანა მოლაპარაკებათა პროცესი.

სეპარატისტები საერთაშორისო თანამეგობრობას, განსაკუთრებით კი გაეროსა და ეუთოს ადანაშაულებენ საქართველოს სურვილის მხარდაჭერაში, დააბრუნოს აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი განცხადება გარკვეულ დეზინფორმაციას შეიცავს და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. სინამდვილეში, მოლაპარაკებების დროს, ქართული მხარე მზად იყო (დღესაც მზად არის) განეხილა აფხაზეთის სტატუსის გაზრდის საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის დონიდან ფედერაციის სუბიექტის დონემდე. საქართველო მზად იყო გადასულიყო მმართველობის ფედერა-

¹⁸¹ რუსეთი ყოველთვის ცდილობდა, რათა გაეროს უშიშროების საბჭოში დაეებლოკა „საქართველოს მეგობართა ჯგუფის“ მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ მომზადებული დოკუმენტის მიღება (რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და სარგებლობს ვეტოს უფლებით). სამწუხაროდ, რუსეთი დღესაც ინარჩუნებს ამ მიდგომას, რითიც, უბიძგებს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას გაეროს რეკომენდაციების საბოტაჟისკენ.

¹⁸² აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი - 12.10.1999.

ციულ საწყისებზე და მიეცა აფხაზეთისთვის ყველაზე უფრო ფართო სტატუსი, ფედერაციის სხვა სუბიექტებთან შედარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოფიციალური თბილისი თანახმა იყო დაერეგულირებინა ურთიერთობები სოხუმთან კონსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე და არა აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობით და მასთან საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებით. ამაში საქართველოს ხელისუფლებას მხარს უჭერდა საერთაშორისო თანამეგობრობაც. როგორც გაეროს გენერალური მდიანის ყოფილმა სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა თავის დროზე აღნიშნა: „ეს გახლავთ გაეროს 189 წევრი ქვეყნის პოზიცია“¹⁸³.

იმ ვითარების ფონზე, როდესაც გაეროს ეგიდით მიმდინარე აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების პროცესი ფაქტიურად ჩიხში შევიდა (აფხაზური მხარის უარის გამო, განეხილა „ბოდენის დოკუმენტი“), რუსეთმა კიდევ უფრო გაააქტიურა თავისი კონტაქტები სეპარატისტულ აფხაზეთთან. 2002 წლის აპრილში, რუსეთის პარლამენტის მიერ მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონის მიღების შემდეგ, რუსეთმა (კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციამ) დაიწყო აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის მასიური პასპორტიზაციის პროცესი და მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება.

2003 წ. 6-7 მარტს ქ. სოჭში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძისა და რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის შეხვედრა, რომელსაც ასევე ესწრებოდა აფხაზეთის არადიარებული რესპუბლიკის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი გ. გაგულია. შეხვედრის დასრულების შემდგომ, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შემაჯამებელ განცხადებას, რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო: აფხაზეთში, პირველ რიგში კი გალის რაიონში ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება; „სოჭი-თბილისის“ გამჭოლი სარკინიგზო კავშირის ამოქმედება; „ენგურჰესის“ კასკადის მოდერნიზაცია და მდ. ენგურის ზედა წელში სხვა ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობა. განცხადებაში ცალსახად დაფიქსირდა, რომ „სოჭი-თბილისის“ რკინიგზის ამოქმედება უნდა მომხდარიყო დევნილების აფხაზეთში (გალის რაიონში) დაბრუნების პროცესის პარალელურად (სინქრონულად). პრეზიდენტების გადაწყვეტილებით, შეიქმნა ორმხრივი სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც, შესაბამისად, უნდა ემუშავათ უსაფრთხოების, დევნილებისა და ეკონომიკის საკითხებზე.

¹⁸³ Газета «Республика Абхазия», 13.10.2000.

ედუარდ შევარდნაძე ასევე დათანხმდა აფხაზეთში დსთ-ის სამშვიდობო ძალების-თვის (КСИМ) მანდატის უვადო გაგრძელებაზე იმ პერიოდამდე, სანამ კონფლიქტის რომელიმე მხარე, კერძოდ ქართული ან აფხაზეთური მხარე, არ გააუქმებდა თავის თანხმობას¹⁸⁴. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებაც „აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების ყოფნისა და კონფლიქტის შემდგომი დარეგულირების ზომების შესახებ“ (პუნქტი 1)¹⁸⁵. ამ დოკუმენტს საქართველომ ხელი მოაწერა 2003 წლის 7 აგვისტოს, ხოლო რუსეთმა – 15 აგვისტოს¹⁸⁶. თუმცა, მანდატის შეწყვეტის ზუსტი პროცედურა კვლავ საკამათო დარჩა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული მხარე მოითხოვს სამშვიდობოთა მანდატის გაუქმებას, აფხაზეთმა და რუსულმა მხარეებმა, შესაძლოა, განაცხადონ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე უნდა მიიღოს დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭომ (Совет глав государств СНГ)¹⁸⁷.

მართალია გაეროს გენერალური მდივანი ოფიციალურად მიესალმა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების 6-7 მარტის შეხვედრას, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, რეალურად, ქ. სოჭში ადგილი ჰქონდა რუსეთის მცდელობას, შეესუსტებინა გაეროს როლი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში და მოეხდინა „უენვის პროცესის“ ჩანაცვლება ე.წ. „სოჭის პროცესით“. ამ მიზანს ემსახურებოდა,

¹⁸⁴ მანამდე მოქმედი პროცედურის მიხედვით, აფხაზეთში დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელება ხდებოდა ყოველ წელიწადში ორჯერ (ექვსთვიანი პერიოდებით).

¹⁸⁵ Решение Совета глав государств СНГ о пребывании Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузии и мерах дальнейшего урегулирования конфликта.

¹⁸⁶ დსთ-ის სსენებული გადაწყვეტილება, თავისი ფორმით და შინაარსით, წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც დღესაც ძალაშია და შემდგომშიც დარჩება ძალაში იმისდა მიუხედავად, მომავალში იქნება საქართველო დსთ-ში თუ არა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მიიღებს გადაწყვეტილებას დსთ-ის 2003 წლის გადაწყვეტილების შეწყვეტის შესახებ, რასაც ოფიციალურად აცნობებს დეპოზიტარს, კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატი აფხაზეთში ავტომატურად უნდა შეწყდეს. შესაბამისად, უნდა მოხდეს გაეროს დამკვირვებელმა მისიის (UNOMIG) მანდატის გადახედვაც.

¹⁸⁷ არ არის გამორიცხული, რომ, აფხაზეთის ტერიტორიიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის პროცესის გაჭიანურების მიზნით, დსთ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაისვას საკითხი, სამშვიდობოთა გაყვანის თაობაზე დსთ-ის მიერ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის შესახებ. ამის საბაზად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ის გარემოება, რომ სამშვიდობო ძალების მეთაური, მანდატის შესაბამისად, ექვემდებარება დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს. აღსანიშნავია, რომ „აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების ყოფნისა და კონფლიქტის შემდგომი დარეგულირების ზომების შესახებ“ 2003 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრა კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტის სამართლებრივი მექანიზმი, მიღებულია სწორედ დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ. სსენებული გადაწყვეტილების 1 პუნქტის თანახმად, რომელიმე მხარის მიერ სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას ევალება, ქართულ მხარესთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის თანახმად, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს კონტიგენტისა და შეიარაღებული ძალების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან. თუმცა, მიუხედავად ამისა, გეგმა-გრაფიკის შეთანხმება, შესაძლოა, შეგნებულად გაჭიანურდეს, სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის არაკონსტრუქციული განწყობის გამო.

თუნდაც, სოჭის ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება, რაც, ფაქტიურად, წარმოადგენდა ქენევის პროცესის ფარგლებში არსებული გაეროს სამი კომისიის (უსაფრთხოების საკითხებზე, იძულებით გადაადგილებული პირების საკითხებზე და ეკონომიკურ საკითხებზე) პირდაპირ დუბლირებას. მრავალი წლის მანძილზე, გაერო და რუსეთი ეცილებოდნენ ერთმანეთს ლიდერობაში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა პროცესში, ხოლო სოჭის შეხვედრამ კიდევ უფრო გაამყარა რუსეთის უპირატესი როლი ამ თვალსაზრისით¹⁸⁸.

2003 წელს საგრძნობლად იმატა სავაჭრო-ეკონომიკურმა აქტიურობამ რუსეთსა და აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას შორის. რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია აფხაზეთში რუსი ტურისტების რიცხვმაც (ევროკომისიის მოხსენებას თუ დავეყრდნობით, 2003 წელს ეს მაჩვენებელი 300 ათასს აღწევდა), რასაც ოფიციალური თბილისის მხრიდან რუსეთის მისამართით ბრალდებებისა და პროტესტების მორიგი ტალღა მოჰყვა. 2003 წ. 16 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა საქართველოს მთავრობას, მიემართა გაეროს უშიშროების საბჭოსთვის აფხაზეთში გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედების მიზნით¹⁸⁹. ამავე დადგენილებით, საქართველოს მთავრობას დაევალა, გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები კონფლიქტის ზონაში მიმდინარე დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის მიზნით და მოემზადებინა ამ ფორმატის ტრანსფორმაციისა და ინტერნაციონალიზაციის წინადადებები. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ, გააცნობიერა რა პარლამენტის დადგენილების რეალიზაციის უპერსპექტიობა (გაერო ამაზე არ დათანხმდებოდა), ფაქტიურად უარი განაცხადა მის შესრულებაზე.

2003 წლის ნოემბრის ბოლოს, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მკაცრად გააკრიტიკა ოფიციალური მოსკოვი იმის გამო, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქ. მოსკოვში მიიწვია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერები, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე, რომელიც თბილისისადმი აშკარა დაუმორჩილებლობის პოლიტიკას ატარებდა.

¹⁸⁸ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოახდინა ერთგვარი დისტანცირება 2003 წლის სოჭის შეთანხმებებისგან, რადგან არ სურდა მუშაობის გაგრძელება ორმხრივ (ქართულ-რუსულ) ფორმატში. მიუხედავად ამისა, ე.წ. სოჭის პროცესის ფარგლებში შექმნილი რამდენიმე სამუშაო ჯგუფი დღემდე აგრძელებს მუშაობას (განსაკუთრებით ეს ეხება დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მომუშავე ჯგუფს).

¹⁸⁹ გაეროს წესდების VII თავი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებას მშვიდობის დასამყარებლად.

2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) პოტენციალის გაძლიერების მიზნით, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, მისიის შემადგენლობაში გაეროს სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის შეყვანის შესახებ. გაეროს სამოქალაქო პოლიციის პირველი ჯგუფი (10 კაცი) შეყვანილ იქნა გალის რაიონში, თუმცა დარჩენილი კონტიგენტის შეყვანა ვეღარ მოხერხდა აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტის ნეგატიური რეაქციის გამო. საკმაოდ მძიმე ვითარება შეიქმნა აფხაზეთში, განსაკუთრებით კი გალის რაიონში ადამიანის უფლებების მხრივ, რაც, დიდწილად განპირობებულია იმითაც, რომ აფხაზური მხარე არ თანხმდება გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნაზე¹⁹⁰.

აფხაზეთის ირგვლივ სიტუაცია დაიძაბა 2004 წლის აგვისტოშიც, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა რუსეთი აფხაზეთთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გამო და საჯაროდ განაცხადა, რომ ცეცხლს გაუხსნიდა რუსეთის ნებისმიერ საზღვაო ხომალდს, რომელიც შეეცდებოდა აფხაზეთში რუსი ტურისტების უკანონო შეყვანას. 2004 წლის სექტემბერში დსთ-ის ასტანას სამიტზე მ. სააკაშვილმა კვლავ მოითხოვა რუსეთისგან, გაეწყვიტა სეპარატისტულ რესპუბლიკასთან ნებისმიერი სახის ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონტაქტი და შეესრულებინა 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებები. საქართველოს პრეზიდენტის მკაცრი ტონი განპირობებული იყო იმითაც, რომ დსთ-ის ასტანას სამიტამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, რუსეთმა, ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად, აამოქმედა სარკინიგზო მაგისტრალი მარშრუტით „სოჭი-სოხუმი-სოჭი“¹⁹¹.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა გამოიყენა თავისი ეკონომიკური ბერკეტი, არა მხოლოდ აფხაზეთის წასახალისებლად, არამედ, როცა მას ეს დასჭირდა, სოხუმზე ზეწოლის მიზნითაც. ამ ზეწოლამ თავი იჩინა 2004 წლის ბოლოს, აფხაზეთის არა-

¹⁹⁰ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისმა აღნიშნა, რომ გალის რაიონის ქართველი ბავშვები სკოლებში მოკლებულნი არიან იმის შესაძლებლობას, რომ მიიღონ განათლება თავიანთ მშობლიურ ენაზე.

¹⁹¹ 2004 წლის 10 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციამ თვითნებურად განახორციელა ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოები სარკინიგზო ხაზის „ვესიოლოვ-სოხუმის“ მონაკვეთზე და აღადგინა სარკინიგზო მიმოსვლა მარშრუტით „სოჭი-სოხუმი-სოჭი“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ამ პერიოდის განმავლობაში, დევნილების აფხაზეთში დაბრუნების არანაირი პროცესი არ განხორციელებულა (გალის რაიონში სპონტანურად დაბრუნებული ოჯახების გარდა). რუსეთის ეს ნაბიჯი წინააღმდეგობაში მოდიოდა, როგორც 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის შეთანხმებებთან, ისე დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებასთან და, რაც ყველაზე მთავარია, გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის №876-ე რეზოლუციის მე-8 მუხლთან, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას ავალდებულებდა, არ დაეშვა თავისი ტერიტორიიდან აფხაზურ მხარესთან ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა სახის თანამშრომლობა.

ღიარებული რესპუბლიკის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს. კერძოდ, რუსეთმა განახორციელა უხეში ჩარევა აფხაზეთში გამართულ ე.წ. წინასაარჩევნო მარათონში, გადაწყვიტა რა იქ ხელისუფლების სათავეში თავისთვის სასურველი კანდიდატის, რაულ ხაჯინბას გაყვანა. თუმცა, მას შემდეგ, რაც არჩევნების შედეგების მიხედვით, გამარჯვება წილად ხვდა სერგეი ფაგაფშს, მოსკოვმა გადაკეტა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი და მოახდინა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება, რამაც კატასტროფული მატერიალური ზიანი მიაყენა აფხაზ მოვაჭრეებს¹⁹². ბაგაფში იძულებული გახდა წასულიყო მოსკოვთან კომპრომისზე და დათანხმებოდა საკუთარი საპრეზიდენტო უფლებამოსილების შეზღუდვას (მოსკოვის ფავორიტი რაულ ხაჯინბა თვითგამოცხადებული აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი გახდა). უფრო მეტიც, 2005 წლის იანვარში ს. ბაგაფში ეწვია ქ. მოსკოვს, სადაც დაადასტურა თავისი მზადყოფნა, ხელი შეეწყო რუსეთთან უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისთვის, აფხაზეთის ეკონომიკაში რუსული კაპიტალდაბანდებების ხვედრითი წილის ზრდისთვის და ეზრუნა აფხაზეთის კანონმდებლობების რუსეთის ფედრაციის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაზე. ამდენად, რუსეთი კვლავაც რჩება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორად.

2006 წლის 3 თებერვალს ჟენევაში გაიმართა გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მაღალი დონის წარმომადგენელთა მე-6 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესი და ის გზები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მხარეთა შორის დიალოგს. შეხვედრის დასრულების შემდგომ, გაეროს „მეგობართა ჯგუფის“ თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, სადაც შეჯამებული იყო შეხვედრის შედეგები¹⁹³. ჟენევის შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ზეწოლის მოხდენა რუსეთზე. რუსეთის დელეგაციამ შეხვედრა დაიწყო იმ პოზიციის მტკიცებით, რომ „ბოდენის დოკუმენტი“ უკვე გახდა დაბრკოლება სამშვიდობო პროცესისთვის და მისი შემდგომი გამოყენება აზრსმოკლებულია. ამის მიზეზად დასახელდა ის, რომ „ბოდენის დოკუმენტი“ მიუღებელია აფხაზებისთვის. თუმცა, ბრიტანეთისა და აშშ-ის მტკიცე პოზიციის

¹⁹² რუსეთის ეს გადაწყვეტილება სრულიად უგულვებელყოფდა აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ინტერესებს, რომელთა დაცვის ვალდებულების შესახებაც რუსეთის ოფიციალურ პირებს არაერთხელ განუცხადებიათ.

¹⁹³ Statement by the Chairman // High-level meeting of the Group of Friends of the Secretary-General Geneva, 2-3 February 2006.

შემდეგ, რუსებმა უკან დაიხიეს და, კომპრომისის სახით, თავმჯდომარის განცხადებაში „ბოდენის დოკუმენტი“ ნახსენები იქნა მისი სრული სახელწოდებით („თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“). რუსებმა ასევე მოისურვეს, რომ თავმჯდომარის განცხადების იმ ნაწილში, სადაც საუბარია „საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, დაემატებინათ ფრაზა „და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად“. ამ შემთხვევაში, ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის წარმომადგენლები გულისხმობდნენ კოსოვოს მომავალ პრეცედენტს. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების მტკიცე პასუხების შემდგომ, რუსეთის დელეგაციამ დათმო თავისი პოზიციები და, ამდენად, ხსენებული ფრაზა არ იქნა შეტანილი თავმჯდომარის განცხადებაში. „მეგობართა ჯგუფის“ ქვეყნებმა დაჟინებით მოსთხოვეს ქართულ და აფხაზურ მხარეებს, დაეწყოთ მუშაობა დოკუმენტების პაკეტზე, ძალის არგამოყენებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ.

ანალოგიური მიდგომები დაფიქსირდა გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის 31 მარტის № 1666 რეზოლუციაში. აქაც „ბოდენის დოკუმენტი“ ნახსენებია მისი სრული სახელწოდებით („თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“). თუმცა, რუსეთის მოთხოვნით, რეზოლუციაში ასევე ჩაიღო შემდეგი დებულება: „[უშიშროების საბჭო] მიესალმება დამატებით იღებებს [კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებით], რომლებიც მხარეებმა შეიძლება წარმოადგინონ მომავალში...“¹⁹⁴. ცხადია, რომ ამ ფორმულირების დაფიქსირებისას, რუსეთი გულისხმობდა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მომავალ პოტენციურ იღებებს. ამერიკელებს თავდაპირველად სურდათ ამ ფორმულირების დაბლოკვა, თუმცა, შემდგომი ანალიზის შედეგად ჩათვალეს, რომ შესაძლოა ეს დებულება ქართული მხარის მიერ მომავალში გამოყენებული ყოფილიყო, როგორც საფუძველი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ახალი, ქართული მხარის მიერ მომზადებული სამშვიდობო გეგმის განსახილველად (ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმის ანალოგიის მსგავსად)¹⁹⁵.

¹⁹⁴ Резолюция Совета Безопасности ООН, № 1666, Положение в Грузии (от 31 марта 2006 г.), [http://www.un.org/russian/documen/scresol/res2006/index.html].

¹⁹⁵ 2006 წლის 15 მაისს აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ქ. თბილისში ვიზიტის დროს, ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს გადასცა თავისი „მოსაზრებები აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი, მშვიდობიანი, პოლიტიკური მოგვარების ერთობლივი «საგზაო რუკის»“ ძირითადი პრინციპების განსაზღვრის

№ 1666 რეზოლუციაში, უშიშროების საბჭო კვლავ მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, სერიოზულად მოეკიდოს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების საკითხს, ასევე გალის რაიონში გაეროს სამოქალაქო პოლიციის მცირერიცხოვანი კონტინგენტის შეყვანისა და ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის საკითხებს. რაც შეეხება დსთ-ის კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს (KCHM), სამწუხაროდ, 31 მარტის რეზოლუციაში აღინიშნა, რომ, ამ ეტაპზე, ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის ზონაში სტაბილიზაციის შენარჩუნების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, გაეროს უშიშროების საბჭოს და, მათ შორის, „მეგობართა ჯგუფის“ წევრმა სახელმწიფოებმა მიიჩნიეს, რომ დსთ-ის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის შეწყვეტა არ იქნებოდა მიზანშეწონილი და კიდევ უფრო გაართულებდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესს.

გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წ. 31 მარტის № 1666 რეზოლუციის მიღებისას, ნათლად გამოჩნდა ოფიციალური მოსკოვის პოზიციის აშკარა ცვლილება ისეთ საბაზო დებულებასთან დაკავშირებით, როგორცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო მხარდაჭერა. კერძოდ, რუსეთმა უარი განაცხადა, რომ რეზოლუციის ტექსტში დაფიქსირებულიყო დებულება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ, რაც უშიშროების საბჭოს წინა რეზოლუციებში ყოველთვის უპრობლემოდ ფიქსირდებოდა. ამდენად, რუსეთის დესტრუქციული პოზიციის გამო, № 1666-ე რეზოლუციაში ამ თეზისის დაფიქსირება ვერ მოხერხდა.

საუბარი მეამბოხე აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე და შესაბამისი კონცეფციების შემუშავებაზე დაიწყო ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“. თუმცა, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ოფიციალურ თბილისს არ შეუთავაზებია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელმძღვანელობისთვის რაიმე კონკრეტული გეგმა (მოდელი), სადაც განსაზღვრული იქნებოდა აფხაზეთის ადგილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში (ერთად-ერთ შემთხვევას წარმოადგენდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული პროექტი, ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი“, რომელსაც დაეთანხმა ქართული მხარე, მაგრამ არ დაეთანხმა აფხაზური მხარე). არსებობდა ცალკეული პოლიტიკური

თაობაზე“. ხსენებული ვიზიტის ფარგლებში, სერგეი შამბამ, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას გადმოსცა აფხაზური მხარის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა («მოძავლის გასაღები»).

პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კონცეფციები, თუმცა, არც ერთ მათგანს არ გააჩნდა ოფიციალური პროექტის სტატუსი. შექმნილი ვაკუუმი ნაწილობრივ გამოსწორებულ იქნა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, როდესაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეიმუშავა და, შესაბამისად, აფხაზეთში მხარეს გადასცა (2006 წლის მაისში) კონკრეტული „მოსაზრებები აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი, მშვიდობიანი, პოლიტიკური მოგვარების ერთობლივი „სავაზო რუკის“ ძირითადი პრინციპების განსაზღვრის თაობაზე“¹⁹⁶.

2006 წლის ივლისი-აგვისტოს კოდორის ცნობილი მოვლენების შემდეგ (იგულისხმება კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის წინააღმდეგ ჩატარებული ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია), კოდორის ხეობა, კერძოდ სოფელი ჩხალთა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ იქნა აფხაზეთის დროებით ადმინისტრაციულ ცენტრად¹⁹⁷. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, ვინაიდან ზემო აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენით, ოფიციალურმა თბილისმა ფაქტიურად დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ არსებული „სტატუს-კვოს“ რეალური შეცვლა. კოდორის ხეობაში – აფხაზეთის ტერიტორიის ამ სტრატეგიულ მონაკვეთზე – აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ფუნქციონირება წარმოადგენდა სრულიად ახალ რეალობას, რამაც თავის დროზე მნიშვნელოვნად შეამცირა სოხუმში მყოფი სეპარატისტული ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხი მსოფლიო თანამეგობრობის თვალში. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის კოდორში განთავსებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ფაქტიურად შეიქმნა ხელისუფლების ალტერნატიული ცენტრი.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის 13 ოქტომბრის № 1716 რეზოლუციაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება კოდორის ხეობაში ქართული მხარის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის გამო, რამაც ქართულ-აფხაზეთი დაძაბულობის მორიგი ტალღა წარმოშვა, დოკუმენტში არ დაფიქსირებულა მოთხოვნა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის კოდორის ხეობიდან (ზემო აფხაზეთი) გაყვანის თაობაზე. ეს ფაქტიურად საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კოდორის ხეობაში შექმნილი ახალი რეალობისადმი შეგუებას ნიშნავდა¹⁹⁸.

¹⁹⁶ აღნიშნული დოკუმენტი ასევე გადაეცა გაეროს „მეგობართა ჯგუფის“ წევრებს, მათ შორის რუსეთის ფედერაციას.

¹⁹⁷ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 2006 წლის სექტემბრიდან კოდორის ხეობას სახელწოდება შეეცვალა და მას ოფიციალურად ეწოდა „ზემო აფხაზეთი“. დეენილობაში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ოფიციალური განთავსება ხეობაში მოხდა 2006 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის 13 წლის თავზე.

¹⁹⁸ Резолюция Совета Безопасности ООН, № 1716, Положение в Грузии (13 октября 2006 г.).

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე (2006 წლის 23 სექტემბერი)¹⁹⁹. სიტყვით გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა ღიად გააკრიტიკა ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკა და განაცხადა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ანექსირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რაც საერთაშორისო სამართლის უპრეცედენტო დარღვევაა. პრეზიდენტის გამოსვლა მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ გაეროს ამ საპატიო ტრიბუნიდან პრაქტიკულად პირველად გაკეთდა საქართველოს ოფიციალური განაცხადი აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებული მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ოპერაციების ფორმატების ტრანსფორმაციის აუცილებლობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სუვერენული უფლებაა, მოითხოვოს იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაყვანა, რომლებიც აფერხებენ კონფლიქტების გადაწყვეტას და მოახდინოს მათი ჩანაცვლება უფრო ეფექტური, მიუკერძოებელი ძალებით. *„მას შემდეგ, რაც ასეთი ძალები ადგილზე იქნება, მზად ვართ გავამყაროთ მათი მანდატი ყოვლისმომცველი ხელშეკრულებით ძალის არ გამოყენების შესახებ“*, – დასძინა მიხეილ სააკაშვილმა²⁰⁰. საქართველოს პრეზიდენტი კოსოვოს თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ რუსეთის ოფიციალური პირების ნებისმიერი მცდელობა, გამოიყენონ კოსოვოს პრეცედენტი აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებაში, ამორალურია და მოკლებულია ყოველგვარ აზრს. ყველაზე დიდი ზიანი, რაც მოსკოვმა მიიღო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლით გაეროს გენერალური ასამბლეის 61 სესიაზე არის ის, რომ დაიწყო რუსეთის მონოპოლიის რღვევა, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესებში²⁰¹. საერთაშორისო თანამეგობრობამ ნათლად დაინახა, რომ დსთ-ის სივრცეში არსებობს ალტერნატიული, რუსეთისგან განსხვავებული სახელმწიფოებრივი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა. ცხადი გახდა ისიც, რომ დსთ-ის ზოგიერთ სახელმწიფოს კატეგორიულად აღარ სურს თავის ტერიტორიაზე რუსული სამშვიდობო საქმიანობის შენარჩუნება.

¹⁹⁹ რუსეთის ფედერაცია კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კონფლიქტების თემა გათვალისწინებული ყოფილიყო გაეროს გენერალური ასამბლეის 61 სესიის დღის წესრიგში. თუმცა, მიუხედავად ამისა, სუამ-ის ქვეყნებმა მაინც მოახერხეს ამ საკითხის განსახილველად გატანა (16 ხმით 15-ის წინააღმდეგ, ბევრმა თავი შეიკავა).

²⁰⁰ გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის სრული ტექსტი განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე [www.president.gov.ge].

²⁰¹ წლების მანძილზე რუსეთი რჩებოდა ერთადერთ და მთავარ მშვიდობისმყოფელად დსთ-ში. შესაბამისად, რუსეთის ყოველთვის დომინირებული პოზიცია ეკავა სამშვიდობო ოპერაციების ფორმატის განსაზღვრისას.

პრეზიდენტ სააკაშვილის ახალი ინიციატივები დაფუძნებული იყო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების იმ სამშვიდობო წინადადებებზე, რომლებიც სეპარატისტებს 2006 წელს ქ. სოხუმში გადაეცათ. აღნიშნული ინიციატივები გულისხმობდნენ ისეთი საკონსტიტუციო საკითხების გადაწყვეტას, როგორებიცაა: აფხაზეთისთვის ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობითობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში, აფხაზური მხარისთვის საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღების ჩათვლით; აფხაზური მხარისთვის ვეტოს უფლების მინიჭება იმ სახის კანონმდებლობის მიმართ, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა აფხაზეთის საკონსტიტუციო სტატუსთან, ასევე აფხაზური კულტურის, ენისა და ეთნიკური თვითმყოფადობის საკითხებთან; აფხაზეთის გალის რაიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, ოჩამჩირის საზღვაო პორტის გამოყენებით; აფხაზეთის ფართო ავტონომიის საერთაშორისო გარანტიების უზრუნველყოფა.

გაეროს უშიშროების საბჭო თავის 2007 წლის 13 აპრილის № 1752 და 15 ოქტომბრის № 1781, ასევე 2008 წლის 15 აპრილის № 1808 რეზოლუციებში, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობას. ამავე კონტექსტში, უშიშროების საბჭო მხარს უჭერს კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას ე.წ. „ბოდენის დოკუმენტის“ პრინციპების გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ მეგობართა ჯგუფის აბსოლუტური უმრავლესობის ძალისხმევით შედეგად უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში შეტანილ იქნა დებულება, რომლის თანახმადაც კერძო საკუთრების უფლება არ შეიძლება შეილახოს იმ გარემოების ფონზე, რომ მესაკუთრე იძულებული გახდა გაქცეულიყო კონფლიქტის მსვლელობისას, და ცალსახად აღიარებულია კონფლიქტის ზონაში მესაკუთრეთა კანონიერი უფლებები.


2008 წლის 15 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განიხილა და ხმათა უმრავლესობით მიიღო საქართველოს მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი „აფხაზეთიდან, საქართველო ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ“. დოკუმენტში ხაზგასმულია აფხაზეთიდან ყველა ლტოლვილისა და იძულებით ადგილნაცვალ პირის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების განუყოფელი უფლება. ამასთან, რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იძულებით ადგილნაცვალ პირთა, მათ შორის ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა უფლებების დაცვას, საკუთრების უფლების საკითხების ჩათვლით.

2008 წლის 21 მარტს რუსეთის ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბირომ მიიღო განცხადება „რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის შესახებ აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთთან მიმართებაში“. საგანგებო აღნიშვნის ღირსია განცხადების ის ნაწილი, რომლის თანახმადაც სათათბიროს წევრები სთხოვენ რუსეთის მთავრობას „განიხილოს ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტების ზონებში სამშვიდობო ძალების პოტენციალის გაძლიერების შესაძლებლობა“. დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 1996 წ. 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან („აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“) რუსეთის ფედერაციის ცალმხრივად გასვლის ფონზე, სახელმწიფო სათათბიროს შემოხსენებულმა „რეკომენდაციამ“ ფაქტიურად მოამზადა ნიადაგი რეგიონის შემდგომი მილიტარიზაციის, სეპარატისტულ რეჟიმებთან ღია სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობისა და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის პირდაპირი აგრესიისთვის. ამის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ვ. პუტინის 2008 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს დაევადათ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ საკონსულო ფუნქციების შესრულება.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 2008 წ. 21 მარტის განცხადებიდან ერთი კვირის თავზე, 28 მარტს, საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა ახალი სამშვიდობო წინადადებებით აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლების შეთავაზება აფხაზური მხარის მიმართ ითვალისწინებდა ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ორგანოში, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის კონსტიტუციური პოსტის შემოღებას და ამ პოსტზე აფხაზეთის წარმომადგენლის დანიშვნას, აგრეთვე ვეტოს უფლებას აფხაზეთის სტატუსსა და უფლებებთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაზე. კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთს სთავაზობს ფართო ფედერალიზმს, ენის, კულტურისა და ეროვნული იდენტურობის განვითარებისთვის აუცილებელ ყველა პირობას. აფხაზეთს ექნებოდა შეუზღუდავი ავტონომია საქართველოს ფარგლებში, ხოლო აღნიშნული გეგმის გარანტი კი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო თანამეგობრობა, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით.



სეპარატისტული საბრძოლო ქვედანაყოფებისა და რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ აფხაზეთში განხორციელებული გადაწყვეტი იერიშები (1993 წელი)



გალის სექტორი (აფხაზეთი)

საქართველოს პრეზიდენტის ახალ სამშვიდობო წინადადებებს რაიმე საპასუხო გამოხმაურება არ მოჰყოლია არც აფხაზური, არც რუსული მხარეებისგან. უფრო მეტიც, 2008 წლის 31 მაისს, საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, აფხაზეთში შეყვანილ იქნა რუსეთის სარკინიგზო ჯარების ქვედანაყოფები და სპეცტექნიკა. აფხაზეთის ტერიტორიაზე შეყვანილი საჯარისო ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის რაოდენობა, ასევე სპეცტექნიკის სახეობები და დაგეგმილი სამუშაოების ხასიათი ცხადყოფდა, რომ რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში დაიწყო საკუთარი სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოება და მომზადება საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისათვის.

2008 წლის აგვისტოში, მას შემდეგ რაც ცხინვალის რეგიონში გაჩაღებულმა კონფლიქტმა ფართომასშტაბიანი ქართულ-რუსული სამხედრო დაპირისპირების სახე მიიღო, თვითგამოცხადებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. 8 აგვისტოს საარტილერიო სისტემებით და სარაკეტო დანადგარებით აღჭურვილმა აფხაზურმა ძალებმა ოჩამჩირის რაიონიდან ადმინისტრაციული საზღვრისკენ დაიწყეს მოძრაობა. ამას მოყვა მასირებული აფხაზურ-რუსული ერთობლივი შეტევა ქართველების მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობაზე (ზემო აფხაზეთი), რის შემდეგაც კოდორის ხეობა სეპარატისტების კონტროლის ქვეშ გადავიდა.

3.3.2. ევროპული ფაქტორის მნიშვნელობა და შავი ზღვის განზომილება აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში. უკვე 15 წელიწადზე მეტია, რაც გაერო ცდილობს კონფლიქტის გადაწყვეტას საქართველოსა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონს შორის, თუმცა რაიმე თვალსაჩინო შედეგი ჯერ მიღწეული არ არის (განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხს). გაეროს აშკარა არაეფექტურობის ფონზე, სულ უფრო აუცილებელი ხდება, რომ კონფლიქტების დარეგულირება და სამშვიდობო ოპერაციები იქცეს ევროპის კავშირის (EU) საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. ბრიუსელში უნდა გააცნობიერონ, რომ ევროკავშირის უსაფრთხოება და ეკონომიკური კეთილდღეობა უშუალო კავშირშია მისი მეზობლების უსაფრთხოებასთან და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. 2004 წლიდან საქართველო უკვე ჩართულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP), ხოლო 2007 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუმინეთი და ბულგარეთი გაწევრიანდნენ ევროკავშირში, საქართველო გახდა ევროკავშირის უახლოესი მეზობელი – საქართ-

ველოს აქვს საერთო საზღვაო საზღვარი ევროკავშირთან. ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შემდეგ კი საქართველოს ექნება საერთო სახმელეთო საზღვარი ევროკავშირთან (ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პროგნოზის მიხედვით, მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე საბოლოოდ დასრულდება 2012 წელს). ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან თავად ევროკავშირის უსაფრთხოების ინტერესებშია, რომ მის უახლოეს სამეზობლოში მშვიდობა და სტაბილურობა სუფევდეს. აქედან გამომდინარე, ევროკავშირი აუცილებლად შეეცდება უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს აფხაზეთის პრობლემატიკის მიმართ და თავისი პოზიტიური წვლილი შეიტანოს, კონფლიქტის საბოლოო დარეგულირების მიზნით.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს ითვლის. 1993 წლიდან მოყოლებული დღემდე, ევროკავშირი სოლიდურ ფინანსურ დახმარებას უწევს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებს. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი საქართველოს არ აღიქვამდა, როგორც ცალკე სუბიექტს (საქართველოს მიმართ არ არსებობდა ინდივიდუალური მიდგომა). ბრიუსელში საქართველოსადმი ევროკავშირის პოლიტიკას ყოველთვის განიხილავდნენ, როგორც სამხრეთ კავკასიის მიმართ ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის ნაწილს (არსებობდა რეგიონული მიდგომა). 2003 წლის ივლისში ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიაში დანიშნა თავისი სპეციალური წარმომადგენელი, რითიც ხაზი გაუსვა ამ რეგიონისადმი თავის მზარდ ინტერესს. თუმცა, მეორეს მხრივ, კვლავ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ევროკავშირის პოლიტიკაში საქართველო მხოლოდ სამხრეთ კავკასიის კონტექსტში მოიაზრებოდა. ეს არც თუ ისე სასურველი გარემოებაა, ვინაიდან კავკასიური ფაქტორის ზომაზე მეტად აქცენტირებამ, შესაძლოა, საქართველოს შეუქმნას არაევროპული ტრადიციების მქონე ქვეყნის იმიჯი, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ევროპული კომპონენტის გაძლიერების შანსებს და დამღუპველი იქნება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის თვალსაზრისით. ამდენად, 2007-2008 წლებში საქართველომ თანდათანობით უნდა მოახერხოს თავისი თავის რედეფინიცია შავი ზღვის გარშემო და მიზნად დაისახოს შავი ზღვის და არა სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქცენტირება (ეს შესაძლებელია, რადგან 2007 წლიდან საქართველო

ველოს უკვე აქვს საერთო საზღვაო საზღვარი ევროკავშირთან)²⁰². ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო ინიციატივას წარმოადგენდა რუმინეთის წინადადება შავი ზღვის ევრორეგიონის შექმნის თაობაზე, რომელმაც იდეაში ხელი უნდა შეუწყო კონფლიქტების გადაწყვეტას, ხელსაყრელი რეგიონული გარემოს შექმნის გზით²⁰³. შავი ზღვის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით (შავი ზღვა წარმოადგენს თავისებურ ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის), ამ რეგიონს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა ევროპისთვის (განსაკუთრებით ცენტრალური ევროპისთვის). შავი ზღვის რეგიონის აქცენტირებით, საქართველო, ერთის მხრივ, ნაწილობრივ მაინც გაემიჯნება სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პრობლემებს (შესაბამისად, გაემიჯნება მთიანი ყარაბაღის პრობლემატიკასაც), ხოლო, მეორეს მხრივ, თავს აარიდებს ახლო აღმოსავლეთის ფეთქებად რეგიონთან სიახლოვეს. საქართველოს სამხრეთელი მეზობლები – სომხეთი და აზერბაიჯანი – დარჩებიან ე.წ. „ბუფერულ ზონებად“ ევროკავშირსა და ახლო აღმოსავლეთს შორის, ხოლო საქართველო გადაინაცვლებს ევროკავშირის უშუალო მეზობლების სიაში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლისკენაც გეზი უნდა აიღოს საქართველომ, ეს არის საქართველოს ევროპული იდენტურობის აქტიური მტკიცება საერთაშორისო არენაზე. ყველა შესაძლო დონეზე, ხაზი უნდა გაესვას საქართველოს არა მარტო ისტორიისა და სულიერი კულტურის ევროპულობას, არამედ პოლიტიკური კულტურის ევროპულ (და არა კავკასიურ) ხასიათსაც.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შავი ზღვა ჯერჯერობით არ განიხილება, როგორც ევროკავშირის პოლიტიკის რაღაც ერთიანი ობიექტი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პროევროპული მისწრაფებები გააჩნიათ არა მარტო საქართველოს, არამედ უკრაინასა და მოლდოვასაც, შავი ზღვის გარშემო ფაქტიურად იკვრება პროევროპული განწყობის მქონე სახელმწიფოების სარტყელი, ხოლო ეს ქვეყნები კი, არც თუ ისე შორეულ პერსპექტივაში, შესაძლოა, ევროკავშირის წევრობის რეალური კანდიდატებიც გახდნენ. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა,

²⁰² რეღეფინიციის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა ახდენს იმ რეგიონიდან გამოსვლას, რომელიც უარყოფით ასოციაციას იწვევს. მსგავსი რეღეფინიციის პოლიტიკის განხორციელება სასურველია საქართველოსთვისაც, რადგან დღეს სამხრეთ კავკასია იწვევს კორუფციის, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის, ასევე სოციალური სიღუპის ასოციაციას. „რეღეფინიციის“ პოლიტიკის წარმატებით განხორციელება საშუალებას მისცემს საქართველოს, რათა ნაკლებად იყოს დამოკიდებული ჩრდილოეთ კავკასიასთან და მთიან ყარაბაღთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

²⁰³ 2006 წლის 30 მარტს რუმინეთის ქ. კონსტანცაში, საერთაშორისო კონფერენციის „რეგიონთაშორისო თანამშრომლობა შავი ზღვის აუზში“ ფარგლებში, შეიკრიბნენ 10 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლები, რომელთაც გამართეს დიალოგი შავი ზღვის ევრორეგიონის შექმნის საკითხებთან დაკავშირებით.

2007 წელს რუმინეთი და ბულგარეთი უკვე მიუერთდნენ ევროკავშირს. თურქეთის რესპუბლიკაც, ალბათ, პროგნოზირებად მომავალში ასევე გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამდენად, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, შავი ზღვა, პრაქტიკულად, გახდება ევროპული ზღვა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ევროპა გაცილებით უფრო მოტივირებული იქნება საიმისოდ, რომ აფხაზეთის რეგიონში მყარი და გრძელვადიანი მშვიდობა დამყარდეს (ევროკავშირს უფრო დიდი სტიმული ექნება, რათა ჩაერიოს შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ერთად-ერთი შეიარაღებული კონფლიქტის გადაწყვეტაში). მაშინ კი ევროკავშირს სერიოზულად მოუწევს დაფიქრება იმაზე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს აფხაზეთის საკითხი, რა როლის (პოზიტიურის ან ნეგატიურის) შესრულება შეუძლია აფხაზეთურ ფაქტორს შავი ზღვის ამ ახალ რეგიონში, და როგორი ფორმით უნდა მოხდეს აფხაზეთის ინტეგრირება ამ სივრცეში? ამ კონტექსტში, ყველამ ნათლად უნდა გააცნობიეროს, რომ აფხაზეთის ინტეგრირება შავი ზღვის ევროპულ სივრცეში შესაძლებელი იქნება მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან ერთად; ამ პროცესის რაიმე სხვაგვარი განვითარება უბრალოდ გამორიცხულია. ამდენად, თუ ევროპას მართლაც სურს მშვიდობა და სტაბილურობა შავი ზღვის რეგიონში, მან უნდა გამოიჩინოს მეტი პასუხისმგებლობა და სერიოზულად შეუწყოს ხელი აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით აფხაზეთი ჯერჯერობით არ არის ევროკავშირთან ისე ახლოს, როგორც თუნდაც დნესტრისპირეთი, ევროკავშირმა მაინც უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხს, რადგან ევროკავშირი თანდათანობით უახლოვდება სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონს და თავად აფხაზეთსაც. „ფართო ევროპის“ ინიციატივაში ევროკავშირი იღებს პასუხისმგებლობას, აქტიურად ჩაერიოს უშუალოდ მისი საზღვრების მახლობლად არსებული კონფლიქტების მოგვარებაში²⁰⁴. „ფართო ევროპა და მეზობლობა გულისხმობს პასუხისმგებლობის ერთად ზიდვის ტვირთს და ურთიერთთანამშრომლობას კონფლიქტებისა

²⁰⁴ „ფართო ევროპის“ ინიციატივა ჩამოყალიბებულ იქნა 2002 წლის გაზაფხულზე და ძირითადად ითვალისწინებდა ევროკავშირის ურთიერთობების განსაზღვრას უკრაინის, მოლდოვასა და ბელარუსის მიმართ. 2003 წლის მარტში გამოცემულ იქნა ევროკომისიის მიმართვა (communication), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ევროკავშირის ურთიერთობები აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან. საქართველო „ფართო ევროპის“ ინიციატივაში შეყვანილი არ იქნა (გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით), რადგან მიმართვა ეხებოდა მხოლოდ ევროკავშირის უშუალო მეზობლებს, რომელთაც საზღვაო ან სახმელეთო საზღვარი გააჩნდათ ევროკავშირთან. მიუხედავად ამისა, საქართველოში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ დადებითი ბიძგი მისცა სამხრეთ კავკასიის ევროკავშირთან დაახლოებას. 2004 წ. საქართველო და მისი სამხრეთ კავკასიელი მეზობლები ჩართულნი იქნენ ევროპული სამეზობლო პოლიტიკაში (ENP).

და არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად“²⁰⁵. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო მაგალითად გვესახება ევროკავშირის პოლიტიკა დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირების მიმართ. ეს პოლიტიკა საინტერესოა იმითაც, რომ იგი ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რუსეთთან მჭიდრო დიალოგის პირობებში. ევროკავშირმა მოახერხა, ჩამოეყალიბებინა გამოკვეთილი პოლიტიკა დნესტრისპირეთის საკითხში. მსგავსი მიდგომა უნდა გამოიჩინოს ევროკავშირმა აფხაზეთის კონფლიქტის მიმართაც. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ევროპა არ დარჩეს გულგრილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მიმართ და აქტიურად ჩაერიოს მათ გადაწყვეტაში, განსაკუთრებით კი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ბუნებრივია, აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების პერსპექტივა, ძირითადად, დამოკიდებულია ეროვნულ მთავრობებზე, მათ შორის ისეთ ძღვეამოსილ სახელმწიფოებზე, როგორებიცაა რუსეთის ფედერაცია და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ორ სახელმწიფოს გააჩნია უდიდესი გავლენა კონფლიქტის მხარეებზე, ისევე, როგორც შავი ზღვის მთელ რეგიონზე. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის სამშვიდობო საქმიანობა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების კუთხით, უნდა წარიმართოს ვაშინგტონთან და მოსკოვთან ინტენსიური დიალოგის პირობებში.

დღეის მდგომარეობით, ევროკავშირი არ თამაშობს ხელშესახებ პოლიტიკურ როლს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში (დნესტრისპირეთის კონფლიქტისგან განსხვავებით)²⁰⁶. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მისიას არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ შეასრულოს შუამავლის როლი რაიმე სახის სეცესიონისტურ კონფლიქტში, აფხაზეთის კონფლიქტის ჩათვლით. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც ევროკავშირში და არც ნატოში ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი ხედვა აფხაზეთის კონფლიქტის მიმართ (განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზეთის კონფლიქტის შავი ზღვის განზომილებას), ისევე როგორც არ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა თავად შავი ზღვის რეგიონის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფ-

²⁰⁵ „Wider Europe – Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours“, Communication from the Commission to the Council and the European Parliament, Brussels, 11.03.2003, COM (2003) 104 final. [http://www.europa.eu.int/comm/external_relations/we/doc/com03_104_en.pdf], p. 12.

²⁰⁶ პოლიტიკურ როლს თამაშობს ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფო, კერძოდ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია (ეს ქვეყნები შედიან ე.წ. „გაეროს მეგობართა ჯგუფში“ და სწორედ ამ სტატუსით მონაწილეობენ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში).

ლებამ უნდა მიმართოს მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მიაღწიოს ევროკავშირის კომპონენტის შემოტანას აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაში. ბრიუსელის მხრიდან დახმარების გააქტიურება და ევროკავშირის სახით კიდევ ერთი საგარეო აქტორის ჩართვა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში, ასევე პოსტკონფლიქტურ რეაბილიტაციაში, უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც საქართველოსთვის, ისე შავი ზღვის მთელი რეგიონისთვის. ამ თვალსაზრისით ნაწილი სამუშაო უკვე ჩატარებულია და გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა. საქართველოს მთავრობამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა (ENP) და ევროკავშირთან სამოქმედო გეგმის ფორმატში, აწარმოა მოლაპარაკებები საქართველოს შიდა კონფლიქტების დარეგულირების პროცესის გააქტიურების თაობაზე²⁰⁷. ევროკავშირმა გადამწყვეტი როლი ითამაშა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსული აგრესიის შესახებ, რომ ადარაფერი ვთქვათ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაზე (EUMM), რომლის 200-მდე დამკვირვებელიც საქართველოს კონფლიქტურ ზონებთან მიმდებარე ტერიტორიებზე პატრულირებს²⁰⁸. თუმცა გასაკეთებელი გაცილებით უფრო ბევრია. სასურველი იქნებოდა, რომ ENP-ის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ ორმხრივ სამოქმედო გეგმაში (დოკუმენტს ხელი მოეწერა 2006 წლის 14 ნოემბერს), უფრო მკაფიოდ განსაზღვრულიყო საქართველოს შიდა კონფლიქტების დარეგულირების კონკრეტული ინსტრუმენტები. საჭიროა ფიქრი აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის კონკრეტულ მექანიზმებზე. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირი, შესაძლოა, გამოვიდეს ერთგვარი „ჩარჩო“ სტრუქტურის როლშიც, რომელიც შექმნის შესაბამის ნიადაგს საკონსტრუქციო ხასიათის პრობლემების გადასაწყვეტად. გარდა ამისა, ევროკავშირს შეუძლია იმოქმედოს, როგორც შუამავალმა ან არბიტრმა (მესამე მხარემ). შესაძლებელია მოიძებნოს ევროკავშირის მონაწილეობის რაიმე სხვა ფორმაც. აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ევროკავშირის შესაძლო მონაწილეობის კონკრეტული ფორმებისა და მექანიზმების შემუშავება შესაძლებელია და არ წარმოადგენს გადაუწყვეტელ ამოცანას იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებს სათანადო პოლიტიკური ნება თავად ამ ორგანიზაციის მხრიდან. ბრუნო კოპიტერსის აზრით, „ევროკავშირის ჩართვა გაეროს გენერალურ მდივანთან არსებულ საქართველოს მეგობართა ჯგუფში არ წარმოადგენს იოლ

²⁰⁷ მოლაპარაკებები დაიწყო 2005 წლის ნოემბერში და წარმატებით დასრულდა 2006 წლის ოქტომბერში.

²⁰⁸ 2008 წლის 9 ოქტომბრიდან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების კონტროლი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას გადაეცა.

საქმეს. მაგრამ, პრაქტიკული სირთულეები, რაც დაკავშირებულია ევროკავშირის პირდაპირი მონაწილეობის უზრუნველყოფასთან, აუცილებლად უნდა იქნას გადალახული²⁰⁹. ევროკავშირმა უნდა გადალახოს თავის შიგნით არსებული შიდაპოლიტიკური შეზღუდვები და უშუალოდ ჩაერთოს აფხაზეთის კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და დარეგულირების პროცესში.

მსოფლიოში არსებობს ევროკავშირისა და ნატო-ს ერთობლივი ღონისძიებების პრაქტიკაც, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმება. „ბერლინ პლიუსი“ – ეს არის ხელშეკრულება, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირისა და ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატიდან და, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს გამოიყენოს ნატო-ს რესურსები, სატელიტური კომუნიკაციის სისტემისა და მძიმე ავიაციის ჩათვლით²¹⁰. ევროკავშირისა და ნატო-ს კომპონენტის შემოტანა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში საჭიროა იმის გამოც, რათა მოხდეს რუსეთის გავლენის საგრძნობი შემცირება შავი ზღვის რეგიონში. რუსეთის ფაქტორი წარმოადგენს კიდევ ერთ გამოწვევას ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. შავი ზღვის რეგიონი (აზოვის ზღვის აკვატორიის ჩათვლით) განეკუთვნება ნატო-ს სამხრეთ-აღმოსავლეთის პასუხისმგებლობის ზონას და, აქედან გამომდინარე, რუსეთის ნებისმიერი მცდელობა, ხელი შეუწყოს აფხაზეთში „სტატუს-კვოს“ შენარჩუნებას და დესტაბილიზაციას, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირისა და ნატო-ს გრძელვადიან ინტერესებთან. ევროპის უსაფრთხოების ინტერესებშია, რომ შავი ზღვის რეგიონში გატარდეს პრევენტიული ზომები ტერორიზმის, სეპარატიზმისა და, რაც ყველაზე მთავარია, რუსეთის აგრესიული პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეების შესაჩერებლად. ევროკავშირმა და ნატომ უნდა მოახერხონ კოორდინირებული მიდგომის შემუშავება, საქართველოს კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების მიზნით. ერთ-ერთ ასეთ ოპტიმალურ მიდგომას წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP), რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სამხედრო დამკვირვებელთა მისიის განხორციელება.

²⁰⁹ Bruno Coppieters. The Georgian-Abkhaz Conflict (Chapter 5), [http://www.ecmi.de/jemie/download/1-2004Chapter5.p df#search=%22bruno%20coppieters%2C%20the%20Georgian-Abkhaz%20Conflict%22].

²¹⁰ პარტნიორობის შესახებ ევროკავშირისა და ნატო-ს შორის არსებული შეთანხმება ეფუძნება ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვითი პოლიტიკის (ESDP) დეკლარაციას, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის 13 დეკემბერს. ეს დეკლარაცია მოიცავს ეწ. „ბერლინ პლიუსის შეთანხმების“ ოთხ კომპონენტს: 1) ევროკავშირის მონაწილეობის უზრუნველყოფა ნატო-ს ოპერაციების დაგეგმარებაში; 2) ევროკავშირის მიერ ნატო-ს აქტივების და შესაძლებლობების გამოყენება; 3) ნატო-ს ევროპული ხელმძღვანელობის მონაწილეობა ევროკავშირის ოპერაციებში; 4) ნატო-ს თავდაცვის დაგეგმარებითი სისტემის ადაპტირება, ევროკავშირის მიერ წარმოებულ ოპერაციებში ძალების გაერთიანების მიზნით.

მიუხედავად შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული მრავალი პრობლემისა, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონი მყარად ადგას დემოკრატიული განვითარების გზას. მთავარი წინაღობა და ხელისშემშლელი ფაქტორი ამ გზაზე უკავშირდება მოუგვარებელ კონფლიქტებს, რომელთა შორის აფხაზეთის კონფ-ლიქტი არის ერთად-ერთი შეიარაღებული კონფლიქტი შავი ზღვის სანაპიროზე. აფხაზეთის კონფლიქტი წარმოადგენს ყველაზე დიდ სტრატეგიულ საფრთხეს როგორც საქართველოსთვის, ისე შავი ზღვის მთელი რეგიონისთვის. ფაქტიურად, ეს არის შავი ზღვის სანაპიროზე არსებული კრიმინალური ანკლავი, რომელიც იქ შეიქმნა მოსკოვის მხრიდან ხელოვნურად ინსპირირებული ლოკალური კონფლიქტის შედეგად და, რომელიც მთელი რეგიონის დესტაბილიზაციას იწვევს. შავი ზღვის სანაპიროზე მსგავსი ანკლავის არსებობა არის ისეთივე სერიოზული გამოწვევა ევროპული უსაფრთხოებისთვის, როგორც ტერორიზმი, ნარკოტრაფიკი და კონტრაბანდა. ამდენად, სანამ არ მოიძებნება გამოსავალი ამ ჩიხიდან, დესტაბილიზაციის საფრთხე შავი ზღვის რეგიონში მუდმივად იარსებებს და, შესაბამისად, ევროპის პოლიტიკური უსაფრთხოებაც ვერ იქნება ბოლომდე უზრუნველყოფილი.

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება აუცილებელია იმის გამოც, რათა დაცულ იქნას ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესები და სტაბილურად იფუნქციონიროს სამხრეთ კავკასიაზე გამავალმა ენერგეტიკულმა დერეფანმა. ევროპა და აშშ დაინტერესებულნი არიან ამ დერეფნის უსაფრთხო ფუნქციონირებით, ვინაიდან იგი წარმოადგენს საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ალტერნატიულ წყაროს, ნავთობის მიწოდების კუთხით. შავი ზღვა სულ მალე გადაიქცევა ევრაზიის საკვანძო არხად, რომლის მეშვეობითაც კასპიის ნავთობისა და გაზის მარაგები, რომლებიც არ მოედინებიან სპარსეთის ყურისა და „ოპეკის“ (OPEC) ქვეყნებიდან, მიეწოდება ევროპის ბაზრებს და უფრო შორსაც (მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შავი ზღვის, როგორც ევროპასა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებს შორის არსებული მთავარი დერეფნის მნიშვნელობა, წლიდან წლამდე სულ უფრო გაიზრდება). ამიტომ, შავი ზღვის რეგიონის გრძელვადიანი სტაბილურობა და მისი ინტეგრაცია ევროპასთან ძალზედ მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი-ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, ევროკავშირმაც და ნატომაც უნდა გამოიჩინონ მეტი აქტიურობა იმისათვის, რათა ხსენებულ რეგიონში შეიქმნას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შავი ზღვის ზონა, რაც შეუძლებელი იქნება აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის

გარეშე. მართალია, დღესდღეობით, ევროკავშირი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთის გახსნა და ნავთობზე და, ამის გამო, იძულებულია ბევრ საკითხში ანგარიში გაუწიოს ოფიციალურ მოსკოვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა არ უნდა დაუთმოს პოზიციები რუსეთს შავის ზღვის ამ სტრატეგიულ ზონაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ამერიკამ და ვერც ევროპამ ჯერჯერობით ვერ მოახერხეს რაიმე გარდატეხის შეტანა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში (მიუხედავად მათი არაერთი ძალისხმევისა გაეროსა და ეუთოს ფარგლებში), ვინაიდან ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მოითხოვს სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩარევას მათი მხრიდან, რაც ჯერ მიღწეული არ არის. ამასთან, საჭიროა, რომ ევროპამ და ამერიკამ გამოხატონ მზადყოფნა, უზრუნველყონ აფხაზეთში დასავლეთის სამშვიდობო ძალების ყოფნა (აფხაზეთში მოქმედი სამშვიდობო ოპერაციის დივერსიფიკაციის მიზნით), თუკი ამის აუცილებლობა დადგება. მაგრამ, შავი ზღვის რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად აუცილებელია, რომ რუსეთმა შეცვალოს თავისი ქცევა (არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მთავარი სირთულე უკავშირდება სწორედ ოფიციალური მოსკოვის დესტრუქციულ პოლიტიკას, რომელსაც ის ახორციელებს მოცემულ რეგიონში). წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს საკვებით რეალური საფრთხე იმისა, რომ შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთი საკმაოდ გრძელვადიანი პერიოდით დარჩეს დღევანდელი „სტატუს-კვოს“ მდგომარეობაში, რაც, თავისთავად, ევროკავშირის უშუალო საზღვართან კონფლიქტური კერის არსებობის გრძელვადიანობასაც გულისხმობს.

ომის შემდგომი მთელი პერიოდის მანძილზე, ქართულ-აფხაზეთურ მოლაპარაკებებში, ძირითადად, დომინირებდა ორი ფუნდამენტური საკითხი: აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი და ქართველ დევნილთა დაბრუნება. სამწუხაროდ, ვერც ერთი საკითხის გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ, მოლაპარაკებათა პროცესი ფაქტიურად ჩიხში შევიდა.

3.4. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი და რეგიონული სტაბილურობის პერსპექტივები

მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების შედარებით ანალიზს თუ გავაკეთებთ, ნათლად დავინახავთ, რომ სამხრეთ კავკასიის ამ სამ კონფლიქტს შორის გაცილებით უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება. სამხრეთ კავკასიის არაღიარებული რესპუბლიკები („აფხაზეთის რესპუბლიკა“, „სამხრეთ ოსე-

თის რესპუბლიკა“, „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“) საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავდაცვისუნარიანობის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონით, ისევე როგორც ისტორიითა და ეროვნული იდეოლოგიით. არანაკლებ განსხვავებულია მათი მონაწილეობის ხარისხი სამშვიდობო პროცესებში. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს მთელი რიგი მახასიათებლებისა, რაც საერთოა რეგიონის სამივე კონფლიქტისთვის. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები:

1. ფორმალური თვალსაზრისით, 2008 წ. აგვისტომდე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები წარმოადგენდნენ შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ერთი მხრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ – სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებები. 2008 წ. აგვისტოში, მას შემდეგ რაც რუსეთმა განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტმა განიცადა ერთგვარი ტრანსფორმაცია და მიიღო ქართულ-რუსული კონფლიქტის სახე. შესაბამისად, ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, ოფიციალური თბილისი ხსენებულ კონფლიქტის განიხილავს, როგორც სახელმწიფოთაშორისს. იგივე ითქმის აფხაზეთთან დაკავშირებითაც. რაც შეეხება სომხურ-აზერბაიჯანულ შეიარაღებულ დაპირისპირებას, ის აშკარად სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტი იყო და ასეთად რჩება დღესაც (ერთმანეთს უპირისპირდება ორი სუვერენული სახელმწიფო), ხოლო მთიანი ყარაბაღი კი ფაქტიურად განიხილება როგორც სადაო ტერიტორია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

2. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის შეთხვევაში საქმე გვაქვს სეპარატიზმის საკმაოდ აგრესიულ გამოვლინებასთან, მთიანი ყარაბაღისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს გააჩნიათ აშკარად გამოკვეთილი ირედენტისტული ხასიათი²¹¹. ირედენტისმის ტიპური მაგალითებია მთიანი ყარაბაღის სომხეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნა. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ უფრო სეცესიონისტური განწყობები²¹²

²¹¹ თანამედროვე პოლიტიკაში ირედენტისმი ეწოდება რომელიმე ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობის მოთხოვნას, გამოეყოს ამ ქვეყანას და შეუერთდეს ისტორიულ სამშობლოს. ირედენტისმის რეალიზაცია ძალით, სუვერენული სახელმწიფოს თანხმობის გარეშე არაკანონიერი ქმედებაა, რადგან იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

²¹² სეცესიის ცნებაში იგულისხმება რომელიმე ტერიტორიის გამოსვლა სახელმწიფოს შემადგენლობიდან და ამ ტერიტორიაზე ახალი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნა.

ჭარბობს. აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი ხაზს უსვამს რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების დიდ მნიშვნელობას, არის მსჯელობა რუსეთის ფედერაციის ასოცირებულ წევრობაზეც, თუმცა ოფიციალურ დონეზე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას არასდროს უთქვამს უარი აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის იდეაზე. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პოლიტიკა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: რუსეთის მეშვეობით თავი დააღწიონ საქართველოს, ხოლო შემდგომ კი როგორმე განთავისუფლდნენ თავად რუსეთის ზეგავლენისგანაც. ამ თვალსაზრისით, აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის პოლიტიკა პრინციპულად განსხვავდება იმ პოლიტიკისგან, რომელსაც ახორციელებს ოსი სეპარატისტების ლიდერი ედუარდ კოკოითი, რომლის ოფიციალურად დეკლარირებულ მიზანსაც წარმოადგენს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ გაერთიანება ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-აღანიასთან, ერთიანი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო კორექტული იქნება თუ აფხაზებს განვიხილავთ როგორც სეცესიონისტებს, ხოლო სამხრეთელ ოსებს კი როგორც ირედენტისტებს (ყარაბაღელი სომხების მსგავსად).

3. ოფიციალური ბაქო არ განიხილავს მთიან ყარაბაღს, როგორც ცალკე მხარეს კონფლიქტში, ასეთად ის მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკას მოიაზრებს. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ კონფლიქტებს, 2008 წლის აგვისტომდე აფხაზური და ოსური მხარეები ოფიციალურად იყვნენ აღიარებულნი კონფლიქტის მხარეებად, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ (ამაზე მეტყველებს 2008 წლის აგვისტომდე არსებული მოლაპარაკებათა ფორმატები, ასევე გაეროს, ეუთოსა და დსთ-ის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები). მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლება დღემდე დაჟინებით მოითხოვს, რომ მთიანი ყარაბაღი ცნობილ იქნას კონფლიქტის ცალკე მხარედ და, შესაბამისად, სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი სამშვიდობო მოლაპარაკებებში²¹³.

4. მოლაპარაკებათა პროცესის განსხვავებული ფორმატი. სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებათა პროცესები მიმდინარეობს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საერთაშორისო ფორმატით.

²¹³ ამ საკითხში აზერბაიჯანის პოზიცია დღემდე უცვლელი რჩება: სომხეთმა უნდა მოახდინოს თავისი ურთიერთობების დიფერენციაცია მთიან ყარაბაღთან და დაიკავოს მკვეთრად ნეიტრალური პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ მას მართლაც სურს, რომ აზერბაიჯანმა განიხილოს ყარაბაღი, როგორც მხარე კონფლიქტში (ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მსგავსად).

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი – ეუთოს მინსკის ჯგუფის ფორმატი (OSCE Minsk Group). ამის პარალელურად, 2003 წლიდან მოყოლებული, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები დროდადრო მართავენ ორმხრივ შეხვედრებს ე.წ. „პრადის პროცესის“ ფარგლებში.

რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს, 2008 წლის აგვისტომდე მოლაპარაკებათა პროცესები მიმდინარეობდა შემდეგი საერთაშორისო ფორმატებით:

- ა) კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში – შერეული საკონტროლო კომისია (CKK/JCC), რომელიც 2008 წლის აგვისტომდე წარმოადგენდა კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთ მუდმივმოქმედ ფორმატს, ხოლო ეუთო (OSCE) გვევლინებოდა, როგორც პროცესის ფასილიტატორი;
- ბ) კონფლიქტი აფხაზეთში – 2008 წლის აგვისტომდე სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესის ძირითადი ფორმატი იყო გაეროს „ჟენევის პროცესი“. ქართული და აფხაზური მხარეების გარდა, მასში მონაწილეობდა რუსეთი (როგორც ხელშემწყობი მხარე), გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, ასევე „მეგობართა ჯგუფი“ (დამკვირვებლის სტატუსით) და ეუთო (დამკვირვებლის სტატუსით). ჟენევის პროცესის ფარგლებში, მართალია ფორმალურად, მაგრამ მაინც მოქმედებდა საკოორდინაციო საბჭოს ფორმატი თავისი სამუშაო ჯგუფებით. ჟენევის პროცესის პარალელურად, 2003 წლიდან ასევე მოქმედებდა ე.წ. „სოჭის პროცესი“ (სოჭის ჯგუფების ფორმატი).

2008 წლის ოქტომბერში, იყო მცდელობა საფუძველი ჩაეყრდა სამშვიდობო მოლაპარაკებათა ახალ ფორმატს (ე.წ. „ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატი“), რომელსაც უნდა ემსჯელა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივებზე. თუმცა, 15 ოქტომბერს ჟენევაში დაგეგმილი მოლაპარაკებების პირველი რაუდი ჩაიშალა მხარეთა შორის პოზიციებში არსებული პრინციპული უთანხმოების გამო, რამაც საბოლოო ჯამში შეუძლებელი გახადა „ჟენევის მოლაპარაკებათა“ ზუსტი ფორმატის განსაზღვრა²¹⁴.

²¹⁴ უთანხმოება უმთავრესად ეხებოდა იმ საკითხს, მიეცათ თუ არა უფლება სეპარატისტული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლებისთვის მონაწილეობა მიეღოთ ოფიციალურ პლენარულ სხდომაში. პლენარული სხდომა ითვალისწინებდა მოლაპარაკებებს საქართველოს, რუსეთსა და აშშ-ს შორის, ორგანიზატორების - გაეროს (UN), ევროკავშირისა (EU) და ეუთოს (OSCE) თანდასწრებით. ეს უნდა ყოფილიყო პლენარული სხდომა, რომელსაც შემდგომში უნდა მოჰყოლოდა არაფორმალური შეხვედრა სეპარატისტული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით (ე.წ. სამუშაო ჯგუფების შეხვედრა). რუსეთი ამ სქემის წინააღმდეგი

5. განსხვავება სამშვიდობო ძალების მანდატში. 2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედებდა შემდეგი სამშვიდობო ოპერაციები²¹⁵:

აფხაზეთში დისლოცირებული იყო დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების კონტინგენტი (დაკომპლექტებული იყო მხოლოდ რუსი სამხედროებით), რომელიც იქ იმყოფებოდა გაეროს ეგიდით და გააჩნდა დსთ-ის მანდატი (КСПМ – коллективные силы по поддержанию мира). აფხაზეთში ასევე ფუნქციონირებს გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისია (UNOMIG/МООНГ – миссия ООН по наблюдению в Грузии).

ცხინვალის რეგიონში განლაგებული იყო შერეული სამშვიდობო ძალების კონტინგენტი (შედგებოდა ქართული, რუსული და ოსური ბატალიონებისგან), რომელიც იქ იმყოფებოდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების (ე.წ. დაგომისის შეთანხმების) საფუძველზე (ССПМ – смешанные силы по поддержанию мира). შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული სარდლობა ექვემდებარებოდა შერეულ საკონტროლო კომისიას.

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შენაერთი გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შენაერთებისა, მათ შორის სეპარატისტულ რეგიონებში მყოფი ზემოხსენებული სამშვიდობო ძალები (КСПМ - აფხაზეთის შემთხვევაში და ССПМ - „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში), გამოცხადდა უკანონო და საოკუპაციო შეიარაღებულ ძალებად (*დანართი №17*)²¹⁶. 2008 წლის 1 ოქტომბრიდან ევროკავშირის 200-მდე დამკვირვებელი, რომელთა საქმიანობასაც კოორდინაციას უწევს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსდა (რუსული მხა-

წავიდა და მოითხოვა სეპარატისტების სრულფასოვანი ჩართვა პლენარული სესიის ფორმატში. სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. შამბამ უჩვენაში განაცხადა, რომ ქართულ მხარესთან პირდაპირი შეხვედრა არ გაიმართებოდა, რადგან მხარეები ვერ შეთანხმდნენ შემდგომი მოლაპარაკებების ფორმატზე.

²¹⁵ 2008 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რამაც ძირეულად შეცვალა საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო შენაერთების (ე.წ. სამშვიდობო ძალების ჩათვლით) სამართლებრივი სტატუსი. კერძოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ძალები, გამოცხადდნენ საოკუპაციო საჯარისო შენაერთებად.

²¹⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებას დაევალა, უზრუნველყო ყველა სხვა სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას ითვალისწინებდა და რომელიც თავად რუსეთის ფედერაციის ქმედებით იქნა დელეგირებული. 2008 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება №552, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ე.წ. სამშვიდობო ოპერაციების უსწრაფესი შეწყვეტისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივი გაყვანისათვის აუცილებელი პროცედურების დაწყებას.

რისა და სეპარატისტების უარის გამო, მათი უშუალოდ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ შეშვება ვერ მოხერხდა²¹⁷.

რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის გამო გაჩაღებულ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს, ამ შემთხვევაში, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების კომპონენტი საერთოდ არ ფიგურირებს და არც არასდროს ფიგურირებდა.

6. განსხვავება დემოგრაფიულ ფაქტორში. აფხაზები არასდროს წარმოადგენდნენ აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის უმრავლესობას²¹⁸, მაშინ როცა სსრკ-ის არსებობის პერიოდში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური მოსახლეობა ეთნიკური დომინანტი იყო²¹⁹, რომ აღარაფერი ვთქვათ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქზე, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა სომხური მოსახლეობის მონოეთნიკურ რეგიონს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში²²⁰. ფხაზური სეპარატიზმის მთავარი შედეგიც მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ აფხაზეთში განხორციელდა ქართული მოსახლეობის „ეთნიკური წმენდა“, რამაც კარდინალურად შეცვალა მოცემულ რეგიონში მანამდე არსებული დემოგრაფიული ვითარება (მოხდა აფხაზური „უმცირესობის“ გადაქცევა „უმრავლესობად“).

7. ისტორიული თვალსაზრისით, აფხაზები და ქართველები განეკუთვნებიან აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობას. იგივე შეიძლება ითქვას ყარაბაღელ სომხებსა და აზერბაიჯანელებზეც. რაც შეეხება „სამხრეთელ ოსებს“, მათი შიდა ქართლში ჩამოსახლება ძირითადად XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყო, ხოლო ეთნიკური ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაშია (ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია), რომელიც სამხრეთ კავკასიისგან ბუნებრივი საზღვრით – კავკასიონის ქედით არის გამოყოფილი.

8. კონფლიქტში მონაწილე საზოგადოებების ანტაგონიზმის არაერთგვაროვანი დონე. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში მონაწილე საზოგადოებებს შორის (სომ-

²¹⁷ ქართული მხარის მტკიცებით, სარკოზი-მეღვედევის 8 სექტემბრის შესვედრის დროს, განისაზღვრა საერთაშორისო დამკვირვებლების განლაგების არეალი - მთელი საქართველო, პირველ ეტაპზე კონფლიქტური რეგიონების მიმდებარე ტერიტორია, ხოლო შემდგომ, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთშიც. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი განთავსების „პირველ“ და „შემდგომ“ ეტაპებზე.

²¹⁸ 1979 წლის აღწერით, აფხაზები შეადგენდნენ აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის მხოლოდ 17.1%-ს, ხოლო ქართველები – 43.9%-ს.

²¹⁹ 1989 წლის აღწერით, ოსები შეადგენდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 66.2%-ს, ხოლო ქართველები – 29%-ს.

²²⁰ 1989 წლის აღწერით, სომხები შეადგენდნენ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 78.0%-ს, ხოლო აზერბაიჯანელები – 21.5%-ს.

ხური, აზერბაიჯანელი, ქართული, აფხაზური, ოსური საზოგადოებები) არსებობს ანტაგონიზმის განსხვავებული დონე და ხარისხი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. იგუანია, რომ, ეს ანტაგონიზმი თავის მაქსიმუმს აღწევს სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებაში, ხოლო მინიმუმს – ქართულ-ოსურ დაპირისპირებაში (მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებისა). რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას, ანტაგონიზმის დონის თვალსაზრისით, მას სადღაც შუალედური პოზიცია უკავია.

9. მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული კონფლიქტის გამო, ეკონომიკური აქტივობა აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ფაქტიურად ნულის ტოლია. ამისგან განსხვავებით, 2008 წლის აგვისტომდე ცხინვალის რეგიონი მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებდა ეკონომიკურ კავშირებს დანარჩენ საქართველოსთან. გარკვეული ეკონომიკური აქტივობა (მცდელობები) შეინიშნებოდა ასევე აფხაზეთის გალის რაიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის.

10. აფხაზეთის გალის რაიონში, მართალია სპონტანურად, მაგრამ მაინც მოხერხდა ქართველ დევნილთა დიდი ნაწილის დაბრუნება. ქართველი და ოსი დევნილების საგრძნობი ნაწილი დაბრუნდა ცხინვალის რეგიონშიც. რაც შეეხება მთიან ყარაბაღს, იქ დღემდე ვერ მოხერხდა ვერცერთი აზერბაიჯანელის დაბრუნება.

11. 2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთში იყო სულ მცირე ერთი რეგიონი მაინც, კერძოდ კოდორის ხეობა (ზემო აფხაზეთი), სადაც ოფიციალური თბილისი ინარჩუნებდა თავის იურისდიქციას. კოდორის ხეობა განიხილებოდა, როგორც საქართველოს ხელისუფლების ერთგვარი სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმი აფხაზეთში²²¹. იგივე შეიძლება ითქვას ცხინვალის რეგიონში მდებარე დიდი და მცირე ლიახვის ქართულ სოფლებზე, სადაც 2008 წლის აგვისტომდე ასევე ვრცელდებოდა საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია (ამ სოფლების ქართული მოსახლეობა მონაწილეობას იღებდა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამართულ არჩევნებში, მთელ რიგ სხვა დონისძიებებში და ა.შ.), რომ აღარაფერი ვთქვათ სოფ. ქურთაზე, სადაც განთავსებული იყო ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაცია დ. სანაკოვეის ხელმძღვანელობით. აბსოლუტურად სხვაგვარი სიტუაცია იყო მთიან ყარაბაღში, სადაც აზერბაიჯანის ხელისუფლებას არასდროს გააჩნდა მცირედი დასაყრდენიც კი. უფრო

²²¹ 2006 წლის აგვისტოში, კოდორის ცნობილი მოვლენების შემდეგ, კოდორის ხეობა, კერძოდ სოფ. ჩხალთა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ იქნა აფხაზეთის დროებით ადმინისტრაციულ ცენტრად, სადაც იმავე წლის 27 სექტემბერს ოფიციალურად განთავსდა დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა. გარდა ამისა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით, კოდორის ხეობაში ბინა დაიდო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა.

მეტიც, მთიანი ყარაბაღის გარდა, ოფიციალური ბაქოს იურისდიქცია არ ვრცელდება ყოფილი ავტონომიური ოლქის ირგვლივ მდებარე შვიდ აზერბაიჯანულ რაიონზე (ე.წ. უსაფრთხოების ზონა)²²².

12. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკა იმყოფება შედარებით წამგებიან მდგომარეობაში, აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკებისგან განსხვავებით. სუსტი კომუნიკაციები, ადმინისტრაციული საზღვრის დანაწევრებული მონაკვეთები, ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ნაწილის გაკონტროლების უუნარობა – ყოველივე ეს საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა და დღესაც უქმნის ე. კოკოთის დე-ფაქტო ხელმძღვანელობას. აფხაზეთისგან განსხვავებით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ადმინისტრაციული საზღვარი „სამხრეთ ოსეთსა“ და დანარჩენ საქართველოს შორის არ წარმოადგენდა ფრონტის ხაზს. ეს გარემოება ქართულ მხარეს აძლევდა შესაძლებლობას, განეხორციელებინა სხვადასხვა პოლიციური რეიდები და განეთავსებინა სპეციალური ბლოკ-პოსტები ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილზე²²³. მსგავსი რამ გამორიცხული ოყო მთიან ყარაბაღსა და აფხაზეთში (გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კოდორის ხეობა). ორივე მათგანს გააჩნდა და დღესაც გააჩნია მკვეთრად გავლებული საზღვრები ან, ყოველ შემთხვევაში, მყარი ბუფერული ზონები. აფხაზეთის შემთხვევაში, ასეთ ბუფერულ ზონად შეიძლება ჩაითვალოს გაღის რაიონი. მთიან ყარაბაღს, გარდა ცეცხლის შეწყვეტის ხაზისა ასევე გააჩნია ე.წ. „უსაფრთხოების ზონა“ (სომხური ძალების მიერ ოკუპირებული 7 აზერბაიჯანული რაიონი). რაც შეეხება „სამხრეთ ოსეთს“, მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ შექმნილი ახალი რეალობისა, წმინდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ეს რეგიონი დღესაც შედარებით წამგებიან მდგომარეობაში იმყოფება.

13. სამართლებრივი თვალსაზრისით, *სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის* ავტონომიები უკვე რამდენიმე წელია რაც აღარ არსებობს. ისინი ოფიციალურად იქნა გაუქმებული საქართველოსა (1990 წლის დეკემბერი) და აზერბაიჯანის (1991 წლის ნოემბერი) ცენტრალური ხელისუფლებების მიერ, ხოლო ამ ავტონომიების შემდგომი

²²² სომხური ძალების მიერ ოკუპირებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 20%.

²²³ ქართული მხარე ფაქტობრივად აკონტროლებდა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის დაახლოებით 60%-ს. სწორედ საქართველოსთვის ამ ხელსაყრელი ძალთა ბალანსის შეცვლის მიზნით, რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია ცხინვალის რეგიონსა და, შემდგომში, დანარჩენ საქართველოშიც. დღეის მდგომარეობით, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მთლიანად რუსეთის მიერ კონტროლდება, ხოლო ქ. ცხინვალსა და ჯავაში რუსეთის საოკუპაციო ჯარების სამხედრო ბაზებია დისლოცირებული.

აღდგენა აღარ მომხდარა. რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიას, მისი იურიდიული გაუქმება არც არასდროს დამდგარა ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში. ფხაზეთის ავტონომია დაფიქსირებულია საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაშიც.

14. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების სამ ეტაპიანი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ოფიციალურად გადაეცა „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლებას განსახილველად²²⁴. გარდა ამისა, აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ქ. თბილისში ვიზიტის დროს (2006 წლის 15 მაისი), ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს გადასცა თავისი „მოსაზრებები აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი, მშვიდობიანი, პოლიტიკური მოგვარების ერთობლივი „საგზაო რუკის“ ძირითადი პრინციპების განსაზღვრის თაობაზე“²²⁵. რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებულ სიტუაციას, აზერბაიჯანის ხელისუფლებას ოფიციალურ დონეზე არ შეუმუშავებია და, შესაბამისად, არც გადაუცია სომხური მხარისთვის, მით უფრო სეპარატისტული მთიანი ყარაბაღის ხელისუფლებისთვის რაიმე სახის სამშვიდობო გეგმა ან ინიციატივა (თუმცა, სიტყვიერ დონეზე, აზერბაიჯანული მხარე ადასტურებს მთიანი ყარაბაღის ფართო ავტონომიის უფლებას). ყველა გეგმა და პროექტი, რაც აქამდე დამდგარა დღის წესრიგში მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, იყო წარმოდგენილი საერთაშორისო შუამავლების მიერ და არა ოფიციალური ბაქოს ან ერევნის მიერ.

15. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, რუსეთის პოზიცია წლების მანძილზე უცვლელი იყო და ასეთად რჩება დღესაც, კერძოდ ოფიციალური მოსკოვი აღიარებს აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას და მომხრეა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების. მოსკოვის პოზიცია ოფიციალურ დონეზე ამ საკითხში პრინციპულად უცვლელი რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი პასუხისმგებლობა ყარაბაღის პრობლემის დარეგულირების საბოლოო ფორმულის შემუშავებაზე, თავად აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებს ეკისრებათ. რუსეთი მხარს დაუჭერს პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც მისაღები იქნება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარისთვის. კომპრომისული შეთანხმების მიღ-

²²⁴ აღნიშნული გეგმა მოწონებულ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ეუთოს 2005 წლის 5-6 დეკემბრის ლუბლიანას მინისტერიალზე.

²²⁵ სსენებული ვიზიტის ფარგლებში, სერგეი შამბამ, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას გადმოსცა აფხაზური მხარის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა («მოძაღვის გასაღები»).

წვეის შემთხვევაში კი რუსეთი მზად არის გამოვიდეს შუამავლისა და შეთანხმების შესრულების გარანტის როლში. რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის / სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, ადგილი ჰქონდა ოფიციალური მოსკოვის პოზიციის ეტაპობრივ ტრანსფორმაციას. კერძოდ, 2006 წლიდან მოყოლებული დღემდე, რუსეთის ოფიციალური პირები, სხვადასხვა დონეზე, აფიქსირებდნენ საკმაოდ ორაზროვან პოზიციებს ისეთ საბაზო დებულებასთან დაკავშირებით, როგორცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა²²⁶. ამ პერიოდშიდან, რუსეთი უკვე უარს აცხადებდა გაეროს რეზოლუციაში იმ მიდგომების ცალსახად დაფიქსირებაზე (საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა და ა.შ.), რაც უშიშროების საბჭოს წინა რეზოლუციებში ყოველთვის უპრობლემოდ და უპირობოდ ფიქსირდებოდა²²⁷. ე.წ. „კოსოვოს პრეცედენტის“ შემდეგ, ოფიციალური მოსკოვის ტონი დღითიდღე მკაცრდებოდა, ხოლო რუსეთის შემდგომი ნაბიჯები კი სულ უფრო აგრესიული და არაპროგნოზირებადი ხდებოდა. ამ ტენდენციის კულმინაციას წარმოადგენდა 2008 წლის 27 აგვისტო, როდესაც რუსეთმა ოფიციალურად სცნო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა. საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულების ესოდენ კარდინალური ცვლილების უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ საქართველოს ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ კურსში, რომელიც გაცილებით უფრო პრინციპული და პროდასავლური გახდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ (სტრატეგიული პარტნიორობის გადრმავება ვაშინგტონთან, ინტენსიური ინტეგრაცია ნატო-ში, აქტივობის შემცირება დსთ-ის ფარგლებში და ა.შ.). რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, მათი საგარეო პოლიტიკური აქტიურობის დონე ფაქტიურად უცვლელი დარჩა.

16. საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ლიდერებს გაცილებით უფრო მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტები აქვთ ოფიციალურ მოსკოვთან, ვიდრე მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლებას (ს. ბაგაფში და ე. კოკოითი არაერთხელ

²²⁶ 2006 წლის 30 იანვარს მთავრობის წევრებთან გამართულ თათბირზე რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ლავროვს მისცა დავალება იმასთან დაკავშირებით, რომ კოსოვოს პოლიტიკურ საკითხზე ევროპელ პარტნიორებთან კონსულტაციების დროს, რუსეთის მხარეს მოეთხოვა ამ პროვინციის მომავალი სტატუსის გადაწყვეტისას „უნივერსალური“ მოდელის გამოყენება, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეზე არსებულ „გაყინულ“ კონფლიქტებზეც გავრცელდებოდა.

²²⁷ რუსეთის ეს დესტრუქციული მიდგომა ნათლად გამოჩნდა, თუნდაც, გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის 31 მარტის №1666 რეზოლუციის მიღებისას, ასევე პრეზიდენტ პუტინისა და საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის საჯარო გამოსვლებში, რომლის დროსაც ისინი ცდილობდნენ კოსოვოს მომავალი პრეცედენტის უნივერსალურობის მტკიცებას და მის იდენტიფიცირებას საქართველოს შიდა კონფლიქტებთან.

ყოფილან მიწვეულნი ქ. მოსკოვში, სადაც მათ მოუწვევეს შეხვედრები რუსეთის ფედერაციის უმაღლეს თანამდებობის პირებთან, მათ შორის თავად რუსეთის პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან). ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ, ბოლო პერიოდის რუსულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესების ფონზე, ოფიციალური მოსკოვი ერიდება მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან რაიმე სახის კონტაქტის დამყარებას.

17. არაერთგვაროვანია მეზობელი ქვეყნების მონაწილეობის ხარისხი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში, ისევე როგორც ამ კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებულ სამშვიდობო პროცესებში. ამ კონტექსტში, აშკარად თვალში საცემია თურქეთის რესპუბლიკის გაზრდილი ინტერესი მთიანი ყარაბაღის პრობლემატიკის მიმართ. უფრო მეტიც, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება წარმოადგენს სომხურ-თურქული ურთიერთობების გამოსწორების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ის ჩართულია სამხრეთ კავკასიის აბსოლუტურად ყველა კონფლიქტში, განსაკუთრებით კი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებში.

18. აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე“ რუსეთის მზარდი გავლენა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოს ეს ორი სეპარატისტული რეგიონი უშუალოდ ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას (გეოგრაფიული სიახლოვის ფაქტორი). რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის რეგიონს, მას არ გააჩნია რუსეთთან საერთო საზღვარი.

19. მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლება, საქართველო-სომხეთის ურთიერთობების დელიკატურობიდან გამომდინარე, თავს იკავებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ რეჟიმებთან მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებისგან, მაშინ როცა ის ამას სრულიად არ ერიდება სეპარატისტულ დნესტრისპირეთთან მიმართებაში. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს შორის არსებულ ურთიერთობებს, ის სულ უფრო მჭიდრო ხასიათს იძენს. ოორდინაციის დონე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებს შორის საკმაოდ გაიზარდა (პოლიტიკური ურთიერთქმედების გარდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებულ რესპუბლიკებს შორის არსებობს შეთანხმება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ).

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების საერთო მახასიათებლები:

1. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, ისევე როგორც საქართველოს შიდა კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის დამრთავი მექანიზმების შედეგს. თითოეული მათგანის პროვოცირებასა და შემდგომ ესკალაციაში (განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს შიდა კონფლიქტებს) „ლომის წილი“ ეკუთვნის ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკას.

2. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის უმთავრესი საერთო მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მათგანი უკავშირდება ერთი მხრივ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპებს, ხოლო მეორეს მხრივ – ერთა თვითგამორკვევის პრინციპის არასწორ ინტერპრეტაციას. სამივე კონფლიქტს გააჩნია სეპარატიზმის ნიშნები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი რეგიონის სტაბილურობას.

3. ყარაბაღელი სომხების, აფხაზებისა და ოსების სეპარატიზმი ეფუძნება იმ ძირითად თეზისს, რომ, თითქოს და ისტორიულ წარსულში მთიანი ყარაბაღი არასდროს ეკუთვნოდა აზერბაიჯანს, ისევე როგორც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – საქართველოს. სეპარატისტები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში (განსაკუთრებით ეს ეხება საბჭოთა პერიოდს), მთიანი ყარაბაღი შედიოდა აზერბაიჯანის, ხოლო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი – საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა, მათივე მტკიცებით, ყოველივე ეს ატარებდა ძალადობრივ და არა ნებაყოფლობით ხასიათს.

4. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს. ისინი არ არიან აღიარებულნი საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად არცერთი სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. მიუხედავად ამისა, სამივე „რესპუბლიკაში“ ადგილობრივი დე-ფაქტო ხელისუფლებები დროდადრო ატარებენ სხვადასხვა სახის არჩევნებს და მართავენ რეფერენდუმებს.

5. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები განეკუთვნებიან შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვს. მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა რეგიონებმა იარაღის ძალის გამოყენებით შეძლეს თავიანთი დე-ფაქტო მდგომარეობის მოპოვება. დე-ფაქტო მდგომარეობა კი გამოიხატება იმაში, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებობს სამი არაღიარებული რესპუბლიკა.

6. კიდევ ერთი ფაქტორი, რაც აერთიანებს სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტს არის ის, რომ, სამწუხაროდ, ვერც ერთი მათგანის გადაწყვეტა ჯერ ვერ მოხერხდა. ფაქტია, რომ ამ „გაყინული“ კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები სასურველ შედეგებს ვერ იძლევა, ხოლო სამშვიდობო პროცესი კი ფაქტიურად ჩიხშია შესული (სამივე კონფლიქტის შემთხვევაში). სამივე კონფლიქტი (მათი მოუგვარებლობა) წარმოადგენს დესტაბილიზაციის სერიოზულ საფრთხეს შავი ზღვა-კასპისპირეთის მთელი რეგიონისთვის და, აქედან გამომდინარე, სამივე პოტენციურად საშიშია.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, როდესაც საუბარი ეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების პერსპექტივებს. მსგავსი სირთულე, უპირველეს ყოვლისა, თავად სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობითა და რეგიონის დიდი ეთნოლინგვისტური სიჭრელით არის განპირობებული. არსებობს სამხრეთ კავკასიის რეგიონული სტაბილურობის ხელისშემშლელი რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ ექვსი ძირითადი:

1) უკვე არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების სირთულე. აფხაზეთისა და ცხონვალის რეგიონის კონფლიქტების, ისევე როგორც სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გადაწყვეტა რამდენადაც სასურველი და აუცილებელია, იმდენადვე რთული და დროისმომცველიც. საქართველოს შემთხვევაში, საქმე ძირითადად ეხება რუსეთის ფედერაციასთან, ასევე სეპარატისტ ლიდერებთან მოლაპარაკებას. რაც შეეხება დაპირისპირების აღმოფხვრას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ნაკლებადსავარაუდოა რომ მთიანი ყარაბაღის საკითხზე კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიაც კი, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ისეთი მეგობრული ურთიერთობები განვითარდეს, რომ მათ შეძლონ შეუქცევადი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია.

2) პოტენციური კონფლიქტების წარმოშობის საფრთხე. არანაკლებ პრობლემატურია ჯავახეთის სომხებისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანლების საკითხი, ასევე პოტენციური დაპირისპირების საფრთხე ნახიჭევანის აზერბაიჯანული ანკლავის გამო. შეაყურადღებოა, რომ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.5%) და სომხები (5.7%), რომლებიც, თავის მხრივ, კომპაქტურად არიან დასახლებულნი აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან მომიჯნავე ორ საზღვრისპირა რეგიონში, კერძოდ ქვემო ქარ-

თლსა და სამცხე-ჯავახეთში (ამ რეგიონზე გადის საქართველოს საერთო სახმელეთო საზღვარი აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან). აღნიშნული გარემოება უკვე საკმარისი ფაქტორია იმისათვის, რომ მომავალში, თუნდაც თეორიულად, საქართველოს ეს ორი რეგიონი მთიანი ყარაბაღის მსგავსად იქცეს ირედენტისტული კონფლიქტების მწვავე კერებად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, გააჩნია რა საერთო სახმელეთო საზღვარი აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და რუსეთთან, ამავდროულად საქართველოს არ გააჩნია გრძელვადიანი ხელშეკრულებები უსაფრთხოების სფეროში არც ერთ მათგანთან. უფრო მეტიც, არც ერთ ჩამოთვლილ ქვეყანასთან (თურქეთის რესპუბლიკის გარდა), საქართველოს არ გააჩნია საბოლოოდ შეთანხმებული საზღვარი (საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი ხსენებულ ქვეყნებთან ჯერ არ დასრულებულა), არსებობს საზღვრის პრობლემატური მონაკვეთები, რომლებიც წარმოადგენს ე.წ. სადაო ტერიტორიებს და რაზეც მხარეები დღემდე ვერ შეთანხმებულან.

3) *სამხრეთ კავკასიური იდენტურობის არარსებობა.* სამხრეთ კავკასიის ერთიან რეგიონად ჩამოყალიბება ისეთი სახით, როგორც ეს მოხდა ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში (მაგ. ბალტიისპირეთში) თითქმის შეუძლებელია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან აზერბაიჯანელი და ქართველი გაცილებით უფრო მეტად განსხვავდება ერთმანეთისგან, ვიდრე ლატვიელი და ლიტველი, ან თუნდაც ალბანელი და მაკედონელი. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სამხრეთ კავკასიის საკმაოდ მცირე რეგიონში სამი განსხვავებული (არამონათესავე) ენისა და რელიგიის არსებობა, რაც უკვე თავისთავად მოწმობს მოცემული რეგიონის ფიქტიურ ხასიათზე. შესაბამისად, იდენტურობის განსხვავებულობებიდან გამომდინარე, რეგიონის ინტეგრაციის მაღალი დონის მიღწევა ძალზედ რთული იქნება. ყველაფერთან ერთად, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს გააჩნიათ პოლიტიკური კულტურის საკმაოდ განსხვავებული დონე, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიის არაერთგვაროვანი ხარისხი.

4) *განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები.* სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის რეგიონული უსაფრთხოების ერთიანი და მყარი სისტემის ჩამოყალიბებას²²⁸. თუნდაც ის ფაქტი, რომ სომხეთი დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ODKB) წევრია, ნათლად მეტყველებს მსგავსი იდეის არარეალურობაზე.

²²⁸ სომხეთის ძირითად სტრატეგიულ პარტნიორად კვლავ რჩება რუსეთი, საქართველო მთელ იმედებს აწმ-ზე აყარებს, ხოლო აზერბაიჯანის ყველაზე ახლო მოკავშირე თურქეთის რესპუბლიკაა.

5) *სხვა რეგიონული და არარეგიონული აქტორების განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესები.* რეგიონული უსაფრთხოების პოტენციური სისტემის შექმნის არც ერთი ინიციატივის დროს არ ყოფილა საუბარი მხოლოდ სამი სამრეთ კავკასიური სახელმწიფოს ასოციაციაზე. სომხეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ირანისა და, განსაკუთრებით, რუსეთის დიდ გავლენას რეგიონში, მაშინ როცა აზერბაიჯანი უპირატესობას ანიჭებდა თურქეთის გრძელვადიან ინტერესებს. საგარეო აქტორების ჩარევის აუცილებლობამ და რეგიონის უსაფრთხოების თვითუზრუნველყოფის შეუძლებლობამ ერთხანობა საკმაოდ პოპულარული გახადა ე.წ. „3+3+2“ სისტემის შექმნის იდეა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი + რუსეთი, ირანი, თურქეთი + აშშ, ევროკავშირი). თუმცა, როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რეგიონული და არარეგიონული ძალების მუდმივი ურთიერთდაპირისპირების პირობებში, რეგიონული უსაფრთხოების მყარი სისტემის ფორმირების რაიმე წარმატებულ მცდელობაზე საუბარი ძალზედ საეჭვოა.

6) *სამხრეთ კავკასიის სიახლოვე ახლო აღმოსავლეთის ფეთქებად რეგიონთან.* სამხრეთ კავკასიის რეგიონი ესაზღვრება ირანს, რემელსაც სადღეისოდ ნამდვილად არ გააჩნია მაღალი პრესტიჟი მსოფლიო არენაზე. ასევე ახლოს არის რეგიონი ახლო აღმოსავლეთის ისეთ „ცხელ წერტილებთან“, როგორებიცაა ერაყი და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი. დღეს მსოფლიო იმდენად გლობალიზებულია, რომ არა მარტო სამხრეთ კავკასიის უშუალო სამეზობლოში (ახლო აღმოსავლეთი კი სწორედ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს), არამედ შორეულ წერტილებში მიმდინარე მოვლენებმაც შესაძლოა სერიოზული პრობლემები გამოიწვიონ.

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სტაბილურობის პერსპექტივები დამოკიდებულია, როგორც რეგიონის სამივე სახელმწიფოს კეთილ ნებაზე, ისე საერთაშორისო ფაქტორებზეც. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოება უშუალო კავშირშია პრობლემების საკმაოდ ფართო კომპლექსთან, რამდენიმე სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მრავალმხრივ საფუძველზე. მხოლოდ კოლექტიურ გადაწყვეტილებებს ძალუძთ პრაქტიკული შედეგების გამოღება. ხოლო ის ქვეყნები, რომელთა გამოთიშვაც მოხდება ამ პროცესიდან, აუცილებლად შეეცდებიან პრობლემების შექმნას მომავალში.

დასკვნები

- თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების უნივერსალური კონცეფცია. ამისთვის საჭიროა ადამიანურ ქცევათა და სოციალურ ურთიერთქმედებათა ღრმა ანალიზი, რომელიც მიმართული იქნება პრობლემის წყაროების აღმოფხვრისკენ. მხოლოდ ასეთი მიდგომის შემთხვევაში არის შესაძლებელი გაჩნდეს კონფლიქტის დარეგულირებისა და „პოზიტიური მშვიდობის“ დამყარების რეალური შანსი (და არა გარანტია). სამწუხაროდ, დღემდე არ არის მოძებნილი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების საბოლოო გადაწყვეტის ფორმულა. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ როგორც თავად კონფლიქტში მონაწილე საზოგადოებებში, ისე გარეშე ფაქტორებში. გარეშე ფაქტორებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თავად სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ განზომილებას. ხშირ შემთხვევაში მეტოქეობა სხვადასხვა მასშტაბის ზესახელმწიფოებს შორის, რომლებიც ცდილობენ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი გავლენის სფეროს მაქსიმალურ გაფართოებას (მით უფრო თუ კონფლიქტში მონაწილე მხარეები „ფსონს“ ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ ზესახელმწიფოებზე დებენ), კიდევ უფრო ართულებს აღნიშნული კონფლიქტების გადაწყვეტის პერსპექტივას.
- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ყველაზე ფატალური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მათი დარეგულირება შეუძლებელია საყოველთაო მშვიდობისა და თანხმობის რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულებით. მსგავს გადაწყვეტილებებს, უკვე არსებული სუვერენული სახელმწიფოები და საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები იღებენ. ხოლო „მეამბოხე“ ეთნოსის დარწმუნება იმაში, რომ მისი მიზანი უნდა იყოს არა ცალკე სახელმწიფოს შექმნა, არამედ ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში სამოქალაქო თანასწორობისა და ფართო ავტონომიის მიღწევა, პრაქტიკულად შეუძლებელია.
- მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლის სამხრეთ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას არის რეგიონული არასტაბილურობა, რომლის ძირითადი მიზეზიც სწორედ მოუგვარებელ კონფლიქტებში უნდა ვეძიოთ. საქმე ეხება ე.წ. „გაყინულ“ კონფლიქტებს ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში. სამხრეთ კავკასიის „გაყინული“ კონფლიქტები ფაქტიურად წარმოადგენენ გაურკვეველი სტატუსის მქონე უკონტროლო ტერიტორიებს, ე.წ. „შავ ხერელებს“, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან შავი ზღვა-კასპისპირეთის მთელი რეგიონის სტაბილურობას. მთავარი საფრთხეები და გამოწვევები, რომელიც ამ რეგიონს ემუქრება ხსენებული კონფლიქტების მოუგვარებლობით, უკავშირდება სეპარატიზმის, ტერორი-

ზმის, ექსტრემიზმის, კონტრაბანდის, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ვაჭრობის, ასევე ორგანიზებული დანაშაულის გავრცელებას.

- სამხრეთ კავკასიის „გაყინული“ კონფლიქტების მოგვარების საკითხი უმნიშვნელოვანეს დატვირთვას იძენს იმ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში, რომელთაც ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებული გეოსტრატეგიული ინტერესი ამოძრავებთ. თუ აშშ-ის ადმინისტრაცია არსებულ კონფლიქტთა მოწესრიგებითაა დაინტერესებული, რუსეთის მხარის პოლიტიკას შესაძლოა კონტროლირებადი არასტაბილურობის შენარჩუნების სურვილი ვუწოდოთ (კრემლის სურვილია, შეინარჩუნოს კონფლიქტურ ზონებში არსებული „სტატუს-კვო“, რათა თავად შეასრულოს მთავარი არბიტრის როლი რეგიონის სამივე კონფლიქტში). რუსეთის ფედერაციის რეგიონული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ერთმანეთისგან გათიშვა, მათი ორმხრივი ურთიერთობების სამხრეთ კალაპოტში გადაყვანა (მოსკოვის გაფლით). მოსკოვმა იმთავითვე მოახერხა აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ურთიერთობების გაფუჭება და სომხეთზე სრული კონტროლის დაწესება. აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა კი რუსეთს სერიოზულად აშფოთებს. გაურკვევლობის წარმოშობა ბაქოსა და თბილისს შორის ურთიერთობებში ერთგვარ სიმძაფრეს შესძენდა ორ ქვეყანას შორის არსებულ პრობლემებს, რის გამოყენებასაც მოსკოვი ბუნებრივია არ დააყოვნებს. ამდენად, ისეთ საკითხებში, სადაც რუსეთს შეუძლია თუნდაც ირიბი ზემოქმედების მოხდენა ბაქო-თბილისის ურთიერთობებზე, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია.

- სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონული და არარეგიონული ძალების (აქტორების) ერთობლივი ძალისხმევის შედეგად. გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, დასავლეთი (აშშ და ევროპის ქვეყნები) დაინტერესებულია სტაბილურობის არსებობით ევროპის პერიფერიაში, ისევე როგორც ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. საქართველო კი წარმოადგენს კავკასიის სტაბილურობის არსებით ფაქტორს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის როლი და გავლენა, რომელიც სულ უფრო იზრდება მთელს მსოფლიოში. თუმცა, იმისათვის, რათა საქართველომ მასტაბილიზირებული გავლენა იქონიოს მთელს კავკასიაზე, მან ჯერ უნდა შეძლოს საკუთარი უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტა.

- ოფიციალური ვაშინგტონი ახერხებს ერთმანეთს შეუთავსოს ენერგეტიკულ პრობლემებთან და გეოპოლიტიკურ მოსაზრებებთან დაკავშირებული ღონისძიებები იმისათვის, რათა მიაღწიოს ყოვლისმომცველ რეგიონულ სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში. ევროკავშირი ავლენს გაცილებით ნაკლებ აქტიურობას, უთმობს რა პირველობას კერძო კომპანიებს ნავთობისა და გაზის პროექტების სფეროში. რაც შეეხება კონფლიქტების დარეგულირებას, ამ მიმართულებით ვერც ევროპელებმა და ვერც ამერიკელებმა, ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს რაიმე ხელშესახებ წარმატებებს (მიუხედავად მათი არაერთი ძალისხმევისა გაეროსა და ეუთოს ფარგლებში). აშშ-ს არ აქვს ერთგანზომილებიანი მიდგომა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მიმართ. თუმცა, აშშ-ს აქვს სამი სტრატეგიული ინტერესი, რაც საერთოა სამხრეთ კავკასიის მთელი რეგიონისთვის. ეს ინტერესებია: 1) ენერგეტიკა – ვაშინგტონს არ ერიდება იმის განცხადება, რომ ენერგეტიკა მისი ძირითადი სტრატეგიული ინტერესია; 2) უსაფრთხოება – ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა; 3) შიდა რეფორმების განხორციელება – რეფორმები დემოკრატიისა და ეკონომიკის სფეროებში²²⁹.

- ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ხელს უშლის რეგიონულ სტაბილურობას და უსაფრთხოებას, წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორები. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის „წყაღამყოფის“ გაღრმავების ტენდენციამ მიზანმიმართული სახე მიიღო იმ დროიდან, როდესაც რეგიონის ორი სახელმწიფო – საქართველო და აზერბაიჯანი – გამოვიდა დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან (ДКБ)²³⁰. სომხეთი დარჩა „ДКБ“-ში, რამაც 2003 წელს განიცადა შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია და გარდაიქმნა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციად (ОДКБ)²³¹. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება თავის დროზე ჩამოყალიბდა, როგორც ნატო-ს საპირწონე სტრუქტურა და მიზნად ისახავდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების ტენდენციის

²²⁹ მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი პროგრესი არ აქვს დემოკრატიის დამკვიდრების თვალსაზრისით, აშშ თავისი ენერგეტიკული და სამხედრო ინტერესების უგულვებელყოფას არ აპირებს და ხსენებულ სამ პრიორიტეტს შორის ბალანსის შენარჩუნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

²³⁰ აზერბაიჯანი და საქართველო „ДКБ“-ს წევრები იყვნენ 1993 წლიდან.

²³¹ „ОДКБ“-ს წევრები არიან: რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი (ასევე არ არის გამორიცხული, რომ ამ ორგანიზაციის უახლოეს მომავალში მიუერთდეს უზბეკეთიც).

შეჩერებას. სომხეთის რესპუბლიკა სამხრეთ კავკასიის ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის საგარეო (მათ შორის რეგიონული) პოლიტიკა დღემდე ემსახურება ამ მიზანს.

- ოფიციალური ვაშინგტონი არ ახორციელებს პოლიტიკურ ზეწოლას სომხეთის რესპუბლიკაზე ამ ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის მიზნით, რადგან ეს სომხეთის სუვერენული უფლებაა (აშშ-ს არც საქართველოსთვის მოუთხოვია რუსეთის ბაზების დახურვა. ვაშინგტონი უბრალოდ მიესალმა იმას, რომ საქართველომ და რუსეთის ფედერაციამ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით. ეს თავად საქართველოს ამბიცია იყო, რაზეც რუსეთი იძულებული იყო დათანხმებოდა). ვაშინგტონი ბევრს მუშაობს თურქეთისა და სომხეთის დაახლოების კუთხითაც. სომხეთისა და თურქეთის ინტერესებშიც შედის ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზება. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში შესაძლებელი გახდება ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის „ჩარჩო“ ხელშეკრულების გაფორმება, ამას მოჰყვება ურთიერთობების გაუმჯობესება ოფიციალურ ერევანსა და ანკარას შორის.

- სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში დღემდე ვერ მოხერხდა შეუქცევადი დემოკრატიისა და კონონის უზენაესობის დამყარება, რაც მოცემულ რეგიონს კიდევ უფრო დაუცველს და არასტაბილურს ხდის²³². ამ არასტაბილურობის მართვა ჯერჯერობით ხერხდება მთელი რიგი შიდა და გარეშე ფაქტორების მეშვეობით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ძლიერამოსილ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების არეალს. ეოსტრატეგიული რეალიების არახელსაყრელი მიმართულებით შეცვლის შემთხვევაში კი სამხრეთ კავკასია შესაძლოა გადაიქცეს ამ საპირისპირო ინტერესების მასშტაბური შეჯახების ეპიცენტრად, რაც სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს თუნდაც დღეს არსებულ ე.წ. „მართვადი არასტაბილურობის“ სიტუაციას და გამოიწვევს მის ტრანსფორმირებას „უმართავი არასტაბილურობის“ მდგომარეობაში. გრძელვადიანი სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს წარმოადგენს ლეგიტიმურობა. ლეგიტიმურობა თავის მხრივ საჭიროებს დემოკრატიის მაღალ ხარისხს და ეკონომიკის წინსვლას, რომლის მიღწევაც მხოლოდ ძირეული რეფორმებით არის

²³² მიუხედავად იმისა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს მიეცა დემოკრატიული განვითარების უნიკალური შანსი, სერიოზული პრობლემები ამ მხრივ მაინც არსებობს (სასამართლო სისტემის თავისუფლების ხარისხი, მედიის კონტროლის მცდელობა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვ.). სომხეთსა და აზერბაიჯანში, დემოკრატიის ხარისხი გაცილებით უარესია და ბევრად ჩამოუვარდება საქართველოში არსებულ ვითარებას.

შესაძლებელი. მყარი და გრძელვადიანი უსაფრთხოება შეუძლებელია დემოკრატიის მაღალი ხარისხის გარეშე.

- სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში შეუქცევად დემოკრატიულ პროცესებსა და ცვლილებებს გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობა რეგიონის სამივე სახელმწიფოსთვის. პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, კანონის უზენაესობას, თავისუფალი სასამართლო სისტემისა და ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას (განსაკუთრებით სომხეთსა და აზერბაიჯანში), ისევე როგორც ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების კუთხით), გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და გარეშე ზეწოლაზე ადეკვატური რეაგირების უნარის გამომუშავების თვალსაზრისით²³³. დემოკრატიზაციის პროცესი ერთის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონული სტაბილურობის გამყარებას და დააჩქარებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, ხოლო მეორეს მხრივ პოზიტიურად იმოქმედებს, როგორც რეგიონის „გაყინული“ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების დინამიკაზე, ისე შესაძლოა სომხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილებაზე.

სომხურ-აზერბაიჯანულ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით:

- ოფიციალური ბაქო მთიან ყარაბაღთან დაკავშირებულ კონფლიქტს განიხილავს, როგორც ორმხრივ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის. ბაქოს პოზიცია ეფუძნება სომხური ირედენტისმიისა და ტერიტორიული ექსპანსიის არსებობის მტკიცებას. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანი არ ახდენს დიფერენციაციას სომხეთის რესპუბლიკასა და მთიანი ყარაბაღის სომხებს შორის, რის გამოც უარს აცხადებს პირდაპირ დიალოგზე სტეპანაკერტის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან. ოფიციალური ერევანი თავის მხრივ ირწმუნება, რომ კონფლიქტი ატარებს სამხრეთ ხასიათს, რომლის მთავარი მონაწილეებიც არიან აზერბაიჯანი და მთიანი ყარაბაღი, ხოლო სომხეთი კი ასრულებს მეორეხარისხოვან როლს (როგორც დაინტერესებული მხარე და ყარაბაღელი სომხების უსაფრთხოების გარანტი). ფიციალურ დონეზე, ერევანი უარყოფს სომხური ირედენტისმიის არსებობას და აცხადებს, რომ ადგილი აქვს მთიანი ყარაბაღის ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისთვის. მთიანი

²³³ დემოკრატიის მდგომარეობა სომხეთსა და აზერბაიჯანში კატასტროფული არაა, თუმცა უამრავი რამ გასაკეთებელია.

ყარაბაღის სომხები მხარს უჭერენ ამ მოსაზრებას და დაეინებით მოითხოვენ მათ სრულფასოვან ჩართვას მოლაპარაკებათა პროცესში.

- მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკა ფორმალურ დონეზე ახდენს თავისი დამოუკიდებლობის დეკლარირებას, რეალურად იგი მთლიანად არის დამოკიდებული ოფიციალურ ერევანზე როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ ფაქტორის გამოა, რომ უკვე რამდენიმე წელია რაც მთიანი ყარაბაღი აღარ მონაწილეობს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, როგორც ცალკე მხარე. მანამ სანამ შენარჩუნებული იქნება სტეპანაკერტის ესოდენ დიდი დამოკიდებულება ოფიციალურ ერევანზე, მთიანი ყარაბაღის სომხური საზოგადოების განხილვა, როგორც კონფლიქტის ცალკე მხარის, მიზანშეწონილი არ იქნება.

- დე-იურე მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა, დე-ფაქტო – არაღიარებული რესპუბლიკა, სადაც არსებული ხელისუფლების ყველა შტო ოფიციალური ერევნის გავლენის ქვეშაა. მთიანი ყარაბაღის სუვერენიტეტის რეალური ხარისხი არ აღემატება ავტონომიის სტატუსს, ვინაიდან მისი მოსახლეობა სომხეთის მოქალაქეა, მიმოქცევაშია სომხური ეროვნული ვალუტა (დრამი), ხოლო მისი ეკონომიკა კი მთლიანად ინტეგრირებულია სომხეთის რესპუბლიკის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში. სომხეთის რესპუბლიკას არასდროს უღიარებია მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა და არც მისი ანექსიის ფორმალიზება მოუხდენია. სომხეთი ცდილობს, ყარაბაღის რესპუბლიკა ჯერ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად იქცეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მისი სომხეთთან შეერთება. მთიანი ყარაბაღის სომხეთის მიერ ანექსიის სხვა სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება შეუძლებელია. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ამის საშუალებას არ იძლევა.

- უკვე 15 წელიწადზე მეტია, რაც სომხური ძალების მიერ ოკუპირებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის 20%, ერთი მილიონი აზერბაიჯანელი კი დევნილია. ბუნებრივია, აზერბაიჯანი ამ მდგომარეობას დიდხანს ვერ შეეგუება და, იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო პროცესმა შედეგი ვერ გამოიღო, თავისი ტერიტორიების დასაბრუნებლად ოფიციალურმა ბაქომ შესაძლოა სამხედრო ოპერაცია განახორციელოს, რაც დამლუპველი იქნება მთელი რეგიონისთვის. მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ მთიანი ყარაბაღის გამო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში, სომხური სამხედრო შენაერთების ერთ-ერთ მთავარ

სამიზნედ შესაძლოა იქცეს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ მილსადენები. სამხრეთ კავკასია ჩაეფლობა მორიგ რეგიონულ ომში, ხოლო რუსეთი კი, სავარაუდოდ, აღმოუჩენს სამხედრო დახმარებას სომხეთის რესპუბლიკას. ყველაზე დამანგრეველად ეს ომი იმოქმედებს აზერბაიჯანსა და სომხეთზე, თუმცა მათთან ერთად სერიოზულად დაზარალებულნი საქართველოც მასზე გამავალ მილსადენებთან ერთად.

- მიუხედავად იმისა, რომ აშშ დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში თავისი სამხედრო-პოლიტიკური ყოფნის უზრუნველყოფით, მათ შორის აქტიური მონაწილეობით სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, ვაშინგტონის (ან ნატოს ბლოკის) სამხედრო ჩარევა მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაში პრაქტიკულად გამორიცხებულია. გასული საუკუნის მიწურულს აშშ-ის და ნატო-ს ბლოკის მიერ განხორციელებული სამხედრო და სამშვიდობო ოპერაციები (სერბეთში, კოსოვოში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში) გამომდინარეობდნენ ერთ-ერთი მხარის „დამნაშავეობის პრეზუმციიდან“ კონფლიქტის გაღვივების თვალსაზრისით. ასეთ დამნაშავე მხარედ მაშინ მიჩნეულ იქნა სერბული საზოგადოება კოსოვოში, ასევე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. აღნიშნულის საფუძველზე ნატო-ს ბლოკმა განახორციელა სამხედრო ჩარევა, რის შედეგადაც მოხერხდა ბალკანეთში გარკვეული პოლიტიკური სტაბილურობის დამყარება. რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის საკითხს, აქ სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია. ამ შემთხვევაში, ვერც აშშ და ვერც რომელიმე სხვა პოტენციური მშვიდობისმყოფელი ქვეყანა (ან ორგანიზაცია) ვერ შეძლებს ასე ცალსახად „დამნაშავის“ გამოვლენას, ისევე როგორც მის წიანაადმდეგ შეიარაღებული სანქციების განხორციელებას.

- აპელაცია ისტორიულ წარსულზე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კონტრპროდუქტიულ ფაქტორს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების კონტექსტში (განსაკუთრებით ეს ეხება მთიანი ყარაბაღის ისტორიული კუთვნილების საკითხს). თანამედროვე მსოფლიოში ამა თუ იმ ტერიტორიის კუთვნილების სამართლებრივი ასპექტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საისტორიო წიადსვლები. აქედან გამომდინარე, ერთადერთი ლოგიკური და ხელშესახები არგუმენტი მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის კუთვნილების დასადასტურებლად არის შემდეგი: სსრკ დაიშალა სუვერენულ სახელმწიფოებად ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების გაყოფებაზე (აღნიშნული საზღვრები აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის გაეროს მიერ²³⁴). აზერბაიჯანის რესპუბლიკა

²³⁴ გაეროს წევრი ქვეყანა, აფიქსირებს თავის ტერიტორიას, საზღვრებს, მოსახლეობას და სხვ გაეროს ფარგლებში.

წარმოადგენს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეს და, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპიდან გამომდინარე, მას კანონიერად ეკუთვნის მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია.

- მთიანი ყარაბაღის მიკუთვნება სომხეთის რესპუბლიკისთვის იმ მოტივით, რომ სომხები იქ ეთნიკურ უმრავლესობას შეადგენენ, ყოვლად დაუშვებელია. ეს სახიფათო პრეცედენტს შექმნის სხვა ქვეყნებთან, მაგალითად საქართველოსთან მიმართებაში. კერძოდ, იმავე არგუმენტის გამოყენებით, სომხეთმა მომავალში შესაძლოა მოითხოვოს მისთვის ჯავახეთის გადაცემაც (დაშნაკი ნაციონალისტები დღესაც დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი სომხეთის ისტორიული მიწაა). ამიტომ, მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება ან მისი სომხეთისთვის მიკუთვნება ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს შექმნის კავკასიის წვრილ-წვრილ სახელმწიფოებად დაშლის პრეცედენტს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით:

- 2007-2008 წლებში საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ე.წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობისა და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციისათვის რეალური პირობების შექმნას (რაც დადასტურებულია გაეროს უშიშროების საბჭოს 2007 წ. № 1781 და № 1752 რეზოლუციებით), რუსეთმა სამხედრო აგრესიით უპასუხა. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო მცდელობებისა, 2008 წ. 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაცია ღიად ჩაება კონფლიქტში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და განახორციელა მასობრივი სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. ამასთან, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა, ავიაციისა და სამხედრო ფლოტის გამოყენებით, განახორციელეს თავდასხმა კოდორის ხეობაზე (ზემო აფხაზეთი) და საქართველოს კიდევ ოცდაათზე მეტ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტზე.

- თანამედროვე ეტაპზე, სეპარატიზაციის პროცესი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იმდენად ღრმად არის ფესვგადგმული, რომ პრაქტიკულად გამორიცხულია მათი ნებაყოფლობითი და უმტკივნეულო დაბრუნება საქართველოს ერთიან სამართლებრივ სივრცეში, ოფიციალური თბილისის იურისდიქციის ქვეშ. ამ პრობლემების გადასაწყვეტად საქართველოს დღესდღეობით ძალიან შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია.

დღესდღეობით საქართველოს არ გააჩნია საკმარისი რესურსები, რათა დამოუკიდებლად შექმნოს ამ პრობლემების გადაწყვეტა. მიუხედავად საქართველოს მხრიდან წამოსული არაერთი სამშვიდობო ინიციატივისა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, კონფლიქტურ ზონებში სიტუაცია კვლავ ფეთქებადსაშიში რჩება. რუსეთის უკიდურესად აგრესიული პოლიტიკის ფონზე, რაც გამოიხატა ოფიციალური მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობასა და საქართველოს ამ ორ რეგიონში რუსეთის სამხედრო ბაზების უკანონო გახსნაში, შეინიშნება ტერორისტული და დივერსიული ქმედებების გააქტიურება, სხვა კრიმინალური საფრთხეების ზრდა, მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიების მოშლა, ეთნიკური წმენდის შედეგების დაკანონების პერმანენტული მცდელობები, ადამიანის უფლებების მასიური დარღვევის ფაქტები (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დარჩენილი ქართველი მოსახლეობა დღემდე განიცდის სისტემატურ ტერორს და ადამიანის უფლებების შელახვას). აფხაზეთში შეუქცევადი სახე მიიღო კერძო და სახელმწიფო ქონების გასხვისების უკანონო ფაქტებმა. ამასთან ერთად, სახეზეა სეპარატისტული რეჟიმების დაუფარავი მცდელობები, რუსეთის დახმარებით მიაღწიონ თავიანთ ლეგიტიმაციას საერთაშორისო არენაზე²³⁵.

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები წარმოადგენენ ყველაზე დიდ სტრატეგიულ საფრთხეს საქართველოსთვის. ამასთან, დროის სვლასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა სულ უფრო პრობლემატური ხდება. დევნილი მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ ტვირთად აწევა ქვეყნის ბიუჯეტს და წარმოადგენს პოტენციური დესტაბილიზაციის ფაქტორს საქართველოს შიდა პოლიტიკის კონტექსტში. მანამ სანამ არ მოიძებნება გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციებიდან, სამხედრო მოქმედებების ესკალაციის საფრთხე მუდმივად იარსებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების გადაწყვეტის სამხედრო-სტრატეგიული გზა წარმოადგენს ყველაზე არასასურველ, თუმცა, ამავე დროს, ერთ-ერთ ლეგიტიმურ საშუალებას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამხედრო სცენარი შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო რესურსი იქნება მთლიანად ამოწურული და ყველა სხვა ალტერნატიული გზა შედეგს ვერ გამოიღებს. რაც შეეხება ალტერნატიულ

²³⁵ რუსეთის მცდელობები, მოახდინოს კოსოვოსა და მონტენეგროს პრეცედენტების უნივერსალიზაცია, სეპარატისტულ ხელისუფლებას უბიძგებს დაიკავოს უკომპრომისო პოზიცია მოლაპარაკებათა პროცესში, ასევე ხელს უწყობს ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ზიანს აყენებს სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისო სისტემის საფუძველს.

გზებს, ეს პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს სამშვიდობო პროცესების რეგულირებას, რომელსაც სამხედრო არგუმენტაციის გარეშე ასევე არ გააჩნია რაიმე პერსპექტივა. განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზეთის კონფლიქტს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სეპარატისტული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან, არამედ საკმაოდ კონსოლიდირებულ აფხაზურ საზოგადოებასთან, რომელიც ბოლომდე დარწმუნებულია თავის დამოუკიდებლობაში და კატეგორიულად გამორიცხავს ქართველებთან შესაძლო თანაცხოვრების ყოველგვარ პერსპექტივას ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში.

- შიდაპოლიტიკური პრობლემების გარდა, კონფლიქტური კერების არსებობა სერიოზულ ზიანს აყენებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯს. „გაყინული“ კონფლიქტების პრობლემატიკა წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორს, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატო-ში. ამ კონფლიქტების დარეგულირება აუცილებელია იმის გამოც, რათა დაცულ იქნას ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესები და სტაბილურად იფუნქციონიროს სამხრეთ კავკასიაზე გამავალმა ენერგეტიკულმა დერეფანმა. მოუგვარებელი კონფლიქტების გამო ასევე ხდება სატრანსპორტო, განსაკუთრებით სარკინიგზო მარშრუტების ბლოკირება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რაც კიდევ უფრო ართულებს თბილისსა და მოსკოვს შორის არსებულ ისედაც უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობებს.

- რუსეთის პოლიტიკის სტრატეგიული კურსი საქართველოსადმი განაპირობებს მის ტაქტიკურ საშუალებებსაც, რომლებიც წლების მანძილზე თითქმის უცვლელი რჩება: აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სიტუაციის გამწვავება, ენერგეტიკული შანტაჟი, შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია „მეხუთე კოლონის“ მეშვეობით და ა.შ. ამასთან ერთად, რუსეთის პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ირგვლივ არასასურველი საგარეო პოლიტიკური გარემოს შექმნას, რომელიც ერთის მხრივ გულისხმობს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას, ხოლო მეორეს მხრივ, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებში საქართველოსთვის პრობლემების შექმნას. საერთაშორისო დონეზე, მოსკოვს ესაჭიროება საერთაშორისო თანამეგობრობის, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებული შტატების დარწმუნება იმაში, რომ საქართველო, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო, ვერ შედგა და წარმოადგენს „არშემდგარ სახელმწიფოს“ (*Failed State*). ამ კონტექსტში, საქართველოს კონფლიქტური რეგიონები განიხილება მეტად

ეფექტურ ბერკეტებად რუსეთის ხელში, რაც საშუალებას აძლევს ოფიციალურ მოსკოვს, სამხედრო მოქმედებების განახლების მუდმივი საფრთხის ქვეშ იყოლიოს საქართველოს ხელისუფლება. ამდენად, ოფიციალური თბილისის ნებისმიერ წარმატებას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების, ეკონომიკის გაჯანსაღების, მმართველობის ეფექტურობის (*Good Governance*) გაუმჯობესების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის ან რომელიმე სხვა სტრატეგიული მიმართულებით, აუცილებლად მოყვება რუსეთის მცდელობები შეიარაღებული კონფლიქტების ხელახლა ესკალაციის. უცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა მაქსიმალურად შეეცდება, რათა ქართული მხარე წარმოაჩინოს, როგორც კონფლიქტის მთავარი ინსპირატორი და აგრესორი.

- საქართველოს კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არ უნდა განვიხილოთ ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტიდან ამოვარდნილად. პირიქით, რომ არ ყოფილიყო პრობლემები საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, ხსენებული კონფლიქტების ესკალაცია შესაძლოა საერთოდ არც მომხდარიყო. საქართველოს უსაფრთხოება დიდწილად დამოკიდებულია სწორედ მის ურთიერთობებზე რუსეთის ფედერაციასთან. დასავლეთსაც სხვა გამოსავალი არ გააჩნია გარდა იმისა, რომ საქართველოსთან ურთიერთობებში გაითვალისწინოს რუსეთის ისტორიული, გეოგრაფიული, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები. დაძაბული ურთიერთობები თბილისსა და მოსკოვს შორის უნდა განხილულ იქნას, როგორც სტრუქტურული ხასიათის პრობლემა, რომლის გამოსწორებაც ნაკლებად არის დამოკიდებული რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების დინამიკაზე. სწორედ ამ მიზეზის გამო, არაეფექტური იქნება ნებისმიერი სახის პოლიტიკური ტექნოლოგიის გამოყენება რუსეთთან მიმართებაში. ქართული დიპლომატიის წარმატებული საქმიანობა წარმოადგენს მნიშვნელოვან, მაგრამ არასაკმარის ფაქტორს ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

- კოსოვო უნიკალური შემთხვევაა საერთაშორისო პრაქტიკაში, რის გამოც მისი გამოყენება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით არალოგიკურია. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა რამდენიმე გარემოება, კერძოდ: იუგოსლავიის დაშლის სპეციფიკური ისტორია, რასაც მოჰყვა მასობრივი ძალადობა და სისხლისმღვრელი ომები; სერბეთის ლიდერის ს. მილოშევიჩის მიერ განხორციელებული კრიმინალური საქმიანობა და ეთნიკური წმენდა; მილოშევიჩის რეჟიმის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პერმანენტული დარღვევები; 1999 წლის

ფართომასშტაბიანი განსახლება, რასაც მოჰყვა დიდი ჰუმანიტარული კრიზისი; ნატოს ბლოკის საპასუხო რეაქცია ბალკანეთის მოვლენებზე; გაეროს უშიშროების საბჭოს № 1244 რეზოლუცია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო თანამეგობრობამ იტვირთა კოსოვოს ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ფუნქციები. ხსენებული პუნქტებიდან პრაქტიკულად არც ერთი არ მიესადაგება ქართული მხარის ქმედებებს, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ რეალობებს. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაში „კოსოვოს პრეცედენტზე“ აპელირება მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. როგორადაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები კოსოვოში, ეს მაინც შეუსაბამო იქნება სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან.

- ზემოაღნიშნული არგუმენტაციის მიუხედავად, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარება, რუსეთისთვის იქცა სერიოზულ სტიმულად აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობისთვის, ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკებში ამჟამად მცხოვრები მოსახლეობის „ნების გამოვლენის“ საფუძველზე. მოსკოვმა მართლაც გადადგა ეს ნაბიჯი და, საქართველოს კონფლიქტურ ზონებში შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობის შემდეგ, ცალმხრივად სცნო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა (ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (TRNC) ანალოგიის მსგავსად, რომელიც თავის დროზე სცნო თურქეთმა).

- შეიარაღებული პროვოკაციისთვის მაღალი რისკის ზონებია: კოდორის ხეობა, გალის რაიონი, ცხინვალის რეგიონი მთლიანად და, განსაკუთრებით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლები. შესაბამისად, აუცილებელია ამ რეგიონებში საერთაშორისო დამკვირვებლების ყოფნის უზრუნველყოფა, რასაც რუსეთი არ თანხმდება. რუსეთის მხრიდან პროვოკაცია შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების მიზნით მიმართული იყო იმისკენ, რათა მსოფლიოს დაესაბუთებინათ რუსი „მშვიდობისმყოფელების“ სეპარატისტულ რეგიონებში ყოფნის აუცილებლობა. უფრო მეტიც, ეს ერთის მხრივ საქართველოს შეუქმნიდა სერიოზულ პრობლემას ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ, საგრძნობლად გაუადვილებდა რუსეთს განეხორციელებინა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის მცდელობა. აღნიშნული საფრთხე მით უფრო რეალური იყო იმ გარემოების ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებდა თავის პოზიციას რუსეთის სამშვიდობოების არაეფექტურობისა და მათი კონფლიქტის

ზონებიდან გაყვანის აუცილებლობის თაობაზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციების ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

- რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ (2008 წ. 27 აგვისტო), კონფლიქტის ზონებში დისლოცირებული რუსეთის ყოფილი სამშვიდობო ძალები გადაიქცნენ საოკუპაციო ძალებად²³⁶. რუსეთის სამხედრო ბაზები ამჟამად აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ იმყოფებიან სეპარატისტულ ხელისუფლებებთან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, რაც საკმაოდ არასასურველი ფაქტორია, ვინაიდან ეს შესაძლოა გახდეს საქართველოს მიერ აფხაზეთის „დუიურე“ დაკარგვის დასაწყისი.

- მას შემდეგ, რაც აშშ-ის სენატმა მიიღო დადგენილება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს დაჩქარებული ინტეგრაციის თაობაზე (2006), ხოლო 2008 წლის აპრილში ბუქარესტის ნატოს სამიტზე მიღებულ იქნა სპეციალური დეკლარაცია საქართველოსა და უკრაინაზე, რუსეთმა დაიწყო საბაბის ძებნა, რათა ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის. 2008 წლის მაისის ბოლოს რუსეთმა, ოფიციალური თბილისის უკითხავად, აფხაზეთში თვითნებურად შეიყვანა დამატებითი სამხედრო ტექნიკა და სარკინიგზო ჯარების ნაწილები. ამის შემდგომი ნაბიჯი იყო რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, რასაც მოყვა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცალმხრივი ცნობა. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ საქართველომ ვერ შეძლო საერთაშორისო რესურსის სათანადო დონეზე მობილიზება, რათა თავიდან აეცილებინა მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარება.

- საქართველოს შეუძლია წინ აღუდგეს რუსეთის ექსპანსიას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით კი ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (NATO) გაწევრიანებით. თუმცა, მხოლოდ საგარეო ფაქტორი არ არის საკმარისი, რათა ბოლომდე იქნას გარანტირებული საქართველოს უსაფრთხოება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც შეუძლებელი იქნება შიდაპოლიტიკური კონსენსუსისა და საზოგადოების კონსოლიდაციის მაღალი დონის მიღწევის გარეშე. საჭიროა ქვეყნის შიგნით ნებისმიერი არასასურველი ექსცესის თავიდან აცილება, მათ შორის არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ახალქალაქის რ-ნი და ა.შ.). ეს აუცილებელია რუსეთის გავლენის გასანეიტრალებლად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არასასურველი ექსცესები

²³⁶ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილება.

დასაშვებ ზღვარს გასცდება, საქართველომ შესაძლოა დაკარგოს დასავლეთის მხარდაჭერა და, შესაბამისად, უსაფრთხოების ძირითადი საერთაშორისო გარანტიებიც.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივის თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში გაგრძელდეს ძლიერი, დემოკრატიული, ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა, ეკონომიკური წინსვლა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის საჭირო რეფორმები. რაც არ უნდა ხელსაყრელი საერთაშორისო პოლიტიკური გარემო (საერთაშორისო კონიუნქტურა) შეიქმნას მომავალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, სუსტი და ეკონომიკურად ჩამორჩენილი საქართველო ამ შანსის გამოყენებას მაინც ვერ შეძლებს. საქართველო მოთმინებით უნდა დაელოდოს ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას და მზად უნდა იყოს ამისთვის. ამისათვის საჭიროა, რომ საქართველო წარმოადგენდეს დასავლეთის ღირსეულ პარტნიორს, ჰქონდეს განვითარებული, ევროპული ტიპის დემოკრატია და ეკონომიკა. ამასთან ერთად, ასევე აუცილებელია საქართველოს გააჩნდეს ეფექტური სპეცსამსახურები, ძლიერი და თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი არმია, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისა და სამხედრო ავიაციის ჩათვლით. რუსებმა, ისევე როგორც აფხაზებმა და სამხრეთელმა ოსებმა უნდა ირწმუნონ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველო ეფექტურად გამოიყენებს თავის შეიარაღებულ ძალებს და მას ამაში დასავლეთის მხარდაჭერაც ექნება (სამხედრო არგუმენტაცია)²³⁷. შესაბამისად, მომავალში სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესი გარკვეულწილად უნდა ეყრდნობოდეს ზეწოლის მექანიზმებსაც, გამომდინარე საქართველოს რეალური შესაძლებლობებიდან და მის სამხედრო არსენალში არსებული რესურსებიდან. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ზეწოლა უნდა ატარებდეს უფრო ფსიქოლოგიურ ხასიათს და არ უნდა შეიცავდეს სამხედრო ძალის გამოყენების პირდაპირ მუქარას²³⁸.

²³⁷ აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მიერ შემჩნეული ტექნიკა და შეიარაღება არ უნდა აღემატებოდეს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვოტებს.

²³⁸ ამავდროულად, საერთაშორისო თანამეგობრობისა და რუსეთის ფედერაციის გასაგონად კიდევ ერთხელ უნდა მოხდეს იმის საჯაროდ დეკლარირება, რომ საქართველო მზად არის მიანიჭოს აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებს ევროპული (და არა საბჭოთა) ტიპის ფართო ავტონომია, ერთიანი საქართველოს ფარგლებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული მხარის პოლიტიკა არ გულისხმობს მიმდინარე სამშვიდობო პროცესების შეწყვეტას და ახლის დაწყებას, ან რაიმე ალტერნატიული სამშვიდობო სტრუქტურების ჩამოყალიბებას. საუბარია უკვე არსებული, მაგრამ არაეფექტური მექანიზმების გააქტიურებასა და ტრანსფორმაციაზე. ბუნებრივია, ძალაში უნდა დარჩეს ქართული მხარის მიერ აღრე გაუღერებული ყველა სამშვიდობო ინიციატივა.

- ხელსაყრელ საერთაშორისო გარემოში მოიაზრება მთელი რიგი გარეშე ფაქტორებისა. ამ კონტექსტში არც ის არის გამორიცხული, რომ პროგნოზირებად მომავალში რუსეთისთვის წარმოიქმნას ახალი გლობალური საფრთხეები. ერთ-ერთ ასეთ საფრთხედ შეიძლება იქცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელსაც შესაძლოა გაუნჩნდეს სერიოზული ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთის ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთების მიმართ (ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი). ამ საფრთხის დაბალანსება რუსეთს მხოლოდ აშშ-ის დახმარებით შეუძლია. აღნიშნული ნიუანსის გათვალისწინებით და მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში, რუსეთი იძულებული იქნება, რათა ვაშინგტონის მხარდაჭერისა და პარტნიორობის სანაცვლოდ მიიღოს დასავლური „თამაშის წესები“ და უარი თქვას პოსტსაბჭოთა სივრცეში სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერაზე, მით უფრო იმ გარემოების ფონზე, როცა ვაშინგტონი არ აპირებს თავისი პოზიციების დათმობას ამ სივრცეში.

- იმისათვის, რათა საერთაშორისო კონიუნქტურა შეიცვალოს საქართველოს სასარგებლოდ და მიღწეულ იქნას რეალური პროგრესი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, აუცილებელია ფუნდამენტური, სტრუქტურული ცვლილებები გლობალურ დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერანაირი მაღალი დონის მოლაპარაკება და ქართული დიპლომატიის წარმატება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. აბსოლუტური ილუზიაა ისიც, რომ პირდაპირი დიალოგი აფხაზეთთან და ოსებთან გამოიღებს რაიმე ხელშესახებ შედეგს. ამდენად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოში მოხდება სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები გლობალურ დონეზე. კერძოდ, სტრუქტურული ხასიათის ცვლილებებში იგულისხმება:

- რუსეთში ამჟამად არსებული ავტორიტარული რეჟიმის შეცვლა (რუსეთის დემოკრატიზაცია);
- სიტუაციის გამწვავება ჩრდილოეთ კავკასიაში იმ დონემდე, რომ მოსკოვი თავად შეეცადოს თბილისთან საერთო ენის გამონახვას და კომპრომისებზე წასვლას;
- ინტერესების სერიოზული შეჯახება რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის იმ დონემდე, რომ ვაშინგტონი რუსეთს კავკასიონის ქედზე გაუფლებს „წითელ ხაზს“ და წერტილს დაუსვამს ამ უკანასკნელის პოლიტიკურ გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონში;

- ინტერესების სერიოზული შეჯახება რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის (რუსეთს უნდა შეექმნას სერიოზული პრობლემები ჩინეთის მხრიდან, რის გამოც რუსეთი იძულებული გახდება იზრუნოს ვაშინგტონთან სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარებაზე და მიიღოს ამერიკის „თამაშის წესები“).

ის თუ რომელი სცენარით მოხდება მოვლენათა შემდგომი განვითარება, ამის განჭვრეტა და პროგნოზირება წარმოადგენს ძალზედ რთულ ამოცანას, რისი განხორციელებაც დღეს შეუძლებელია. თუმცა ერთი რამ უდავოა, რომ ამაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული როგორც საქართველოს შიდა კონფლიქტების ბედი, ისე სამხრეთ კავკასიისა და მთელი შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონის სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები.

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირების საქმეში საქართველოს წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა დასავლეთის მხრიდან (ვაშინგტონი; ბრიუსელი) სათანადო პოლიტიკური მხარდაჭერისა და შესაბამისი საერთაშორისო გარანტიების არსებობა. მსგავსი მხარდაჭერისა და გარანტიების გარეშე საგრძნობლად მატულობს რისკის ფაქტორი ობიექტურად არსებული საფრთხეების გამო. ასეთი მხარდაჭერა დღესდღეობით დასავლეთის მხრიდან არსებობს, თუმცა საქართველოსადმი მხარდაჭერის სასურველი დონე ჯერ მაინც მიღწეული არ არის.

- მიუხედავად ევროკავშირის მნიშვნელოვანი როლისა, საქართველოში სტაბილურობის დამყარების, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ფუნქციონირებისა და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის კუთხით, დღესდღეობით ევროკავშირი მაინც არ თამაშობს ხელშესახებ პოლიტიკურ როლს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებაში (დნესტრისპირეთის კონფლიქტისგან განსხვავებით)²³⁹. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მისიას არ გააჩნია უფლებამოსილება შეასრულოს შუამავლის ფუნქცია რაიმე სახის ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტში. უფრო მეტიც, არც ევროკავშირში და არც ნატოში ჯერჯერობით არ არსებობს საბოლოოდ ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა და სტრატეგია

²³⁹ პოლიტიკურ როლს თამაშობს ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფო, კერძოდ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია (ეს ქვეყნები შედიან ე.წ. „გაეროს მეგობართა ჯგუფში“ და ამ სტატუსით მონაწილეობენ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში).

საქართველოს კონფლიქტების მიმართ, ისევე როგორც არ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგია ზოგადად შავი ზღვის რეგიონის მიმართ.

- იმ შემთხვევაში თუ მომავალში მსოფლიოში არ განხორციელდება საქართველოსთვის სასურველი სტრუქტურული ცვლილებები და ისეთი საგარეო აქტორები, როგორებიცაა ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები არ მოახდენენ თავიანთი ძალისხმევის გააქტიურებას საქართველოს შიდა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით, არსებობს საფრთხე რეალური საფრთხე იმისა, რომ ხსენებული კონფლიქტები საკმაოდ გრძელვადიანი პერიოდით დარჩეს დღევანდელი „სტატუს-კვოს“ მდგომარეობაში, რაც რუსეთთან პრობლემური ურთიერთობების გრძელვადიანობასაც გულისხმობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე რეკომენდაცია:

- სადისერტაციო ნაშრომში განხილული რეგიონული სტაბილურობის ხელისშემწეელი ფაქტორების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების სტაბილური სისტემის ფორმირება²⁴⁰. თუმცა ეს სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ, სათანადო პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა მომავალში დაიწყოთ ერთმანეთთან გარკვეულ დონეზე თანამშრომლობა. კერძოდ, საერთაშორისო შუამავლების სერიოზული ძალისხმევის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებმა განაცხადონ თანხმობა სამხრეთ რეგიონულ თანამშრომლობაზე (აზერბაიჯანი-საქართველო-სომხეთი) და არ დაელოდონ იმ დროს, როცა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი საბოლოოდ დასრულდება. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს საერთო ინტერესის მქონე საკითხებისა და პრობლემების ის სპექტრი, რომელიც ერთის მხრივ საერთო იქნება რეგიონის სამივე სახელმწიფოსთვის, ხოლო მეორეს მხრივ პირდაპირ კავშირში არ იქნება რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებასთან. სწორედ ამგვარი საკითხების ირგვლივ უნდა მოხდეს დიალოგის წარმართვა და ერთობლივი პროექტების რეალიზაცია, რაც საფუძველს ჩაუყრის სამხრეთ

²⁴⁰ პირველი მოწოდებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის შესახებ კეთდებოდა 1996 წლიდან საქართველოსა და სხვა სამხრეთ კავკასიელი მაღალჩინოსნების მიერ. იხილებოდა სხვადასხვა სქემები და მოდელები, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული იყო ე.წ. „კავკასიის სტაბილურობის პაკტის“ იდეა. მიუხედავად ყველაფრისა, ვერც „კავკასიის სტაბილურობის პაკტმა“ და ვერც „მშვიდობიანი კავკასიის“ სხვა ინიციატივებმა, საბოლოო ჯამში, მაინც ვერ ჰპოვეს ასახვა პრაქტიკულ შედეგებში.

კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის საკმაოდ საინტერესო ეტაპს. საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ამ თანამშრომლობას განავითარებენ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში²⁴¹. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესი უნდა გამოიყოს ცალკე შემადგენლად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტის დარეგულირების პროცესი წინ წაიწევს და გარკვეულ დადებით შედეგებსაც გამოიღებს, შესაძლებელი გახდება თანამშრომლობის გავრცელება სხვა სფეროებზეც.

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში სამხრეთ კავკასიის სამმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს ერთობლივი სამოქმედო გეგმის მსგავსი დოკუმენტი, რომელშიც ასახვას ჰპოვებს სამხრეთი თანამშრომლობის, დემოკრატიის გაღრმავების, თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და, რაც ყველაზე მთავარია, შემდგომი რეგიონული ინტეგრაციის ფუნდამენტური პრინციპები (უსართხოების საკითხების ჩათვლით).
- აუცილებელია რეგიონის რეალური და არა იმიტაციური დემოკრატიზაცია. აუცილებელია, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში უზრუნველყოფილ იქნას რეალურად დემოკრატიული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სასამართლო სისტემების ფუნქციონირება, სამართლიანი არჩევნების ორგანიზება, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების განუხრელი დაცვა, ისევე როგორც ადამიანის თავისუფლებათა ხარისხის მნიშვნელოვანი ამაღლება. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, სადაც ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემები არსებობს. აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში დემოკრატიული რეფორმების გაღრმავება გაზრდის ამ ქვეყნების მთავრობების ლეგიტიმურობის ხარისხს. მხოლოდ მაღალი ლეგიტიმურობის მქონე დემოკრატიულ მთავრობებს ექნებათ შანსი მიაღწიონ ურთიერთკომპრომისებს მთიანი ყარაბაღის საკითხში, დაძლიონ სიძულვილი და შეძლონ საზოგადოებაში ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთების დანერგვა. დემოკრატიები ერთმანეთს არ ეომებიან, ისინი ცივილიზებულ ფორმებს იყენებენ არსებული პრობლემების გადასაღებად. მხოლოდ დემოკრატიზაციის მაღალი დონის პირობებში იქნება შესაძლებელი, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა მოახდინონ რეალური ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში,

²⁴¹ 2003 წ. დეკემბერში ევროპარლამენტმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ჩართვას ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (*European Neighbourhood Policy*). 2004 წლის მაისში ევროპარლამენტის რეკომენდაცია დაკმაყოფილებულ იქნა ევროკომისიის მიერ.

რომლის საბოლოო გრძელვადიან მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს გაწევრიანება ევროკავშირში (EU).

- სამხრეთ კავკასიის რეგიონში გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევა ბევრად გაიოლდება იმ შემთხვევაში, თუ რეგიონის სამივე სახელმწიფო გაერთიანდება საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ სისტემაში. ამისთვის აუცილებელია რეგიონის სამივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ჰარმონიზება, რაც შეუძლებელი იქნება მანამ სანამ ოფიციალური ერევანი ერთგული დარჩება ე.წ. კომლემენტარიზმის პოლიტიკის. სომხეთმა, საქართველოსა და აზერბაიჯანის მსგავსად, უნდა დატოვოს დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება და გეზი აიღოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე.

- კავკასიის რეგიონში საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის ზრდის გამო (ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორი), გადაუდებელი რიგის ამოცანად გვესახება რუსეთის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერება და თავდაცვის სამინისტროს ნაწილების ოპერატიული მზადყოფნის ამაღლება. ამასთან, რეგიონის მაღალი კონფლიქტურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო არენაზე პერმანენტულად უნდა წარმოებდეს კავკასიაში საქართველოს განსხვავებულობის პროპაგანდა. ყველა შესაძლო დონეზე, ხაზი უნდა გაესვას საქართველოს არა მარტო ისტორიისა და სულიერი კულტურის ევროპულობას, არამედ პოლიტიკური კულტურის ევროპულ (და არა კავკასიურ) ხასიათსაც. ყოველივე ამან საბოლოო ჯამში დასაფლურ ცნობიერებაში უნდა დაამკვიდროს აზრი, რომ ქართველები კავკასიის სხვა ერებისგან გამორჩეული, ევროპული სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და დასაფლურეთთან ცივილიზაციური ერთობის მქონე ერია.

სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტთან დაკავშირებით:

- მთიანის ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა სამშვიდობო ინიციატივის მარცხი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სომხური და აზერბაიჯანული საზოგადოებები არ არიან მზად კომპრომისებისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საერთაშორისო შეამავლების ერთობლივი მუშაობა, რათა სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებებში შეიქმნას შესაბამისი განწყობები, ურთიერთმისაღები კომპრომისების გარდაუვალობისა და მათი შესაძლო ვარიანტების საჯაროდ განხილვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ეს მუშაობა ძირითადად მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში მოხდეს ისეთი

საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომელიც ტოლერანტული იქნება კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მოსალოდნელი კომპრომისების მიმართ და მაქსიმალურად შეარბილებს ორივე ქვეყანაში ამ კომპრომისებთან დაკავშირებულ შიდაპოლიტიკურ შედეგებს. როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ისე სომხეთის რესპუბლიკისა და, ასევე, მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის საზოგადოებებმა ნათლად უნდა გააცნობიერონ, რომ კომპრომისი წარმოადგენს გარდაუვალ მოვლენას, რომლის გარეშეც გამორიცხულია კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან თუნდაც „ნეგატიური მშვიდობის“ განმტკიცებისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი საკმაოდ ილუზორული იქნება და სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

- საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების შემთხვევაში (აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით), სომხეთს უნდა მიეცეს უნიკალური საშუალება, რათა მონაწილეობა მიიღოს იმ ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტებში, რომლებიც მას დღემდე გვერდს უვლიან. ფართო, ევროპული ტიპის ავტონომიის მქონე მთიანი ყარაბაღის ყოველმხრივი რეაბილიტაცია აზერბაიჯანის მთავრობის ნომერ პირველ პრიორიტეტად უნდა იქცეს²⁴². აზერბაიჯანისადმი და სხვა მეზობელი ქვეყნებისადმი ტერიტორიული პრეტენზიების სანაცვლოდ, სომხეთის რესპუბლიკამ აქამდე არნახული ეკონომიკური სარგებელი უნდა მიიღოს. საზღვრების გახსნა დაასრულებს სომხეთის მრავალწლიან იზოლაციას და საფუძველს ჩაუყრის მის ჩართვას მრავალმხრივ რეგიონულ და რეგიონთაშორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში. რაც შეეხება სომხეთის უსაფრთხოებას, მეზობლებთან ტერიტორიული დაეების მოგვარების შემდეგ, რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნის საჭიროებაც მოიხსნება დღის წესრიგიდან. სომხეთის რესპუბლიკა, თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მსგავსად, ნატო-ს (NATO) ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

- სომხურ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის ერთ-ერთ კომპრომისულ ვარიანტად შესაძლოა განხილულ იქნას მოვლენათა განვითარების შემდეგი სცენარი. კერძოდ,

²⁴² ნათობიდან და ბუნებრივი აირიდან მიღებული მოგება აზერბაიჯანმა, პირველ რიგში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონში თანამშრომლობის განმტკიცებას უნდა მოახმაროს. კონსტრუქციულია, როდესაც ოფიციალური ბაქო საუბრობს რეგიონში კაპიტალდაბანდების განხორციელებაზე, მთიანი ყარაბაღის ეკონომიკურ აყვავებაზე, ბიზნესსათვის შესაძლებლობების შექმნაზე, რათა ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთს შეურიგდნენ და, დროთა განმავლობაში, მთიანი ყარაბაღის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული დამაბულობის ხარისხი შემცირდეს. ამის საპირისპიროდ, ნამდვილად უგუნურობაა შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლო განახლებაზე საუბარი.

საერთაშორისო მედიატორების ძალისხმევით უნდა მოხდეს ე.წ. „მადრიდის პრინციპების“ შემდგომი სრულყოფა და, „საპაკეტო“ და „ეტაპობრივი“ სტრატეგიების კომბინაციის საფუძველზე, მორიგი ყოვლისმომცველი მრავალმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულების (ე.წ. „ჩარჩო“ შეთანხმების) პროექტის მომზადება. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში, მკაცრი საერთაშორისო გარანტიების პირობით, უნდა მოხდეს სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნა. სომხეთმა უნდა გაათავისუფლოს მის მიერ ოკუპირებული შეიდი აზერბაიჯანული რაიონიდან ექვსი მაინც (ლაჩინის გარდა). ამ რაიონებში უნდა დაიწყოს აზერბაიჯანული დევნილების დაბრუნება. რაც შეეხება აზერბაიჯანის მე-7 რაიონს ანუ ე.წ. „ლაჩინის დერეფანს“, ის სომხური ძალების კონტროლის ქვეშ უნდა დარჩეს მთიანი ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის საბოლოო განსაზღვრამდე. ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე რეფერენდუმის გამართვამდე, ოფიციალური ბაქო უნდა შეეგუოს მთიანი ყარაბაღის ამჟამინდელ სტატუსს არადიარებული რესპუბლიკის სახით. ამის პარალელურად უნდა დაიწყოს სომხების მიერ კონტროლირებად მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანული დევნილების ეტაპობრივი დაბრუნების პროცესი (მთიან ყარაბაღში უნდა აღდგეს შეიარაღებულ კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული სტატუს-კვო). კონფლიქტის ზონაში, კერძოდ უსაფრთხოების ნეიტრალურ ზონაში უნდა განლაგდნენ საერთაშორისო სამშვიდობო/საპოლიციო ძალები გაეროს ან ეუთოს მანდატით (მაგრამ არა დსთ-ის მანდატით). აღნიშნული სქემის ნაწილი ასევე უნდა გახდეს სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზაცია, რაც ამ ქვეყნებს შორის საზღვრისა და კომუნიკაციების გახსნას გულისხმობს.

- ყოვლისმომცველი მრავალმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების პირველი პირები. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ საერთაშორისო შუამავლებმა, განსაკუთრებით ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყნებმა (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი) განახორციელონ კომბინირებული დიპლომატიური ზეწოლა უშუალოდ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების პრეზიდენტებზე, ამ უკანასკნელთა მხრიდან კომპრომისული სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიღების მიზნით.

საქართველოს შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებით:

- აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებულ საკითხებში საქართველოს ხელისუფლება უნდა ამოვიდეს იმ რეალობიდან, რომ აღნიშნული რეგიონები ოკუპი-

რებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და დღესაც კიდევ გრძელდება მათი სრულმასშტაბიანი ანექსიის პროცესი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ხსენებული რეგიონების დაბრუნება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოკლე ან საშუალოვადიან პერსპექტივაში არარეალურია. ასევე ნაკლებსავარაუდოა მათი ქართული სახელმწიფოდან დე-იურე გასვლა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას მოკლევადიან, პოპულისტურ ამოცანებზე და მთელი რესურსები გრძელვადიანი მიზნებისთვის მიღწევისკენ მიმართოს.

- გაეროსა (UN) და ეუთოს (OSCE) აშკარა არაეფექტურობის ფონზე, მიზანშეწონილი იქნება თუ კონფლიქტების დარეგულირება და სამშვიდობო ოპერაციები გახდება ევროკავშირის (EU) სამშვიდობო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება²⁴³. აქედან გამომდინარე, ოფიციალურმა თბილისმა უნდა მიმართოს მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა, ევროკავშირის კომპონენტის უფრო აქტიური აქცენტირებით, მიაღწიოს ამ ორგანიზაციის როლის მნიშვნელოვან გაზრდას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში²⁴⁴. ამ კონტექსტში ასევე დიდი როლის შესრულება შეუძლია ნატოს ბლოკსაც (NATO). მსოფლიოში არსებობს ევროკავშირისა და ნატო-ს ერთობლივი ღონისძიებების პრაქტიკაც, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმება. „ბერლინ პლიუსი“ – ეს არის ხელშეკრულება, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირისა და ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატიდან და რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს გამოიყენოს ნატო-ს რესურსები, სატელიტური კომუნიკაციის სისტემისა და მძიმე ავიაციის ჩათვლით²⁴⁵. ევროკავშირმა და ნატომ უნდა შეძლონ კოორდინირებული მიდგომის შემუშავება საქართველოს კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების მიზნით.

²⁴³ ვინაიდან რუსეთს ევროკავშირზე იურიდიული ზემოქმედების ბერკეტები არ გააჩნია (ეუთოსა და გაეროსგან განსხვავებით), საჭიროა, ევროკავშირის მხრიდან კავკასიის რეგიონის სტაბილურობისადმი მზარდი ინტერესისა და მის მიერ დეკლარირებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ გათვალისწინებით, დავასაბუთოთ ევროკავშირის მონაწილეობის აუცილებლობა სამშვიდობო მოლაპარაკებათა ფორმატში. ასევე სასურველია, ვეცადოთ ევროკავშირის ჩართვას მშვიდობისმყოფელთა ფორმატში.

²⁴⁴ საქართველომ უნდა აწარმოოს კონსულტაციები ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან, სამშვიდობო ოპერაციის ევროკავშირის ეგიდით ჩატარების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ბოსნიაში ატარებს მნიშვნელოვან საერთაშორისო საპოლიციო ოპერაციას (EUPM); მსგავსი საპოლიციო ოპერაცია ჩატარდა მაკედონიაშიც (PROXIMA), რომელიც დასრულდა 2005 წელს.

²⁴⁵ პარტნიორობის შესახებ ევროკავშირისა და ნატო-ს შორის არსებული შეთანხმება ეფუძნება ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვითი პოლიტიკის (ESDP) დეკლარაციას, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის 13 დეკემბერს. ეს დეკლარაცია მოიცავს ეწ. „ბერლინ პლიუსის შეთანხმების“ ოთხ კომპონენტს: 1) ევროკავშირის მონაწილეობის უზრუნველყოფა ნატო-ს ოპერაციების დაგეგმარებაში; 2) ევროკავშირის მიერ ნატო-ს აქტივების და შესაძლებლობების გამოყენება; 3) ნატო-ს ევროპული ხელმძღვანელობის მონაწილეობა ევროკავშირის ოპერაციებში; 4) ნატო-ს თავდაცვის დაგეგმარებითი სისტემის ადაპტირება, ევროკავშირის მიერ წარმოებულ ოპერაციებში ძალების გაერთიანების მიზნით.

ერთ-ერთ ასეთ ოპტიმალურ მიდგომას წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP), რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სამხედრო დამკვირვებელთა მისიის განხორციელება.

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები საჭიროებენ პოლიტიკურ გადაწყვეტას. ევროკავშირის სამშვიდობო საქმიანობა კი ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) კონტექსტში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ევროკავშირის სამომავლო სამშვიდობო საქმიანობის სავარაუდო ალტერნატივებად შეიძლება განვიხილოთ ისეთი ტიპის სამშვიდობო ოპერაციები, როგორებიცაა: მშვიდობის დამყარების ოპერაცია (*Peace-making Operations*), მშვიდობის შენარჩუნების ოპერაცია (*Peace-keeping Operations*) და კრიზისულ სიტუაციათა მართვის ოპერაცია (*Crisis Management Operations*)²⁴⁶. ამასთან, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კრიზისულ სიტუაციათა მართვა შეიძლება განხორციელდეს როგორც სამხედრო ოპერაციების, ისე კრიზისულ სიტუაციათა მართვის სხვადასხვა სამოქალაქო ბერკეტების გამოყენებით (*Civil Crisis Management Operations*). ამ თვალსაზრისით, შედარებით უფრო რეალურად გვესახება კრიზისულ სიტუაციათა მართვის სამოქალაქო ბერკეტების გამოყენება. ვფიქრობთ, საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ევროკავშირი გამოიყენებს „ბერლინ პლიუსის შეთანხმებას“; რადგან ეს საშუალებას მისცემს აშშ-ს, როგორც ნატო-ს წევრ ქვეყანას, განახორციელოს გარკვეული პოლიტიკური კონტროლი სამშვიდობო მისიაზე.

- ევროპის კავშირმა (EU) უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს საქართველოს შიდა კონფლიქტების მიმართ, რადგან „ფართო ევროპის“ ინიციატივაში იგი იღებს პასუხისმგებლობას აქტიურად ჩაერთოს თავისი საზღვრების მახლობლად არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ არიან ევროკავშირთან ისე ახლოს, როგორც დნესტრისპირეთი, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ევროპული ფაქტორის გააქტიურებას ამ თვალსაზრისით. ეს აუცილებელია, რადგან ევროკავშირი თანდათანობით უახლოვდება სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონს და

²⁴⁶ 1999 წელს, ამსტერდამის შეთანხმების ძალაში შესვლით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს ერთიანი მიდგომა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებისადმი - ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP), რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა ევროკავშირის ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ამდენად, ევროკავშირის ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP) ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. 1999 წელს ESDP-ის ფარგლებში ევროკავშირმა დასახა ეწ. „პეტერსბერგის ამოცანები“ (Petersberg Tasks), რაც გულისხმობს ევროკავშირის მიერ ისეთი სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას, როგორიცაა: peace-keeping operations; peace-making operations; crisis management operations.

განსაკუთრებით საქართველოს (2007 წლის იანვრიდან, მას შემდეგ რაც რუმინეთი და ბულგარეთი გაწევრიანდნენ ევროკავშირში, საქართველომ გადაინაცვლა ევროკავშირის უახლოესი მეზობლების სიაში – საქართველოს უკვე გააჩნია საერთო საზღვაო საზღვარი ევროკავშირთან).

- აფხაზეთის კონფლიქტი არის ერთადერთი შეიარაღებული კონფლიქტი შავი ზღვის სანაპიროზე. მანამ სანამ არ მოიძებნება გამოსავალი ამ კონფლიქტიდან, დესტაბილიზაციის საფრთხე შავი ზღვის რეგიონში მუდმივად იარსებებს და, შესაბამისად, ევროპის პოლიტიკური უსაფრთხოებაც არ იქნება ბოლომდე უზრუნველყოფილი. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი (EU) არ დარჩეს გულგრილი აფხაზეთის პრობლემის მიმართ და აქტიურად ჩაერიოს მის მოგვარებაში. ევროკავშირი შესაძლოა გამოვიდეს ერთგვარი „ჩარჩო“ სტრუქტურის როლშიც, რომელიც შექმნის შესაბამის ნიადაგს საკონსტრუქციო ხასიათის საკითხების გადასაწყვეტად. გარდა ამისა, ევროკავშირს შეუძლია იმოქმედოს, როგორც შუამავალმა და არბიტრმა (მესამე მხარემ). შესაძლებელია მოიძებნოს ევროკავშირის სამშვიდობო მონაწილეობის რაიმე სხვა ფორმაც. აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ევროკავშირის შესაძლო მონაწილეობის კონკრეტული ფორმებისა და მექანიზმების შემუშავება არ წარმოადგენს გადაუწყვეტელ ამოცანას იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებს სათანადო პოლიტიკური ნება თავად ამ ორგანიზაციის მხრიდან.

- რუსული, აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარეებიდან წამოყენებული ბრალდებების გასანეიტრალებლად, ქართულმა მხარემ ბოლომდე უნდა დაიცვას ის პოზიცია, რომელიც ეხება შეთანხმების ხელმოწერას აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ სამხედრო ძალის არ გამოყენების შესახებ. კერძოდ, ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ ცალსახად უნდა დააფიქსიროს, რომ მზადაა ბოლომდე დაიცვას ხსენებული შეთანხმება. თუმცა იქვე უნდა განიმარტოს ისიც, რომ ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ კონფლიქტის საერთო მოწესრიგების კონტექსტში და იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანი რამოდენიმე წინაპირობა. აღნიშნული წინაპირობები უნდა გულისხმობდეს შემდეგს:

- ა) რუსეთმა უნდა გადახედოს თავის 2008 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებას, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე და დაიწყოს ამ სეპარატისტული რეგიონების დეოკუპაციის პროცესი;

- ბ) აფხაზეთში 2008 წლის აგვისტომდე არსებული დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციის არაეფექტურობის გათვალისწინებით, მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება ახალი, უწინდელზე გაცილებით უფრო ქმედითი ფორმატის შემუშავებასთან დაკავშირებით. ეს ბუნებრივია გულისხმობს აფხაზეთში დისლოცირებული სამშვიდობო კონტიგენტის ინტერნაციონალიზაციას და რუს მშვიდობისმყოფელთა საერთაშორისო საპოლიციო ძალებით ჩანაცვლებას;
- გ) დოკუმენტი ძალის არგამოყენების შესახებ უნდა წარმოადგენდეს მრავალმხრივ ვალდებულებას, ერთის მხრივ ქართულ მხარეს, ხოლო მეორეს მხრივ, აფხაზურ, სამხრეთ ოსურ და რუსულ მხარეებს შორის. ამასთან ერთად, ხსენებულ დოკუმენტში ასევე უნდა დაფიქსირდეს, რომ ძალის არ გამოყენების თაობაზე შეთანხმების მოქმედების აუცილებელი პირობაა (*sine qua non*) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთელს ტერიტორიაზე დევნილთა უპირობო ეტაპობრივი დაბრუნება (ანუ კონფლიქტებამდე არსებული დემოგრაფიული სტატუს-ქვოს აღდგენა).
- დ) მრავალმხრივი ვალდებულება ძალის არგამოყენასთან დაკავშირებით უნდა გამყარებულ იქნას ნეიტრალური და მიუკერძოებელი საგარეო აქტორის მიერ (ასეთად ქართული მხარე მიიჩნევს ევროკავშირს). იმთავითვე უნდა გამოირიცხოს რუსეთის შუამავლობა, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც აბსოლუტურად დისკრედიტირებულია, როგორც მედიატორი და სამშვიდობო პროცესის ხელშემწყობი მხარე.
- 2008 წლის 15 ოქტომბერს დაწყებული „ჟენევის მოლაპარაკებების“ ზუსტი ფორმატის განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას, ქართული მხარე უნდა დარჩეს ერთგული იმ პრინციპული პოზიციისა, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს სეპარატისტული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკების“, როგორც სრულფასოვანი სუბიექტების ჩართვას ხსენებულ მოლაპარაკებებში. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ფედერაცია კვლავაც დაუინებით მოითხოვს „ჟენევის მოლაპარაკებებში“ აფხაზი და ოსი სეპარატისტების სრულუფლებიანი წევრების სტატუსით ჩართვას, საქართველოს დელეგაციამ თავის მხრივ უნდა დააყენოს საკითხი, მოლაპარაკებებში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისა და ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩართვის თაობაზე. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ მოხდება შეთანხმება ისეთ ფუნდამენტურ საკითხზე, როგორცაა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული საოკუპაციო ძალების ჩანაცვლება საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით, „ჟენევის მოლაპარაკებების“ მომდევნო ეტაპებზე ქართული მხარე შესაძლებელია

წავიდეს კომპრომისზე და თანხმობა განაცხადოს მოლაპარაკებათა ფორმატის გაფართოებაზე აფხაზი და ოსი სეპარატისტების ხარჯზე. „შენევის მოლაპარაკებათა“ ზუსტი ფორმატის განსაზღვრასთან დაკავშირებული ობიექტური სირთულეების მიუხედავად, ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ პირველად არის მცდელობა ჩამოყალიბდეს ისეთი საერთაშორისო ფორმატი, სადაც საქართველო არ იქნება უმცირესობაში და სადაც რუსეთს არ ექნება ყალბი შუამავლის როლი.

- იმ შემთხვევაში თუ რუსეთი გააუქმებს თავის უწინდელ გადაწყვეტილებას საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე, ხოლო ქართველ დევნილებს მიეცემათ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაბრუნების შესაძლებლობა, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს 2008 წლის აგვისტომდე არსებული მოლაპარაკებათა ფორმატების აღდგენის საკითხი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც 2008 წლის აგვისტომდე არსებულმა ფორმატებმა უნდა განიცადოს სერიოზული ტრანსფორმაცია (ამ შემთხვევაში, საინტერესოდ წარმოგვიდგენია დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული ფორმატი²⁴⁷). ბუნებრივია, უნდა მოხდეს ახალი სამშვიდობო ოპერაციების მანდატის ფორმირებაც.

- ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შერეული სამშვიდობო ძალების განლაგება განხორციელდა „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“ 1992 წლის 24 ივნისის სოჭის (დაგომისის) შეთანხმების საფუძველზე. ხოლო კონფლიქტის ზონიდან ამ ძალების გაყვანის სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს საქართველოს მიერ ხსენებული შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა, რაც მოხდა კიდევ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებითა და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 აგვისტოს № 552 განკარგულებით, რის თაობაზეც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი ნოტიაცნობა რუსულ მხარეს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეთანხმება არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს მისი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში ქართული მხარის არგუმენტაცია ემყარება სახელშეკრუ-

²⁴⁷ 2005 წლის 26-27 სექტემბერს ქ. ოდესაში გამართულ ხუთმხრივ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ სამშვიდობო პროცესში ჩართვებოდნენ ევროკავშირისა (EU) და აშშ-ის (USA) წარმომადგენლებიც (დამკვირვებლის სტატუსით). ამდენად, დნესტრისპირეთის კონფლიქტთან დაკავშირებულმა მოლაპარაკებათა პროცესმა მიიღო „5+2“ ფორმატის სახე (მოლდოვა, დნესტრისპირეთი, უკრაინა, რუსეთი, ეუთო + ევროკავშირი, აშშ).

ლებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის დებულებებს²⁴⁸. რაც შეეხება რუსეთის საოკუპაციო ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის სამართლებრივ მექანიზმს (დსთ-ის ყოფილი სამშვიდობო ძალები), საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ“ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმება, რომელიც ავტომატურად ჩაანაცვლა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ექვსპუნქტიანმა შეთანხმებამ „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

- რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მიმდინარე ეტაპზე და მინიმუმ საშუალოვადიან პერსპექტივაშიც, მოსკოვის ინტერესები საფუძველშივე გამორიცხავს მასთან თანასწორუფლებიან თანამშრომლობას. შესაბამისად, ოფიციალურმა თბილისმა უნდა გაატაროს რუსეთის ნებისმიერი გავლენისაგან სრული განთავისუფლების ხისტი სტრატეგიული ხაზი (ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს ტაქტიკური ხასიათის კომპრომისებსა და ლავირებას). ორმხრივი ურთიერთობების დონეზე საქართველოს მხრიდან გაკეთებული თუნდაც სერიოზული დათმობების ფასად, შეუძლებელი იქნება რუსეთისგან ანალოგიური ნაბიჯების მიღწევა.

- საქართველოს შიდა კონფლიქტების დარეგულირების უკიდურესი სირთულიდან გამომდინარე, ოფიციალური თბილისის მთავარი სტრატეგია უნდა ორიენტირებული იყოს ოფიციალურ ვაშინგტონთან სამოკავშირეო ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებაზე. საქართველომ უნდა მიაღწიოს საერთაშორისო კომპონენტის გაძლიერებას კონფლიქტების დარეგულირების საქმეში, რათა დასაველეთის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელონ ძლიერი დიპლომატიური ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე, ხოლო ამ უკანასკნელმა კი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ ხელისუფლებებზე. ეს არის სტრატეგია, რომლის რეალიზაციისკენაც მიმართული უნდა იყოს ქართული დიპლომატიის მაქსიმალური ძალისხმევა. საქართველო უნდა შეეცადოს, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას არ დარჩეს

²⁴⁸ საქართველოს მხრიდან გაყვანის პროცედურების დაწყებას და ვენის კონვენციაზე აპელირებას, თან უნდა სდევდეს აქტიური მუშაობა (პოლიტიკური კონსულტაციები), როგორც პარტნიორ ქვეყნებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს აუცილებელია, ვინაიდან ამ საკითხის მხოლოდ სამართლებრივი კუთხით დაყენება არ იქნება მომგებიანი ქართული მხარისათვის, რადგანაც სამართლებრივი პროცედურები, თავის მხრივ, დროში გაიწელება და მინიმუმ 1 წელიწადს მაინც გასტანს.

ერთი-ერთზე თავის ჩრდილოელ მეზობელთან. აუცილებელია დასავლეთის (უპირველესად კი აშშ-ის) უფრო აქტიური ჩართვა საქართველო-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებში. საამისოდ, საქართველომ კიდევ უფრო დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ოფიციალური ვაშინგტონის გრძელვადიან ინტერესებს და ითამაშოს შეერთებული შტატების უპირველესი მოკავშირისა და დასავლური ფასეულობების ერთგული დამცველის როლი შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონში. ყოვლად დაუშვებელი და დამღუპველი იქნება საქართველოს მხრიდან ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების იგნორირება ან, თუნდაც, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე ვაშინგტონთან კონსულტაციების გარეშე მოქმედება. ამასთან ერთად, როგორც არაერთხელ აღინიშნა, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის, ასევე სხვა ევროპული და ევროატლანტიკური ინსტიტუტების მხარდაჭერის ზრდასაც. ამავე კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსის მხრიდან საქართველოზე გაწვევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) გავრცელებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ხსენებულ ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრობისთვის.

- სტრატეგიული მოკავშირეებისა და მეგობარი ქვეყნების გარდა, საქართველომ უნდა აწარმოოს კონსულტაციები მსოფლიო პოლიტიკის სხვა გლობალურ მოთამაშეებთანაც. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ჩინეთი – მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, რომელიც მზარდი ტემპებით ვითარდება და გააჩნია ფართო და არაერთგვაროვანი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან. „დიდი აბრეშუმის გზის“, როგორც დასავლეთის ბაზრებზე უმოკლესი სახმელეთო გასასვლელის როლი და მნიშვნელობა ჩინეთისთვის საკმაოდ ღირებულია. ამ კონტექსტში, კავკასიაში რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკის წამგებიანობა ჩინური მხარისთვის საკმარის საფუძველს ქმნის, რათა ოფიციალურმა თბილისმა რუსეთთან ურთიერთობების რიგ საკითხებში ოფიციალური პეკინის მხარდაჭერის მოპოვების იმედი იქონიოს. ჩინეთის მზარდი ამბიცია გლობალურ ზესახელმწიფოობაზე მხოლოდ ხელს შეუწყობს ამგვარ ტენდენციას.

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გადაწყვეტა წარმოადგენს უკიდურესად რთულ ამოცანას, რაც უამრავ გარეშე და შიდა ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ საქართველოს ხელისუფლება საბოლოოდ გადაწყვეტს პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარებას, არსებობს ძალზედ მცირე პერსპექტივა იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარე წავა რაიმე დათმობაზე. ხოლო თუ ოფიციალური

თბილისი პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ალტერნატივად საომარ მოქმედებებს მოიაზრებს, ძალზედ რთული იქნება, რომ საქართველომ ამ ომში გაიმარჯვოს, ვინაიდან რუსეთი ამას ყველა შესაძლო ხერხებით შეეწინააღმდეგება. საერთაშორისო თანამეგობრობა აუცილებლად მოახდენს დიპლომატიურ ზეწოლას საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა თავიდან აიცილოს რეგიონში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია. უფრო მეტიც, საომარი მოქმედებების ესკალაციის შემთხვევაში, სერიოზული საფრთხე შეექმნება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ რუსეთი არ აპირებს აგრესიული პოლიტიკის შეცვლას და საქართველოსთან კონფრონტაციული ურთიერთობების ერთგული რჩება. მოსკოვმა შესაძლოა შეცვალოს დესტრუქციული პოლიტიკა მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუკი დასავლეთის, კერძოდ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მხრიდან რუსეთზე განხორციელდება ძლიერი დიპლომატიური ზეწოლა უმაღლეს დონეზე. უმაღლეს დონეში ვგულისხმობთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, აშშ-ის სახელმწიფო და თავდაცვის მდივნებს, ასევე ისეთ საერთაშორისო ფორუმებს, როგორებიცაა „დიდი რვიანი“ (G-8), „ევროკავშირი-რუსეთის საბჭო“ (EU-Russia Permanent Partnership Council) ან „ნატო-რუსეთის საბჭო“ (NATO-Russia Council). ნებისმიერი სხვა დონე და ფორმატი (გაეროს და ეუთოს ფორმატების ჩათვლით) არასაკმარისია და ეს კარგად ჩანს რუსეთის ქცევიდან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ რუსეთი წავიდეს კომპრომისზე დასავლეთის წინაშე და შეარბილოს თავისი პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. აბაშიძე ზ. ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ. 2000.
2. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ.: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1994.
3. ბახტაძე რ. გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში. თბ.: ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია, 2007.
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი // გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი. თბ., 2002.
5. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., „მეცნიერება“, 2003.
6. დავითაშვილი ზ. კავკასიის კონფლიქტები. მიზეზები და შესაძლო შედეგები // ქართული დიპლომატია, წელიწადეული 8, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 5-22.
7. დემეტრაშვილი ა. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბ.: იურიდიული ლიტერატურა, 1992.
8. დოლონაძე შ. საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ. თბ., „მეცნიერება“, 2002.
9. გეგეშიძე ა. ევროკავშირის როლი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაციაში: პოტენციალი, შეზღუდვები // საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (GFSIS), მარტი, 2007.
10. თურმანიძე თ. ბუფერული სახელმწიფოები. თბ.: ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია, 2006.
11. თურმანიძე თ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი // ახალი აზრი (პოლიტიკური კვლევების ცენტრის ჟურნალი), № 1 ივლისი-აგვისტო. თბ., 2001. გვ. 69-74.
12. მაცაბერიძე მ. გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები. გეოპოლიტიკა XIX ს. ბოლოს და XX ს. პირველ ნახევარში. თბ.: ცოდნა, 1998.
13. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბ., 2000.
14. რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები. თბ.: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996.
15. საერთაშორისო კონვენცია ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ // საერთაშორისო სამართლის აქტები. თბ., 1997.
16. სამუელ ფ. ჰანტინგტონი. პოლიტიკური სტატიები. თბ., 2001.
17. ურუშაძე ე. რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში. თბ.: ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია, 2006.

18. უტიაშვილი შ. პატარა სახელმწიფო და დიდი მეზობელი: საქართველო უსაფრთხოების ძიებაში // პოლიტიკური კვლევების ცენტრი, „ახალი აზრი“, №5 (11), 2003, გვ. 26.
19. ფუტყარაძე ი. საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივები აფხაზეთში // ადამიანი და კონსტიტუცია (საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული, რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი), № 4. თბ., 2002. გვ. 26-35.
20. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981.
21. ჯავახეთი – ისტორია და თანამედროვეობა. ტომი I, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი. ახალციხე, 2002.
22. Абхазский узел. Документы и материалы. М., 1995. С.115.
23. Алексидзе Л. Абхазский вопрос: взгляд из Тбилиси // Вестник Аналитики. М., ИСОА, 2002, № 3(9). Стр. 142-153.
24. Арицибасов И.Н., Егоров С.А. Вооруженный конфликт: право, политика, дипломатия. М. : Международные отношения, 1989.
25. Бажанов Е.П., Асфари Д.А. О тенденциях международных отношений на пороге XXI столетия. М., 1999.
26. Бажанов Е.П. Эволюция Российской внешней политики (1991-1999 гг.). М. 1999.
27. Бейлс А. Дж. К. Европейская безопасность после 11 сентября // Мировая экономика и международные отношения. М., РАН, 2003, № 6. Стр. 82-87.
28. Белоногов А. Другой ООН у нас нет // Международная жизнь. М., 2003. № 6. Стр. 69-88.
29. Бжезинский З. Великая шахматная доска. М.: Международные отношения, 1999.
30. Бутрос-Гали Б. Повестка дня для мира. Превентивная дипломатия, миротворчество и поддержание мира: Доклад генерального секретаря ООН. Нью-Йорк, 1992.
31. Вебер М. Избранные произведения. М., 1990.
32. Гаджиев К.С. Геополитика. М., 1997.
33. Гаджиев К.С. Геополитика Кавказа. М.: Международные отношения, 2001.
34. Гаджиев К.С. Политическая наука. М., 1995.
35. Глухов А.В. Политические конфликты и кризисы. Консенсус и политические методы его достижения. Государство и право. М., 1993. № 6.
36. Грузины и Абхазцы. Путь к Примирению. Общ. ред. : Б. Коппитерс, Г. Нодиа, Ю. Анчабадзе. М. : Весь Мир, 1999.
37. Гусейнов В. О некоторых тенденциях в развитии общеевропейской безопасности и сотрудничества // Вестник Аналитики. М., ИСОА, 2002, № 1(7). Стр. 35-57.

38. Гушер А. Грузино-абхазский конфликт как геополитическая реальность и источник нестабильности в зоне Южного Кавказа // Вестник Аналитики. М., ИСОА, 2001, № 5.
39. Дипломатический вестник, 1996, № 4. С. 70.
40. Дугин А.Г. Основы геополитики. М., 1997.
41. Ежегодник Большой Советской Энциклопедии, М., 1990.
42. Жоржолиани Г. Исторические и политические корни конфликта в Абхазии. Тб., Мецниереба, 2002.
43. Здравомыслов А.Г. Социология конфликта. М.: Аспект Пресс, 1996.
44. Зонн И., Жильцов С., Россия и США в Центральной Азии и на Кавказе: поиск региональной стабильности // ЦЕНРАЛЬНАЯ АЗИЯ И КАВКАЗ, № 1(25), 2003, с. 131.
45. Имранлы К. Создание армянского государства на Кавказе – истоки и последствия. М.: Научно-издательский центр «Ладомир», 2006.
46. Имранлы К. Черная судьба черного сада. М.: Научно-издательский центр «Ладомир», 2006.
47. Ирхин Ю.В. Политология как научное направление и учебная дисциплина. М., 1996.
48. Искусство дипломатических переговоров // Международная жизнь. М., 1989. № 8. Стр. 129-139.
49. Исраэлян В.Л., Лебедева М.М. Переговоры – искусство для всех // Международная жизнь. М., 1991. № 11. Стр. 48-55.
50. Каламакарян Р.А., Концепция господства права в современном международном праве // Государство и право. М., РАН, 2003, № 6. Стр. 50-57.
51. Киссинджер Г. Дипломатия. М: Ладомир, 1997.
52. Козырев Г.И. Введение в конфликтологию. М.: Владос, 1999.
53. Кокошин А. О явлениях и тенденциях, определяющих облик мировой политики в первой декаде XXI века // Вестник Аналитики. М., ИСОА, 2003, № 1(11). Стр. 4-14.
54. Корнелиус Х., Фэйер Ш. Выиграть может каждый. Как разрешить конфликты. М. : Стрингер, 1992
55. Конфликтология. Под. Ред. А.С. Кармина. Санкт-Петербург, 1999.
56. Косолапов Н.Н. Порядок и формирующиеся факторы европейской геополитики. Россия и будущее европейской геополитики. Россия и будущее европейского устройства. Ч.1, М., РАН ИМЭМО, 1994.
57. Кременюк В.А. На пути урегулирования конфликтов // США: экономика, политика, идеология. М., 1990. № 12. Стр. 47-52.
58. Лебедева М.М. Политическое урегулирование конфликтов. М.: Аспект Пресс, 1999.
59. Лебедева М.М. Трудный путь урегулирования конфликтов // Вестник Московского университета. Серия 18: Социология и политология. М., 1996. № 2. Стр. 54-59.
60. Левин Д.Б. Принципы мирного разрешения международных споров. М.: Наука, 1977.

61. Мальцев В.А. Основы политологии. М., 1997.
62. Международный Опыт Разрешения Этнических Конфликтов. Книга 3, Этнические и Региональные конфликты в Евразии. Общ. ред. : Б. Коппитерс, Э. Ремакль, А. Зверев. М. : Весь Мир, 1997.
63. Международное Право (Словарь-справочник). М.: ИНФРА-М, 1997.
64. Ментешашвили А. Грузино-Абхазские отношения в первой четверти XX века, в: Разыскания по Истории Абхазии/Грузия. Тб.: Мецниереба, 1999.
65. Мировой порядок после терактов в США: проблемы и перспективы // Комментарий Комитета 65. Внешнеполитического Планирования // Вестник Аналитики. М., ИСОА, 2002, № 2(8). Стр. 171-201.
66. М.С. Неймат., В.А. Кулиева. Объект армянского террора – памятники материальной культуры азербайджанского народа. Баку, 2007.
67. Надареишвили Т. Геноцид в Абхазии. Тб.: Самшобло, 1996.
68. Основы политологии. М., 1990.
69. Пашаева Гюльшен. Карабахский конфликт: есть ли выход из тупика? // ЦЕНТРАЛЬНАЯ АЗИЯ И КАВКАЗ. № 5 (6), 1999.
70. Пряхин В. «Чёрный сад» международного сообщества: конфликт в Нагорном Карабахе и проблемы глобального миро устройства после «холодной войны». ЦЕНТРАЛЬНАЯ АЗИЯ И КАВКАЗ. № 6(24), 2004, С. 25.
71. Пугачев В.П., Соловьев А.И. Введение в политологию. 3-е изд. М.: Аспект Пресс, 1996.
72. Рар А. О возможных последствиях войны в Ираке // Вестник Аналитики. М., ИСОА, № 1, 2003.
73. Сборник докладов, Генерального секретаря ООН о положении в Абхазии, Грузия, с 1992 по 1999 гг. Тб.: Программа развития ООН в Грузии, 1999.
74. Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 гг. Тб. : Программа развития ООН в Грузии, 1999.
75. Смирнов П. Марс теснит Венеру. Перестройка союзнических приоритетов США // Международная жизнь. М., 2003. № 6. Стр. 53-68.
76. Степанов Е.И. Конфликтология переходного периода: Методологические, теоретические, технологические проблемы. М.: Центр конфликтологии. Институт социологии РАН, 1996.
77. Тоидзе Л. К вопросу о политическом статусе Абхазии (1921-1931 гг.) // Разыскания по Истории Абхазии/Грузия. Тб.: Мецниереба, 1999.
78. Удалов В. Баланс сил и баланс интересов // Международная жизнь. М., 1990. № 5. Ст. 16.
79. Языкова А. Государства Южного Кавказа и Россия // Вестник Аналитики. М., ИСОА, 2001, №4.
80. Фальц Э. Этнический конфликт и вмешательство: некоторые международные аспекты. Кептавр, 1992.

81. Фридман Л. Порядок и беспорядок в новом мире. Изменения в системе международных отношений: роль Европы. М., ИНИОН, 1995.
82. Фишер Р., Юри У. Путь к согласию. Или переговоры без поражения. М. : Наука, 1990.
83. Фишер Р., Этель Д. Подготовка к переговорам. М. : Филинь, 1996.
84. Хоштария-Броссе Э. Об этнической консолидации абхазов., в: Разыскания по Истории Абхазии/Грузия. Тб. : Мецниереба, 1999.
85. Чорголашвили Г. Правовые аспекты. Проблема правовой экспертизы и оценки данного конфликта // Проблемы и перспективы развития грузино-осетинских отношений, SCIRS, 2004, С. 216.
86. Шлезингер А. Этническая обособленность. 1992.
87. Шугаров Г. Грузино-осетинские отношения в контексте геополитической ситуации на Кавказе // Проблемы и перспективы развития грузино-осетинских отношений, SCIRS, 2004, С. 226.
88. Шутов А.Д. Постсоветское пространство. М., 1999.
89. Юридическая конфликтология // Под ред. В.Н. Кудрявцева. М. : Институт государства и права РАН, 1995.
90. Языкова А. Государства Южного Кавказа и Россия. Вестник Аналитики, М., ISOA, 2001, №4
91. Ясперс К. Смысл и назначение истории. М., 1992.
92. Amstutz M.R. An Introduction to Political Science: The Management of Conflict. Glenview (Illinois), Scott Foresman and Company, 1982.
93. Asmus, Ronald and Bruce Jackson. The Black Sea and the Frontiers of Freedom. Policy Review, No.125, June/July 2004, pp. 17-27.
94. Azar E.E. The Management of Protractive Social Conflict. Theory and Cases. Dartmouth, Gower, 1990.
95. Bazerman M.H., Lewicki R.J. Negotiating in Organizations. Beverly Hills: Sage Publications, 1983.
96. Baran, Zeyno. The Caucasus: Ten Years After Independence. The Washington Quarterly, Vol. 25, No. 1, Winter 2002, pp. 221-234.
97. Binnendijk, Hans and Richard Kugler. *Transform NATO: Don't End It*. The National Interest, № 75, Spring 2004, pp. 72-76.
98. Bittner J., Peters I. EU Policy towards Georgia. In: EU-US Risk Policy in the European Neighbourhood: The Cases of Modlova and Georgia. Center for Transatlantic Foreign and Security Policy Studies Department of Politics and Social Sciences, Freie Universität Berlin, pp. 18-20.
99. Blank, Stephen. A Sacred Place is Never Empty: The External Politics of the Transcaspian. The Harriman Review, Vol. 13, Nos. 1-2, April 2001, pp. 7-22.
100. Boulding K. Conflict and Defense. A General Theory. N.Y., 1992.

101. Bremer I., Bailes A. Subregionalism in the Newly Independent States. *International Affairs Journal*, Vol 74, №1, January, 1998.
102. Brubaker R. *Nationalism Reframed. Nationhood and the National Question in the New Europe.* Cambridge University Press, 1996.
103. Brzezinski Z. *The Grand Chessboard. American Primacy and Its Geostrategic Imperatives.* N.Y., 1997.
104. Burton J. *Conflict: Resolution and Prevention.* Washington. DC, USA, 1990.
105. Burton J., Dukes F. *Conflict: Practices in Management, Settlement, and Resolution.* L., Macmillan, 1990.
106. Carley P. *Nagorno-Karabagh. Searching for a solution.* A United States Institute of Peace, 1998.
107. Cohen R. *Negotiating Across Cultures: Communication Obstacles in International Diplomacy.* Wash. (D.C.), US Institute of Peace Press, 1991.
108. *Conflict Resolution Theory and Practice: Integration and Application / ad. by D.J.D. Sandole, H. van der Merwe.* Manchester, N.Y., Manchester Univ.Press, 1993.
109. Cornell, Svante, et al. *Regional Security in the South Caucasus: the Role of NATO.* Central Asia: Caucasus Institute, Johns Hopkins University 2004, pp 4-33.
110. Coppieters B. *The Georgian-Abkhaz Conflict. Chapter 5*, [<http://www.ecmi.de/jemie/download/1-2004Chapter5.pdf>].
111. Coppieters B. *EU policy on the Southern Caucasus.* Policy paper for the Committee on Foreign Affairs, Human Rights, Common Security and Defence Policy of the European Parliament (meeting of 20 January 2004), [<http://www.europarl.eu.int/meetdocs/committees/afet/20040120/wider%20europe%20caucasus.pdf>].
112. Cozer L. *The Functions of Social Conflict.* Glencoe, 1956.
113. *Culture and Negotiation / ed. by G.O. Fuare, J. Rubin.* L., Sage, 1995.
114. Danilov D. *Russia and European Security. Chapter 5 in: What Russia Sees, Chaillot Paper № 74*, edited by Dov Lynch. Paris: European Union Institute for Security Studies, 2005, pp. 79-98.
115. Darendorf R. *Class and Class Conflict in Industrial Society.* L., 1959.
116. Dawisha, Karen, and Bruce Parrot, eds. *Conflict, Cleavage, and Change in Central Asia and the Caucasus.* Cambridge: Cambridge University Press, 1997. (DK859.5.C661997).
117. De Wall, Thomas. *Reinventing the Caucasus.* *World Policy Journal*, Vol. 19, No. 1, Spring 2002, pp. 51-59.
118. Deutsch M. *The Resolution of Conflict.* New Haven, Yale University Press, 1973.
119. Emerson, Michael, et al. *A Stability Pact for the Caucasus in Theory and Practice: A Supplementary Note.* Centre for European Policy Studies Conference Report, 21 Sep. 2000.
120. Kamrava, Mehran. *State-Building in Azerbaijan: The Search for Consolidation.* *The Middle East Journal*, Vol. 55, No. 2, Spring 2001, pp. 216-236.

121. Kangas, Roger. *The Caspean and Central Asian Oil & Gas Report: Developing the Energy Sector's New Frontier*. London: SMI Publishers, 2001.
122. Galtung J. *Essays in Piece Research*. Copenhagen: Ejers, 1978.
123. Gnesotto N. *EU Security and Defence Policy: The First Five Years (1999-2004)*. Paris: European Security Studies, 2004, pp. 11-32.
124. Goble P. Coping with the Nagorno-Karabagh crisis. *The Fletcher's forum of world affairs*, vol 6, №2, summer, 1992.
125. Gulliver P.H. *Disputes and Negotiations. A Cross-Cultural Perspective*. New York, Academic Press, 1979.
126. Hampson F.O. *Nurturing Peace. Why Peace Settlements Succeed or Fail*. Washington D.C.: United States Institute of Peace Press, 1996.
127. *International Negotiation: Analysis, Approaches, Issues* / ed. by V.A. Kremenyuk. San Francisco, Oxford, Jossey-Bass, 1991.
128. Kakachia K. The Role of International and Regional Actors in Abkhazia, Georgia. 3rd International Silk Road Symposium "The Black Sea Region Countries and Prospective Relationships with European Union", 27-28-29 October, 2006, Tbilisi, Georgia, pp. 75-84.
129. Kissinger H. *Diplomacy*. N.Y., 1994.
130. Kriesberg L. *Social conflicts*. New Jercey, 1982, Vol. XIII.
131. Kvarchelia L. *Georgia-Abkhazia Conflict: View from Abkhazia*, in: Hill Fiona (ed.). *The Caucasus and the Caspian: 1996 Seminar Series*. Vol. II. Cambridge, Mass.: Harvard University, J.F. Kennedy School of Government, 1996.
132. International Crisis Group. *Nagorno-Karabakh: Viewing the Conflict from the Ground*. ICG Europe Report No. 166, 14 September 2005 (accessed 25 July 2007), [<http://www.crisisgroup.org/home/index.cfm?id=3652&l=1>].
133. International Crisis Group. *Abkhazia Today*. ICG Europe Report No. 176, 15 September 2006, pp. 1-33, (accessed 25 July 2007), [<http://www.crisisgroup.org/home/index.cfm?l=1&id=4377>].
134. International Crisis Group. *Georgia's South Ossetia Conflict: Make Haste Slowly*. Europe Report No. 183, 7 June 2007, (accessed 25 July 2007), [<http://www.crisisgroup.org/home/index.cfm?id=1248&l=1>].
135. Lynch D. EU policy, interests and stakes. Chapter 5 in: *Why Georgia matters*, Chaillot Paper № 86, edited by Dov Lynch. Paris: European Union Institute for Security Studies, February 2006, pp. 59-80.
136. MacFarlane S.N., Minear L., Shenfield D. *Armed Conflict in Georgia: A Case-study in Humanitarian Action and Peacekeeping*. Occasional Paper of the Watson Institute. Providence: Brown University, 1996.
137. Mitchell Ch.R. *The Structure of International Conflict*. N.Y., St. Martin's Press, 1981.

138. Nodia G. Nationalism and Democracy, in: Diamond L., Plattner M.F. (eds.) Nationalism, Ethnic Conflict, and Democracy. Baltimore & London: The Johns Hopkins University Press, 1994: 3-22.
139. Novhannisyanyan N. The Karabakh problem. Factors, Criteria, variants of solution. National Academy of sciences of Armenia, Institute of Oriental Studies, Yerevan, 1999.
140. Nye J. What New World Order? Foreign Affairs. Vol. 71, № 2, 1992.
141. Pruitt D.G., Carnevale P.J. Negotiation in Social Conflict. Buckingham: Open University Press, 1993.
142. Pruitt D., Rubin J. Social Conflict: Escalation, Stalemate, and Settlement. N.Y., Random House, 1984.
143. Rangarajan L.N. The Limitation of Conflict. A Theory of Bargaining and Negotiation. London: Croom Helm, 1985.
144. Rapoport A. Fights, Games, Debates. Ann Arbor, University of Michigan Press, 1960.
145. Rubin J.Z., Brown B.R. The Social Psychology of Bargaining and Negotiation. New York: Academic Press, 1975.
146. Rühle, Michael. The Evolution of NATO: Expanding the Transatlantic Tool Kit. American Foreign Policy Interests, 2007, Vol. 29, pp. 237-242.
147. Ruth Lapidot. Autonomy – Flexible solutions to ethnic conflicts. United States Institute of Peace, 1997.
148. Ryan S. Ethnic Conflict and International Relations. Second edition. Aldershot a.o., Dartmouth Publishing Company, 1995.
149. Schelling T. The Strategy of Conflict. Cambridge, Harvard University Press, 1960.
150. Shungarian, Rouger. Stability in the Caucasus: Eight Principles of Regional Cooperation. Central Asia and the Caucasus, Vol. 1, No. 7, 2001, pp. 7-12.
151. Thawing a Frozen Conflict: Legal Aspects of the Separatist Crisis in Moldova. The Association of the Bar of the city of New York The Special Committee on European Affairs.
152. Tsuladze I. The Factors Influencing Geopolitics in the Caucasus. Bulletin of the Georgian academy of sciences. Tb., 166, № 2, 2002, P. 404-406.
153. UNESCO Studies on Peace and Conflict. UNESCO Yearbook on Peace and Conflict. UNESCO, 1992.
154. Winham G. Negotiation as a Management Process // World Politics. 1977. № 1. P. 87-114.
155. Wright Q. The Study of International Relations. N.Y., 1955.
156. Wright Q. Escalation of International Conflict. The journal of Conflict Resolution. 1965. Vol.9, № 4. P. 435.
157. Yalowitz, Kenneth and Svante E. Cornell. The Critical but Perilous Caucasus. Orbis, Vol. 48, No. 1, Winter 2004, pp. 105-116.
158. Zartman I.W. (ed.) Elusive Peace. Negotiating an End to Civil Wars. Washington D.C.: The Brookings Institution, 1995.

159. Zartman I.W., Berman M.R. The Practical Negotiator. New Haven, Yale University Press, 1982.
160. Zartman I.W., Kremenyuk V.A. Cooperative Security. Reducing Third World Wars. Syracuse, N.Y.: Syracuse University Press, 1995.

ელექტრონული ვებ-გვერდები

161. <http://www.president.gov.ge> (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია)
162. <http://www.parliament.ge> (საქართველოს პარლამენტი)
163. <http://www.mfa.gov.ge> (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)
164. <http://www.kremlin.ru> (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახური)
165. <http://www.mid.ru> (რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო)
166. <http://www.president.az> (აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია)
167. <http://www.mfa.gov.az> (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო)
168. <http://www.armeniaforeignministry.com> (სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო)
169. <http://www.whitehouse.gov> (აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია)
170. <http://www.state.gov> (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი)
171. <http://www.cia.gov> (აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო)
172. <http://www.un.org> (გაერო)
173. <http://www.osce.org> (ეუთო)
174. <http://www.osce.org/georgia> (ეუთო-ს მისია საქართველოში)
175. <http://www.delgeo.cec.eu.int> (ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში)
176. <http://www.cis.minsk.by> (დსთ)
177. <http://www.icg.org> (International Crisis Group)
178. <http://www.hrw.org> (Human Right Watch)
179. <http://www.freedomhouse.hu> (Freedom House)
180. <http://www.24hours.ge> (გაზეთი „24 საათი“)
181. <http://www.interfax.ru> («Интерфакс»)
182. <http://www.rian.ru> (РИА «Новости»)
183. <http://www.ng.ru> («Независимая Газета»)
184. <http://www.gazetasng.ru> («Газета СНГ»)
185. <http://www.caspian.ru> («Каспийское Информационное Агентство»)
186. <http://www.strana.ru> («Национальная Информационная Служба»)
187. <http://www.zerkalo.az> («Зеркало», Баку)

188. <http://www.echo-az.info> («Эхо», Баку)
189. <http://www.golos.am> («Голос Армении»)
190. <http://www.euronews.net> (“Euronews”)
191. <http://www.washingtonpost.com> (“The Washington Post”)
192. <http://news.ft.com/home/europe> (“Financial Times”)
193. <http://www.reuters.com> (“Reuters”)
194. <http://www.bbc.co.uk> (“BBC”)
195. <http://www.cnn.com> (“CNN”)

ოფიციალური დოკუმენტები: განცხადებები, მემორანდუმები და კომუნიკაციები, პარლამენტის დადგენილებები, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები

196. განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ (მოსკოვი, 04.04.1994).
197. დეკლარაცია საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული ხასიათის ურთიერთობების განვითარების შესახებ (კიევი, 2005 წლის 25 მარტი).
198. დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მემორანდუმი დსთ-ში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის შესახებ (აღმა-ათი, 10.02.1995).
199. დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ (მოსკოვი, 19.01.1996).
200. ევროკავშირის “ტროიკასა” და საქართველოს ერთობლივი განცხადება (2006 წლის 2 ოქტომბერი).
201. კომუნიკე ჟენევაში ქართველთა და აფხაზთა მოლაპარაკების მეორე რაუნდის შესახებ - 13.01.1994.
202. მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ - 03.09.1992.
203. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო).
204. საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ (2001 წლის 18 დეკემბერი).
205. საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ (1998 წლის 18 თებერვალი).
206. საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ (2000 წლის 16 მაისი).
207. საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ (2001 წლის 22 ივნისი).

208. საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ (1998 წლის 24 დეკემბერი).
209. საქართველოს კანონი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ (1999 წლის 22 ივლისი).
210. საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ (25 ივნისი, 1999).
211. საქართველოს პარლამენტის დადგენილება (თბ., 1993 წლის 27 აპრილი).
212. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ (16 ივლისი, 2003).
213. საქართველოს პარლამენტის განცხადება აფხაზეთთან, საქართველო დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გამო (თბ., 2003 წლის 30 იანვარი).
214. საქართველოს პარლამენტის განცხადება გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი (თბ., 2002 წლის 12 სექტემბერი).
215. საქართველოს პარლამენტის მიმართვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოსადმი (თბ., 2002 წლის 26 აგვისტო).
216. საქართველოს პარლამენტის განცხადება (თბ., 2002 წლის 28 თებერვალი).
217. საქართველოს პარლამენტის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს (2001 წლის 12 ოქტომბერი).
218. საქართველოს პარლამენტის განცხადება აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით (თბ., 2001 წლის 11 ოქტომბერი).
219. საქართველოს პარლამენტის განცხადება აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ (თბ., 2001 წლის 27 სექტემბერი).
220. საქართველოს პარლამენტის განცხადება მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ე.წ. სახალხო კრების – აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ჩატარების შესახებ სოხუმის რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე (თბ., 2001 წლის 27 სექტემბერი).
221. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე (თბ., 2001 წლის 18 ივლისი).
222. საქართველოს პარლამენტის განცხადება ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 8 აპრილისათვის დაგეგმილი ე.წ. რეფერენდუმის შესახებ (თბ., 2001 წლის 30 მარტი).

223. საქართველოს პარლამენტის განცხადება სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისთვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ (თბ., 2001 წლის 2 მარტი).
224. საქართველოს პარლამენტის განცხადება (თბ., 2004 წლის 4 ივნისი).
225. საქართველოს პარლამენტის ბიუროს განცხადება (თბ., 2004 წლის 9 ივლისი).
226. საქართველოს პარლამენტის დადგენილება (თბ., 2005 წლის 10 მარტი).
227. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ (თბ., 2005 წლის 11 ოქტომბერი).
228. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული ვითარებისა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (თბ., 2006 წლის 18 თებერვალი).
229. საქართველოს პარლამენტის განცხადება (თბ., 2006 წლის 10 ოქტომბერი).
230. საქართველოს პარლამენტის მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, საპარლამენტო ასამბლეებსა და მეგობარი სახელმწიფოების პარლამენტებს (თბ., 2006 წლის 7 დეკემბერი).
231. საქართველოს პარლამენტის განცხადება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 6 მარტს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით – „დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ მიღებული 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან რუსეთის ფედერაციის გასვლის შესახებ“ (თბ., 2008 წლის 14 მარტი).
232. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“ (თბ., 2008 წლის 28 აგვისტო).
233. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (16 ნოემბერი, 2001).
234. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (1 მარტი, 2002).
235. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (22 მარტი, 2002).
236. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (29 მარტი, 2002).
237. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (18 აპრილი, 2002).
238. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (11 ივნისი, 2002).
239. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (31 ივლისი, 2003).
240. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (7 ივლისი, 2004).
241. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (8 ივლისი, 2004).
242. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (22.09.2005).

243. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ცხინვალის რეგიონში მიმდინარე წლის 13-14 იანვარს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით (2006 წლის 18 იანვარი).
244. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (23 იანვარი, 2006).
245. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (3 თებერვალი, 2006).
246. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (8 მარტი, 2006).
247. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით (2006 წლის 25 მაისი).
248. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება 14 ივნისს ბრიუსელში გამართულ ეუთო-ს დონორთა კონფერენციასთან დაკავშირებით (2006 წლის 16 ივნისი).
249. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება 2006 წლის 4 ივლისს, მოსკოვში სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს შორის “პარლამენტაშორისი” თანამშრომლობის შესახებ “შეთანხმებების” ხელმოწერასთან დაკავშირებით (2006 წლის 4 ივლისი).
250. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეუთოს მისიის დამკვირვებელთა დაკავებასთან დაკავშირებით (2006 წლის 13 ივლისი).
251. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთი ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით (2006 წლის 14 ივლისი).
252. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (20 ივლისი, 2006).
253. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ (2006 წლის 27 ივლისი).
254. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ (2006 წლის 4 აგვისტო).
255. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით (2006 წლის 7 აგვისტო).
256. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ალაგირი (ჩრდილოეთ ოსეთი) – ცხინვალი/სამხრეთ ოსეთი გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით (2006 წლის 1 სექტემბერი).
257. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (4 სექტემბერი, 2006).
258. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (5 სექტემბერი, 2006).
259. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (8 სექტემბერი, 2006).

260. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (20.09.2006).
261. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (29.09.2006).
262. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (30.09.2006).
263. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საქართველოში რუსეთის სპეციალური სამსახურების წარმომადგენელთა დაკავების შესახებ (2006 წლის 2 ოქტომბერი).
264. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2006 წლის 7 ოქტომბერი).
265. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ №1716 რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით (2006 წლის 13 ოქტომბერი).
266. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (24 ოქტომბერი, 2006).
267. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2006 წლის 25 ოქტომბერი).
268. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2006 წლის 3 ნოემბერი).
269. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2006 წლის 9 ნოემბერი).
270. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2006 წლის 11 ნოემბერი).
271. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 5 იანვარი).
272. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 9 თებერვალი).
273. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 2 მარტი).
274. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება აფხაზეთში, საქართველო ჩატარებულ ე.წ. არჩევნებთან დაკავშირებით (2007 წლის 5 მარტი).
275. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 12 მარტი).
276. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 15 მარტი).
277. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 26 მარტი).
278. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება *საქართველო – რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით (2007 წლის 28 მარტი).
279. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 15 მაისი).
280. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 25 აგვისტო).
281. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 21 სექტემბერი).
282. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთში, საქართველო არსებული მდგომარეობის შესახებ რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით (2007 წლის 16 ოქტომბერი).
283. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2007 წლის 16 ნოემბერი).
284. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 3 იანვარი).

285. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 30 იანვარი).
286. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 16 თებერვალი).
287. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 24 მარტი).
288. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 8 აპრილი).
289. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 14 აპრილი).
290. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 17 აპრილი).
291. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 19 აპრილი).
292. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 21 აპრილი).
293. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 23 აპრილი).
294. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 26 აპრილი).
295. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 29 აპრილი).
296. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 30 აპრილი).
297. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 2 მაისი).
298. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 5 მაისი).
299. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 27 მაისი).
300. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (2008 წლის 31 მაისი).
301. საქართველოს დელეგაციის განცხადება ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე (ვენა, 2006 წლის 18 ივლისი).
302. საქართველოს დელეგაციის განცხადება, წარმოთქმული ეუთო-ს მუდმივ საბჭოზე 2006 წლის 12 იანვარს.
303. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების ერთობლივი განცხადება (ქ. ბორჯომი, 2005 წლის 12 აგვისტო).
304. შეთანხმება „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ“ (ქ. სოჭი, 27.07.1993).
305. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ (ქ. მოსკოვი, 14.05.1994).
306. Бакинская Декларация о развитии и расширении энергетического транспортного коридора Восток-Запад - 25/05/05.
307. Брифинг о встречах Буша с Президентами Армении и Азербайджана (1 апреля 2001 г.).
308. ВОЕННАЯ ДОКТРИНА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ (Утверждена Указом Президента Российской Федерации от 21 апреля 2000 г).
309. Вступительное слово В. Путина на встрече с Президентом Грузии Э.Шеварднадзе и главой исполнительной власти Абхазии Г.Гагулия (Сочи, Бочаров ручей, 07 марта 2003 года).

310. Декларация «За межнациональное согласие, мир, экономическое и культурное сотрудничество на Кавказе», принятая на встрече глав государств Азербайджана, Армении, Грузии и Российской Федерации, Кисловодск, 3 июня 1996 года.
311. Доклад Генерального Секретаря во исполнении Резолюции 849 (1993) Совета Безопасности.
312. Доклад Генерального Секретаря о положении в Абхазии, Грузия (29 октября 1998 г.).
313. Доклад Генерального Секретаря о положении в Абхазии, Грузия (20 января 1999 г.).
314. Заключительное заявление по итогам второй встречи грузинской и абхазской сторон, Женева, 23–25 июня 1998 года.
315. Заявление для прессы после трехсторонней встречи В. Путина с Э.Шеварднадзе и Г.Гагулия (Сочи, Бочаров ручей, 07 марта 2003 г.).
316. Заявление МИД РФ – 19.08.2004.
317. Заявление МИД России в связи с осложнением ситуации в зоне грузино-осетинского конфликта – 03.10.2005.
318. Заявление по итогам встречи З.В. Жвания и Э.Д. Кокойты – Сочи, 05.11.2004.
319. Заявление «О ходе урегулирования конфликта в Абхазии, Грузия», Москва, 27.03.1997.
320. Заявление Совета Глав государств СНГ о проведении операции по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта, Москва, 15 апреля 1994 года.
321. Заявление о мерах по политическому урегулированию грузино-абхазского конфликта, Москва, 4 апреля 1994 года.
322. Заявление Сопредседателей Минской Группы ОБСЕ по Нагорному Карабаху (29.06.2001).
323. Заявление Представителя США Кери Кавано о Нагорном Карабахе (6 июня 2001 г.).
324. Итоговое заявление о встречах Президента Российской Федерации В.В.Путина и Президента Грузии Э.А.Шеварднадзе (Сочи , 7 марта 2003 года).
325. Итоговый документ встречи Президента Ельцина и Президента Шеварднадзе, Москва, 3 сентября 1992 года [Московское соглашение].
326. Итоговое Заявление о встречах Президента РФ В.В. Путина и Президента Грузии Э.А. Шеварднадзе (Сочи, 6-7 марта 2003 г.).
327. Коммюнике по итогам второго раунда переговоров по вопросу о положении в Абхазии, Грузия, Женева, 11-13 января 1994 года.
328. КОНЦЕПЦИЯ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ (Утверждена Президентом Российской Федерации В.В. Путиным 28 июня 2000 г.).
329. КОНЦЕПЦИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ (Утверждена Указом Президента Российской Федерации № 24 от 10.01. 2000 года).

330. Меморандум о мерах по обеспечению безопасности и укреплению взаимного доверия между сторонами в грузино-осетинском конфликте – Москва, 16.05.1996.
331. Письмо Беларуси, препровождающее текст Решения о продлении срока пребывания и Мандата Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия, принятого Советом глав государств Содружества Независимых Государств в Минске 1 июня 2001 года.
332. Письмо Генерального Секретаря ООН от 24 Мая 1994 года на имя Председателя Совета Безопасности // Приложение – Заключительный доклад Комиссии экспертов, созданной во исполнение резолюции 780 (1992) Совета Безопасности.
333. Письмо и.о. Постоянного представителя Украины при ООН, сопровождающее Ялтинское заявление грузинской и абхазской сторон, Программу действий по укреплению доверия между грузинской и абхазской сторонами и приложение к Программе действий.
334. Письмо исполнительного секретаря СНГ относительно срока действия мандата Коллективных сил по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта.
335. Письмо Постоянного Представителя Грузии при Организации Объединенных Наций от 17 Мая 1994 г. на имя Председателя Совета Безопасности.
336. Письмо Российской Федерации по вопросу об операции по поддержанию мира СНГ в зоне грузино-абхазского конфликта.
337. Письмо Украины, препровождающее письмо президента Украины Леонида Кучмы от 19 марта 2001 года относительно проведения Третьей встречи грузинской и абхазской сторон по укреплению мер доверия, которая состоялась в Ялте, Украина, 15 и 16 марта 2001 года.
338. Письмо Украины, препровождающее заявление Совета министров иностранных дел Содружества Независимых Государств, принятое на заседании Совета в Ялте, Украина, 8 октября 1999 года.
339. Письмо Финляндии, препровождающее заявление страны, председательствующей в ЕС, относительно президентских выборов и референдума в Абхазии, опубликованное 6 октября 1999 г.
340. Положения заключительного документа Лиссабонской встречи ОБСЕ, декабрь 1996.
341. Положение о СКК по урегулированию грузино-осетинского конфликта.
342. Постановление Парламента Грузии об обстановке и ходе мирного процесса в бывшей Юго-Осетинской автономной области (16 декабря 2006 г.).
343. Предложение о создании Координационной комиссии, Москва, 11 мая 1994 года.
344. Пресс-брифинг Сопредседателей Минской Группы ОБСЕ о переговорах по Нагорному Карабаху (4 апреля 2001 г.).
345. Пресс-брифинг участников Минской Группы ОБСЕ по Нагорному Карабаху (17.06.2001).

346. Пресс-брифинг представителя Госдепартамента Кери Кавано по проблеме Нагорного Карабаха (23 июля 2001 г.).
347. Резолюция 1119 (1997) по конфликтам в Закавказье, принятая Парламентской ассамблеей Совета Европы, 22 апреля 1997 года.
348. Резолюция Европейского парламента о положении в Абхазии, Грузия, 12 ноября 1996 г.
349. Резолюция Совета Безопасности ООН, № 849, Положение в Грузии (от 9 июля 1993 г.).
350. Резолюция Совета Безопасности ООН, № 854, Положение в Грузии (от 6 августа 1993 г.).
351. Резолюция Совета Безопасности ООН, № 858, Положение в Грузии (от 24 августа 1993 г.).
352. Резолюция Совета Безопасности ООН, № 876, Положение в Грузии (от 19 октября 1993 г.).
353. Резолюция Совета Безопасности ООН, № 881, Положение в Грузии (от 4 ноября 1993 г.).
354. Резолюция Совета Безопасности ООН, № 892, Положение в Грузии (от 22 декабря 1993 г.).
355. Резолюция Совета Безопасности ООН, № 896, Положение в Грузии (от 31 января 1994 г.).
356. Резолюция Совета Безопасности ООН, № 901, Положение в Грузии (от 4 марта 1994 г.).
357. Резолюция Совета Безопасности ООН, № 906, Положение в Грузии (от 25 марта 1994 г.).
358. Резолюция Совета Безопасности ООН, № 934, Положение в Грузии (от 30 июня 1994 г.).
359. Резолюция Совета Безопасности ООН, № 937, Положение в Грузии (от 21 июля 1994 г.).
360. Резолюция Совета Безопасности ООН, № 971, Положение в Грузии (от 12 января 1995 г.).
361. Резолюция Совета Безопасности ООН, № 993, Положение в Грузии (от 12 мая 1995 г.).
362. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1036, Положение в Грузии (от 12 января 1996 г.).
363. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1065, Положение в Грузии (от 12 июля 1996 г.).
364. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1077, Положение в Грузии (от 22 октября 1996 г.).
365. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1096, Положение в Грузии (от 30 января 1997 г.).
366. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1124, Положение в Грузии (от 31 июля 1997 г.).
367. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1150, Положение в Грузии (от 30 января 1998 г.).
368. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1187, Положение в Грузии (от 30 июля 1998 г.).
369. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1225, Положение в Грузии (от 28 января 1999 г.).
370. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1255, Положение в Грузии (от 30 июля 1999 г.).
371. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1287, Положение в Грузии (от 31 января 2000 г.).
372. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1311, Положение в Грузии (от 28 июля 2000 г.).
373. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1339, Положение в Грузии (от 31 января 2001 г.).
374. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1364, Положение в Грузии (от 31 июля 2001 г.).
375. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1393, Положение в Грузии (от 31 января 2002 г.).
376. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1427, Положение в Грузии (от 29 июля 2002 г.).

377. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1462, Положение в Грузии (от 30 января 2003 г.).
378. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1494, Положение в Грузии (от 30 июля 2003 г.).
379. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1524, Положение в Грузии (от 30 января 2004 г.).
380. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1554, Положение в Грузии (от 29 июля 2004 г.).
381. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1582, Положение в Грузии (от 28 января 2005 г.).
382. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1615, Положение в Грузии (от 29 июля 2005 г.).
383. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1656, Положение в Грузии (от 31 января 2006 г.).
384. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1666, Положение в Грузии (от 31 марта 2006 г.).
385. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1716, Положение в Грузии (от 13 октября 2006).
386. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1752, Положение в Грузии (от 13 апреля 2007 г.).
387. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1781, Положение в Грузии (от 15 октября 2007).
388. Резолюция Совета Безопасности ООН, № 1656, Положение в Грузии (от 15 апреля 2008 г.).
389. Резолюция Совета Безопасности ООН, № 822, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 30 апреля 1993 г.).
390. Резолюция Совета Безопасности ООН, № 853, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 29 июля 1993 г.).
391. Резолюция Совета Безопасности ООН, № 874, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 14 октября 1993 г.).
392. Резолюция Совета Безопасности ООН, № 884, Ситуация в отношении Нагорного Карабаха (от 12 ноября 1993 г.).
393. Решение Смешанной Контрольной Комиссии по урегулированию грузино-осетинского конфликта о Смешанных силах по поддержанию мира, г. Москва – 06.12.1994.
394. Решение о дальнейших мерах, направленных на урегулирование конфликта в Абхазии, Грузия, декабрь 1999 года.
395. Решение о дальнейших шагах по урегулированию конфликта в Абхазии, Грузия, Москва, 2 апреля 1999 года.
396. Решение о дополнительных мерах по урегулированию конфликта в Абхазии, Грузия, 28 апреля 1998 года.
397. Решение о развитии операции по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия, Москва, 27 марта 1997 года.
398. Решение Совета глав государств СНГ о продлении срока пребывания и дополнении к Мандату Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия, Москва, 17.10.1996.

399. Решение о пребывании Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия, Москва, 16 мая 1996 года.
400. Решение о продлении срока действия мандата Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия, Минск, 26 мая 1995 года.
401. Решение о назначении командующего Коллективными силами по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта, Москва, 21 октября 1994 года.
402. СОВМЕСТНОЕ ЗАЯВЛЕНИЕ министров иностранных дел Российской Федерации и Грузии – Москва, 30.05.2005 .
403. Соглашение о дальнейшем развитии процесса мирного урегулирования грузино-осетинского конфликта и о Смешанной контрольной комиссии, г. Москва – 31.10.1994.
404. Соглашение о прекращении огня и разъединении сил, Москва, 14 мая 1994 года.
405. Соглашение о прекращении огня в Абхазии и механизме контроля за его соблюдением, Сочи, 27 июля 1993 года.
406. Соглашение о принципах мирного урегулирования грузино-осетинского конфликта, Сочи, 24.06.1992.
407. Сообщение Для Печати МИД РФ О развитии ситуации в Южной Осетии – 08.07.2004.
408. Сообщение для печати МИД РФ о встрече первого заместителя Министра иностранных дел России В.В. Лощина с «тройкой» послов государств-членов Европейского союза – 18.08.2004.
409. Соглашение о добровольном возвращении беженцев и перемещенных лиц, Москва, 04.04.1994.
410. European Parliament resolution on Georgia – 11.10.2004.
411. OSCE Lisbon Summit Documents, 1996.
412. CSCE Budapest Summit Documents, 1994.